

ბიზნესი და კანონმდებლობა

№1 აპრილი 2013

საქართველო,

ანალიტიკურ-პრაქტიკული ჟურნალი

რეგისტრირებულია 2008 წლიდან

WWW.B-K.GE

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავის-სუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა ყოველთვის არ ემთხვეოდეს ავტორისას. უმოსული სტატიების უინაარსზე და მონაცემთა სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

ნაქვემოთ მისაღწილი:

თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. 36
ტელ: 292-14-61, 599 56-14-57, 599 34-64-27
ვებ გვერდი: www.b-k.ge
e-mail: info@iverioni.com.ge, gfaafm@gmail.com

საბანკო რეკვიზიტები:

სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი“;
ბანკის კოდი: BAGAGE22;

ა/ა GE30BG000000850902700; ს/კ 404956455.

გამომცემელი:

საქართველოს ანტიკორუფციული, გულდასმით და უინაარსი მენეჯერული ფუნქციონალი, სინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „ივერიონი“

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე:

ზაქარია ნაჭყელიძე

მთავარი რედაქტორი:

იური ჯანაშია, ეკონომიკური მეცნი. აკად. დოქტორი, პროფესორი

სამეცნიერო რედაქტორი:

ნიკოლოზ ბაქაშვილი, ეკონომიკური მეცნი. დოქტორი, პროფესორი

რედაქტორი:

ეკა ჯიმშელაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი:

ილინა ადამია

ტექნიკური რედაქტორი:

ლევან ბოჭორიშვილი

სამეცნიერო საბჭო:

ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:
ივანე მახვილი, ნოდარ ჭიჭინაძე, ელენე მარჯანიშვილი, ვახტანგ ჯორჯანიშვილი, დავით ქოქიაშვილი, ნატო ხაჩიძე, ნანა შონია, დავით ჯანაშია, თამარ ხორვათიანი, ელენე ხაჩიძე, ნიკოლოზ ჩხეიძე, თამარ ანდრონიკიანი, დავით თანაშელაძე, ბიორი ლომიძე, ირაკლიანი, დავით ჭიჭინაძე, სანიკო ფარსადანი, დავით ხაჩიძე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
პროფესორი ნინო ბერიძე.

სამართლის და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი
ქრისტინე ბერიძე.

იურიდიული მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ბიორი ნაჭყელიძე,

პედაგოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
მარია თანაშელაძე.

ბიორი ზინკაძე (ბიორის უნივერსიტეტის პროფესორი),

იურიდიული მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,

იური ბერიძე (იურიდიული სახ. უნივერსიტეტის პროფესორი),

იური ბერიძე (ბიორის სახ. უნივერსიტეტის პროფესორი).

კონსულტანტი:

თამარ იაშვილი, ანტიკორუფციული, იურიდიული

შინაოსი

აგრარული პოლიტიკა

ნოდარ ჭითანავა

საქართველოს აგრარული მეურნეობის განვითარების ახალი სტრატეგია 4

SOS!

პატა კოლუაშვილი, ზაურ ჯინჯოლავა

რა ბრალი მიუძღვის საკონსტიტუციო სასამართლოს?! 11

ფულად-საქრედიტო პოლიტიკა

ლია ელიავა

დეფლაცია საქართველოში: სად ვეძებთ დამნაშავე?! 18

საბანკო საქმე

ნანა შონია

სავალუტო რისკების მართვის ზოგიერთი ასპექტი საქართველოში 23

საბანკო საქმე

ციური ოქრუაშვილი

როგორ გავხადოთ კონკურენტუნარიანი საქართველოს საბანკო სისტემა 27

საბუღალტრო არიხსვა

ნათო გეგიაშვილი

ვის ცჭირდება ბუღალტრული აღრიცხვა? 32

დაზღვევა

ნათო კაკაშვილი

სადაზღვევო მომსახურება - ახალი პროდუქტის შექმნა 34

დაზღვევა

როლანდ ბრეგვაძე

სადაზღვევო ინტერესების გარეშე დაზღვევის განხორციელება შეუძლებელია 36

SOS!

ანდრე მუსხიშვილი

კანონები, რომლებიც რადიკალურ ცვლილებებს მოითხოვს 41

თვალსაზრისი

კობა ბიჭაძე

რატომ ეშინია მთავრობას პრეზიდენტის უფლებების და როგორ განვხორციელოთ აგრარული რეფორმა 45

ინოვაცია

ბუნლავ მარქომაიშვილი

ველნეს (wellness) ინდუსტრია - ახალი ბრენდი საქართველოს ბაზარზე 48

ინფორმაცია სენატის

რეგულაციები

ინტერნეტ სივრცის რეგულირება და შეზღუდვები 53

გარეგნობა

დავით ჭიჭინაძე

ტურიზმის უსაფრთხოებისა და სადაზღვევო დაცვის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი საკითხები 58

თვითმმართველობები

ბორის ჭიჭინაძე

ადგილობრივი თვითმმართველობების სტრატეგიული პრიორიტეტები 60

იურიდიული კონსულტაცია

ირინე ღლონტი

უარი სამკვიდროს მიღებაზე, სამკვიდროს გაყოფა, დაცვა და კრედიტორთა დაკმაყოფილება მემკვიდრეთა მიერ 65

ნორმატიული დოკუმენტები

პროექტი

საქართველოს კანონი „ბუნებრივი აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე 75

ყურადღება!

დღეიდან სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“ ელექტრონული ვერსიით გამოვა. ჩვენი მიზანია მომავალში კიდევ უფრო დავხვეწოთ და ჟურნალის ერთგული მკითხველისთვის საინტერესო და სასარგებლო გავხადოთ იგი.

ველით თქვენს გამოხმაურებას, თუ რა საკითხზე ისურვებდით ჟურნალში სტატიების გამოქვეყნებას. დაგვისვით თქვენთვის პრობლემური ნებისმიერი კითხვა. ჩვენი ჟურნალის ექსპერტები კომპეტენტურ პასუხს გაგცემენ, რომელსაც ბუნებრივია, მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი ექნება. ერთი სიტყვით, დაგეხმარებით გზა გაგიკვლიოთ საკანონმდებლო ლაბირინთებში.

ელექტრონული ვერსიით პირველი ნომერი ხელმისაწვდომია ნებისმიერი ინტერნეტ-მომხმარებლისთვის. მომავალი ნომრებიდან ოპერატიულად ინფორმაციას მხოლოდ ჩვენი ხელმომწერები მიიღებენ.

„ბიზნესი და კანონმდებლობა“ თავისი სამეცნიერო სტატუსიდან გამომდინარე, სათანადო რეცენზირების შემდეგ გამოაქვეყნებს სამეცნიერო ხასიათის სტატიებს ეკონომიკის, ბიზნესის, საგადასახადო, საბუღალტრო, სამართლებრივ და სხვა პრობლემატიკაზე.

მამ ასე, დაგვიკავშირდით და მოგვანოდეთ თქვენი სურვილები და რეკომენდაციები. ჩვენ მაქსიმალურად გავითვალისწინებთ მას.

ჟურნალ „ბიზნესი და კანონმდებლობის“ სამეცნიერო-სარედაქციო საბჭო.

ჩვენი მისამართია:


**ქ. თბილისი,
ძმები ზუბალაშვილების №36
ტელ: 292-14-61
E-mail: info@iverioni.com.ge**

საქართველოს აბრარული მეურნეობის განვითარების ახალი სტრატეგია

საქართველოს აბრარული მეურნეობის დღევანდელი მდგომარეობის ძირითადი ნიშნები და თავისებურებები

ნოდარ ჭითანავა

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი



ეკონომიკის განვითარების თავისებურებებისა და ტენდენციების ანალიზი ადასტურებს, რომ ქვეყანაში შეიქმნა და არაეფექტიანად ფუნქციონირებს კვაზი საბაზრო ეკონომიკა – ჰიბრიდული წარმონაქმნი (კონგლომერატი), რომელიც მოიცავს საბჭოთა სოციალიზმის, „ველური კაპიტალიზმის“, განვითარებული ქვეყნებისა და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური სისტემების ცალკეული ელემენტების ერთობლიობას, ეფუძნება საბაზრო თვირეგულირებისა და ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების დეფორმირებულ მექანიზმებს. იგი სისტემური კრიზისის ქრონიკულ ფაზაშია.

ბუნებრივია, ეს შეფასება სრულად შეესაბამება ეროვნული ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობის განმსაზღვრელი დარგის – აგრარული მეურნეობის განვითარების დღევანდელ დონეს. უკანასკნელ წლებში განხორციელებული „გარდაქმნების“ შედეგად გაჩანაგდა აგრარული მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მოიშალა ორგანიზაციული საფუძველი. სანარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურა, კოოპერაციული საწყისები. სავალუტო რესურსების შემქმნელი ტრადიციული დარგები (მევენახეობა-ღვინის მრეწველობა, მეხილეობა-საკონსერვო მრეწველობა, მეჩაიეობა-ჩაის მრეწველობა, მეციტრუსეობა, ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეულის გადამამუშავება და სხვ.) ეკონომიკურად და ორგანიზაციულად დაბალი ეფექტიანობით ხასიათდება. აგრარული მეურნეობა არაკონკურენტუნარიანი ნატურალური მეურნეობის პრინციპებით ფუნქციონირებს. მცირე მეურნეობები, საკრედიტო რესურსების სიმწირე, გაუმართავი საირიგაციო სისტემა, პროდუქციის რეალიზაციის სიძნელეები, ქიმიზაციის უკიდურესად დაბალი დონე, მეცხოველეობის სულადობის მკვეთრად შემცირება, მიწის ნაყოფიერების დაცემის მზარდი ხასიათი, მიწების პრივატიზაციისა და შევებული შეცდომების შედეგები (ნაკვეთების დანაწევრება და სხვ.), სუსტი საკანონმდებლო ბაზა ხელს უშლის დარგის საჭირო ტემპებითა და მასშტაბებით განვითარებას. სოფლად გამწვავდა დემოგრაფიული სიტუაცია. სოფელი დაცარიელდა. მას არა აქვს პოლიტიკურ-

აპარატიული პოლიტიკა

სახელმწიფოებრივი სტატუსიც. პარალიზებულია აგრარული სამეცნიერო და საგანმანათლებლო სისტემა. გლეხი მეურნეობის გაძლიერების თანამედროვე ცოდნას ვერ იძენს. პრიმიტიული სამუშაო იარაღებისა და ცოცხალი გამწვევი ძალის იმედად ცდილობს საკუთარი მოთხოვნილება მინიმალურად მაინც დაიკმაყოფილოს (სოფლადმცხოვრებთა ერთი მეოთხედი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს). სტიქიური ხასიათი მიიღო მცენარეთა და ცხოველთა დაცვამ. დაქვეითდა ეკონომიკური მოტივაცია, საშემ ხასიათს იძენს მინისა და შრომის მიმართ დამოკიდებულება. ძლიერდება ეროვნული სიმდიდრის განიავება-დატაცებისადმი მიდრეკილება. შიდა ბაზარი დაცული არ არის სასურსათო ინტერვენციისაგან.

ასეთი გარემო განაპირობებს ქვეყნის აგრარული მეურნეობის განვითარების მკვეთრ ჩამორჩენას თავად საკუთარ რეფორმამდელ დონესთან (1990 წ.) შედარებით. ამიტომაც რომ აგრარული მეურნეობა შეკვეცილი კვლავნარმოების ფორმით ფუნქციონირებს. 1990-2011 წლებში ჩაის ფოთლის წარმოება შემცირდა 143-ჯერ, ყურძნისა - 4,3-ჯერ, ხილისა - 3,1-ჯერ, ციტრუსოვანთა ნაყოფისა - 5,2-ჯერ, ბოსტნეულისა - 2,4-ჯერ, ხორცისა - 3,4-ჯერ, რძისა - 1,2-ჯერ, კვერცხისა - 1,2-ჯერ. ასევე შემცირდა მეცხოველეობის სულადობა: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა - 1,4-ჯერ, ღორისა - 10-ჯერ, ცხვრისა და თხისა - 3-ჯერ, ფრინველისა - 4-ჯერ.

აგრარული მეურნეობის დეგრადირების პროცესი ღრმავდება.

მიზეზ-ფაქტორები, რომლებმაც განაპირობა აპარატიული მუშაობის კრიზისი

აგრარული მეურნეობის, ისე როგორც ეროვნული ეკონომიკის განვითარების დეფორმაციულ ხასიათს ისტორიული ფესვები აქვს. სხვადასხვა დროს ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ეგზოგენური და ენდოგენური ფაქტორები უშუალო გავლენას ახდენდნენ ქართული ეკონომიკის განვითარებაზე. ერთ-ერთი სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორი,

რომელმაც განმსაზღვრელი გავლენა მოახდინა ქვეყნის განვითარებაზე, არის უცხოური სოციალურ-ეკონომიკური დოქტრინების თანმიმდევრულად დამკვიდრების პრაქტიკა. ნიშანდობლივია, რომ XX საუკუნესა და XXI საუკუნის განვლილ პერიოდში საქართველოში გამოიცადა გარედან თავსმომხვეული სოციალურ-ეკონომიკური დოქტრინები. სახელდობრ, „წმინდა კაპიტალიზმის“ თეორიით ნასაზრდოები კაპიტალიზმის განვითარების დოქტრინა (საქართველოს განვითარების კაპიტალისტური სტადია სრულად არ გაუვლია), მსოფლიოში პირველად საქართველოში იყო მცდელობა დანერგილიყო ეკონომიკის განვითარების სოციალ-დემოკრატიული პრინციპები (გასაგები მიზეზების გამო არ დამკვიდრებულა), „ნეპი“ (1921-1928 წწ.) (მისი პოტენციალიც სრულად არ იყო გამოყენებული). ცენტრალიზებული დაგეგმვისა და მართვის ეკონომიკური დოქტრინა (1929-1990 წ.წ. სოციალისტური მეურნეობრიობის პოტენციალიც სრულად არ ამოქმედებულა), „შოკური თერაპია“ (იგი ქვეყანაში მიმდინარე პროცესების ადეკვატურიც არ იყო), ლიბერალურ-მონეტარისტული (რომელიც ეყრდნობოდა ცალმხრივი მიდგომებით (ფულის მასის რეგულირებით) ეკონომიკის გარდაქმნა-განვითარების პრინციპს), ლიბერტარიანიზმი (დოქტრინა, რომელიც ეფუძნება ლიბერალიზმის პრინციპებს და მიზნად ისახავს გარდაქმნების პროცესიდან სახელმწიფოს ჩამოცილებას, მაშინ, როცა სახელმწიფოს მათგან მიზეზი როლი გაძლიერებას საჭიროებს).

ამრიგად, გარედან „ბიძგების“ იდეოლოგიამ ქვეყნის ეკონომიკის ზიგზაგისებური და თეორიულ-პოლიტიკურ „იზმებს“ ამოფარებული პროცესის წინააღმდეგობრივი ხასიათი განაპირობა. საბოლოოდ, ეკონომიკა მოწყდა ეროვნულ ფესვებს, პროგრესულ სამეურნეო გამოცდილებას და ეროვნულ ორგანიზმში სხვადასხვა უცხო სხეულის ჩანერგვით, გლობალიზაციის მსოფლიო ჰორიზონტზე ჩამორჩენილ პერიფერიულ ეკონომიკად ჩამოყალიბდა.

საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში დაშვებული

თეორიულ-ეკონომიკური ხასიათის სტრატეგიული შეცდომა იყო ის, რომ ობიექტურად ვერ განისაზღვრა ქვეყნის ახალ თვისებრიობაში გადასვლის სასტარტო გარემო და პოტენციალი. ყურადღება არ მიექცა განვითარების უნიკალურ ხასიათს, რომ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა იწყებოდა თვისებრივად სხვა სასტარტო პირობებიდან, ვიდრე ეს განხორციელდა თავად კაპიტალიზმზე გადასვლის პერიოდში. სოციალისტური ეკონომიკა უფრო ახლოს იდგა თანამედროვე კაპიტალისტურ ეკონომიკასთან, ვიდრე XIX საუკუნის პირველი ნახევრის პერიოდის კაპიტალიზმის მოდელთან. ამიტომ საჭირო იყო არსებული ეკონომიკური სისტემის დემონტაჟი, მისი ჯანსაღი ელემენტების სრულყოფა და არა მისი ძირფესვიანად ამოძირკვა.

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, „საქსოფტექნიკის“, სამელიორაციო სისტემების და სხვა ინსტიტუტების მყისიერი დაშლით დაჩქარდა საზოგადოებრივი ქონების საყოველთაო ძარცვის და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დეგრადირების პროცესი.

ამიტომ ქვეყნის განვითარების საბაზრო პრინციპებზე გადასვლის ობიექტური პროცესი ნეგატიურ, დამანგრეველ ფაქტორად იქცა. ანმყოს წარსულში გადაყვანის უბადრუკი ცდა კრაზით დამთავრდა.

დაშვებულ იქნა სტრატეგიული ხასიათის მეთოდოლოგიური შეცდომებიც. რეფორმებს კომპლექსური, თანმიმდევრული, ეტაპობრივი ხასიათი არ ჰქონდა. სახელმწიფომ ახალი გამონგვევების შესაბამისად ვერ შეძლო მისი ეკსკლუზიური პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციის (საბაზრო სისტემის შემქმნელი ფაქტორი) სწორად გაცნობიერება და უაღრესად საპასუხიმგებლო ეტაპზე საკუთარი „ნიშა“ დაუთმო კრიმინალური ცნობიერების საფუძველზე სპონტანურად აღმოცენებულ ჯგუფებს, რომლებიც შეერწყნენ სახელისუფლებო სტრუქტურებს და ნეგატიური გავლენა მოახდინეს გარდაქმნებზე (განსაკუთრებით ეს აისახა სახელმწიფო ქონების, კერძოდ, მიწების პრივატიზაციაზე).

ეროვნული ეკონომიკის (აგრა-

№1 აპრილი 2013



რული მეურნეობის) დღევანდელი მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად განაპირობა საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური სტრუქტურების რეკომენდაციების ბრმად განხორციელებამ. ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ კრიზისის გახანგრძლივებაში საკუთარი წონადი როლი შეასრულა ენდოგენურმა (შიდა) ფაქტორებმაც.

ნიშანდობლივია, რომ ქვეყნის საზოგადოებრივ ურთიერთობებში მონაწილე სუბიექტებმა ვერ შეძლეს გარდაქმნებში საკუთარი როლისა და ადგილის სწორად განსაზღვრა. სახელმწიფოსთან ერთად ეს ეხება პოლიტიკურ პარტიებს (რომლებსაც სწორად არ აქვთ გაცნობიერებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სირთულეები), საქართველოს მეცნიერებს (რომელსაც ადრე დიდი პოტენციალი ჰქონდა, დღეს დანაწევრებულია და ფაქტობრივად ჩამოცილებული ტრანსფორმაციული პროცესებიდან), არასამთავრობო ორგანიზაციებს (რომლებიც პოზიტიურ გავლენას ვერ ახდენენ ეკონომიკის განვითარებაზე), კერძო სექტორს (რომელიც მის წილ პასუხისმგებლობას არ იღებს ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანისათვის. ძირითად ფონდებს, სანარმოო რესურსებს არაეფექტიანად იყენებს). ჩამოთვლილი სუბიექტები შეუთანხმებლად მოქმედებენ, ხშირად ღიად უპირისპირდებიან ერთმანეთს. მათი საქმიანობის კოორდინაციას სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს.

ამრიგად, თავად ფორმირებადი

სახელმწიფო და საზოგადოება მზად არ აღმოჩნდნენ სწრაფად ცვალებადი გლობალური გამოწვევების მისაღებად.

ამჯერადაც, ქვეყანამ ეროვნული ინტერესების შესაბამისად განვითარების სწორი სტრატეგიის განსაზღვრა-განხორციელება ვერ შეძლო.

როგორია აბრარული მეურნეობის კრიზისიდან გამოყვანის ღაჩაჩაბის წინაპირობები და რისურსები

მოვალენი ვართ წარსულში დამკვიდრებული შეცდომებიდან სათანადო დასკვნები გავაკეთოთ. მთავარი დასკვნა ისაა, რომ ჩვენ თვითონ საკუთარი შესაძლებლობები რაციონალურად და მიზანმიმართულად გამოვიყენოთ. პარადოქსულად შეიძლება ჩანდეს, რომ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ნეგატიურ ფონზე, აშკარად გამოიკვეთა პოზიტიური ტენდენციებიც. კერძოდ, ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური დემოკრატიის განვითარება, ჯანსაღი საბაზრო მენტალიტეტის (საბაზრო მექანიზმების უნივერსალური ხასიათის შესახებ სტერეოტიპები დაიმსხვრა) დამკვიდრება, კერძო სექტორის დომინირებადი მდგომარეობა, საბაზრო ინფრასტრუქტურის ფუნქციონირება, ინტეგრაციული პროცესების დინამიკა, საერთაშორისო ფინანსურ და ეკონომიკურ სტრუქტურებთან თანამშრომლობის გამოცდილება, საერთაშორისო თანამეგობრობის

მხარდაჭერა, ტრასეკასა და ენერჯეტიკული დერეფნის ფუნქციონირება, საერთოდ გეოეკონომიკური უპირატესობა — როგორც სტრატეგიული რესურსი და სხვ.

საზოგადოების დიდი ნაწილი უკვე დარწმუნდა იმაში, რომ არავინ უანგაროდ არ დაგვეხმარება (თანამედროვე მსოფლიო ინტერესების დაპირისპირების საცდელ პოლიგონს წარმოადგენს), არც არავინ შეეცდება დროსა და სივრცეში დანაწევრებული ეროვნული ინტელექტუალური პოტენციალი აღვიდგინოს. მოვალენი ვართ სხვის ხარჯზე ცხოვრების დამკვიდრებული განწყობა გადავლახოთ, გულგრილობისა და უპასუხისმგებლობის გარემო შევცვალოთ.

განვითარების დღევანდელ ეტაპზე ქვეყნის საგანგებო და ისტორიული ამოცანაა ზემოაღნიშნული წინაპირობები (დადებითი ტენდენციები) ქვეყნის ეკონომიკის (მათ შორის აგრარული მეურნეობის) კრიზისიდან გამოყვანის დაჩქარების პირობა-ფაქტორად ვაქციოთ.

რთულ კვანძად ჩამოყალიბებული პრობლემების გადაწყვეტა მხოლოდ პროგრამული მიდგომებითაა შესაძლებელი

აგრარულ სფეროში წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტა ხანგრძლივ პერიოდს, დიდ ინვესტიციებს, თანამედროვე მენეჯმენტს და, რაც გადამწყვეტია, საზოგადოების ერთიან ნებას, ერის ყველა თაობის ცოდნისა და ენერჯის გამთლიანებას და ერთიანი მიზნისკენ წარმართვას და ორგანიზებულიობის მაღალ დონეს მოითხოვს.

ამიტომ აუცილებელია აგრარული მეურნეობის განვითარების „გარღვევის სტრატეგიის“ განსაზღვრა. ამ მიზნით უნდა მომზადდეს გრძელვადიან პერიოდზე (5-7 წელი) გათვლილი „საქართველოს აგრარული მეურნეობის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების კომპლექსური პროგრამა (სტრატეგია)“ (მიზანი: სურსათზე მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება). პროგრამაში უნდა აისახოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის ფუნქციონირების პრინციპები, სტრატეგიული

აგრარული პოლიტიკა

მიზანი, ამოცანები, ეტაპები, პრიორიტეტები, მათი განხორციელებისათვის აუცილებელი რესურსები და მექანიზმები. პროგრამაში პასუხი უნდა გაეცეს სამ მთავარ კითხვას.

პირველი. განვითარების რომელ სტადიაზე იმყოფება აგრარული მეურნეობა. ამ კითხვაზე პასუხი იმიტომ გვჭირდება, რომ ვიცოდეთ, როგორია განვითარების სასტარტო ბაზა, ტენდენციები, გლობალურ პროცესებთან ადაპტირების უნარი და სხვ. ამისათვის საჭიროა მდგომარეობის სისტემური ანალიზი, რომელიც საფუძვლად დაედება გრძელვადიანი პერსპექტივის პროგნოზირებას. **მეორე.** საით უნდა წავიდეთ (სტრატეგიული მიზანი), რომელი მიმართულებით უნდა განვითარდეს დარგი. **მესამე.** როგორ, როგორი რესურსებით და პერიოდულობით ვფიქრობთ დასახული მიზნების მიღწევას? შეიძლება დაისვას კითხვა, ასეთი პროგრამის შედგენა ხომ არ ეწინააღმდეგება პოლიტიკური და ეკონომიკური დემოკრატიის ფუძემდებლურ პრინციპებს? **არა.** პროგრამული მიდგომის უპირატესობა ისაა, რომ მასში აისახება ლოგიკური კავშირი დასახულ მიზანსა და მისი მიღწევის რესურსულ და პოლიტიკურ-ორგანიზაციულ ფაქტორებს შორის. რეალურად განისაზღვრება ბუნებრივ-საწარმოო პირობების, ფაქტორების, რეზერვების კომპლექსურად ამოქმედების გზები და საშუალებები, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს რესურსების მობილიზაციას. **ასე, რომ პროგრამა, როგორც რეგულირების ფორმა, ყველაზე საიმედო და მისაღებია განვითარების სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელებისათვის. ვინ უნდა შეადგინოს პროგრამა?** სამთავრობო კომისიამ, რომელშიც სოფლის მეურნეობის, ეკონომიკის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს, ეროვნული ბანკის და სხვა უწყებებთან ერთად წარმოდგენილი იქნებიან მეცნიერები, სპეციალისტები, არასამთავრობო და საერთაშორისო სტრუქტურების წარმომადგენლები. კომისიამ უნდა შეძლოს 2-3 თვეში მოამზადოს შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც შემდგომში საჯარო განხილვისათვის მიენოდება საზოგადოებას. საბოლოოდ, პროგრამა პარლამენტის

თანხმობით, უნდა დაამტკიცოს მთავრობამ.

როგორი უნდა იყოს პროგრამის ამოსავალი საწყისი, კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომაში?

– **აგრარულ მეურნეობაში არსებული მდგომარეობის გაჯანსაღება** (კრიზისიდან გამოსვლა) უნდა ჩაითვალოს ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება-განმტკიცების ერთ-ერთ განმსაზღვრელ პირობა-ფაქტორად (**პოლიტიკური ასპექტი**).

– **პროგრამის ამოსავალი საწყისია (პრინციპი) ეროვნული თავისებურებების (ტრადიციების) და მსოფლიოს სამეურნეო გამოცდილების შესამება (სინთეზი).** იგულისხმება, რომ ეკონომიკური სისტემა ეროვნული ფენომენიდან უნდა ამოიზარდოს. ქვეყნის მრავალდარგოვანი აგრარული მეურნეობა ორიენტირებული უნდა იყოს **ეკოლოგიურად სუფთა, ხელმისაწვდომ და მაღალი საკვები ღირებულების პროდუქციის წარმოებაზე.** ეს არის მომავალში კონკურენტუნარიანობის ამაღლების ყველაზე საიმედო მიმართულება (**ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ინტერესების შესამება**).

– **განისაზღვროს დარგის განვითარების სტრატეგიული მიზნები (სასურსათო უსაფრთხოების პარამეტრებისა და მათი მიღწევის უზრუნველყოფის გათვალისწინებით),** ამოცანები, ეტაპები. მათი განხორციელება მოხდეს მიზნობრივი პროგრამებით.

– **განისაზღვროს ქვეყნის ბუნებრივ-საწარმოო თავისებურებების გათვალისწინებით აგრარული მეურნეობის სპეციალიზაციის ძირითადი მიმართულებები (პარამეტრები),** ფერმერული მეურნეობების განვითარების პერსპექტივები, რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის გამოთანაბრების ეკონომიკური და ორგანიზაციული ფაქტორები, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების ამოცანები (შემდგომში თითოეულ რეგიონს უნდა ჰქონდეს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნობრივი პროგრამა, რომლითაც განისაზღვრება შიდა რეგიონული პრიორიტეტები).

– **სოფლად საწარმოო და მომსახურების (ასევე სხვა ფორმების) კოოპერაციის განვითარების** ძირითადი მიმართულებების ჩამოყალიბება და ეტაპობრივად მათი შექმნა-ფუნქციონირების ხელშეწყობი პირობების მომზადება. **მიღებულ იქნას კანონი „სოფლად კოოპერაციის განვითარების შესახებ“.**

– **აგრარული მეურნეობის თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და სერვისის გაუმჯობესების მიზნით** ლიზინგის (ფრანჩაიზინგის) გამოყენება, მანქანა-ტექნოლოგიური ცენტრების (სერვისცენტრები) ფორმირება, გადამამუშავებელი (უპირატესად მცირე და საშუალო სიმძლავრის) საწარმოე-

– **აგრარული მეურნეობის თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და სერვისის გაუმჯობესების მიზნით** ლიზინგის (ფრანჩაიზინგის) გამოყენება, მანქანა-ტექნოლოგიური ცენტრების (სერვისცენტრები) ფორმირება, გადამამუშავებელი (უპირატესად მცირე და საშუალო სიმძლავრის) საწარმოე-



ბის ქსელის შექმნა. უნდა დამუშავდეს მცირე და საშუალო გადამამუშავებელი საწარმოების რაციონალურად გადაადგილების სქემა, მათი ამენების ეტაპების განსაზღვრით, ლოჯისტიკური ცენტრების ორგანიზაცია და სხვ. მანქანა-ტექნოლოგიური ცენტრები შეიძლება შეიქმნას როგორც სახელმწიფო (პირველ ეტაპზე მაინც, მისი შემდგომი პრივატიზაციის პერსპექტივით) სახსრებით ან შერეული საწარმოს ფორმით. ისინი უშუალოდ შეასრულებენ (დაკვეთის მიხედვით) სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს, მათ შორის მცენარეთა და ცხოველთა დაცვის ღონისძიებებს, ქიმიური საშუალებების, თესლების, სარგავი მასალის, პროდუქციული პირუტყვის, ტექნიკურ სიახლეთა შესახებ შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდებას და გაუნევენ შესაბამის კონსულტაციებს დაინტერესებულთ (პროგრამაზე მუშაობისას დაზუსტდება მათი ფუნქციები).

– მიწის დაცვაზე, გამოყენებაზე, ნაყოფიერებაზე, უპირველეს ყოვლისა, პასუხისმგებელია სახელმწიფო. პროგრამაში უნდა აისახოს მიწაზე საკუთრების ტრადიციული ფორმების (კერძო-საკომლო, სასოფლო-სათემო, სახელმწიფო-სახაზინო, საეკლესიო-სამონასტრო და ხაზინური (დროებითი) გამოყენების მიზანშეწონილობა. მიწაზე საკუთრების ტრადიციულ ფორმათა თავსებადობა საუკუნეების განმავლობაში გამოცდილია და აღიარებულია „ბალავრის ქვად“ (ილია), რომელსაც გონივრულად იყენებდნენ საქართველოში.

მიწების უცხოელებზე გაყიდვა აიკრძალოს. მათთან ურთიერთობები მოხდება გრძელვადიანი იჯარის პრინციპებით. მიზანშეწონილი არ არის ტყის, საძოვრების, მდინარეების (მასთან მიმდებარე ტერიტორიების (ჭალების) პრივატიზაცია. ტყის მეურნეობა (როგორც წესი) სახელმწიფოს საკუთრებაში უნდა დარჩეს. ის ტყეები, რომლებიც ადრე ეკუთვნოდა საკოლმეურნეობათა შორისო მეურნეობებს, მიზანშეწონილია ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით სარგებლობის უფლებით გადაეცეს სოფლებს (თემებს) სახელმწიფოს მონიტორინგის პირობებით.

ასევე სოფლებს (თემებს) სარგებლობის უფლებით გადაეცემათ

საძოვრების გარკვეული ნაწილი (დაზუსტდება კონკრეტულად რეგიონების მიხედვით, ადგილობრივი ბუნებრივ-საწარმოო პირობების გათვალისწინებით). დაჩქარდეს მიწის კადასტრის შედგენა, რაც ხელს შეუწყობს მიწის ნაყოფიერების მიხედვით კლასიფიკაციას და ფასების ობიექტურად განსაზღვრას. ნიადაგის აგროქიმიური გამოკვლევის, სასუქების სახეებისა და შემადგენლობის განსაზღვრისა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების მიზნით რეგიონების მიხედვით უნდა შეიქმნას შესაბამისი ცენტრები (ლაბორატორიები).

საჭიროებისას გამოყენებულ იქნას ნიადაგის დროებითი კონსერვაციის პრაქტიკა (ამას საფუძვლად

წარმოადგენს. წყლის რესურსების გამოყენების ტექნოლოგიური სქემები ნიადაგის ხარისხის შესაბამისად უნდა დამუშავდეს. ოპტიმალურად უნდა განისაზღვროს ირიგაციული სისტემების ფუნქციონირება. წყალ-სამეურნეო მშენებლობისა და, საერთოდ, სარწყავი წყლის რესურსების გამოყენების კოორდინაცია უნდა დაეკისროს სოფლის მეურნეობის სისტემაში ფუნქციონირებად სტრუქტურას.

– შემუშავდეს ექსპორტ-იმპორტის სტრუქტურის სრულყოფის ღონისძიებანი (საექსპორტო და იმპორტ-შემცვლელი პროდუქციის წარმოების სტიმულირება). მსოფლიო ბაზრებზე გასვლის ხელშეწყობი გარემოს შექმნა, უცხოეთის ეკო-



უნდა დაედოს ნიადაგების კომპლექსურად შესწავლის შედეგები. უნდა დაწესდეს მიწების გამოყენებაზე მონიტორინგი (ეს ფუნქცია უნდა განახორციელონ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და ადგილობრივმა თვითმმართველობებმა).

– წყლის რესურსები ქვეყნის ტერიტორიაზე უკიდურესად არათანაბრადაა განაწილებული. რიგი რეგიონები (განსაკუთრებით ალმოსავლეთ საქართველოში) განიცდიან წყლით უზრუნველყოფაში დეფიციტს. ამასთან მხედველობაში უნდა მივიღოთ სარწყავი წყლის ხარისხი. იგი დაკავშირებულია ნიადაგის ქიმიური საშუალებებით განოყიერებასთან. ამიტომ სასოფლო-სამეურნეო წარმოება წყლის რესურსების გაჭუჭყიანების წყაროს

ნომიკურ სუბიექტებთან ერთობლივი საწარმოების შექმნის სტიმულირება, სასაზღვრო ვაჭრობის განვითარება, რუსეთის ბაზარზე გასვლის ხელშეწყობა, ევროკავშირთან, ვმოსთან ურთიერთობების გაღრმავება, სურსათის წარმოებაში სამხრეთკავკასიის ქვეყნებთან ინტეგრაციის სტიმულირება.

– შიდაბაზრის გაფართოების მიზნით რეგიონებს შორის სამეურნეო კავშირების ინტენსიფიკაცია, რეგიონთაშორისი ერთობლივი საწარმოების შექმნა-ფუნქციონირება, რეგიონთაშორისი ვაჭრობის გაფართოება და სხვ. (პროგრამაზე მუშაობისას დაზუსტდება).

– მეთესლეობის, სარგავი მასალის წარმოების, სანაშენო საქმის ორგანიზაციის, მცენარეთა დაცვის,

ვეტერინარიის, მინთამონყოფის, პროგნოზირებისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურების ინტეგრირება შესაბამის სამეცნიერო სტრუქტურებთან (სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების (ინსტიტუტების) ან სხვა ფორმით) და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში მათი ფუნქციონირება.

– **სახელმწიფო ორი ძირითადი ეკონომიკური ინსტრუმენტით არეგულირებს აგრარული მეურნეობის განვითარებას.** ესაა საბიუჯეტო (ფისკალური) და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. მხედველობაში უნდა მივიღოთ სასაქონლო ფასების მხარდაჭერა და სტაბილურობა, სუბსიდიები რესურსებზე, წარმოების ხარჯებში თანამონაწილეობა (კონკრეტული პროდუქციის წარმოების გადიდების თვალსაზრისით). ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფულადი რესურსები. ეს ყველაფერი დამოკიდებულია კონკრეტული ეტაპის კონიუნქტურაზე (ეს უნდა დაზუსტდეს პროგრამაზე მუშაობისას). ამასთან გასათვალისწინებელია არა მხოლოდ აგრარული მეურნეობის განვითარების მიზანშეწონილობა, არამედ თუ როგორია ქვეყანაში საჭირო რესურსების ფაქტობრივი მდგომარეობა. სწორედ ეს არის პროგრამული მიდგომის განსაკუთრებული უპირატესობა — მიზანი უნდა იყოს გათვლილი მისი მიღწევის რეალურ რესურსებზე.

ქვეყანაში აგრარული მეურნეობის განვითარებისათვის საბიუჯეტო (ფისკალური) და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განსაზღვრისას აუცილებელია ეროვნული ბანკისა და ფინანსთა სამინისტროს მონაწილეობა (ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკა შეჯერებული უნდა იყოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინტერესებთან).

„სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის“ ფუნქციების დაზუსტება, საკრედიტო რესურსების გამოყენების ოპტიმიზაცია. რაციონალურად უნდა განისაზღვროს კრედიტების გამოყენების წესი. ვის, რა პირობებით, მოცულობით შეუძლია მიიღოს იგი. გასათვალისწინებელია სასოფლო-სამეურნეო წარმოების თავისებურება-სეზონური ხასიათი. ასევე ფართოდ იქნას

გამოყენებული გრძელვადიანი დაკრედიტების ისეთი სპეციფიკური ფორმა, როგორცაა ლიზინგი. უპირველეს ყოვლისა საჭიროა ისეთი ტექნოლოგიების შემოტანა, რომლებიც ხელს შეუწყობენ აგრარული მეურნეობისათვის წარმოების საშუალებების წარმოების გადიდებას. საგადასახადო სისტემის სრულყოფა (მინის გადასახადი გამოყენებულ იქნას მხოლოდ მინის დაცვის ღონისძიებათა დაფინანსებისათვის). ფასების პარიტეტის დაცვა (აგრარული მეურნეობა ფასების დისპარიტეტის გამო არათანაბარ მდგომარეობაშია მრეწველობასთან. უნდა შემუშავდეს ღონისძიებები სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის პროდუქციაზე პარიტეტული ფასების აღდგენის და მხარდაჭერის შესახებ. ფასების რეგულირება უნდა მოხდეს კვლავწარმოების მთელი პროცესის ყველა სტადიაზე (წარმოება, გადაამუშავება, რეალიზაცია). სესხების გაცემა თამასუქის ქვეშ, მომავალი მოსავლის რეალიზაციით მიღებული შემოსავლიდან დაფარვით. უცხოეთიდან სხვადასხვა არხებით სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერის მიზნით შემოსული ინვესტიციების მიზნობრივად და ეფექტიანად გამოყენების კოორდინაცია, საწარმოო და მომსახურების საწარმოების მშენებლობის გაფართოების სტიმულირება. ახლადშექმნილი საწარმოები (ორგანიზაციები), რომლებიც ემსახურებიან აგრარულ მეურნეობას, თუნდაც 5 წლით განთავისუფლდნენ გადასახადებისგან. ხოლო მთის რეგიონებში არსებული საწარმოები განთავისუფლდნენ 50%-ით გადასახადებისაგან. ამ რეგიონებში მომუშავეთ ხელფასზე დაერიცხოთ მაღალმთიანობის კოეფიციენტი და პროცენტული დანამატი მუშაობის სტაჟის მიხედვით.

– მიზანშეწონილია სახელმწიფო დაკვეთის მექანიზმის გამოყენება. მას უნივერსალური ხასიათი აქვს. იგი მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (ნედლეულის) შესყიდვას არ გულისხმობს. სახელმწიფო დაკვეთა შეიძლება მიეცეს იმ სამრეწველო საწარმოებს, რომლებიც აგრარული მეურნეობისათვის აწარმოებენ ახალ ტექნიკას (ტექნოლოგიას), სასუქებს, პრეპარატებს და ა.შ. ასევე კომერციულ ბანკებს სახელმწიფომ

შეიძლება მიზნობრივი დოტაცია გამოუყოს ამათუიმ პროდუქციაზე საკრედიტო განაკვეთების შემცირების საკომპენსაციოდ და სხვ. **სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვის დაფინანსება** უნდა მოხდეს „სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდიდან“ (ან სპეციალიზებული ბანკიდან). შესყიდვა შეიძლება განახორციელოს სპეციალიზირებულმა სამსახურმა (იგი შეიძლება იყოს კოოპერატივი ან სხვ. ფორმით). არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ მარცვლეულის შესყიდვის ფუნქცია შეიძლება ჰქონდეთ ნისქვილკომბინატებს, ვისაც შესაბამისი სათავსოები აქვთ (ალსანიშნავია, რომ 1990 წელს საქართველოს ჰქონდა 1 მლნ ტონაზე მეტი მარცვლის ერთდროულად შენახვისათვის სასაწყობო მეურნეობა). ანალოგიურად, შეიძლება ფუნქციონირებად სანარმოებს (ღვინის, საკონსერვო, რძისა და ხორცის და სხვ.) განესაზღვროთ შესყიდვის (სახელმწიფო დაკვეთის მიხედვით) ფუნქციები (დაზუსტდება პროგრამაზე მუშაობის პროცესში).

– **აუცილებელია დაზღვევის ისეთი სისტემის ჩამოყალიბება,** რომელიც უზრუნველყოფს აგრარულ მეურნეობაში დასაქმებულთა შემოსავლების დაცვას **ბუნებრივი** (გვალვა, წყალდიდობა, წაყინვები, სეტყვა, ქარიშხალი, მინისძვრა და სხვ.), **ბიოლოგიური** (დაავადებები, მავნებლები) და **ეკონომიკური** (ფასების გაუთვალისწინებელი ცვლილებები) ფაქტორებისგან. დაზღვევის სისტემა უნდა ფუნქციონირებდეს კომერციულ საწყისებზე. პირველ ეტაპზე სასტარტო კაპიტალის ფორმირება უნდა მოხდეს სახელმწიფოს ხარჯზე (პროგრამაზე მუშაობისას დაზუსტდეს).

– **აგრარული მეურნეობისათვის კადრების მომზადების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება.** აგრარული მეურნეობის განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს აგრარული უნივერსიტეტის სტატუსი. უნივერსიტეტი სახელმწიფოს დაკვეთის საფუძველზე მოამზადებს აგრარული მეურნეობის ყველა პროფილის სპეციალისტებს, სამეცნიერო კადრებს, რომლებსაც შეეძლება (სტატუსის შესაბამისად) იმუშავონ როგორც ქვეყანაში, ასევე



ქვეყნის გარეთაც. უნივერსიტეტი შეიძლება (მიზანშეწონილობის შემთხვევაში) მოემსახუროს კავკასიის რეგიონს (ამ მხრივ მდიდარი ტრადიცია ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს).

ეტაპობრივად უნდა განისაზღვროს აგრარული მეურნეობის სპეციალისტების მომზადებისათვის პროფესიული სასწავლებლების, კოლეჯების, კვალიფიკაციის ამაღლების კურსების (სემინარების), კონსალტინგის (საკონსულტაციო) სამსახურების ფორმირებისა და ფუნქციონირების პირობები.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია (სამეცნიერ-კვლევითი დაწესებულებები) მიზანშეწონილია ფუნქციონირებდეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზაციულ სისტემაში. მას დაეკისრება ქვეყნის ტერიტორიაზე აგრარული პრობლემების კვლევის, მისი შედეგების, ახალი ტექნოლოგიების პროპაგანდისა და დანერგვის ფუნქციები (დაზუსტდება პროგრამაზე მუშაობისას).

– **ახალი გამოწვევების შესაბამისად უნდა განისაზღვროს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფუნქციები.** მხედველობაში უნდა მივიღოთ აგრარული მეურნეობის განვითარების რიგი თავისებურებები. კერძოდ, **დარგის ბუნებრივ-საწარმოო** (ვერტიკალური ზონალობა, მრავალდარგიანობა, სამთო მინათმუქმეების თავისებურებანი და სხვ.), **სოციალურ-ეკონომიკური** (სპეციალიზაცია, მეურნეობრიობის

ფორმები, ტრადიციები, მენტალიტეტი, ბაზრის კონიუნქტურა, შრომითი რესურსების სტრუქტურა, ინოვაციურ მეურნეობაზე ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებაზე ორიენტაცია და სხვ.), **გეოეკონომიკური** (საგარეო, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, სასაზღვრო ვაჭრობა, რეგიონთაშორისი კავშირები, ერთობლივი საწარმოების შექმნა, სახელმწიფო-თაშორის ხელშეკრულებებში აგრარული მეურნეობის ინტერესების გათვალისწინება და სხვ.), **რურალიზაციის** (ქალაქის მოსახლეობის სოფლად გადასვლის პროცესის წახალისება, ქალაქისა და სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის ერთიანობის პრინციპის დაცვა და სხვ.), ასევე სოფლის, როგორც ტერიტორიის (სოციუმის) კომპლექსური განვითარების თავისებურებები.

– **სამინისტროს უნდა დაეკისროს სოფლის (ტერიტორიისა) და აგრარული მეურნეობის განვითარების სახელმწიფო ორგანო-კოორდინატორის ფუნქცია.** ამჟამინდელი რეგიონების (მხარეების) დონეზე უნდა ჩამოყალიბდეს სამინისტროს მმართველობითი რგოლი (ეს დროებითი ღონისძიებაა), რომელიც მოცემულ ტერიტორიაზე კოორდინაციას გაუწევს სახელმწიფოს აგრარული პოლიტიკის განხორციელებას. სამინისტროს ერთ-ერთ ფუნქციად უნდა განისაზღვროს პოლიტიკურ პარტიებთან, პროფკავშირებთან, არასამთავრობო სტრუქტურებთან, დარგობრივ ასოციაციებთან, სს-

ვადასხვა კავშირებთან ურთიერთობები. უნდა შეიქმნას ფერმერთა საბჭო (ასოციაცია), სამინისტროსთან უნდა ფუნქციონირებდეს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების შესაბამისი სამსახური.

– **აგრარული პოლიტიკის განხორციელებისათვის აუცილებელია სამართლებრივი და ინფორმაციული უზრუნველყოფის საშუალებების ეფექტურად გამოყენება, ინფორმაციული მხარდაჭერა.** თვისებრივი განახლება სჭირდება საკანონმდებლო ბაზას. უნდა გაძლიერდეს მედია-საშუალებების როლი (რადიო ტელევიზია, პრესა), სისტემატიურად უნდა იმართებოდეს სამეცნიერო კონფერენციები, სიმპოზიუმები, კონკურსები, გამოფენები და სხვ. (პროგრამაზე მუშაობისას მოხდება მათი ფუნქციების დაზუსტება).

– **სოფელს (თემს) უნდა განესაზღვროს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სტატუსი.** გაიმიჯნოს მისი საზღვრები. გადაეცეს ქონება, ჰყავდეს წარმომადგენლობითი ორგანო (**საბჭო, საკრებულო**). მოსახლეობა პირდაპირ უნდა ირჩევდეს სოფლის ხელმძღვანელს (**მამასახლისს, გამგებელს**). ადგილობრივი თვითმმართველობა მომსახურების მიწოდების ფუნქციასთან ერთად უნდა ასრულებდეს ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური განვითარების კოორდინაციის ფუნქციას.

ზემოთ აღნიშნული კონცეპტუალური მოსაზრებების ამოსავალი მეთოდოლოგიური საწყისია სისტემური ანალიზი, პრობლემების გადაწყვეტისადმი კომპლექსური მიდგომა, დასახული მიზნების პროგრამებით განხორციელება, დროსა და სივრცეში აგრარული პოლიტიკის სახელმწიფო და საზოგადოებრივი მონიტორინგი.

ქვეყნის აგრარული მეურნეობის კრიზისიდან გამოყვანის დაჩქარება საგანგებო მნიშვნელობის ამოცანაა. მისი გადაწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, როცა სახელმწიფო აიღებს პასუხისმგებლობას და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად ჩამოაყალიბებს და განახორციელებს აგრარულ პოლიტიკას.

SOS!

რა ბრალი მიუძღვის საკონსტიტუციო სასამართლოს?!

Qui tacuit, cum loqui debuit et potuit, consentire videtur!

ბუნებრივია, რომ დღევანდელ საქართველოს მდგომარეობაში მყოფი მცირე ქვეყნის იდეოლოგია – ანუ პასუხი კითხვისა, „რით სჯობია ამ ქვეყნის და მისი სახელმწიფოებრიობა მათ არ არსებობას?“ – უნდა მოიცავდეს ქვემოთ ჩამოთვლილ პუნქტებს (განსაკუთრებით ეს ეხება ქვეყანას, რომლის ტერიტორიის 20%-ზე მეტი ოკუპირებულია და რომელიც ყოველდღიურად ელის ახალ შემოტევას გარედან და ლაღს შიგნიდან):

1. საქართველო, როგორც დედამიწის ნაწილი, ეკუთვნის ქართველ ერს, როგორც კაცობრიობის ერთ-ერთ ნაწილს. ქართველი ერის უფლებაა, ეს ტერიტორია (მიწა) გამოიყენოს თავისი საზოგადოების მშენებლობისათვის თავისი ფიზიკური, მენტალური, სულიერი შესაძლებლობების, მიდრეკილებების, ტრადიციებისა და გემოვნების მიხედვით, ანუ ეძებოს საკუთარი გზები კაცობრიობის ერთობლივი მარადიული მიზნებისა და იდეალების რეალიზაციისათვის.

2. საქართველოს ყველა მოქალაქე განურჩევლად სქესისა, რასისა, ეროვნებისა, აღმსარებლობისა, კანის ფერისა, დაბადების ადგილისა და ა.შ. თანასწორია.

მოქალაქეთა თანასწორობა მდგომარეობს:

ა) თანასწორობაში კანონის წინაშე
ბ) უფლებაში, რომ იგი და მისი შთამომავალი, ან და მარადის, საქართველოს მიწა-წყალს და ბუნებრივ რესურსებს განიხილავდნენ როგორც თავის სარჩენ (საარსებო) ბაზას და როგორც თავისი ყოველმხრივი თვითრეალიზაციის სივრცეს თანამედროვე ცივილიზაციური დონისა და შესაძლებლობების შესაბამისად.

3. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო ვალდებულია ყველა კანონმდებლობითი და პრაქტი-

კული კონკრეტული ღონისძიება იხმაროს, რათა საქართველოს მოქალაქეთა შთამომავლობას შეუნახოს აღნიშნული შესაძლებლობები შეუმცირებელი სახით.

თქმულიდან გამომდინარეობს, რომ

– საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია, თავისი მოქალაქეების შთამომავლობა დაიცავს არა მხოლოდ სამხედრო, ეკოლოგიური, ეპიდემიური და სხვა მასობრივი კატასტროფებისაგან, არამედ სასურსათოსაგანაც (ანუ სტაბილური და მასობრივი შიმშილობისაგან), კონკრეტულად – მუდმივად და უცვლელად ჰქონდეს ხელთ ის მიწა-წყალი რესურსი, რომ თავის მოსახლეობას (ბუნებრივია, მზარდ თაობათა მანძილზე) ბიოლოგიურად აუცილებელი კალორიები მისცეს. ამისი ერთადერთი რეალური გზაა – თავის მიერ კონტროლირებადი პოტენციალის საზღვრებში შეინარჩუნოს ის სანარმოო სიმძლავრეები, რომლებიც საკმარისია, რათა თავის მოქალაქეთა შრომის საჭირო ნაწილი საკვებად მოსახმარ მასალად გარდაქმნას. ასეთი სანარმოო სიმძლავრე, რომელსაც ალტერნატივა არა აქვს და ვერ ექნება, არის მხოლოდ მიწა. მცირემიწიანი საქართველოს მიწის გასხვისება იმგვარ პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ და იურიდიულ სივრცეში, რომელშიც საქართველოს სახელმწიფო დაკარგავს კონტროლს მის ფუნქციონირებაზე თავისი ამ დანიშნულების – საქართველოს მოქალაქეთა რჩენის – მიმართულებით, ყველა შემთხვევაში არის სახელმწიფო ლაღატი – ან ნებსითი და მიზანმიმართული, ან არაკომპეტენტურობით გამოწვეული და უნებური.

– საქართველოს სახელმწიფო ვალდებულია თავისი მოქალაქის წინაშე, რომ უზრუნველყოს გარანტირებული პირობები იმისა, რომ საქართვე-



ლოს სასიცოცხლოდ აუცილებელი რესურსები არ შემცირდეს, და

– უზრუნველყოს იმიგრაციის საკმარისად მკაცრი კონტროლი, საქართველოს მოქალაქეთა გარავლების ტემპების გავლით, რომ საქართველოს მოქალაქეთა შთამომავლობა განჭვრეტად მომავალში არ დადგეს სასურსათო, ეკოლოგიური, კრაუნდინგული, ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციალური და სხვა სახის მძიმე გამოწვევების წინაშე.

ქართველი ერისათვის მიწა-წყლის წართმევის მცდელობას იმდენივე ხნის ისტორია აქვს, რამდენიც იმის ცოდნას დანარჩენი მსოფლიოს მიერ, რომ საქართველო „ღვთის მიერ კურთხეული ადგილია“, ანუ, თავისი ფართობისადმი პროპორციის მხრივ, ბუნებისგან ბევრად უფრო უხვად დასაჩუქრებული ადგილია, ვიდრე დედამიწის დანარჩენი ტერიტორია საშუალოდ. ეს მცდელობა ხორციელდება არა მხოლოდ გეოსტრატეგიული ქმედებების დონეზე (დაპყრობა, აყრა და ა.შ.), არამედ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის დონეზეც. სახელდობრ, თვით საქართველოს სინამდვილეში იმგვარი „მშვიდობიანი“ დივერსიული ცვლილებების განხორციელების (ან სათანადო მცდელობის) დონეზეც, რომლებმაც შედეგად უნდა მოიტანონ ფაქტობრივი და ფსიქოლოგიური ბმის შესუსტება საქართველოს მიწასა და მის კანონიერ პატრონს, ქართველ ერს შორის.

* ვინც დადუმდა, როდესაც შეეძლო და უნდა ელაპარაკა, ის განიხილება მომხრედ!

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ, ამავე დროს მომხსენებელმა მოსამართლემ გიორგი პაპუაშვილმა 2012 წლის 26 ივნისს გაატარა “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება №3/1/5/512”, რომლითაც გაუქმდა უამისოდაც უაღრესად არასრულყოფილ, სახელდობრ, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესთა უგულვებელყოფელ “სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ” საქართველოს კანონში გათვალისწინებული შეზღუდვები უცხოელთა მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვასა და საკუთრებაში ქონაზე. ამით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწა — ქართველი ერისა და საქართველოს ყველა მოქალაქის და მათი შთამომავლობის საარსებო ბაზა ან და მარადის — გატანილი აღმოჩნდა მსოფლიოს ღია ბაზარზე, სადაც, დღესდღეობით და უახლოეს წლებში საქართველოს საყოველთაო გადატაკების ფონზე, მოსახლეობის მთელი მასა არაკონკურენტუნარიანია საქართველოს მიწის მითვისების აუარებელ უცხოელ მსურველთან შედარებით. ამ ოპერაციის მიზანი და მოტივაცია, ხელისუფალთა ანგარების პარალელურად, სხვა არა არის რა და სხვა ვერა იქნება რა თუ არ საქართველოს დემოგრაფიული დექარტველიზაცია და მისი მიწა-წყლის ათვისება ახალი, გარედან მოყვანილი ან ბუნებრივად იმიგრირებული მოსახლეობის მიერ. პაპუაშვილის ეს შეუნიღბავად ანტისახელმწიფოებრივი მანევრი თავისი განხორციელების ფორმით (სახელდობრ, არგუმენტაციის სიმულაციით, რომელიც ცდილობს იურისპრუდენციისა და ზოგადად ჰუმანიტარული ცოდნის სფეროში მიღებული მეცნიერული ტერმინოლოგიით ოპერირებას), ემყარება — ერთის მხრივ, სრულ არაინფორმირებულობას ამ სფეროებში, მეორეს მხრივ, ასევე სრულ უცოდინრობას — ან: უცოდინრობის სიმულაციას — იმ მოვალეობათა და ვალდებულებათა თაობაზე, რომლებიც აქვს სახელმწიფოს ადნმინისტრაციას თავისი ქვეყნის წინაშე და არჩეულ ხელისუფლებას — ამომრჩეველთა წინაშე. ამ უმცირესი დასამტკიცებ-

ლად ქვემოთ წარმოგიდგენთ არგუმენტაციას, რაც საკმარისია, რათა მხილებულ იქნას საკონსტიტუციო სასამართლოს ამ აქტის მიზანმიმართულად ანტისახელმწიფოებრივი, პროფესიულად (დარგობრივად) არაკომპეტენტური, დანაშაულებრივად დესტრუქციული ხასიათი.

1. საქართველოს პარლამენტმა — 2007 წლის 19 ივნისს, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში შეიტანა ცვლილებები და დამატებები, რომლის ძალითაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლება მიეცათ როგორც საქართველოს მოქალაქეს, კომლს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს, ასევე უცხოელ და საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს. უცხოელსა და საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს საკუთრების უფლება მიეცათ მხოლოდ იმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომელიც მათ მემკვიდრეობით მიიღეს, ხოლო უცხოელს — აგრეთვე იმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომელსაც ის მართლზომიერად ფლობდა, როგორც საქართველოს მოქალაქე (მუხლი 4, პუნქტი 1). ამასთანავე, უცხოელები და საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირები ვალდებული იყვნენ თავიანთ საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები მათზე საკუთრების უფლების წარმოშობიდან ექვსი თვის ვადაში გაესხვისებინათ საქართველოს მოქალაქეზე, კომლზე ან/და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირზე (მუხლი 4, პუნქტი 1¹). ამ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში უცხოელსა და საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს სასამართლო გადაწყვეტილებით და სათანადო კომპენსაციით სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამოერთმეოდათ მათ საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები (მუხლი 5, პუნქტი 1²). სასოფლო-სამეურნეო დანიშნუ-

ლების მიწის ნაკვეთის ჩამორთმევისას გამოიყენებოდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ნორმები (მუხლი 5, პუნქტი 1³).

2. 2011 წლის 14 აპრილს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელით მიმართა დანიის მოქალაქე შვიკე ქრონქვისტმა, რომელიც ფაქტობრივად ითხოვდა ამ ცვლილებების და დამატებების კონსტიტუციურობის საკითხის გარკვევას საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან და 47-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებაში.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა დანიის მოქალაქე ქრონქვისტის სარჩელი, რითაც ფაქტობრივად გააუქმა კანონში შეტანილი ცვლილებები და დამატებები, რაც ჩვენ არა მხოლოდ სახელმწიფოს ინტერესთა თავსაზრისით ყოვლად მიუღებლად მიგვაჩნია, არამედ იურიდიულად დაუსაბუთებლადაც.

3. მიგვაჩნია, რომ კონსტიტუციურ სარჩელში სადავოდ მოყვანილი დებულებები საქართველოს კანონისა სავსებით შეესაბამება კონსტიტუციის 21-ე მუხლს და 47-ე მუხლის პირველ ნაწილს.

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი ნაწილით საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუხებელია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება. მაგრამ, ამავე მუხლის მეორე პუნქტი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის დასაშვებად თვლის კონკრეტული სახის შემთხვევებში კონკრეტული სახის ნივთის მიმართ ამ უფლებათა შეზღუდვას. უფრო მეტიც, მესამე პუნქტი დასაშვებად თვლის ამ უფლებების არა მარტო შეზღუდვას, არამედ საკუთრების ჩამორთმევასაც სახელდობრ, მის კომპენსირებას კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ამიტომ **საკონსტიტუციო სასამართლოს აუცილებლად უნდა ემსჯელოს იმის თაობაზე, იყო და არის თუ არა აუცილებელი საზოგადოებ-**

SOS!

რივი საჭიროებით გამოწვეული ის შეზღუდვები, რაც მტკნარი ცვლილებებით დაუნესდათ უცხოელებს.

ჩვენ შევეცდებით დავასაბუთოთ, რომ ის შეზღუდვები, რომლებიც დაწესებულია უცხოელებისთვის, კერძოდ, ის, რომ უცხოელი ვალდებულია სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი მასზე საკუთრების უფლების წარმოშობიდან ექვსი თვის ვადაში გაასხვისოს, გამოწვეულია აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებით.

ჯერ ერთი, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ კონსტიტუცია არ იძლევა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების“ მკაცრ დეფინიციას. ამ ცნების შინაარსის განსაზღვრა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში დემოკრატიულ სახელმწიფოში კანონმდებლის პრეროგატივას წარმოადგენს. სახელდობრ, მისი შინაარსი ცვალებადია აქტუალური პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების შესაბამისად. მოქმედება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის“ შეიძლება იყოს მიმართული საზოგადოებისთვის გარკვეული და გარდუვალი უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად. კანონმდებელი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის“ შეიძლება მოქმედებდეს, როდესაც მას ამოძრავებს საზოგადოებისათვის ან მისი ნაწილისათვის დადებითი შედეგების მოტანის მიზნები. ამასთანავე, არ არის აუცილებელი, რომ კანონმდებელმა კონკრეტულად მიუთითოს ნორმაში, თუ რა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროე-

ბისათვის“ იყენებს მას. „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების“ არსებობა შეიძლება გაირკვეს ნორმის ანალიზის, მისი განმარტების შედეგად. ამასთანავე, კონსტიტუციურ მოთხოვნას წარმოადგენს ის, რომ შეზღუდვის პროცესში აუცილებლად უნდა იქნეს შენარჩუნებული საკუთრების უფლების არსი.

ამასთანავე, საკუთრების უფლების შეზღუდვის გამართლებისათვის მოპასუხე მხარე ვალდებულია დაასაბუთოს, რომ სახეზეა საზოგადოებრივი საჭიროება, რომლის დაკმაყოფილებასაც ემსახურება სადავო ნორმა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკუთრების უფლება არ არის აბსოლუტური: შესაძლებელია მისი შეზღუდვა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევაში.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში საუბარია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე და არა სხვა კატეგორიის მიწებზე. თუმცა, სახელმწიფომ ერთნაირად უნდა დაიცვას ხელყოფისგან ნებისმიერი კატეგორიის მიწები. ჩვენ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე განსაკუთრებით იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ ამ დანიშნულების მიწის ნაკვეთებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისეთი მცირემიწიანი აგრარული ქვეყნისთვის, როგორცაა საქართველო. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ კანონი მიზნად ისახავს, რომ

ა) სამართლებრივად უზრუნ-

ველყოს მიწის რაციონალური გამოყენების საფუძველზე ორგანიზებული მეურნეობა და გააუმჯობესოს აგრარული სტრუქტურა,

ბ) თავიდან იქნეს აცილებული მიწის ნაკვეთების დაქუცმაცება და არარაციონალური გამოყენება. ამასთანავე, მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გასხვისების აკრძალვის მთავარი დანიშნულებაა უფრო მდიდარი ქვეყნების მოქალაქეთა მიერ იაფი მიწის მასობრივი შესყიდვის თავიდან აცილება, რამაც შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს სახელმწიფოს ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე, გარემოს დაცვასა და ქვეყნის უშიშროებაზე. საკუთრების უფლების ასეთი შეზღუდვის მიზანია სახელმწიფოს საჯარო ინტერესი – უზრუნველყოს მიწის რაციონალური გამოყენების საფუძველზე ორგანიზებული მეურნეობა და აგრარული სტრუქტურის გაუმჯობესება. რატომ უნდა, გასათვალისწინებელია სასოფლო-სამეურნეო მიწის სტრატეგიული მნიშვნელობაც ქვეყნის უშიშროების, გარემოს დაცვის, ეკონომიკისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, აუცილებლად უნდა იყოს კერძო საკუთრებაში, ან გრძელვადიანი გასხვისებადი იჯარის სტატუსში, მაგრამ საკუთრებისა არა უცხოელების ხელში, არამედ იგი მხოლოდ საქართველოს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის ყიდვა-გაყიდვის ობიექტს უნდა წარმოადგენდეს. ამასთან, სახელმწიფომ უნდა აიღოს ხელში მიწის ყიდვა-გაყიდვის, გაცვლის, ჩუქების, ანდერძის და სხვათა გაფორმების პრიორიტეტი და სრულად უნდა გამოირიცხოს მიწით სპეკულაციის, აგრეთვე უცხოელთა მიერ მიწის ხელში ჩაგდების ყოველგვარი სხვა სახის მცდელობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ქართველი გლეხკაცი, როგორც მიწის მესაკუთრე, ძალიან ცოტა ან საერთოდ არ გვეყოლება, რადგან ქართველი გლეხკაცი დღეს ფინანსურად არაკონკურენტუნარიანია უცხოელებთან მიმართებაში, უცხოელებმა კი შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები სხვა, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისათვის გამოიყენონ — აგარაკების აგებით დაწყებული





**და სხვა ხრიოკ მინიან ქვეყნებში
ნასალეზად ნაყოფიერი ზედაფენის
მოჭრით დამთავრებული.**

იმიგრაციული ნაკადების უკონტროლობა და საქართველოს მოქალაქეების უკიდურესი გაღარიბება უკვე იმის სრულიად რეალურ საფრთხეს ქმნის, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიის დიდი ნაწილი სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა ხელში აღმოჩნდება. ეს საშიში პროცესი შედარებით უხმაუროდ მიმდინარეობს, მაგრამ თავისი მნიშვნელობით, ქვეყნის ვინაობისა და რაობის დაკარგვის ტოლფასია. ქვეყნები (ჩინეთი, ინდოეთი, არაბეთის რიგი სახელმწიფო, თურქეთი, ირანი, ისრაელი), რომლებიც უკვე გამოხატავენ ქართული მიწით დაინტერესებას, გამოირჩევიან უმწვავესი ჭარბმოსახლეობითა და მცირემინიანობით.

საქართველოს მოქალაქეთა პროტესტის შესამსუბუქებლად, არის მცდელობა იმისა, რომ ეს პროცესი ინვესტიციების მოზიდვით გაამართლონ (მოქალაქეობის არმქონე პირებზე სოფლის მეურნეობის სავარგულეების გაყიდვის გამართლება ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვის საბაბით, რბილად რომ ვთქვათ, არაკომპეტენტურობისა და ახლომხედველობის შედეგია, რადგან **სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, განსხვავებით ურბანული მიწისგან, არ არის ინვესტიციატევადი და აქ ინვესტორის ნახალისების პოლიტიკა ყველაფრის ფასად არ უნდა ტარდებოდეს**), – თანაც ქართველი თანამდებობის პირები გვმოდერავენ და გვამშვიდებენ, „მინას **ზურგზე ხომ არ მოიკიდებენ**“. არ მოიკიდებენ, მაგრამ **ამ მიწაზე დამკვიდრებიან და ძალიან დიდი რაოდენობითაც,**

თუ დროზე არ მოვედით გონს, რადგან ამ ქვეყნების დემოგრაფიული და ეკონომიკურ-საფინანსო პოტენციალი იძლევა ვითარების დროის უმოკლეს პერიოდში შეცვლის პროგნოზს.

უკვე ვხედავთ ამ პროცესის შედეგებს. სახეზეა მოსახლეობათა ურთიერთ- შეუსატყვისობა, ისტორიის, ზნე-ჩვეულებების (ტრადიციის), რელიგიის, ზოგად- კულტურული ფონისა და აქსიოლოგიური ფონის მხრივ, მით უმეტეს – ენის მხრივ. სტატუსდაკარგული ქართული სოფელი კარგავს ისტორიულ, სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ფუნქციას. ამიტომაც იზრდება დაძაბულობა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში მცხოვრებ მკვიდრ მოსახლეობასა და ჩამოსახლებულ უცხოელებს შორის.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ კონსტიტუცია არ იძლევა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების“ მკაცრ დეფინიციას. მოქმედება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის“ შეიძლება იყოს ის, რაც განკუთვნილი საზოგადოებისთვის გარკვეული და გარდუვალი უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად. სწორედ საზოგადოებისთვის გარკვეული და გარდუვალი უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის აუცილებელი

1 საქართველოში სულ 3,025 მლნ ჰა სავარგულია. აქედან დაახლოებით 1,9 მლნ ჰა ბუნებრივ საძოვრებსა და სათიბებზე მოდიოდა, ანუ იმ სავარგულზე, რომლებსაც ინვესტიციები კი არა, უფრო მართებული, რაციონალური გამოყენება სჭირდება. 1,1 მლნ ჰა ინტენსიური სავარგულია, საიდანაც 800 ათასი ჰა სახნავია, ხოლო დანარჩენი – 300 ათასი ჰა – მრავალწლოვანი ნარგავებით დაკავებული ფონდ-ტევადი სავარგულია. მაღალი ხარისხის ბუნებრივად ნაყოფიერი სასოფლო-სამეურნეო მიწა 38%-ს შეადგენს, საშუალო ხარისხის 21%-ს, ხოლო დაბალი ხარისხის 41%-ს. ამიტომაცაა, რომ საქართველო მცირემიწიან ქვეყნებს მიეკუთვნება. მოსახლეობის ერთ სულზე 0,64 ჰა სოფლის მეურნეობის სავარგული მოდის, აქედან 0,17 ჰა სახნავ-სათესია. ეს არის საქართველოს სოფლის მეურნეობის დანიშნულების მიწის ფონდი, რომელიც იმდენად მცირეა მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, რომ თვალისწინებით გაფრთხილება ესაჭიროება.

SOS!

ბელია. ასეთია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე უცხოელთა საკუთრების უფლების გარკვეული შეზღუდვა. ასე, რომ „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებები და დამატებები სრულ შესაბამისობაშია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან. არსებული შეზღუდვები გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებით“. მაგრამ ის, რომ საქართველოს მოსახლეობის შევსება უცხოელთა ახალი მასით, რომელიც ადგილობრივს აღემატება, არის კატასტროფა, რომლის აცილება „საზოგადოებრივი საჭიროებაა“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის გაუგებარ ჭეშმარიტებად დარჩა!

მეორე, არ შეიძლება არ დავეთანხმეთ მოპასუხის განმარტებას, რომელიც არ იქნა გაზიარებული სასამართლოს მიერ. კერძოდ, მოქმედი კანონმდებლობით, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს არ ეკრძალებათ განახორციელონ ინვესტიცია სოფლის მეურნეობის სფეროში და იჯარით აილონ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, თუ იურიდიული პირი რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. თუნდაც მისი 100% წილის მფლობელი იყოს უცხო ქვეყნის მოქალაქე, მას შეუძლია შეიძინოს სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, ვინაიდან იგი სრულად ექვევს საქართველოს იურისდიქციაში, მონაწილეობს სამართლებრივ ურთიერთობებში და სამართლებრივი ვალდებულებები აქვს საქართველოს სახელმწიფოს წინაშე. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ ზღუდავს ასეთი ტიპის საკუთრების მემკვიდრეობით მიღებას. შესაბამისად, არ ზღუდავს ამ უფლებას, თუმცა, საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, ავალდებულებს უცხოელს, გაასხვისოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საქართველოს მოქალაქეზე და მატერიალური სიკეთე მიიღოს ალტერნატიული სახით, ან შეუცვალოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს კატიგორია, როგორც ეს გათვალის-

წინებულია „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ათვისების, ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში, და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა გამოიყენოს სხვა მიზნით. როგორც ვხედავთ, მიუხედავად სადავო ნორმებით გათვალისწინებული შეზღუდვებისა, კანონმდებელი უცხოელს მაინც აძლევს შესაძლებლობას, დაარეგისტრიროს საქართველოში იურიდიული პირი, რომელიც შესაძლოა გახდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრე. შესაბამისად, **კანონმდებელი აწესებს ალტერნატივას. ალტერნატივის არსებობის შემთხვევაში ნორმა არაკონსტიტუციურად არ უნდა იქნეს მიჩნეული.** ასე, რომ გასაჩივრებული ნორმები შესაბამისობაშია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან.

მესამე – რაც შეეხება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით აღიარებულ მემკვიდრეობის უფლებას, იგი, როგორც სასამართლო აღიარებს, არ ირღვევა. სადავო ნორმით დადგენილი მემკვიდრეობით მიღებული მიწის გაყიდვის ვალდებულება არ ზღუდავს მემკვიდრეობის უფლებას, რადგან სადავო ნორმა უცხოელს აძლევს შესაძლებლობას, მემკვიდრეობით მიიღოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, გახდეს მესაკუთრე და ამით სრულფასოვნად მოახდინოს მემკვიდრეობის უფლების რეალიზაცია. ხოლო მიწის ნაკვეთზე საკუთრების წარმოშობის შემდეგ მასთან დაკავშირებული ნორმატიული რეგულირების შეფასება სცდება ადამიანის მემკვიდრეობის მიღების უფლებით დაცულ სფეროს.

4. სასამართლო გადანყვეტილების 42-ე პუნქტში მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავი, რომელიც საქართველოს მოქალაქეობასა და ადამიანის ძირითად უფლება-თავისუფლებებს ეხება, უფლებათა სუბიექტების განსაზღვრისას სხვადასხვა ტერმინოლოგიას იყენებს. კონსტიტუციის შესაბამის ნორმებში ვხვდებით შემდეგ ფორმულირებებს: „ადამიანი“, „ყველა“, „ყველა ადამიანი“, „ყოველი ადამიანი“, „მოქალაქე“, „საქართველოს მოქალაქეები“, „საქართველოს ყოველი მოქალა-

ქე“. ამით კონსტიტუცია მიჯნავს უფლებებს, რომელთა სუბიექტიც მხოლოდ საქართველოს მოქალაქეა, უფლებებისაგან, რომლებიც უნივერსალური ბუნებისაა და „ყველაზე“ ვრცელდება. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით გათვალისწინებული უფლება უნივერსალურია და იგი ეკუთვნის ყველას.

ეს მსჯელობა მცდარია. ჯერ ერთი, ზემოთ ჩამოთვლილი ტერმინები იხმარება თითქმის ყველა მუხლში, რომელიც შეეხება ადამიანის ძირითად უფლება-თავისუფლებას, მაგრამ არა ყველაში. არის გამონაკლისი: 34 მუხლიდან სამი მუხლია, სადაც არც ერთი ეს ტერმინი არ არის გამოყენებული. ასეთ გამონაკლისს მიეკუთვნება სწორედ 21-ე მუხლიც. უნდა დავეთანხმეთ სასამართლოს იმაში, რომ ის მუხლები, სადაც ნახმარია ტერმინები „ადამიანი“, „ყველა“, „ყველა ადამიანი“, „ყოველი ადამიანი“, „მოქალაქე“, ეს უფლება ეკუთვნის ყველას და კონსტიტუციური ნორმა არ განსაზღვრავს უფლების სუბიექტთა ექსკლუზიურ წრეს, მათ შორის – მოქალაქეობრივი ნიშნითაც. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ტერმინები არ იხმარება 21-ე მუხლის მიმართ. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს უფლება ვრცელდება პირველ რიგში მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე, ხოლო გავრცელდეს თუ არა იგი უცხოელებზე და მოქალაქეობის არმქონე პირებზე, ეს კანონმდებელმა კონსტიტუციური ნორმით არ გადანყვეტა, რომელიც ამაზე დუმს. კანონმდებელმა უფლება დაიტოვა, სახელმწიფოს საჯარო ინტერესების გათვალისწინებით, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ამ უფლების „ყველაზე“ გავრცელების საკითხი გადანყვეტოს არა კონსტიტუციური ნორმით, არამედ ორგანული ან მიმდინარე კანონმდებლობით. თვითონ საკონსტიტუციო სასამართლო (ვიმეორებთ კონსტიტუცია ამაზე დუმს) გადანყვეტილების 68-ე პუნქტით იძულებულია აღიაროს, რომ სახელმწიფოს გააჩნია სუვერენიტეტი საკუთარ ტერიტორიაზე, რაც ნიშნავს იმას, რომ სამართლებრივ სივრცეს, მათ შორის საკუთრების უფლების შინაარსს და ფარგლებს, თვითონ განსაზღვრავს.



მეორე, თუნდაც დაეუშვათ, რომ ეს უფლება უნივერსალური ბუნებისაა და იგი „ყველაზე“ ვრცელდება, სადავო ნორმა არ არის არაკონსტიტუციური, რადგან ეს გამონაკლისი დაშვებულია, სახელდობრ, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების გამო.

5. საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილების 97-ე მუხლში, იშველიებს რა კონსტიტუციის მე-14 მუხლს, სადაც ნათქვამია, რომ „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია...“ ასკვნის, რომ კონკრეტული კონსტიტუციური უფლების დაცვის, უფლებით სარგებლობის ხარისხი საქართველოში მცხოვრები უცხოელისა და საქართველოს მოქალაქისათვის ერთნაირია. თანაც ამ დებულებას ამაგრებს კონსტიტუციის 47-ე მუხლით. (ეს დასკვნა იურიდიული ნონსენსია. კანონის წინაშე თანასწორობა ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ერთსა და იმავე იურიდიულ სიტუაციაში კანონი პეტრესა და პავლეს ერთნაირად ეპყრობა, და არა იმას, რომ მათ ერთნაირად ეპყრობა სხვადასხვა სიტუაციაში. მაგალითად, პეტრეს უფლებები უანდერძოდ გარდაცვლილი მამის სახლის მიმართ ვერ იქნება იგივე, რაც პავლესი ამავე

სახლის მიმართ, და პირიქით. მოქალაქეობაც სიტუაციის ელემენტი და არა პიროვნებათა პრინციპული თანასწორობა-უთანასწორობისა. ეს დასკვნა ისეთივე აბსურდულია, როგორც მოთხოვნა: რატომ მიგყავარ ჯარში და არ მიგყავს ჩემი მეზობელი უცხო მოქალაქე? სადაა ჩვენი თანასწორობა?)

უნდა ითქვას, რომ კანონის წინაშე იურიდიული თანასწორობა არ ნიშნავს ფაქტობრივ თანასწორობას. კონსტიტუცია განამტკიცებს მხოლოდ იურიდიული თანასწორობის უფლებას. სახელმწიფოს მიზანი არ შეიძლება იყოს არსებულ ფაქტობრივ განსხვავებათა ტოტალური გათანაბრება, რაც უტოპიაა და რაც არ შეიძლება იყოს სახელმწიფოს გონივრული მიზანი. **კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად, თანასწორობის სუბიექტია „ყველა“ ადამიანი, მაგრამ ეს მუხლი არ ეხება უცხოელების განსაკუთრებულ სტატუსს. უცხოელებისათვის დადგენილი ფაქტობრივი და, რაც მთავარია, სამართლებრივი შეზღუდვები არ ეწინააღმდეგება თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპს. ამასთანავე, თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარეობს, რომ ორი ან მეტი ურთიერთობა შეიძლება განვიხილოთ თანასწორად ან უთა-**

ნასწორად თუ ეს ურთიერთობები არის მსგავსი და ამგვარად იძლევა შედარების საშუალებას. ერთმანეთს შეიძლება შევადაროთ მხოლოდ მსგავსი ურთიერთობები და არა ყველა. აშშ-ს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, თანასწორად შეიძლება იქნენ განხილულნი ის ადამიანები, რომლებიც იმყოფებიან მსგავს ვითარებაში. ბუნებრივია, რომ საქართველოს მოქალაქეები და უცხოელები და ასევე მოქალაქეობის არმქონე პირები არ იმყოფებიან თანაბარ მდგომარეობაში. კონსტიტუციის 27-ე მუხლით უცხოელებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს სახელმწიფომ შეუძლია დაუნესოს პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა, ხოლო 47-ე მუხლის ძალით, კონსტიტუციითა და კანონით, როგორც გამონაკლისი, შეუძლია შეუზღუდოს ნებისმიერი უფლება.

6. რბილად რომ ვთქვათ, უსუსურია საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობა საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლთან დაკავშირებით. მისი აზრით, აღნიშნული ნორმა კონსტიტუციური უფლებების მოქმედებას ავრცელებს და ადგენს გარანტიას, რომ კონსტიტუციის მეორე თავით გარანტირებული კონსტიტუციური უფლებები საქართველოში

SOS!

მცხოვრებ უცხოელებზე ვრცელდება საქართველოს მოქალაქეების თანაბრად, გარდა კონსტიტუციით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. მოსამართლეებს რატომღაც „ავიწყდებათ“, რომ ამ გამონაკლისის გათვალისწინება შეიძლება არა მარტო კონსტიტუციით, არამედ კანონითაც. ჩვენ შემთხვევაში სწორედ კანონით შეიზღუდა უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა გარკვეული უფლებები. კონსტიტუციის 47-ე მუხლი ადგენს არა ზოგადი ხასიათის თანასწორობას, თუმცა, უცხო ქვეყნის მოქალაქესა და მოქალაქეობის არმქონე პირს უფლებრივად უთანაბრებს საქართველოს მოქალაქეს, მაგრამ იტოვებს უფლებას დაადგინოს განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმი უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების მიმართ საქართველოს მოქალაქეებთან მიმართებით. ამასთანავე, ამ განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმის დადგენა შესაძლებელია როგორც კონსტიტუციით, ისე კანონითაც. ეს კარგად იციან საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებმა და ამიტომ დაასკვნეს, რომ სადავო ნორმები არ არის შეთავსებადი კონსტიტუციის 47-ე მუხლის პირველ პუნქტთან და საქმის განხილვა იმ ნაწილში, რომელიც ეხებოდა სადავო ნორმებით კონსტიტუციის 47-ე მუხლის პირველ პუნქტის დარღვევის საკითხს, შეწყვიტეს.

როგორც ვხედავთ, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ საქართველოს კანონში 2007 წლის 19 ივნისს შეტანილი ცვლილებები და დამატებების გაუქმება, რომელიც საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლომ, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან და 47-ე მუხლის პირველ ნაწილთან შეუსაბამობის საბაბით, რბილად რომ ვთქვათ, არასწორია. ჩვენს მიერ დასაბუთებული იქნა, რომ სადავო ცვლილებები და დამატებები შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლს და 47-ე მუხლის პირველ ნაწილს.

ეჭვი არ გვეპარება საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობის უმრავლესობის პროფესიონალიზმსა და კომპეტენტურობაში,

მაგრამ მათ მიერ მიღებულ იქნა სამართლებრივად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, რაც ბადებს ეჭვს იმის თაობაზე, რომ, სამწუხაროდ, საკონსტიტუციო სასამართლოც, როგორც ეს საერთო სასამართლოებში ხდება, გადაწყვეტილებებს იღებს ქვეყნის მოქმედი პრეზიდენტის მითითებითა და კარნახით.

რომაული სამართლის ეს სენტენცია: **წუი ტაცუიტი, ცუმ ლოქუი დებუიტი ეტ პოტიუტი, ცონსენტრე ვიდეტურ!** საგანგებოდ გამოვიტანეთ სათაურში, რითაც გვინდა ხაზი გავუსვათ შექმნილი ვითარების უკიდურეს სიმწვავეს. **სადღეისოდ საქართველოში მიმდინარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის უცხოელებზე გასხვისების დამლუპველი პროცესის აპოლოგეტობას ცოტა თუ ბედავს, უმრავლესობა დუმს და ჰგონია, რომ პილატეს პოზიციაში ყოფნით თავს დაიძვრენს.** სწორედ მათ გასაგონად ითქვა თავის დროზე **“ვინც დადუმდა, როდესაც შეეძლო და უნდა ელაპარაკა, ის განიხილება მომხრედ!”** (ანუ თანამონაწილედ).

საქართველოს საზოგადოებას მოქმედება უსწრაფესად ჰმართებს,

რადგან პროცესები ძალიან მალე მიიღებს კატასტროფულ ხასიათს. შესაძლებელია, ამ ისტორიული ეტაპიდან საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის ეროვნულ უმცირესობად გადაქცევის გარდუვალობა ჯერ ბუნდოვნად მოჩანს ზოგიერთისთვის (სახელდობრ, ნაკლებ მცოდნეთათვის), მაგრამ საკმარისია ჩვენში შეიქმნას დემოგრაფიული ექსპანსიისთვის საჭირო ბაზები, რაც სულ რამდენიმე ათეული ათასი ადამიანის დამკვიდრებას გულისხმობს, რომ პროცესები არა მხოლოდ შეუქცევად ხასიათს მიიღებს, არამედ ყველასთვის ხილულიც გახდება.

ამოცანაა: დაუყოვნებლივ მოხდეს ამ დანაშაულებრივი დეფექტის გასწორება სათანადო ჩანაწერით საქართველოს კონსტიტუციაში.

ჰაბტა კოლუაშვილი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ზაურ ჯინჯოლავა,
იურიდიულ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ანოტაცია

საქართველოს ყველა მოქალაქე განურჩევლად სქესისა, რასისა, ეროვნებისა, აღმსარებლობისა, კანის ფერისა, დაბადების ადგილისა და ა.შ. უფლებამოსილია, რომ საქართველოს ბუნებრივ შესაძლებლობებს, პირველ ყოვლისა – მიწას განიხილავდეს, როგორც თავისი შთამომავლობის გარანტირებულ საკვებ ბაზას ან და მარადის.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწის გატანა ღია ბაზარზე, სადაც, პრაქტიკულად, არც ერთი კონკურენტუნარიანი საქართველოს მოქალაქე არ არსებობს, სააკაშვილის ადმინისტრაციის მხრიდან არის სახელმწიფო ღალატი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება №3/1/5/512, რომელმაც გააუქმა უკანასკნელი შეზღუდვები მიწის განუკითხავ გასხვისებაზე მოქალაქეობის არმქონე პირებზე, არის ღალატის ამ პროცესის ერთ-ერთი არსებითი და დამაგვირგვინებელი ეპიზოდი.

ავტორები ასაბუთებენ საკონსტიტუციო სასამართლოს ამ აქტის იურიდიულ თვალსაზრისით მანკიერ და აგრარული თვალსაზრისით კატასტროფულ აქტს.

დეფლაცია საქართველოში: სად ვეძებოთ ღამნაშავე?!

საქართველოს ეკონომიკაში ბოლო ერთი წლის მანძილზე რთული ვითარება შეიქმნა, რაც ძირითადად გამოწვეული იყო ინფლაციის უარყოფითი მაჩვენებელით, ანუ დეფლაციით. ეროვნული ბანკის განცხადებით, ასეთი მდგომარეობა გაგრძელდება კიდევ რამოდენიმე თვე. დეფლაცია არის იშვიათი მოვლენა, რომელიც არ ექცევა ნორმალური ეკონომიკური ციკლის სტენარში და იგი ეკონომიკის მდგრადობის შერყევის ინდიკატორადაა მიჩნეული.

დეფლაციური პროცესი ვითარდება მაშინ, როდესაც ინფლაცია იწყებს ვარდნას და ჩამოდის 0%-ს ქვემოთ, ანუ ხდება უარყოფითი. დეფლაციის პირობებში იზრდება ფულის მსყიდველობითი უნარი, რაც გამოიხატება სამომხმარებლო ფასების ინდექსის ვარდნაში. თუ ინფლაცია ამცირებს ლარის რეალურ ღირებულებას, დეფლაცია, პირიქით, ზრდის მას, რის შედეგადაც ერთი და იგივე ფულის ოდენობით შესაძლებელი ხდება უფრო მეტი საქონლის შეძენა, ვიდრე ინფლაციის დროს. მიჩნეულია, რომ დეფლაცია ეკონომიკისათვის ბევრად უფრო საშიშია, ვიდრე ინფლაცია, ვინაიდან მასთან ბრძოლის მეთოდები ძალიან მწირია და, ხშირ შემთხვევაში, არაეფექტური.



ლია ელიავა
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი

დეფლაცია იმის მაჩვენებელია, რომ ეკონომიკა განიცდის ვარდნას, მცირდება პროდუქციის გამოშვება და იზრდება უმუშევრობა.

დეფლაცია მომხმარებელს ზღუდავს ძვირადღირებული საქონლის (საცხოვრისი, ავტომობილები და სხვ.) შეძენაში, ვინაიდან იგი ელოდება მათზე ფასების შემდგომ ვარდნას. ეკონომიკური ხარჯების სამომავლოდ გადადება ხელს უშლის ეკონომიკურ ზრდას და წარმოქმნის დეფლაციურ სპირალს ეკონომიკაში.

დეფლაციის დროს ფასების ვარდნა მომხმარებლისთვის სარფიანია, ვინაიდან, მისი ხარჯები მცირდება, თუმცა ეკონომიკისთვის არასასურველი. დეფლაცია იმის უტყუარი მაჩვენებელია, რომ საწარმოების შემოსავლები მცირდება. გამომდინარე აქედან, მცირდება სახელფასო ფონდი, რასაც თან სდევს დასაქმებულების სამსახურიდან გათავისუფლება და უმუშევრობის დონის ზრდა.

საქართველოში დეფლაცია განპირობებულია რამოდენიმე ფაქტორით, რომელთა შორის მთავარია საქართველოს ეროვნული ბანკისა და მთავრობის მიერ ანტიდეფლაციური პოლიტიკის შეუქმნაველობა. დეფლაციის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორებია:

- **ეკონომიკაში ფულის მასის შემცირება ინფლაციის ტემპების შემცირების მიზნით.** ამისათვის გამოიყენება ბანკების სავალდებულო რეზერვების ნორმებისა და გადასა-

ხადების ზრდა, ხელფასის გაყინვა, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების შემცირება, სახელმწიფო ფასიანი ქაღალეების გაყიდვების მოცულობის ზრდა, ფულის ბრუნვის სიჩქარის შემცირება და სხვ.;

- **მოსახლეობის მიერ ფულის ხარჯვის შემცირება** მისი ღირებულების შემდგომი ზრდის მოლოდინის შედეგად ან მოსახლეობის მიერ ნაღდი ფულის დაგროვებამომავალში ხარჯვის გასანევაად;

დეფლაცია პრობლემებს უქმნის მათ, ვისაც სურთ კრედიტის აღება. მაღალი დეფლაციის პირობებში სესხის რეალური ღირებულება ხდება ძალიან მაღალი, შესაბამისად მცირდება დაფინანსება კაპიტალში, მცირდება უძრავი ქონების შესყიდვები და სხვა სახის ხარჯები, რაც აჩქარებს ეკონომიკურ ვარდნას. მაგრამ კიდევ უფრო მეტ პრობლემას უქმნის დეფლაცია მსესხებლებს, რომლებმაც უკვე აიღეს კრედიტი და დააგროვეს მნიშვნელოვანი ვალეები დეფლაციის დაწყებამდე. სირთულეები იქმნება იმის შედეგად, რომ თუნდაც მოვალეებმა შეძლონ თავიანთი სესხების რეფინანსირება უფრო დაბალი პროცენტით, ფასები მაინც კლებულობს, ხოლო სესხი გადასახდელი აქვთ იმ ფულით, რომლის რეალური ღირებულება იზრდება, თანაც, ხშირ შემთხვევაში, საკმაოდ სწრაფად. ასე, მაგალითად, თუ ფასთა სხვაობა შეადგენს 10%-ს, ეს ნიშნავს, რომ იპოთეკური სესხის ღირებულება გაიზრდება 10%-ით. ვინაიდან, ფასე-

ბის კლებას თან სდევს მოსახლეობის შემოსავლების კლება, იპოთეკაზე გადახდების თანაფარდობა შემოსავლებთან მიმართებაში იზრდება.

სავალო ვალდებულებების რეალური ღირებულების ზრდასთან ერთად დეფლაცია ზრდის იპოთეკარების დეფოლტებს, ანუ იზრდება იპოთეკაზე არგადახდების მოცულობა. ფასების დაბალი დონე რეალურ გამოხატულებაში აძვირებს ნასესხობებს ბიზნესისათვის, რაც აუარესებს მათ ფინანსურ ანგარიშგებებს და ართულებს კრედიტებისადმი ხელმისაწვდომობას.

დეფლაცია ზრდის რეალური საპროცენტო განაკვეთების დონეს, ანუ სხვაობას ნომინალურ საპროცენტო განაკვეთსა და ინფლაციის ტემპს შორის. ფასების ზრდისას რეალური საპროცენტო განაკვეთი ნომინალურზე უფრო დაბალია, ვინაიდან მსესხებელი იხდის ფულს, რომელიც უფრო იაფი ღირს. თუმცა, როდესაც ფასები ვარდება, რეალური საპროცენტო განაკვეთი ნომინალურზე მეტია. ყოველივე ეს ამცირებს საერთო მოთხოვნას და იწვევს ფასების დონის კიდევ უფრო მეტად ვარდნას.

გარდა ამისა, შემოსავლებისა და ფასების ვარდნა ახდენს მოსახლეობასა და ბიზნესზე ფსიქოლოგიურ გავლენას. იქმნება გაურკვეველობა იმის თაობაზე, თუ რამდენად შემცირდება ფასთა დონე და შეძლებს თუ არა მონეტარული ხელისუფლება ამ მოვლენასთან ეფექტურ ბრძოლას. ყოველივე ეს კი ხდება ნდობის დაკარ-

გვის საფუძველი და ეკონომიკური აქტივობის ზრდის შემაფერებელი.

განვითარებული დეფლაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი არის საბანკო სექტორის საკრედიტო რესურსებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთები. როდესაც რამდენიმე წლის განმავლობაში კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთები აღემატება წარმოების ზრდის მაჩვენებელს, ეს ქმნის დეფლაციის განვითარების მაღალ ალბათობას, რასაც ფაქტობრივად ადგილი ჰქონდა საქართველოში.

კომერციული ბანკების რენტაბელობა კაპიტალზე (განმედილი სარეზერვო კაპიტალის გაბერილი მონაცემებისგან) 2010-2011 წლებში 4-5-ჯერ აღემატებოდა მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდის ტემპებს. ამას განაპირობებდა როგორც მაღალი საპროცენტო განაკვეთები, ასევე დაკრედიტების მოცულობის ზრდაც. ასე, მაგალითად, კომერციული ბანკების დაკრედიტება თუ 2011 წლის ბოლოსთვის გაიზარდა 26%-ით წლის დასაწყისთან შედარებით, 2012 წელს ანალოგიურმა ზრდამ შეადგინა მხოლოდ 14%. მსგავსი ტენდენციები განვითარდა არასაბანკო დეპოზიტების ზრდის კუთხითაც. მათი ზრდა 2011 და 2012 წელს შესაბამისად შეადგენდა 24 – 13%-ს.

გრძელვადიანი დეფლაციის შემთხვევაში ბანკები ამცირებენ სანარმოებისა და მოსახლეობის დაკრედიტებას. შედეგად, სანარმოები კოტრდებიან, ხელფასები მცირდება, უმუშევრობა იზრდება, საქონელზე მოთხოვნა მკვეთრად მცირდება. ყოველივე ეს კი კრიზისის ახალი ფაზის მომასწავებელია.

თუ დეფლაცია სწრაფად არ იქნა დაძლეული, ისეთი სუსტი ეკონომიკისთვის, როგორცაა საქართველოს ეკონომიკა, დეფლაციური კოლაფსის ალბათობა მაღალია. **დეფლაციური კოლაფსის არის მოზღვავებული დეფლაციის ფონზე ქვეყნის რეალური სექტორის ჩამოშლა უნაღოდ ანგარიშსწორებიდან ფულის ამოღების შედეგად.** სანარმოების გაკოტრების პროცესი თავისი ინერციული ბუნების გამო ბევრად ჩამორჩება სავალდებულო ემისიის პრაქტიკულად მყისიერ შეწყვეტას (ე.წ. “ნდობის კრიზისი”) და

1 აქ და შემდგომ გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური საჯარო სტატისტიკური მონაცემები. გათვლები გაკეთებულია ავტორის მიერ.

ბრუნვიდან უნაღოდ სავალდებულო ფულის გაქრობას (ბანკების გაკოტრება და საბანკო მულტიპლიკატორების გაჩერება). ჩერდება სანარმოები, რომლებსაც აღარ აქვთ ფული და რომლებიც კარგავენ გასაღების ბაზრებს. მიუხედავად წარმოების მოცულობის მკვეთრი შემცირებისა, საწყობები ივსება საქონლით და იქმნება ქარბნარმოების ილუზიური სურათი. **ხელისუფლების რეაქცია, ჩვეულებრივ, გამოიხატება მცდელობაში საბანკო სექტორის “ფულის ემისია” შეცვალოს მასობრივად ცენტრალიზირებული სახელმწიფო ემისიით, რაც წარმოშობს ლიკვიდურობის დიდ კორუფციულ გადანაწილებას, მრეწველობის წარჩენების სტრუქტურულ მოსპობას, საქონლის მიწოდების მკვეთრ შემცირებას და ფულის მასის მკვეთრ ზრდას - ჰიპერინფლაციას. ყოველივე ეს კი იწვევს მიმდინარე საკრედიტო ციკლის შეწყვეტას.**

საქართველოში დეფლაციის განვითარებას საფუძველი ჩაეყარა კერძო კედვე 2011 წელს. 2010 წლის ბოლოს ინფლაციის მაჩვენებელმა მიაღწია 11.2%-ს და განაგრძობდა ზრდას 2011 წლის მასამდე, როდესაც მისმა დონემ 14.3% შეადგინა. ეროვნულმა ბანკმა გამოიყენა მისთვის ადვილად ხელმისაწვდომი და მარტივი ინსტრუმენტი, როგორცაა ინტერვენცია ფინანსურ ბაზარზე და დაიწყო სასწრაფო წესით ლარის ამოღება ეკონომიკიდან საბანკო სექტორის მეშვეობით. თუმცა ძალიან მალე ცხადი გახდა, რომ ინფლაცია მაინც აგრძელებდა საკმაოდ სწრაფ ვარდნას, რაც ეკონომიკური ვარდნის აშკარა მანიშნებელი იყო. დეფლაციის შესაჩერებლად ეროვნულმა ბანკმა ისევ მიმართა ინტერვენციის ნაცად ხერხს და 2011 წლის მარტიდან დაიწყო ეკონომიკისთვის ლარის მიწოდება. პრაქტიკულად, ეროვნული ბანკი ცდილობდა და ახლაც ცდილობს ფულის ბაზის ზრდით მოახდინოს ინფლაციის ხელოვნური პროვოცირება. რა თქმა უნდა, ეს მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. გატარებული ღონისძიების შედეგი იყო ინფლაციის მაჩვენებლის კლება 2011 წლის ივნისიდან, რომელმაც თავის ღრმულს - -3.3%-ს მიაღწია 2012 წლის მაისში. **პრაქტიკულად მთელი 2012 წელი და 2013 წლის დასაწყისი საქართველოში დეფლაცია მძვინვარებს და თანდათანობით ასუსტებს ეკონომიკას.**

2012 წელს უარყოფითი ინფლაციის ფონზე პრაქტიკულად არ იზრდებოდა უძრავი ქონების ბაზარი, ვერც გაყიდვათა მოცულობით და ვერც ფასების ზრდის მიმართულებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო რეესტრში დაფიქსირებული უძრავი ქონების ბაზარზე ტრანზაქციების ზრდა განპირობებულია მინის მესაკუთრეების ქონების რეგისტრაციისა და ერთი და იგივე ქონების მრავალჯერადი დაგირავების სტატისტიკის ზრდით. უძრავი ქონების ბაზრის დასუსტების კვალდაკვალ შემცირდა საავტომობილო ბიზნესის ადგილობრივი გაყიდვებიც. **აშკარაა, რომ 2012 წელს ჩამოყალიბდა მომხმარებლის მიერ ძვირადღირებული საქონლის შექენისგან თავის შეკავების ტენდენცია.**

ამ პროცესებს თან სდევდა სასურსათო საქონელზე ფასების კლება. ქვემოთ მოყვანილი დიაგრამა 1-ში ნათლად ჩანს, თუ როგორ კლებულობს სა-მომხმარებლო ფასები 2011-2013 წლების განმავლობაში (იხ. დიაგრამა 1.).


2011 წლის ივლისში სამომხმარებლო ფასების ინდექსმა მიაღწია პიკს - 111.4 ნიშნულს და დღემდე ვარდნის პროცესშია. გაუფასურებამ შეადგინა 12 პროცენტული პუნქტი, რაც დაახლოებით 11%-ს შეადგენს.

საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ ორგანული კანონის თანახმად “ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანაა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა”. როგორც ვხედავთ, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ეროვნულმა ბანკმა სტაბილურად უზრუნველყო ფასების კლება. ამავ კანონით ეროვნულმა ბანკმა “ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში მდგრად ეკონომიკურ ზრდას, თუ ეს შესაძლებელია ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მისი ძირითადი ამოცანის შესრულებას”. სამწუხაროდ, ვერც ამ ამოცანას სრულყოფილად გაართვა თავი ეროვნულმა ბანკმა და ქვეყანა დეფლაციური პროცესების წინაშე დააყენა.

თანამედროვე მსოფლიო ფინანსურ სისტემაში ფულის მასის 95% წარმოადგენს კრედიტებს (ვალებს). ამიტომაც ფულის ნიშნების (კუპონები, მონეტები) ბეჭდვა ეროვნული ბანკის მიერ ყოველთვის არ ზრდის სა-მომხმარებლო ფასებს, ხოლო მათი ფიზიკური ამოღება - ფასების ვარდნას. როგორც დიაგრამა 2-დან ჩანს, ჩვენს ქვეყანაში პრაქტიკულად არ არსებობს კორელაცია ფულის მასისა და ინფ-


დიაგრამა 1.

სამომხმარებლო ფასების ინდექსებისა და ინფლაციის დინამიკა



დიაგრამა 2.

M2, ინფლაციის და მიმოქცევაში არსებული ლარის მოცულობის დინამიკა (წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით)



ლაციის დონეებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულმა ბანკმა არაერთხელ განაცხადა საქართველოში ინფლაციის არამონეტარული ხასიათის შესახებ, იგი ორიენტირებულია მისი შემცირებისკენ 2011 წელს და ახლაც დეფლაციასთან ბრძოლის მეთოდად შერჩეული აქვს ფულის მასის ზრდის ხერხი, ანუ ინფლაციის პროვოცირების მეთოდი.

ახლა კი შევჩერდეთ იმ შეცდომებზე, რომლებიც ეროვნულმა ბანკმა დაუშვა თავისი "ძირითადი ამოცანის" შესრულებისას.

ინფლაციასთან და ეკონომიკის დოლარიზაციასთან ბრძოლის ფარგლებში ეროვნულმა ბანკმა 2011 წლის სექტემბრიდან მკვეთრად გაზარდა კომერციული ბანკების სარეზერვო ნორმები, ხოლო 2012 წლის ივლისში კი

საგრძნობლად გააფართოვარეზერვების გაანგარიშების ბაზა. აქცენტი იყო გაკეთებული უცხოურ ვალუტაში მოზიდულ სახსრებზე, რომლებზეც გარკვეული გრადაციის გათვალისწინებით დარეზერვების ნორმამ 15% შეადგინა. კომერციული ბანკების რეაქციამაც არ დააყოვნა და 2011 წლიდან მოყოლებული დღემდე დაკრედიტების ზრდა შენედა 25%-დან 13%-მდე. ასეთი კლების მიზეზი, რა თქმა უნდა, არ იყო მარტო საოპერაციო სახსრების შემცირება დარეზერვების ნორმატივების ზრდის შედეგად, მაგრამ ამ ფაქტორმა ითამაშა მნიშვნელოვანი როლი ეკონომიკისთვის კრედიტების მიწოდების შემცირებაში.

დარეზერვების ნორმის ზრდის მიზანი იყო პოზიტიური - ეკონომიკის დოლარიზაციის პრობლემის გადაწყ-

ვეტა თუ არა, შემსუბუქება მაინც. სამწუხაროდ, ამან ვერ გამოიღო მოსალოდნელი შედეგი იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ისეთ ეკონომიკაში, სადაც დოლარისა და ლარის თანაფარდობა არის 4:1, შეუძლებელია დოლარიზაციის შემცირება. **საქმე იმაშია, რომ ეროვნულ ბანკი ვერ ან არ არეგულირებს ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებისა და ქვეყნიდან მისი გადინების პროცესს, რომელიც მიმდინარეობს უკონტროლოდ ველური ბაზრის კანონებით. იმის მაგივრად, რომ შემოელო უცხოურ ვალუტის ტრანსსასაზღვრო მოძრაობაზე მკაცრი კონტროლი, ეროვნული ბანკი ცდილობს მის ამოღებას ეკონომიკიდან.**

ვინაიდან კრედიტები უცხოური ვალუტით მეტწილად ემსახურება

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა

იმპორტს, მათი მიწოდება პირდაპირ აისახა იმპორტის მოცულობის კლებაზე. ასე, მაგალითად, 2011 წლის დასაწყისში იმპორტის 53%-იანი ზრდა 2012 წლის ბოლოსთვის გადაიქცა 9%-იან კლებად. ეს გარემოება არ ჩაითვლებოდა ნეგატიურ მოვლენად იმ შემთხვევაში, თუ იმპორტის კლების პარალელურად გაიზრდებოდა ქვეყნის ექსპორტი, რომელიც არა თუ არ გაიზარდა, არამედ 2011 წლის დასაწყისიდან 40%-იანი ზრდიდან დაიკლო 21%-ით. როგორც ვხედავთ, იმპორტის კლების შედეგად ეკონომიკას შემოაკლდა საქონელი, ხოლო იმპორტის კლება, საქართველოს ეკონომიკური სპეციფიკიდან გამომდინარე, ამკარად მიუთითებს ეკონომიკურ ვარდნაზე.

2009 და 2010 წელს ინფლაციის ზრდის შესაჩერებლად ეროვნული ბანკი ეკონომიკაში ინტენსიურად ამცირებდა ლარის მასას და ზრდიდა დოლარის მასას. გაურკვეველია, რატომ თვლის ეროვნული ბანკი, რომ ლარის მოცულობის შემცირებას შეუძლია ინფლაციის ტემპების მნიშვნელოვანი შენელება მაშინ, როდესაც მისი წვლილი ინფლაციაში მხოლოდ მეოთხედია. დოლარით გაბერილი ეკონომიკა ვერ უძლებს ასეთ წნეხს და 2011 წელს ფული იწყებს ინტენსიურ გაუფასურებას. ამ დროს ეროვნული ბანკის მთელი ძალისხმევა მიიმართება ლარის გაცვლითი კურსის შესანარჩუნებლად. ეროვნული ბანკის ამგვარი

ექსპერიმენტების გამო ეკონომიკა იწყებს სტაგნირებას 2011 წლის მეორე ნახევარში ინფლაციის უკონტროლო ვარდნის სახით. რჩება შთაბეჭდილება, რომ ეროვნული ბანკი ცდილობს ინფლაციის პრობლემის მოგვარებას სავალუტო კურსის კორექტირებით.

ეკონომიკაში ვალუტის გაყიდვის გზით ლარის ინტენსიური მიწოდების პარალელურად ეროვნულ ბანკს იგივე ლარი ამოაქვს ეკონომიკიდან თავისი სადეპოზიტო სერტიფიკატებისა და სახელმწიფო სავალო ვალდებულებების მეშვეობით. ამასთან, ლარის ამოღება ბევრად აღემატება მის მიწოდებას (იხ. ცხრილი 1.). ფაქტობრივად გამოდის, რომ ეროვნული ბანკი ეკონომიკას ართმევს როგორც დოლარს, ასევე ლარს, თანაც ეს უკანასკნელი ბევრად ჭარბობს პირველს. შედეგად, დარჩენილი ფული არ არის საკმარისი სავაჭრო ბრუნვის უზრუნველსაყოფად, რაც ამცირებს ფასების დონეს.

ამ ფონზე არასასურველად გამოიყურება ეკონომიკის მონეტიზაციის დონე. საქართველოში იგი შეადგენს M2-სთვის 14, ხოლო M3-თვის კი - 27 (შესაბამისი მონეტარული აგრეგატის ფარდობა მშპ-სთან). მონეტიზაციის დონე განსაზღვრავს ეკონომიკის ფულით გაჯერების სიდიდეს. ასე, მაგალითად, 2011 წელს იაპონიის მონეტიზაციის დონე (M2) იყო 245, დიდი ბრიტანეთის - 150, ჩინეთისა და ინდოეთის - 160, ევროზონის ქვეყნების

- 100, რუსეთის - 50, ხოლო საქართველოს კი - 14. როგორც საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის მონეტიზაციის დონე არ უნდა იყოს 40% ნაკლები, ხოლო ძირითად კაპიტალში ინვესტიციების განხორციელებისათვის მისი დონე არ უნდა იყოს 80% ნაკლები.

ბუნებრივია, ისმის კითხვა - თუ ასე საჭიროა ფული ეკონომიკისთვის, რატომ განიცდის საქართველოს ეკონომიკა ფულის ნაკლებობას? პასუხი ცალსახაა - ასე თვლის საჭიროდ საქართველოს ეროვნული ბანკი. უფრო რომ დავაკონკრეტოთ, **ეროვნულ ბანკს გააჩნია შიში იმისა, რომ თუ ეკონომიკას მისცემს განვითარების საშუალებას საჭირო ოდენობის ფულის მიწოდების გზით, იგი ვერ შეძლებს მზარდი ინფლაციის მოთქვას. ამ სახის შიშმა თუ პროცესების მენეჯმენტის სისუსტემ საქართველოს ეროვნული ბანკი გახადა არა მარტო ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების მუხრუჭად, არამედ არაეფექტიანი ანტი-ინფლაციური პოლიტიკის შედეგად ქვეყანა მიიყვანა უარყოფითი ინფლაციის მაჩვენებლამდე და პრაქტიკულად გადაჩეხა იგი დეფლაციურ მორევში, რომლიდანაც ამოსვლა ძალიან, ხაზს ვუსვამ, ძალიან რთული იქნება.**

ცხრილი 1.

ეკონომიკაში ფულის მიწოდებისა და ამოღების მაჩვენებლები

	2009	2010	2011	2012	2013 თებ.
აშშ დოლარით გაჭრობა					
გაყიდვა	116,700,000	331,200,000	80,000,000	65,000,000	
ყიდვა	5,000,000	126,000,000	380,000,000	220,000,000	65,000,000
სახაზინო ვალდებულებები (ლარი)					
გაყიდვა	270,000,000	463,000,000	250,000,000	100,000,000	25,000,000
სახაზინო ობლიგაციები (ლარი)					
გაყიდვა		145,000,000	163,000,000	324,000,000	20,000,000
ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატები (ლარი)					
გაყიდვა	636,500,000	945,858,000	1,435,000,000	1,600,000,000	240,000,000

ცხრილი 2.

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფლაციის პროგნოზები 2009-2011 წლებში

წელი	წლიური ინფლაცია კვარტალის ბოლოსათვის											
	I კვარტალი (%)			II კვარტალი (%)			III კვარტალი			IV კვარტალი		
	ფაქტ.	პროგნ.	გადახრა	ფაქტ.	პროგნ.	გადახრა	ფაქტ.	პროგნ.	გადახრა	ფაქტ.	პროგნ.	გადახრა
2009	1.6	4.3	168.8	2.3	1.6 3.8	-30.4 65.2	0.4	0.8 1.4	100 250	3.0	4 4.5	33.3 50
2010	5.8	5.5 4.5	-5.2 -22.4	3.7	1.5	-59.5	9.8	8.9	-9.2	11.2	8.8 10.6	-21.4 -5.4
2011	13.9	7-8 9.8	-49.6- (-42.5) -29.5	10.8	8.4 13-14	-22.2 20.4-29.6	4.6	-	-	2.0	7 7.5 5.6 3.5	250 275 180 75
2012	-2.2	0.3	113.6	-	3.6	-	-	-	-	-	6	-

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რა პრინციპებზე დაყრდნობით ახორციელებს ეროვნული ბანკი დეკლარირებულ ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკას. ყველა ქვეყანაში ფულად-საკრედიტო, იგივე მონეტარული, პოლიტიკის მიზანს წარმოადგენს მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობის რეგულირების მეშვეობით ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა, მოსახლეობის სრული დასაქმება და წარმოების რეალური მოცულობის ზრდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მონეტარული პოლიტიკა ზემოქმედებს ისეთ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე, როგორცაა ინფლაცია, უმუშევრობა და ეკონომიკური ზრდა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობის ძირითადი ამოცანაა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა, ანუ ინფლაციასთან ბრძოლა. ამასთანავე, ისეთი ამოცანები, როგორცაა საფინანსო სისტემის სტაბილურობა და გამჭვირვალობა, ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა კი არაპრიორიტეტულია და მიჩნეულია. მთავარია, ამ "წვრილმანმა" პრობლემებმა ხელი არ შეუშალოს მთავარი ამოცანის - ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფას.

იმისათვის, რომ შევაფასოთ ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რომლის მთავარი ამოცანაცაა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა, აუცილებელია გაანალიზდეს ეროვნული ბანკის მიერ შედგენილი და საქართველოს პარლამენტის მიერ 2011 წლის დეკემბერში დამტკიცებული "2012-2014 წლების ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები". ეს დოკუმენტი იმდენად მცირე მოცულობისაა, რომ მისი აქ მოყვანა

შესაძლებელიცაა და საინტერესოც.

"საქართველოს პარლამენტის დადგენილება 2012-2014 წლების ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ. საქართველოს პარლამენტი ადგენს:

განისაზღვროს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წარმოდგენილი 2012-2014 წლების ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები:

1. 2012-2014 წლებისათვის ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი შეადგენს 6 პროცენტს.

2. საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის შენარჩუნების მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2012-2014 წლების განმავლობაში ძირითადად გამოყენებული იქნება მონეტარული პოლიტიკის შემდეგი ინსტრუმენტები: რეფინანსირების სესხები, სადეპოზიტო სერტიფიკატები, ოპერაციები მთავრობის ფასიანი ქაღალდებით, სავალუტო ინტერვენციები, მუდმივმოქმედი ინსტრუმენტები, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები და სხვა ინსტრუმენტები.

3. 2012-2014 წლების განმავლობაში სამომხმარებლო ფასების მოსალოდნელ დინამიკაზე მოქმედი რისკები ძირითადად არის ნავთობსა და საკვებზე მსოფლიო ფასების ცვლილება, გეოპოლიტიკური რისკების ცვლილება, რეგულირებადი ფასების ცვლილება, ინფლაციის იმპორტი ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან და სხვა. ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა არ მოახდენს რეაგირებას გარეგანი ფაქტორების შედეგად ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლიდან დროებით გადახრისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც

გადახრა იმდენად ძლიერია, რომ გავლენას ახდენს ინფლაციაზე მოქმედ ფუნდამენტურ ფაქტორებზე (ინფლაციის მოლოდინი, მშპ-ს პოტენციური დონიდან გადახრა)."

ანალოგიური შინაარსისაა 2010 წელს დამტკიცებული 2011-2013 წლების ძირითადი მიმართულებები, 2009 წელს დამტკიცებული 2010-2012 წლების ძირითადი მიმართულებები, 2008 წელს დამტკიცებული 2009 წლის ძირითადი მიმართულებები. პრაქტიკულად, უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში და სამომავლოდ 2015 წლამდე, ანუ 8 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკი ერთი და იგივე უსახურ და არაფრისმთქმელ ტექსტს წარადგენს პარლამენტში დასამტკიცებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ ფართო საზოგადოებისთვის უცნობია, აქვს თუ არა ეროვნულ ბანკს შემუშავებული ის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა, რომლის ძირითად მიმართულებებს წარუდგენს იგი საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად. რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს რამდენიმე აბზაცი არის ქვეყნის ეკონომიკის მართვის პრინციპების ერთადერთი დოკუმენტი. ეს პრინციპები კი, როგორც ჩანს დოკუმენტიდან, არის პოლიტიკის განხორციელების ინსტრუმენტების ჩამონათვალი, ფაქტობრივად უარის თქმა ინფლაციის რეგულირებაზე და იმედროულად ინფლაციის 6% სასურველი დონის დეკლარირება. ამასთან, რა გაანგარიშებებისა და მოსაზრებების საფუძველზე ეროვნულმა ბანკმა მიიჩნია ინფლაციის 6%-იანი დონე ოპტიმალურად ასევე უცნობია ფართო საზოგადოებისთვის.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სავალუტო რისკების მართვის ზოგიერთი ასპექტები საქართველოში

(ჩრევაი კომერციული ბანკის მომხმარებლებს)

ნებისმიერი საბანკო პროდუქტით სარგებლობისას არსებობს გარკვეული რისკები, რომელთა გაანალიზება და შეფასება აუცილებლად დაეხმარება ბანკის მომხმარებელს გონივრული გადაწყვეტილების მიღებაში, განსაკუთრებით დეპოზიტით და/ან სესხით სარგებლობის დროს. აღნიშნულ რისკთა კატეგორიას მიეკუთვნება სავალუტო რისკი.

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეული ბანკის უცხოურ ვალუტაში ფორმირებული აქტივების გაუფასურების რისკი, რომელიც საბაზრო რისკის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს.

ჩვენთვის ცნობილია, რომ ზოგადად რისკი არის ბუნებრივი მოვლენებისა და ადამიანთა ქმედების კვალობაზე წინასწარ გათვლილი და დაგეგმილი საფრთხე, რომელიც ნებისმიერ ეკონომიკურ საქმიანობას და ნებისმიერ ჩვენთაგანს ახლავს, ის როგორც სამეურნეო სუბიექტების, ისე სამეურნეო ოჯახის თანმხლები მოვლენაა. რისკის ბუნება რთული ფენომენია, **ობიექტური მიდგომის** მიმდევრები თვლიან, რომ რისკის შედეგების თავიდან აცილების მიზნით ადამიანთა საქმიანობა უპერსპექტივოა, რადგან ბუნების ობიექტურ კანონებთან ბრძოლას აზრი არა აქვს. ამასთან, რისკის მართვის პროცესს ისინი განიხილავენ, როგორც ზარალის დათვლის და მისი კომპენსაციის მეთოდების განსაზღვრის პროცედურას.

მოცემული კონცეფციის თანახმად, ობიექტურობა კატეგორიისა „ეკონომიკური რისკი“, გამოიხატება იმაში, რომ ეს ცნება დაკავშირებულია საზოგადოებრივ ცხოვრებაში რეალურად მომხდარ მოვლენებთან და პროცესებთან. ისინი ადამიანის ნების და ცნობიერებისგან დამოუკიდებლად არსებობენ. იმდენად, რამდენადაც ბევრი პროცესი ობიექტური ეკონომიკური კანონების და კანონზომიერებების ხასიათს ატარებს, რომელთა გავლენის აცილება რთულია, ამიტომ შეუძლებელია რისკის სიტუაციის აცილება.

საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული **სუბიექტური მიდგომა**, იგი

ემყარება თეზისს, რომლის თანახმადაც, **რისკი ყოველთვის სუბიექტურია, იმდენად რამდენადაც გვევლინება, როგორც შესაძლო ალტერნატივათა გათვალისწინებით მოვლენის, როგორც გაცნობიერებული არჩევანის შეფასება ადამიანის (სუბიექტის) მიერ.** ამ თვალსაზრისით რისკის გამოვლინება კავშირშია ადამიანის ნებასა და ცნობიერებასთან და შესაბამისად სუბიექტურ ხასიათს ატარებს. მოცემული პოზიციის მიმდევართა აზრით, რისკი ყოველთვის გულისხმობს მმართველობითი გადაწყვეტილებების გარკვეული ალტერნატიული ვარიანტიდან არჩევანის შესაძლებლობას და მათი განხორციელების ალბათობის გამოთვლის აუცილებლობას. გარდა ამისა, რისკის ერთსადაიმთავე სიდიდეს ადამიანები სხვადასხვაგვარად აღიქვამენ სხვადასხვა ფსიქოლოგიური მოტივების, ორიენტირების და სტერეოტიპების გამო. ამაში გამოიხატება მისი სუბიექტური მხარე.

შერეული, ანუ ობიექტურ-სუბიექტური მიდგომა თავის თავში აერთიანებს ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციებს. რისკის ობიექტურ-სუბიექტური ბუნება აიხსნება იმით, რომ მისი წარმოშობა ხდება როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ხასიათის პროცესებით, რომელთა ზემოქმედების ხარისხი ადამიანის ნებაზე არ არის დამოკიდებული. რისკის არსში მისი ორი საწყისის გააზრება საშუალებას იძლევა ავირჩიოთ უფრო ეფექტური ხერხები და მეთოდები,



ნანა შონია

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის ასოც. პროფესორი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტი

რომლებიც პრაქტიკაში რისკისა და გაურკვევლობის პირობებში გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ოპტიმიზაციას ახდენენ.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე სავალუტო რისკის ბუნებაც რთულ ფენომენს წარმოადგენს, მაგრამ არსებობს მისი მართვის სხვადასხვა მეთოდები. სანამ აღნიშნულზე ვისაუბრებდეთ, მინდა კომერციული ბანკისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების პოტენციური კლიენტების საყურადღებოდ განვიხილო სავალუტო რისკების შესაძლო მაგალითები სესხის აღებისა და დეპოზიტების განთავსების შემთხვევაში:

ამერიკის შეერთებული შტატების დოლარით ან ევროთი სესხის აღების დროს ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა ლარით გამოხატული შენატანები მნიშვნელოვნად გაზარდოს. ლარის შესაძლო გაუფასურების შემთხვევაში კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე მაღალი იქნება. მაგალითად, თქვენ აიღეთ სესხი აშშ დოლარში ერთი წლის ვადით, წლიური საპროცენტო განაკვეთია

თარიღი	სესხისთანხადოლარში	სესხისთანხადოლარში
1/1/2013	1000	1700
	ყოველთვიური გადასახდელი თანხა დოლარში	ყოველთვიური გადასახდელი თანხა ლარში კურსის 15%-იანი გაუფასურების შემთხვევაში
2/1/2012	92.63	159.48
3/1/2012	92.63	161.30
4/1/2012	92.63	163.30
5/1/2012	92.63	165.24
6/1/2012	92.63	167.25
7/1/2012	92.63	169.19
8/1/2012	92.63	171.20
9/1/2012	92.63	173.20
10/1/2012	92.63	175.15
11/1/2012	92.63	177.15
12/1/2012	92.63	179.09
1/1/2013	92.63	181.10
ეფექტური საპროცენტო განაკვეთი*	22.0%	40.8%

შენიშვნა: * - კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომლის გამოთვლისას გათვალისწინებულია ყველა აუცილებელი ფინანსური ხარჯი და ამ ხარჯების გაწვევის პერიოდი; **დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი** არის საპროცენტო განაკვეთი, რომლის გამოთვლისას გათვალისწინებულია ყველა აუცილებელი ფინანსური ხარჯი, მიღებული/მისაღები სარგებელი და აღნიშნული ხარჯების გაწვევისა და სარგებლის მიღების პერიოდი.

20%, თანხას ფარავთ ყოველთვიური თანაბარი შენატანებით. თუ სესხის მოქმედების პერიოდში მოხდა ლარის 15%-იანი თანაბარი გაუფასურება, მაშინ ლარში დათვლილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი იქნება 40.8% (იხ. №1 ცხრილი).

მაგალითად, სავალუტო კურსი სესხის აღებისას არის 1 აშშ დოლარი = 1.7 ლარი და სესხის სანციის თანხაა 1000 აშშ დოლარი, შესაბამისი ექვივალენტი ლარში იქნება 1700 ლარი.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვიური გადასახდელი თანხა აშშ დოლარში ფიქსირებულია და შეადგენს 92.63 აშშ დოლარს, კურსის 15%-იანი თანაბარი გაუფასურების პირობებში ლარით გამოხატული თქვენი ყოველთვიური შენატანი მუდმივად იზრდება (იხ. №1 ცხრილი). შესაბამისად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ლარში მნიშვნელოვნად მაღალია და შეადგენს 40.8%-ს.

დეპოზიტის განთავსების დროს ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა ლარით გამოხატული სარგებელი მნიშვნელოვნად შეამციროს. ლარის შესაძლო გამყარების შემთხვევაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე ნაკლები იქნება, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოში დღემდე დეპოზიტების დაზღვევა არ ხდება.

მაგალითად, თქვენ განათავსეთ დეპოზიტი აშშ დოლარში ერთი წლით, წლიური საპროცენტო განაკვეთია 10%, რომელიც ერიცხება ვადის ბოლოს. თუ დეპოზიტის მოქმედების პერიოდში მოხდა ლარის 15%-იანი გამყარება, მაშინ ლარში დათვლილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი იქნება (-6.5%).

უფრო კონკრეტულად, თუ, მაგალითად, სავალუტო კურსი დეპოზიტის განთავსებისას არის 1 აშშ დოლარი = 1.7 ლარი და დეპოზიტის

სანციის თანხაა 1000 აშშ დოლარი, შესაბამისი ექვივალენტი ლარში იქნება 1700 ლარი.

კურსი ვადის ბოლოს ლარის 15%-იანი გამყარების შემთხვევაში იქნება 1 აშშ დოლარი = 1.445 ლარი.

დეპოზიტის თანხა + დარიცხული სარგებელი ვადის ბოლოს იქნება 1100 აშშ დოლარი, ხოლო ექვივალენტი ლარში 1589.50 ლარი. შესაბამისად, ვადის ბოლოს თქვენი სარგებელი ლარში შეადგენს (-110.50) ლარს.

ეს რაც შეეხებოდა რეალურ მაგალითებს, რომელსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ვაწყდებით საქართველოში. თუმცა, არსებობს ზემოთ ხსენებული სავალუტო რისკების მართვის აპრობირებული მეთოდები, რომლებიც ჩვენი ქვეყნისათვის ინოვაციას წარმოადგენენ. როგორც ცნობილია, სავალუტო რისკი ქმნის საბოლოო ფინანსური შედეგის გაურკვევლობას განსაკუთრებით ექსპორტიორებისა

საბანკო საქმე

და იმპორტიორებისთვის. აქედან გამომდინარე, მათ არ შეუძლიათ ზუსტად გაითვალისწინონ სავალუტო რისკი პროდუქციის ფასნარმოქმნისას, რაც ართულებს ბიზნესდაგეგმარების პროცესს, მაგრამ არსებობს სავალუტო რისკის შემცირების საშუალება, ეგრეთწოდებული „ჰეჯირება“, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს ბიზნეს პროცესების შესაბამისი ორგანიზებით, ისე რომ კომპანიამ მაქსიმალურად აარიდოს თავი სავალუტო რისკებს ან სხვადასხვა ფინანსური ინტრუმენტების გამოყენებით. ანუ სავალუტო რისკის ჰეჯირების ძირითადი მიზანია, თავიდან იქნას აცილებული გაცვლითი კურსის რყევებისგან გამონვეული გაურკვევლობები. სავალუტო ჰეჯირება საშუალებას აძლევს იმპორტიორებსა და ექსპორტიორებს:

- სწორად განსაზღვრონ მომავალი ფულადი ნაკადების ხვადასხვა ვალუტით;
- განსაზღვრონ ისეთი ფასები, რომელიც ბიზნესგეგმით იყო გათვალისწინებული;
- შეინარჩუნონ საოპერაციო სტაბილურობა;
- ფოკუსირება გააკეთონ თავიანთ ძირითად საქმიანობაზე.

სავალუტო რისკების ჰეჯირების საუკეთესო საშუალებაა **„ბუნებრივი ჰეჯირება“**. ბუნებრივი ჰეჯირება არის ბიზნესპროცესების

ისეთი დაგეგმარება-ნარმართვა, რომ კომპანიის ფულადი ნაკადების მოცულობა (შემოსავლები და ხარჯები) ვალუტების მიხედვით სრულად, ან მაქსიმალურად სრულად შეესაბამება ერთმანეთს და ამგვარად აცილებულია ან მინიმუმამდეა დაყვანილი სავალუტო რისკი. ბუნებრივი ჰეჯირების უპირატესობა არის ის, რომ არ საჭიროებს დამატებით დანახარჯებს და პირდაპირ უკავშირდება კომპანიის ბიზნესპროცესებს. თუმცა, ყველა კომპანიას არ აქვს საშუალება, ასეთი მოქმედებით დაიცვას თავი სავალუტო რისკისგან.

კომპანიებს, რომლებსაც არ შეუძლიათ ბუნებრივი ჰეჯირების საშუალებით დაიცვან თავი სავალუტო რისკისგან, მიმართავენ სავალუტო რისკის ჰეჯირების სხვა ინსტრუმენტებს, კერძოდ: სავალუტო კონტრაქტებს, რომლის საშუალებით ისინი მომავალში იყიდნიან, ან გაყიდიან უცხოურ ვალუტას წინასწარ შეთანხმებული გაცვლითი კურსით წინასწარ შეთანხმებულ თარიღზე. ვალუტის ყიდვისა და გაყიდვის სხვადასხვა სავალუტო კონტრაქტები წარმოადგენენ ფინანსურ ინსტრუმენტებს, ე.წ. სავალუტო ნარმოებულებს (დერივატივებს). სავალუტო ფინანსურ ინსტრუმენტებს განეკუთვნება: სავალუტო ფორვარდები, ოპციონები, სვოპები. აღნიშნული ინსტრუმენტების შეთავაზება ხდება ძირითადად

ბანკების მიერ.

სავალუტო ფორვარდი - კონტრაქტი, რომლის მიხედვით ერთი მხარე ყიდულობს მეორე მხარისგან ერთ კონკრეტულ ვალუტას მეორე კონკრეტული ვალუტის სანაცვლოდ წინასწარ შეთანხმებული გაცვლითი კურსით, წინასწარ შეთანხმებულ თარიღზე.

სავალუტო სვოპი — ორი ვალუტის ერთდროულად ყიდვა და გაყიდვა მხარეებს შორის წინასწარ შეთანხმებული გაცვლითი კურსით, სხვადასხვა ანგარიშსწორების თარიღებზე.

სავალუტო ოფციონები — ოფციონის მყიდველს ეძლევა უფლება (და არა ვალდებულება), რომ იყიდოს, ან გაყიდოს კონკრეტული ვალუტა წინასწარ შეთანხმებული კურსით წინასწარ შეთანხმებულ დროის პერიოდში, ან წინასწარ შეთანხმებულ თარიღზე, რისთვისაც ოფციონის მყიდველი იხდის შესაბამის ფასს.

ჩემს მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში სავალუტო რისკების მართვის ინსტრუმენტებს მხოლოდ რამოდენიმე კომერციული ბანკი სთავაზობს კლიენტებს - სს „თიბისი ბანკი“, სს „ბანკი რესპუბლიკა“, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ და სს „საქართველოს ბანკი“, შესაბამისად, რეალური მომხმარებლების რაოდენობაც ძალიან მცირეა. კვლევისას გამოიკვეთა ორი ძირითადი მიზეზი - **ინფორმაციული**



ვაკუუმში „ჰეჯირების არისი“ შესახებ და ჰეჯირების ფასი. კერძოდ, გამოიკითხა სხვადასხვა კომერციული ბანკის 260 კლიენტი (როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირი), 86%-ი საერთოდ ვერ ერკვევა სავალუტო რისკების მართვის საკითხებში, 12%-მა იცის რომ საფრთხის ნინაშე დგას, მაგრამ კიდევ დამატებით ფულის გადახდას, ანუ ჰეჯირების ღირებულების გადახდას ურჩევნია დაზღვევის გარეშე ისარგებლოს და მხოლოდ 2%(იურიდიული პირები) სარგებლობს ჰეჯირებით.

უნდა აღინიშნოს, რომ კომერციული ბანკების მიერ შეთავაზებული სავალუტო რისკის მართვის ინსტრუმენტები წარმოადგენენ საბანკო დაზღვევის ერთ-ერთ პროდუქტს, რომელსაც კონკრეტული ფასი გააჩნია, თუნდაც სავალუტო ფორვარდული გაცვლითი კურსის გამოთვლა ხდება შესაბამისი კალკულაციის საფუძველზე. ფორვარდული კურსი დამოკიდებულია შესასყიდი/გასაყიდი ვალუტის მიმდინარე გაცვლით კურსზე და ამ ორი ვალუტის საპროცენტო განაკვეთების სხვაობაზე. მაგალითად, თუ საპროცენტო განაკვეთები უცხოურ ვალუტაზე ნაკლებია ლარის საპროცენტო განაკვეთებზე, უცხოური ვალუტის მყიდველს მომავალში შეუძლია იყიდოს ეს ვალუტა მიმდინარე კურსზე უფრო მაღალი კურსით. თუ საპროცენტო განაკვეთები უცხოურ ვალუტაზე მაღალი აღარის საპროცენტო განაკვეთებზე, უცხოური ვალუტის მყიდველს მომავალში შეუძლია იყიდოს ეს ვალუტა მიმდინარე კურსზე უფრო დაბალი კურსით. ანუ, ფორვარდული კურსი შესაძლოა გამოითვალოს შემდეგი ფორმულით:

$$F = S * \frac{1 + 0.01 * Rd * D/360}{1 + 0.01 * Rf * D/360}$$

- F** — ფორვარდული კურსი;
- S** — სპოტური კურსი (კონტრაქტის დადების დღეს არსებული);
- Rd** — წლიური საპროცენტო განაკვეთი ეროვნული ვალუტით;
- Rf** — წლიური საპროცენტო განაკვეთი უცხოური ვალუტით;
- D** — ფორვარდის ვადიანობა (დღე).

ფორვარდული კურსი არ წარმოადგენს კონკრეტულ ვალუტებს შორის

გაცვლითი კურსის პროგნოზს, არამედ ის არის ამ ვალუტების შესაბამისი საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობიდან გამოთვლილი გაცვლითი კურსი.

გარდა ამისა, ფორვარდებით სავალუტო რისკების მართვას გარკვეული ზარალიც ახასიათებს, კერძოდ:

1. უცხოური ვალუტის ფორვარდული შესყიდვის შემთხვევაში, კომპანიას მოუწევს დამატებითი ხარჯების განწევა თუ ვალუტირების დღეს მიმდინარე სავალუტო გაცვლითი კურსი დაბალია წინასწარ შეთანხმებულ ფორვარდულ კურსზე.

2. უცხოური ვალუტის ფორვარდული გაყიდვის შემთხვევაში, კომპანიამ შესაძლოა დაკარგოს პოტენციური მოგება, თუ ვალუტირების დღეს სავალუტო გაცვლითი კურსი მაღალი იქნება წინასწარ შეთანხმებულ ფორვარდულ კურსზე.

ორივე შემთხვევაში ჩანს უცხოური ვალუტის ფორვარდულ ყიდვა/გაყიდვასთან დაკავშირებული ზედმეტი დანახარჯები. თუმცა, ეს არის მცირე ფასი, რომელიც კომპანიებმა შეიძლება გადაიხადონ უსაფრთხოებისა და განუსაზღვრელობის შემცირების

სანაცვლოდ, მაგრამ აღნიშნული „მცირე ფასიც“ საკმაოდ ძვირია ქართველი მომხმარებლისათვის...

გამომდინარე ზემოთ თქმულისა, ბანკის მომხმარებლების ინტერესების დაცვის მიზნით აუცილებელია:

- **კომერციულმა ბანკმა დანვრილებითი ინფორმაცია მიანოდოს თავის მომხმარებლებს სავალუტო რისკებისა და მათი მართვის შესახებ;**

- **დაინერგოს დეპოზიტების დაზღვევის სისტემა საქართველოში;**

- **გაიაფდეს საბანკო კრედიტები შეძლებისდაგვარად.**

და ბოლოს, რჩევები კომერციული ბანკის მომხმარებლებს:

- სანამ გადაწყვეტდეთ საბანკო პროდუქტების შექენას, კარგად გაანალიზეთ რა სახის რისკებთან გექნება საქმე მომავალში;

უმჯობესია გადაიხადოთ უფრო მეტი და ისარგებლოთ სავალუტო რისკების ჰეჯირებით, რადგანაც ჩვენ ვცხოვრობთ საქართველოში, რომლის ერთადერთ კანონიერ საგადამხდელი საშუალებასაც ქვეყნის ეროვნული ვალუტა - ლარი წარმოადგენს.

SOME ASPECTS OF FOREIGN EXCHANGE RISK MANAGEMENT IN GEORGIA
(Recommendations to the Customers of Commercial Bank)

Abstract

Nana Shonia

There are certain risks associated with any bank product. Analyzing and evaluating the risks will definitely help the customers to make rational decisions, especially in case of deposits and/or loans. Foreign exchange risk belongs to such category.

Our study has shown that in Georgia only a few commercial banks offer the tools for foreign exchange risk management to their customers. In particular: JSC 'TBC Bank', JSC 'Bank Republic', JSC 'VTB Bank Georgia' and JSC 'Bank of Georgia'. Respectively, the number of the real users is very small. During the research two main reasons were outlined – the information vacuum concerning the main point and management (hedging) of foreign exchange risks and the cost of hedging.


Based on the abovementioned, in order to protect the interests of customers it is necessary to:

1. provide a customer with the detailed information about foreign exchange risks and their management;
2. introduce deposit insurance system in Georgia;
3. feasibly lower the cost of bank loans.

Recommendations to the customers of commercial banks:

1. before deciding to buy any bank product, it is necessary to analyze the types of risks involved;
2. it is better to pay more and enjoy the benefits of foreign exchange risk hedging, since we live in Georgia where the only legal means for the payment is its national currency - the GEL.

როგორ გავხადოთ კონკურენტუნარიანი საქართველოს საბანკო სისტემა



საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესთან ერთად, საბანკო სექტორის განვითარებაც წინააღმდეგობრივი მოვლენებით ხასიათდება.

უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში საქართველოში ჩამოყალიბდა ორდონიანი საბანკო სისტემა, რომელიც ამჟამად თავისი განვითარების სრულყოფის პროცესში იმყოფება. გარდამავალი ეკონომიკის პირობებში ფულად-საკრედიტო სისტემის რეფორმირების დაჩქარება ეკონომიკის სტაბილიზაციის მიღწევის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა. ამ პრობლემის აქტუალურობას აძლიერებს ის გარემოება, რომ საბანკო სისტემის ჩამოყალიბება-სრულყოფის პროცესი მიმდინარეობს სისტემური ეკონომიკური კრიზისის, მრავალი ნეგატიური მოვლენის პირობებში. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბანკო ზედამხედველობის სისტემის არსებობას და მის ოპტიმალურ რეგულირებას. დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში დიდი ხანია ჩამოყალიბებულია საბანკო ზედამხედველობის ორგანოების და საბანკო აუდიტის ეფექტიანი სტრუქტურა, რომელიც წარმატებით ფუნქციონირებს.

მრავალი ქვეყნის გამოცდილება ცხადყოფს, რომ სწორედ ეფექტიანი საბანკო ზედამხედველობის არსებობა განაპირობებს საბანკო სისტემის ფუნქციონირებაში არასასურველი, ნეგატიური პროცესების შესაძლებლობათა შეზღუდვას. ამასთან, ხაზი უნდა გაფუსვავთ იმას, რომ საბანკო ზედამხედველობის ეფექტიანობა დამოკიდებულია არა მარტო კანონმდებლობისა და ნორმატიული ბაზის განვითარებაზე, არამედ იმაზე, რომელი სახელმწიფო ორგანო ახორციელებს ზედამხედველობას და რაოდენ დამოუკიდებლად ეწევა საქმიანობას ეს ორგანო.

დღეისათვის, საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკაში შეიძლება

გამოიყოს, ორგანიზაციული სტრუქტურითა და ფუნქციებით, ასევე ამ სტრუქტურაში ცენტრალური ბანკის ადგილითა და როლით განსხვავებული საბანკო ზედამხედველობის სამი მოდელი. **პირველ ჯგუფს** მიეკუთვნება ქვეყნები, სადაც საბანკო ზედამხედველობის ფუნქციას ასრულებს ცენტრალური ბანკი (ავსტრალია, ირლანდია, ესპანეთი, ნიდერლანდები, ახალი ზელანდია, პორტუგალია, ჩინეთი). **მეორე ჯგუფს** მიეკუთვნება ის ქვეყნები, რომლებიც გამოირჩევიან იმით, რომ საკრედიტო ორგანიზაციებზე საზედამხედველო საქმიანობას ეწევა ცენტრალური ბანკი, სხვა სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობის საფუძველზე (საფრანგეთი, გერმანია, აშშ, იაპონია, ბელგია, საბერძნეთი, შვეიცარია). **მესამე ჯგუფს** მიეკუთვნება ქვეყნები, რომლებიც საბანკო ზედამხედველობას ახორციელებენ დამოუკიდებლად, ცენტრალური ბანკის მონაწილეობის გარეშე (ინგლისი, დანია, კანადა, ნორვეგია, შვედეთი).

საქართველოს საბანკო სისტემის დღევანდელი პირობებიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მეორე ჯგუფის ქვეყნების საბანკო-საზედამხედველო საქმიანობა, რომელსაც ახორციელებს ცენტრალური ბანკი სხვა ორგანოებთან ერთად. ავიღოთ, მაგალითად, საფრანგეთი, სადაც საკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობაზე ზედამხედველობას წარმართავს საბანკო კანონმდებლობის საფუძველზე რამდენიმე სახელმწიფო ორგანო: საფრანგეთის ცენტრალური ბანკი, საბანკო საქმიანობის რეგლამენტაციის კომიტეტი, საკრედიტო დანე-

სებულებათა კომიტეტი და საბანკო კომისია. საბანკო ზედამხედველობის ორგანოების საერთო საქმიანობას ხელმძღვანელობს საფრანგეთის ცენტრალური ბანკის თავმჯდომარე, რომელსაც პარალელურად წამყვანი თანამდებობები უკავია საბანკო ზედამხედველობის სხვა ორგანოების ხელმძღვანელობაშიც. საბანკო საქმიანობის რეგლამენტაციის კომიტეტი საკრედიტო დანესებულებების ფუნქციონირების წესებს განსაზღვრავს, აწესებს მათი კაპიტალის მოცულობასა და სტრუქტურას, დაკრედიტების პროცესში სხვა დანესებულებათა მონაწილეობის პირობებს, ოპერაციების განხორციელების მეთოდებს, შეიმუშავებს საკრედიტო დანესებულებების გახსნის, ბუღალტრული აღრიცხვისა და მართვის წესებს, ერთ მსესხებელზე გასაცემი თანხის დაკრედიტების ნორმატივებს, ლიკვიდობას და ა. შ. რაც შეეხება საკრედიტო დანესებულებათა კომიტეტს, მისი საქმიანობა შემოსაზღვრულია გადაწყვეტილებათა კონკრეტული მიმართულებით. მის კომპეტენციაში შედის ატესტაციის ჩატარება, მათი ლიცენზირების პროცესის ორგანიზება, საკრედიტო დანესებულებათა გახსნის გადაწყვეტილების მიღება. საბანკო კომისია ძირითადად საფრანგეთის ბანკებისგან დამოუკიდებლად მოქმედებს, მაგრამ თავისი საქმიანობის პროცესში მჭიდრო კავშირშია მასთან. ამ კომისიის სამოქმედო ორგანოები ძირითადად დაკომპლექტებულია ცენტრალური ბანკის თანამშრომლებით. სწორედ საბანკო კომისიას ევალება უშუალოდ საბანკო ზედამხედველობის ფუნქციის შესრულება, რომლის

მოვალეობაში შედის საკრედიტო და-
წესებულებათა საქმიანობის შესწავ-
ლა, მათ საფინანსო მდგომარეობაზე
და ბანკების თანამშრომლების მიერ
პროფესიული ეთიკის დაცვაზე კონ-
ტროლი. კომისია პერიოდულად ანა-
ლიზებს თავის ზედამხედველობაში
მყოფი საბანკო დაწესებულებების
ფინანსური ანგარიშგების მდგომარე-
ობას, ასევე, აწარმოებს ადგილებზე
გასვლით შემოწმებას, რომელიც
ხორციელდება საფრანგეთის ბანკის
გადაწყვეტილების საფუძველზე.

საქართველოში, 2008 წლამდე,
აქტუალური იყო ეროვნული ბანკის
კომერციულ ბანკებზე ზედამხედვე-
ლობის სამმართველოს სტრუქტურის
გაუმჯობესების საკითხი. აღნიშნულ
სამმართველოში გაერთიანებული
იყო ექვსი განყოფილება: **1. ბანკების
ლიცენზირების, 2. მეთოდოლოგიის,
3. ბანკების ანგარიშგების, 4. ბანკე-
ბის ადგილებზე შემოწმების, 5. ბან-
კების ლიკვიდაციის, 6. არასაბანკო
დაწესებულებების ზედამხედველო-
ბის განყოფილებები.** აღნიშნული
სტრუქტურა ნაკლებად ეფექტიანი
იყო, ვინაიდან აერთიანებდა საკმაოდ
ბევრ, შინაარსობრივად სხვადასხვა
ფუნქციას.

2008 წლიდან ეროვნული ბანკის
ზედამხედველობის ფუნქცია გადა-
ეცა ახლადშექმნილ საფინანსო ზე-
დამხედველობის სააგენტოს. მას
დაემატა ფასიანი ქაღალდების კო-
მისიისა და დაზღვევის სახელმწიფო
კომიტეტის რეგულირების ფუნქცია.
მისი ფუნქციონირება რეგულირდე-
ბა საქართველოს ეროვნული ბანკის
ორგანული კანონის მე-8 თავის შე-
საბამისად, რომელიც სრულყოფას
საჭიროებს. მხედველობაში გვაქვს
შემდეგი გარემოება: ამ კანონის 52-ე
მუხლის 1 და მე-4 პუნქტები ერთ-
მანეთს არ შეესაბამება. 1-ლ პუნქ-
ტში აღნიშნულია, რომ საფინანსო
ზედამხედველობის სააგენტო იქ-
მნება ეროვნულ ბანკთან, ხოლო
მე-4 პუნქტში წერია, რომ სააგენ-
ტო დამოუკიდებელი ორგანოა და
არ ექვემდებარება სხვა ორგანოს.
2009 წელს საფინანსო ზედამხედვე-
ლობის სააგენტო ეროვნულ ბანკს
შეუერთდა.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ
მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქარ-
თველოში ამოქმედდეს დეპოზიტების
დაზღვევის სააგენტო, რომელიც

დაიცავს როგორც მენაბრეების,
ისე ბანკების ინტერესებს. ამასთან,
განახორციელებს პრობლემური ბან-
კების დროულ სანაციას და ბანკების
ლიკვიდაციას.

რაც შეეხება ზედამხედველობის
შინაარსობრივ მომენტებს, აუცილე-
ბელია, სააგენტომ განახორციელოს
მეთოდოლოგიური ბაზის სრულყო-
ფის სამუშაოები, როგორც დაწესე-
ბული ნორმატივების და ლიმიტების
გაუმჯობესების, ასევე დღეს მოქმე-
დი ბანკების შემოწმების CAMEL-ის
სარეიტინგო სისტემის დახვეწის
მიმართულებით, ამასთანავე, ზედამ-
ხედველობის სააგენტომ უფრო მეტი
ყურადღება უნდა მიაქციოს საბანკო
რისკების მართვის საკითხებს.

მხარდასაჭერია წინადადება
ეროვნული და კომერციული ბანკე-
ბის საქმიანობის შესახებ კანონების
ახალი რედაქციით შედგენის შესახებ.
უნდა გამარტივდეს, დებულებები
ისე გასაგებად და ცალსახად ჩამო-
ყალიბდეს, რომ არ იწვევდეს აზრთა
სხვადასხვაობას. ასე, მაგალითად,
2001 წლის 23 ოქტომბერს, ეროვნუ-
ლი ბანკის შესახებ საქართველოს
ორგანულ კანონში შეტანილ იქნა
ცვლილებები. განახლებული კანონის
მე-19 მუხლის მე-2 პუნქტში ვკითხუ-
ლობთ: „**აუდიტორული სამსახურის
უფროსს შეუძლია გადადგეს თა-
ნამდებობიდან, რაც არა უგვიანეს
3 თვით ადრე უნდა აცნობოს პრე-
ზიდენტს. ამასთან იგი შეიძლება
გადააყენონ ეროვნული ბანკის
საბჭოს გადაწყვეტილებით მე-11
მუხლში მოცემული ერთი ან რამ-
დენიმე მოთხოვნის საფუძველზე**“.¹
ეს მაშინ, როცა აღნიშნული კანონის
შესაბამისად, მე-11 მუხლი გაუქმე-
ბულია. ასევე, სრულყოფას საჭირო-
ებს საბანკო მენეჯმენტის მეთოდური
სახელმძღვანელო ინსტრუქციები.
მხედველობაში გვაქვს ის გარემოება,
რომ ზოგიერთ შემთხვევაში, არასწო-
რად არის გაგებული მენეჯმენტის
მნიშვნელობა. აღნიშნული ტერმინი
გაიგივებულია მენეჯერთან, კერძოდ
კი – უფროს ხელმძღვანელ მუშაკებ-
თან, რაც დაუსწავლად მიგვაჩნია.
აზრობრივად გაუმართავია შემდეგი
წინადადებები: „**ასეთი შეზღუდვები
მენეჯმენტს მისცემს საკრედიტო
პორტფელის მართვის დამატებით**

1 საკანონმდებლო მაცნე, 1114,
თბილისი, 2001, გვ. 32.

საშუალებას“², „**აიძულებს მენეჯ-
მენტს**“, „**მენეჯმენტის მიერ სეს-
ხების გაცემის პროცედურები**“³,
„**მენეჯმენტი ვალდებულია**“, „**მე-
ნეჯმენტი გაერკვეს**“⁴, „**შემმოწმე-
ბელმა მენეჯმენტს უნდა მისცეს
რეკომენდაცია**“, „**განხილულ უნდა
იქნეს უფროს მენეჯმენტთან შეხ-
ვედრისას**“⁵, „**მენეჯმენტმა უნდა
წარმოადგინოს იმ ანგარიშთა სია**“⁶,
„**უფროსი მენეჯმენტი**“, „**ბანკის მე-
ნეჯმენტის დაპირებები**“, „**მენეჯ-
მენტის ხელფასები**“, „**მენეჯმენტის
ანგარიშგება**“ და ა. შ.

ამასთან, დიდი მნიშვნელობა
ენიჭება საფინანსო ზედამხედვე-
ლობის სააგენტოს კვალიფიციური
კადრებით დაკომპლექტებას, ვინაი-
დან კომერციული ბანკების ზედამ-
ხედველობის გაუმჯობესება მნიშ-
ვნელოვნად არის დამოკიდებული
სააგენტოს მიერ განხორციელებულ
პოლიტიკაზე, რომელმაც უნდა უზ-
რუნველყოს საბანკო კანონმდებ-
ლობის სრულყოფა, კომპლექსური
მენეჯმენტის დანერგვა, ინოვაციური
სფეროს გაფართოება, ზედამხედ-
ველობის ფუნქციის გაუმჯობესება,
კომერციული ბანკების საიმედოობის
სრულყოფა ანაბრების დაზღვევის
მექანიზმის ფორმირებით, აქტივების
მართვის მეთოდების დანერგვა, რაც
საქართველოს კომერციულ ბანკებს
შესაძლებლობას მისცემს გააუმ-
ჯობესონ აქტივების და პასივების
სტრუქტურის ხარისხი და ამასთან,
ბაზარზე მოძებნონ უფრო მომგები-
ანი სეგმენტები.

ჩვენს მიერ განხილული პრობ-
ლემების წარმატებით გადაწყვეტის
მიზნით, საფინანსო ზედამხედველო-
ბის სააგენტომ თავისი საქმიანობა
ისე უნდა წარმართოს, რომ ხელი
შეუწყოს ქვეყნის საბანკო სისტემის
სრულყოფას. მეცნიერ-ეკონომის-
ტთა გარკვეული ნაწილის აზრით,
**ჯერ მსოფლიოს არ შეუქმნია მო-
საწონი საგადასახადო-საბიუჯეტო
მოდელი. აღნიშნული მოსაზრება
ვრცელდება საქართველოს საგა-**

2 კომერციული ბანკის ზედა-
მხედველობა-რეგულირების მეთო-
დოლოგიური სახელმძღვანელო, საქ-
ართველოს ეროვნული ბანკი, თბ.,
1999, გვ. 19.

3 იქვე, გვ. 31

4 იქვე, გვ. 55

5 იქვე, გვ. 71

6 იქვე, გვ. 76

საბანკო საქმე

დასახადო-საბიუჯეტო სისტემაზე ჩვენის აზრით, საბანკო სფეროში, ამ მხრივ, ბევრად უკეთესი მდგომარეობაა, ვინაიდან, უკვე კარგა ხანია, რაც მსოფლიოს ქვეყნებისათვის აღმართულია მძიმე ეკონომიკური კრიზისი, რაც განვითარებად ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს, საშუალებას აძლევს გადმოიღონ მათი გამოცდილება და დაწინაურდნენ ეროვნული ტრადიციების გათვალისწინებით. ამ მხრივ, პირველ რიგში ჩვენს ყურადღებას იპყრობს აშშ-ს საბანკო სისტემა. როგორც თავად, ამერიკელები აღნიშნავენ, მათ აქვთ „უნივერსალური საბანკო სისტემა, უცუდე სიბრტე პოლიტიკით“.¹ „უნივერსალურობაში“ ისინი გულისხმობენ იმ გარემოებას, რომ მათ ბანკებს შეუძლიათ 100-ზე მეტი ოპერაციის შესრულება, ხოლო „უცუდე სისტემაში“ – კონგრესის მხრიდან საკანონმდებლო შეზღუდვებს. ჩვენს ქვეყანაში, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამერიკის საბანკო სისტემის გამოცდილების გათვალისწინება, რათქმა უნდა, ეროვნულ ტრადიციებთან შეხამებით.

საქართველოს საბანკო სისტემის კონკურენტუნარიანობის სრულყოფის მიზნით, უპირველეს ყოვლისა, მხარდასაჭერია წინადადება ქართულ კომერციულ ბანკებში ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე აპრობირებული აქტივების და პასივების მართვის მოდელების დანერგვის შესახებ.

აქტივების განაწილების მოდელის მიხედვით, ბანკისთვის აუცილებელი ლიკვიდური სახსრების მოცულობა დამოკიდებულია ფონდების მოზიდვის წყაროებზე. საქართველოს კომერციულ ბანკებში წარმოდგენილი მოდელის გამოყენება საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ რეზერვების ნორმები და მათი მიმოქცევის სისწრაფე. მოდელი განსაზღვრავს „ლიკვიდობა-მომგებიანობის“ რამდენიმე ცენტრს, თვით ბანკის შიგნით. თითქოს, ბანკში არსებობს მოთხოვნამდე, შემნახველი, ვადიანი ანაბრების და ძირითადი კაპიტალის ბანკი. ბანკის ხელმძღვანელობამ უნდა განსაზღვროს მათი განთავსების წესი ყოველი ცენტრიდან. აღნიშნუ-



ლი მოდელის დადებითი მხარეა ის, რომ ასეთი პრინციპით მუშაობისას შესაძლებელია ლიკვიდობის შენარჩუნებისთვის საჭირო რესურსების შედარებით ზუსტად დადგენა.

საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტომ უნდა გაითვალისწინოს ამერიკული გამოცდილება ინოვაციური მენეჯმენტის განხორციელებაშიც, ვინაიდან აღნიშნულ სფეროში ამერიკის საბანკო სისტემა ერთ-ერთი მოწინავეა, რაც გამომწვეულია იმით, რომ ჯერ კიდევ პირველი კოლონიების შექმნისას ამერიკის კონტინენტზე, ისეთივე თავისუფლად ხდებოდა ბანკების ჩამოყალიბება, როგორც სამეწარმეო ფირმების შექმნა. არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ თითქმის ყველა ახალი საბანკო პროდუქტი ჯერ აშშ-ში იქმნება და შემდეგ ვრცელდება ევროპასა და აზიაში.

აღნიშნული შეეხება დეპოზიტების დაზღვევის კორპორაციასაც, რომელიც, პირველად მსოფლიოში, შეიქმნა ამერიკაში, 1934 წლის 1 იანვარს და დღესაც იგივე პრინციპებით ფუნქციონირებს, როგორც შექმნილს. კერძოდ, დაზღვეული დეპოზიტების მქონე ბანკი კორპორაციას უხდის ანაბრების საშუალო წლიური ნაშთის 1/12-ს ყოველთვიურად, რაც 100 ათას დოლარზე შეადგენს 85 დოლარს. სამაგიეროდ, ბანკის გაკოტრების შემთხვევაში კორპორაცია თითოეულ მესაბრეს უბრუნებს ერთი ანგარიშიდან თანხას 100 დოლარის ფარგლებში სრულად, პროცენტებთან ერთად. ანალოგიურად, საქართველოში უნდა შექმნას დეპოზიტების დაზღვევის კორპორაცია, რომელიც დააზღვევს ბანკში განთავსებულ თანხას მინიმუმ 10 ათასი დოლარის ოდენობით მაინც, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის მოსახლეობის დანაზოგების ბანკებში განთავსებას, ეს კი ქვეყნის ეკონომიკის განხორციელების საფუძველი იქნება.

ასევე, აშშ არის სამშობლო ისეთ საბანკო პროდუქტებისა, როგორიცაა: „ვესტერნ იუნინის“ მომსახურება, რომელსაც 100 წლოვანი ისტორია აქვს, ასევე, ასწლოვანი ისტორია აქვს ლიზინგს და ფაქტორინგს. პირველი ქალაქის ფული, ჩინეთის შემდეგ, სწორედ აშშ-ში გამოუშვეს 1690 წელს, მასაჩუსეტის შტატის ქალაქბოსტონში. ამერიკაში შეიქმნა

¹ Рид Э. и др. Коммерческие банки, М., Прогресс, 1991. с. 33.



პირველი საკრედიტო ბარათებიც, აგრეთვე, საანგარიშსწორებო პალატა, რომლის ფუნქციონირება მიმოქცევისთვის აუცილებელი ნაღდი ფულის წარმოქმნამდე შემცირების საშუალებას იძლევა, რაც ეროვნული ვალუტის სიმტკიცეზე მოქმედი ერთ-ერთი ფაქტორია. ამერიკული წარმომავლობისაა შემდეგი შეღავათიანი პროდუქტები: საბ-

ლანკო და მოთხოვნამდე კრედიტი, ნაუ-ანგარიში, დეპოზიტური სერთიფიკატი, ფაქტორინგი, ლიზინგი და ა.შ., რომელთა დაწესება ქართულ კომერციულ ბანკებს საშუალებას მისცემს შეინარჩუნონ ძველი და მოიზიდონ ახალი კლიენტები.

და ბოლოს, ჩვენს შეხედულებას ადასტურებს ის გარემოება, რომ იაპონიის საბანკო სისტემის გაძლი-

ერება მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში განაპირობა იმან, რომ იაპონელებმა შეძლეს თავიანთ ქვეყანაში დაენერგათ ამერიკელი კოლეგების წარმატებები.

ჩვენს მიერ გაანალიზებული იქნა საქართველოს კომერციული ბანკების ეფექტიანობის მაჩვენებლები რეტროსპექტივაში. 1998 წლიდან შეიმჩნევა პოზიტიური დინამიკა,

ცხრილი 1.

საქართველოს კომერციული ბანკების საქმიანობის ეფექტიანობის დინამიკა 1995-2011 წლებში პროცენტებში¹

წლების დასახელება	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2007	2008	2009	2010	2011
ეფექტიანობის კოეფიციენტი მოგება/აქტივები ROA	-2.5	- 1.4	- 1.2	1.2	2.2	- 1.2	1.6	1.9	1.1	0.2	1.3	1.9
ეფექტიანობის კოეფიციენტი მოგება/კაპიტალი ROE	15.1	-5.4	- 4.1	-3.9	6.4	-4.0	5.2	9.6	6.1	9.9	7.7	12.1

¹ ეფექტიანობის მაჩვენებლები გათვლილია საქართველოს საბანკო სექტორის კრედიტითი აქტივებისა და პასივების საფუძველზე

საბანკო საქმე

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 2000 წელს კვლავ ნეგატიური ტენდენცია აღინიშნა. 1999 წელი კი ყველაზე ეფექტიანი იყო, როგორც წინა პერიოდთან, ისე შემდგომ წლებთან შედარებით. აღნიშნულ წელს ეფექტიანობის მაჩვენებელი, გაანგარიშებული მოგების შეფარდებით აქტივებთან – ROA 2,2%, ხოლო გაანგარიშებული მოგების შეფარდებით კაპიტალთან – ROE 6,4%, რაც აღემატებოდა 1995 წელს, შესაბამისად, 15 და 2,5%-ით, ხოლო 2001 წელს 0,6% და 1,2%-ით. 2008 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ROA შეადგენდა 1,9%, ხოლო ROE – 9,6%. 2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ROA შეადგენდა 1,1%, ხოლო ROE – 6,1%, რაც ბევრად ნაკლებია, როგორც წინა წლის, ისე წინა პერიოდის მაჩვენებლებთან შედარებით. 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ROA შეადგენდა 0,2%, რაც, ასევე, ძალიან შემცირებულია არა მარტო წინა წლებთან შედარებით, არამედ წინა პერიოდთან შედარებითაც, ხოლო ROE – 9,9%, რაც აღემატება როგორც წინა წლებს, ისე მომდევნო წელს. 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ROA შეადგენდა 1,3%, ხოლო ROE – 7,7%, რაც ბევრად ნაკლებია, როგორც წინა წლის, ისე წინა პერიოდის მაჩვენებლებთან შედარებით. 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ROA შეადგენდა 1,9%, ხოლო ROE – 12,1%, რაც შესაბამისად 0,6 და 4,4%-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებლებს. (იხ. ცხრილი 1).

ცხრილში მოცემული მაჩვენებლები ადასტურებს, რომ ქართული კომერციული ბანკების გარკვეული ნაწილის ხელმძღვანელობა ისე ვერ მართავს საბანკო რისკებს, რომ, ერთის მხრივ, არ შემცირდეს მომგებიანობა და, მეორე მხრივ, შენარჩუნებულ იქნას ლიკვიდობის სათანადო დონე.

2012 წლის 1 იანვრის მონაცემებით საქართველოს კომერციული ბანკების აქტივები 11 მლრდ. 837 მლნ. ლარია, სააქციო კაპიტალი 1 მლრდ. 942 მლნ. ლარს შეადგენს, განაღდებული საწესდებო კაპიტალი 779 მლნ. ლარია, კაპიტალის რეზერვები – 928 მლნ. ლარი, გაუნაწილებელი მოგება – 235 მლნ. ლარი, ბანკების დეპოზიტები – 574 მლნ. ლარი, არასაბანკო დეპოზიტები – 6 მლრდ. 168 მლნ. ლარი, იურიდიუ-

ლი პირების დეპოზიტები – 808 მლნ. ლარი, ფიზიკური პირების დეპოზიტები – 2 მლრდ. 360 მლნ. ლარი, სამთავრობო დეპოზიტები – 316 მლნ. ლარი, ნაღდი ფულადი სახსრები – 472 მლნ. ლარი, ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე – 1 მლრდ. 814 მლნ. ლარი, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები – 983 მლნ. ლარი, წმინდა სესხები – 6 მლრდ. 896 მლნ. ლარი, სამეწარმეო სექტორსა და შინამეურნეობაზე გაცემული სესხები – 7 მლრდ. 453 მლნ. ლარი, სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვები – 588 მლნ. ლარი. მისაღები პროცენტები და დივიდენდები – 104 მლნ.

ლარი, ინვესტიციები საწესდებო კაპიტალში – 278 მლნ. ლარი.

აღნიშნული მაჩვენებლები არ ნიშნავს იმას, რომ ქართულმა კომერციულმა ბანკებმა მიაღწიეს კონკურენტუნარიანობის სრულყოფილ დონეს. ბანკების ხელმძღვანელებს და მენეჯერთა გუნდს ჯერ კიდევ ბევრი აქვთ გასაკეთებელი იმისათვის რომ მათი ბანკები გახდეს საერთაშორისო საბანკო სისტემის კონკურენტუნარიანი წევრები.

ციური ოკრუაშვილი
სდასუ ასოცირებული
პროფესორი

FOR COMPETITION IMPROVEMENT IN GEORGIAN BANKING SYSTEM

Ciuri Ogruashili
SDASU Profesor

Resume

In order to take an active part in the world economic development processes it is necessary for Georgia to form stable banking system. Transition on market economy raises questions of deep reformation in banking system

Despite of the fact that Georgia was not prepared to those changes that took place at the end of XX century, in country was adopted: new banking law, regulation and supervising system of banking (were implemented International Financial reporting Standards IAS, IFRS) was created new methodology of risk assessment and etc.

Despite of positive tendencies, there are a lot of things to be done in banking system: 1) to perfect banking law. 2) To implement complex management 3) To broaden innovation sphere 4) To increase supervision function of National Bank. 5) To provide stability of commercial banks, with forming deposit insurance system 6) To implement asset management system. 7) To create marketing services.

Implementation of above mentioned conditions will enable commercial banks to improve their asset and liability structure on market. To find more profitable market segment. All these will give them opportunity to function in a competitive environment.

In the research author discusse the improvement of innovative management in the Georgian banking system. Development of banking system is impossible without the using of innovations. XXI century is the period of implementing new bank services and conducting new experiments in the sphere of finance. Modern innovative development must include management in the world and also in Georgia. Development of innovative management enables us to make new conclusions and to get more generalized results.

For Georgian banks it's important to increase the quality of offered service permanently and share the western experience creatively in this sphere.

According to the data, on the modern stage there are about 300 kinds of banking services in Georgia. In Russia are 70 of them and in Georgia about 30. Thus there are unused resources in this sphere. We reckon rational first of all to form the system of deposit insurance (in the form of corporation), to implement categories such as: deposit certificate, blank credit and credit at short notice, new account, factoring, leasing and etc.

ვის სჭირდება ბუღალტრული აღრიცხვა?



ხშირად ჰგონიათ, რომ ბუღალტრულ აღრიცხვასთან საქმე მხოლოდ პროფესიონალ აღმრიცხველებს აქვთ, სინამდვილეში კი, თითქმის ყველას შეეხება აქვს აღრიცხვასთან, რაც თითოეული მოქალაქისთვის განსაზღვრული დოზით ბუღალტრული ჩიკონდის მიღების აუცილებლობას განაპირობებს. განსაკუთრებით ეს ეხებათ ბიზნესმენებს, რათა შეძლონ ბუღალტრული ინფორმაციის საფუძველზე სწორად წარმართონ თავიანთი საწარმოს საქმიანობა.

საწარმოს მართვის კულტურა მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ შევძლოთ კლიენტების მოზიდვა, პატიოსნად მოვექცეთ პარტნიორებს, არამედ უფრო მნიშვნელოვანია ფულადი სახსრების და სხვა რესურსების რაციონალურად გამოყენების და ბუღალტრული აღრიცხვის აკურატულად წარმოების ცოდნა.

ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების დაცვა და საწარმოს საქმიანობის ფინანსური ანალიზი ნებისმიერი ბიზნესის წარმატების აუცილებელი პირობაა.

ბუღალტრული აღრიცხვის ცოდნა აუცილებელია არა მარტო ბუღალტრებისთვის, არამედ საწარმოს ხელმძღვანელებისთვისაც, რათა მათ უფრო სწორი გადაწყვეტილების მიღება შეძლონ.

ბუღალტრული აღრიცხვა, ისევე როგორც ყველა სხვა ინფორმაციული სისტემა, იძლევა რაციონალური მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისათვის აუცილებელ მონაცემებს. იგი არის დამაკავშირებელი რგოლი ბიზნეს-საქმიანობასა და ადამიანს შორის, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს ამ საქმიანობის შესახებ.

ბუღალტრული აღრიცხვა – ესაა ინფორმაციული სისტემა, რომელიც იღებს, ამუშავებს და გადასცემს ფინანსურ ინფორმაციას მოცემული საწარმოს ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.

ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა აგებულია შემდეგ პრინციპებზე:

1. უტყუარობა, რომელიც უზრუნველყოფილია ბუღალტრული ჩანაწერების წარმოების აკურატულობით.

2. თანმიმდევრობა, რომელიც მდგომარეობს ბუღალტრული ჩანაწერების და ფინანსური ანგარიშების მომზადების განსაზღვრული წესების დაცვაში.

3. შესადარისობა, რომელიც ეფუძნება ანალიზის საყოველთაოდ მიღებული მეთოდების გამოყენებას.

ბუღალტრული აღრიცხვის ამოცანაა – მატერიალური, ფინანსური, შრომითი, ინტელექტუალური რესურსების გადანაწილებისა და გამოყენების შესახებ არსებული და პროგნოზირებადი გადაწყვეტილების გადაყვანა ფულის ენაზე, რომელიც გასაგებია საწარმოს გაფართოებასა და წარმატებაში დაინტერესებული ყველა პირისთვის. ეს ის ენაა, რომელზედაც ადვილია განვსაზღვროთ, რამდენად წავინიეთ ნინ ბიზნესის ორი უმთავრესი მიზნის: **შემოსავლის გადიდების და ხარჯების შემცირების** მისაღწევად.

სააღრიცხვო მონაცემებს გადაწყვეტილების მისაღებად სხვადასხვა პირები იყენებენ: **მენეჯერები** - რათა უფრო ეფექტურად მართონ ბიზნესი და გააუმჯობესონ მიღებულ გადაწყვეტილებათა ხარისხი. **აქციონერებს** სურთ შეაფასონ მენეჯერთა საქმიანობა და ბიზნესიდან მიღებული ან მოსალოდნელი შემოსავლების სიდიდე. **მომხმარებლებს** აინტერესებთ კომპანიის შესაძლებლობები ვალის გადახდის თვალსაზრისით, ხოლო **მომხმარებლებს** ის, თუ რამდენად საიმედოა ფირმის მიერ ბაზარზე საქონლის მიწოდება. ბანკებს და სხვა კრედიტორებს სჭირდებათ ფირმის შესაძლებლობების ცოდნა მოკლე და გრძელვადიანი სესხის დაფარვის თვალსაზრისით. საგადასახადო ინსპექციას აინტერესებს ინფორმაცია ფირმის მოგების შესახებ, რათა მოხდეს გადასახადის სწორად გადახდა. ფირმის თანამშრომლებს უფლება აქვთ იცოდნენ თუ როგორ მდგომარეობაშია მათი ორგანიზაცია.

საბუღალტრო აღრიცხვის შიდა და გარე მომხმარებელთა ინტერესებს შორის სხვაობა საფუძველად უდევს ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის არსისა და როლის განსაზღვრას. ინფორმაციის შიდა მომხმარებლებს

განეკუთვნება ფირმის ხელმძღვანელობა, მენეჯერები.

გარე მომხმარებლებია - **ინვესტორები, მყიდველები, მიმწოდებლები, კრედიტორები, საგადასახადო ორგანოები** და სხვა დაინტერესებული პირები. საწარმოს მფლობელი მცირე ფირმებში სარგებლობს როგორც შიდა, ისე გარე ინფორმაციით, ხოლო მსხვილ საწარმოებში (სააქციო საზოგადოებებში) - გამოდის როგორც გარე მომხმარებელი.

ინფორმაცია, რომელსაც იძლევა ფინანსური აღრიცხვა გარდა შიდა გამოყენებისა გადაეცემა გარე მომხმარებლებს ბუღალტრული ანგარიშგების, ცნობების, სტატისტიკური მონაცემების და საგადასახადო დეკლარაციების სახით. ფინანსური აღრიცხვა ეხება ფირმის მოღვაწეობის მთელ პროცესს და ძირითადად აისახება ფინანსურ ანგარიშებში, რომლებიც წარმოადგენს იძლევიან ფირმის საქმიანობაზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ფინანსური ანგარიშგების საშუალებით შესაძლებელია სხვადასხვა კოეფიციენტების გამოთვლა და ამით ფირმის საქმიანობის საკმაოდ ზუსტი დახასიათება. ფინანსური აღრიცხვის ნაწილია ე. წ. საგადასახადო აღრიცხვა ე.ი. კანონით დადგენილი გარკვეული ინფორმაციის შეგროვება და მის საფუძველზე ბიუჯეტში გადასარიცხი აუცილებელი გადასახადების გაანგარიშება. საგადასახადო სისტემის ცოდნა აუცილებელი პირობაა ნებისმიერი ბიზნესმენისთვის.

მმართველობითი (მენეჯერული) აღრიცხვა ფინანსური აღრიცხვისგან განსხვავებით გამიზნულია შიდა საფირმო მოხმარებისთვის. ფინან-



ძირითადი განსხვავებები ბუღალტრული აღრიცხვის სახეებს შორის

შედარების სფერო	ფინანსური აღრიცხვა	მმართველობითი აღრიცხვა
1. ინფორმაციის მომხმარებლები	გარე მომხმარებლები	საწარმოს ხელმძღვანელი
2. ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის ტიპი	ორმაგი ჩაწერის სისტემა	არ იხდულება მხოლოდ ორმაგი ჩაწერით, გამოიყენება ყველაფერი რასაც მოაქვს სარგებლობა.
3. შეზღუდვები	კანონმდებლობით გათვალისწინებული დებულებებით ხელმძღვანელობს	მეთოდის ამორჩევისას ხელმძღვანელობენ მონაცემების მიღების ვარგისობის და მისაწვდომობის კრიტერიუმით
4. საზომი ერთეულები	ფულადი	ნებისმიერი ფულადი, ნატურალური და პირობითი საზომი ერთეულები
5. აღრიცხვის და ანალიზის ძირითადი ობიექტი	საწარმო, როგორც ერთი მთლიანობა	საწარმო მთლიანობაში თავისი სეგმენტებით
6. ანგარიშგების პერიოდულობა	წლიური, კვარტალური, ყოველთვიური, დამტკიცებული ვადებიდან გამომდინარე	საჭიროებიდან და შიდა რეგლამენტაციიდან გამომდინარე
7. ობიექტურობის ხარისხი	მკაცრი ობიექტურობა, კონტროლი	გარკვეული სუბიექტურობა, დაგეგმვის მიზნებისათვის ობიექტური მონაცემების გამოყენების საფუძველზე.

სური აღრიცხვა ასახავს წარსულს და განიხილავს ფორმას, როგორც ერთ მთლიანს. მმართველობითი აღრიცხვა კი განცალკევებულად განიხილავს ფორმის მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროს. საწარმოს ხელმძღვანელები (მენეჯერები) შიდა ინფორმაციის საფუძველზე ახდენენ საწარმოს საქმიანობის კონტროლს და მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებას. ბოლო დროს უფრო ნათლად გამოჩნდა, რომ მმართველობითი აღრიცხვა არის ხელმძღვანელის ყოველდღიური საქმიანობის განუყოფელი ნაწილი და ყველა გადაწყვეტილება აღრიცხვის მონაცემებს უნდა ეყრდნობოდეს.

საბუღალტრო აღრიცხვა ერთგვარი დამაკავშირებელი რგოლია სამეურნეო საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს შორის ის 1) მონაცემთა რეგისტრაციის საშუალებით ზომავს სამეურნეო საქმიანობის შედეგებს; 2) ამუშავებს და გარკვეულ მომენტამდე ინახავს ამ ინფორმაციას შემდეგ კი აძლევს მას ისეთ სახეს, რომ ყველა დაინტერესებული პირისთვის ადვილად აღსაქმელი იყოს, 3) გადასცემს მომზადებულ ინფორმაციას ფინანსური დოკუმენტების სახით გადაწყვეტილების მიმღებ პირებს.

ბუღალტრული აღრიცხვა არის ეკონომიკური მოღვაწეობის აღწერის, ინტერპრეტაციისა და ეფექტიანობის გაზომვის ხელოვნება. მას ხშირად „ბიზნესის ენასაც“ უწოდებენ, რადგან გამოიყენება ბიზნესის სამყაროში როგორც საქმიანი ინფორმაციის მოპოვების და გადაცემის საშუალება.

ბუღალტრული აღრიცხვა ეს არის ინფორმაციის შეგროვების და დამუშავების პროცესი. დამუშავების ძირითად შედეგს წარმოადგენს ანგარიშგება, რომელიც პერიოდულად დგება. ანგარიშგება შედგება რამდენიმე ძირითადი დოკუმენტისგან, რომლებიც უმნიშვნელოვანესია როგორც ფინანსურ, ისე მმართველობითი აღრიცხვაში. ეს დოკუმენტებია: **ბალანსი, ფინანსური შედეგები, ანუ მოგება-ზარალის ანგარიშგება და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.**

ერთი სიტყვით, ბუღალტრული აღრიცხვა საჭირო და სავალდებულოა ნებისმიერი საწარმოსათვის.

ნათო გუგიაშვილი
ეკონომიკის აკადემიური
დოქტორი

სადაზღვევო მომსახურება – ახალი პროდუქტის შექმნა

სადაზღვევო კომპანიებში სა-
დაზღვევო პროდუქტის შექმნა და
დამუშავება დიდ რისკებთანაა დაკავ-
შირებული. სადაზღვევო კომპანიები
ხშირად მიმართავენ დანერგვას, აპ-
რობირებული პროდუქტის მოდერ-
ნიზებას.

ახალი პროდუქტის შექმნა და ბა-
ზარზე დამკვიდრება მოიცავს - იდეის
ფორმირებას და შერჩევას, რომელიც
გულისხმობს არსებული იდეების
მოკვლევას და მათგან საუკეთესოს
არჩევას. ახალი პროდუქტის შექმნი-
სას მნიშვნელოვანია იმის გარკვევა,
თუ რისთვის იქმნება იგი, ანუ რა
არის სადაზღვევო კომპანიის მიზანი.
ოპტიმალური ვარიანტის შემუშავება
და შემოწმება გვაძლევს მხოლოდ
ზოგად წარმოდგენას იმ პროდუქტ-
ზე, რომელიც მზღვეველმა შეიძლება
დამზღვევს შესაფერისად. ამასთან,
განისაზღვრება სადაზღვევო პრო-
დუქტის გარანტიები, სადაზღვევო
თანხები, ხელშეკრულების განსა-
კუთრებული პირობები, სადაზღვევო
პრემიები და ა.შ.

მარკეტინგის სტრატეგიის დამუ-
შავება, ითვალისწინებს მიზნობრივ
ბაზარზე მოცემული პროდუქტის
პოზიციის განსაზღვრასა და რეა-

ლიზაციის მოცულობის დადგენას,
ფასების სწორად განსაზღვრას,
პერსპექტიული მიზნების განსაზღ-
ვრასა და მათი მიღწევისთვის სა-
ჭირო ღონისძიებათა დამუშავებას,
ძირითად მაჩვენებელთა საბოლოო
შეფასებას.

სადაზღვევო ბაზარზე სისტემა-
ტურად შედის სხვადასხვა სახის და-
სახელების სადაზღვევო პროდუქტი,
სადაც მათი ყოფნის ხანგრძლივობა
მკვეთრად განსხვავებულია ერთმან-
ეთისგან. მზღვეველისთვის მნიშვნე-
ლოვანია გაზარდოს სადაზღვევო
საქონლის ბაზარზე ყოფნის ხანგრძ-
ლივობა ანუ ე.წ. „სასიცოცხლო ციკ-
ლი“. სადაზღვევო ციკლის ფენომენი
ურთულესი პრობლემაა დაზღვევის
თეორიაში.

მიღებულია ერთი სადაზღვევო
კომპანიის პორტფელში სხვადასხვა
ქვეყნის რისკების გაერთიანება, რომ-
ლებიც ციკლის სხვადასხვა სტადიაში
იმყოფებიან. ფინანსური ბიზნესის
განვითარება, ქვეყანაში საერთო
პოლიტიკური და ეკონომიკური სი-
ტუაციის სტაბილიზაცია, განაპი-
რობებს სადაზღვევო მომსახურების
სუბექტრის გაფართოების აუცილებ-
ლობას. გაზრდილია დაინტერესება

დაზღვევის ისეთი პროდუქტებით,
როგორცაა: ქონების დაზღვევა,
სამედიცინო დაზღვევა, სახმელე-
თო სატრანსპორტო საშუალებათა
დაზღვევა და სამოქალაქო პასუ-
ხისმგებლობის დაზღვევა. მათი
ხვედრითი წილი მთელ სადაზღვევო
ბაზარზე 85-90%-ს შედგენს.

სადაზღვევო პროდუქტის საიმე-
დობის მაღალ დონეს განაპირობებს
ეფექტურად განხორციელებული
გადაზღვევის პოლიტიკა, რაც საშუ-
ალებას იძლევა ოპერატიულად იქნას
დაფარული ზარალი.

გადაზღვევის მაჩვენებელი გან-
საზღვრავს მოზიდული ჯამური პრე-
მიის რისკს. ცხადია, გადაზღვევის
შემთხვევაში კომპანიისთვის მოგების
მარჯა მცირდება, თუმცა ამავე დროს
რისკიც შემცირებულია. ასე რომ, გა-
დაზღვევის პროცენტული მაჩვენებ-
ლი აჩვენებს სადაზღვევო კომპანიის
პოლიტიკას – მოზიდული ჯამური
პრემიით თვითონ იღებს რისკებს და
შესაბამისად მოგების მაღალ მარჯაზე
მუშაობს თუ ამ რისკებს გადაზღვე-
ვით ამცირებს და შესაბამისად, უმ-
ცირდება მოგების მარჯა.

მზღვეველის ფინანსური მდგრა-
დობის, მისი საიმედობის მნიშვნე-



დაზღვევა

ლოვანი მაჩვენებელია გადახდისუნარიანობა სადაზღვევო კომპანიების გადახდისუნარიანობის პრობლემა აქტუალური და საერთაშორისო ხასიათისაა. განსაკუთრებით. იმ ქვეყნებში, სადაც ყალიბდება სადაზღვევო ურთიერთობები და სადაზღვევო საქმიანობის ფინანსური რეგულირების საკანონმდებლობაზა, გადახდისუნარიანობა გულისხმობს სადაზღვევო კომპანიის შესაძლებლობებს შეასრულოს ყველა თავისი ვალდებულება სადაზღვევო გადახდების მიხედვით დამზღვევების მიმართ. პრაქტიკული თვალსაზრისით, გადახდისუნარიანობის ცნება დაკავშირებულია კომპანიის გადახდისუნარიანად აღიარებასთან. მზღვეველი ითვლება გადახდისუნაროდ, როცა მისი აქტივები არაადექვატური ან/და მიუწვდომელია განუსაზღვრელი პერიოდით, რათა განხორციელდეს გადახდები მომხდარი სადაზღვევო შემთხვევის მიხედვით.

რადგანაც, სადაზღვევო შემთხვევები დროში არათანაბრადაა განაწილებული შესაძლებელია დაფიქსირდეს შეუსაბამო ფაქტიურ ზარალიანობასა და გათვლის ტარიფებში ჩადებულ ზარალიანობას შორის. ამავ დროს მზღვეველის აქტივები უნდა მოიცავდეს ნებისმიერი ვალდებულებებისგან თავისუფალ სახსრებს, რაც საკვებით საკმარისია ვალდებულებების შესასრულებლად სარჩელების აღძვრისას სადაზღვევო რეზერვების სახსრების უკმარისობის შემთხვევაში. საკუთარი სახსრების ეს ნაწილი ცნობილია გადახდისუნარიანობის მარჟის სახელწოდებით და განისაზღვრება როგორც მზღვეველის აქტივების ნაწილი, რომელიც არ უკავშირდება რაიმე მიმოხილვით ვალდებულებებს. საქართველოს კანონის „დაზღვევის“ თანახმად მზღვეველი თავისი გადახდისუნარიანობის უზრუნვესაყოფად ვალდებულია დაიცვას ამ კანონით განსაზღვრული ეკონომიკური ნორმატივები და ლიმიტები, რომელთა თანაფარდობის მეთოდისა და ნორმატიულ მოცულობას ადგენს ეროვნული ბანკი. მზღვეველმა რეზერვების დასაფარავად დასაშვები აქტივები უნდა შეარჩიოს დივერსიფიკაციის, დაბრუნებადობის, სარგებლიანობის და ლიკვიდურობის



პირობებით.(ამოქმედდა 2009 წლის 1 დეკემბრიდან).

სადაზღვევო ოპერაციების მაჩვენებლებსა და ფორმებს, მზღვეველის ანგარიშგებას და მისი წარდგენის ვადებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი. აღებული სადაზღვევო ვალდებულებების შესასრულებლად მზღვეველი სადაზღვევო შენატანების საფუძველზე ქმნის მოსალოდნელი სადაზღვევო ანაზღაურებისთვის აუცილებელ რეზერვებს. სადაზღვევო რეზერვებში, რომლებსაც ქმნის მზღვეველი, არ დაიბეგრება.

ფინანსური მდგრადობის ანალიზის რეგულარული ჩატარება აქტუალურია, რადგანაც მზღვეველის ფინანსური მდგრადობა – სადაზღვევო რეგულირების საფუძველი და სადაზღვევო ზედამხედველობის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა.

ნატო კაკაშვილი,
თსუ ეკონომიკის აკადემიური
ლოქტორი

УСЛУГА СТРАХОВАНИЯ - СОЗДАНИЕ НОВОГО ПРОДУКТА

ნატო კაკაშვილი

Аннотация

Создание и развитие страхового продукта в страховой компании создает большой риск. Именно поэтому страховые компании часто предпочитают модернизировать уже установленные, проверенные продукты а начинающие компании копируют уже созданных продуктов. Жизненный цикл концепции выделено в двух уровнях:

Микро уровень, где описанно и прогнозированно реализация продукта на местном и конкретном рынке.

Макро уровень, где анализируется специфика реализации продукта в различных странах ,то есть, так называемый международный жизненный цикл.

Феномен страхового го цикла является наиболее сложной проблемой в теории страхования. Сложность строение модели цикла связана к участию предпринимателей в рынке страхования и мобильности краткосрочных и долгосрочных субъектов страхования.

სადაზღვევო ინტერესის ბარეში დაზღვევის ბანხორსილება შეუძლებელია

სადაზღვევო ურთიერთობების განხორციელება არ შეიძლება, თუ სადაზღვევო ინტერესი არ არსებობს. სადაზღვევო ინტერესის არსებობა არის საფუძველი, იმისა, რომ დაზღვევადი გახდეს კონკრეტული რისკი, როგორც პირად დაზღვევის დარგში, ასევე სხვა დარგებში, როგორცაა: ქონების დაზღვევა, სხვადასხვა პასუხისმგებლობის, ეკონომიკური და ფინანსური რისკების დაზღვევა. ადამიანს შეიძლება გააჩნდეს დაზღვევისადმი ინტერესი, მაგრამ არ გააჩნდეს სადაზღვევო ინტერესი, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან და ასეთ შემთხვევაშიც არ შეიძლება დაზღვევის გაკეთება.

მაინც რა არის სადაზღვევო ინტერესი, რომლის გარეშეც სადაზღვევო ურთიერთობები წარმოუდგენელია?



ყველა ჩვენგანს მრავალი ინტერესი გააჩნია.

მართალია, ადამიანის სიცოცხლე შეუფასებელია, მისი გარდაცვალება მორალურ ზიანს აყენებს მის ახლობლებს და გარდაცვალების კომპენსირება შეუძლებელია. მაგრამ, მისი გარდაცვალებისას, ახლობლებს წარმოუშვებთ ბევრი ფინანსური ხასიათის პრობლემა, მითიმეტეს, თუ ისინი იმყოფებოდნენ გარდაცვლილი ოჯახის წევრის კმაყოფაზე, ოჯახს ერთმევა საარსებო საშუალება. ფულადი კომენსაცია კი, ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვნად შეამსუბუქებდა ოჯახზე დანოლილ ტვირთს.

გასაგებია, რომ ასეთი მსჯელობის გამოყენება შესაძლებელია ყველა ინტერესის მიმართ. ნებისმიერი უსიამოვნების გადატანა ხომ უფრო ადვილია მაშინ, როცა მასთან ერთად რაიმე სასიამოვნო ფაქტიც ხდება, როგორცაა ფულადი კომპენსაციის მიღება. **სწორედ ამაზეა აგებული სადაზღვევო მექანიზმი**, რადგან ის წარმოადგენს იურიდიული და ფიზიკური პირების ინტერესების გარე ფაქტორებისგან დაცვის ერთ-ერთ ფორმას, განსაზღვრული ფულადი თანხების გაცემის ხარჯზე.

ადამიანთა საზოგადოებაში, დაზღვევის მთავარი ფუნქციაა სწორედ ინტერესების დაცვა ფულადი თანხების ანაზღაურების გზით.

ნებისმიერი დაზღვევისას, დამზღვევეს (ანუ ვინც აფორმებს ხელშეკრულებას სადაზღვევო ორგანიზაცი-

ასთან) გააჩნია საკუთარი ინტერესი, მათ შორის ინტერესი, იმისა, რომ მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარკვეული ანაზღაურება. **მაგრამ, ეს ინტერესი არ იზღვევა, ის არ წარმოადგენს დაზღვევის საგანს. მხოლოდ დაინტრესება იმაში, რომ მიღებულ იქნას გარკვეული კომპენსაცია განსაზღვრული მოვლენის დადგომის შემთხვევაში, არ არის საკმარისი იმისთვის, რომ სადაზღვევო ურთიერთობები წარმოიშვას.**

მოდით განვიხილოთ ერთი მაგალითი:

ვთქვათ, ფეხბურთის ორი გუნდის ქომაგმა, დადეს გარიგება, რომ ერთი დადებდა ფსონს 100 ლარის ოდენობით თბილისის "დინამო"-ს გამარჯვებაზე, ხოლო მეორე კი 200 ლარს ქუთაისის "ტორპედო"-ს გამარჯვებაზე და რომლის გუნდიც გაიმარჯვებდა, მოგებული მხარე მიიღებს 300 ლარს ან მოგებას.

როგორც ამ მაგალითიდან ჩანს, აქაც, ისევე როგორც დაზღვევაში, გაიცემა ფულადი ანაზღაურება შემთხვევითი მოვლენის დადგომის შემთხვევაში, არის ასევე, წინასწარი მოსაკრებელი, შესატანი თანხა, რომელიც ასევე აუცილებელი ატრიბუტია ნებისმიერ დაზღვევაში. თუმცა, რომელიმე ფეხბურთის გუნდის წაგების, ან მოგების შემთხვევაში, არცერთ ქომაგს არ მიადგება არანაირი ზარალი (ჯანმრთელობას ან პირად ქონებას), გარდა იმ დანაკარგისა, რაც

მათ განიცადეს ფსონის დაკარგვით და აქედან გამომდინარე, მათ არა აქვთ სხვა ინტერესი, გარდა ერთისა, რომ მიიღონ შეთანხმებით გათვალისწინებული ფულადი ანაზღაურება. აქ არ არსებობს სადაზღვევო ინტერესი და ეს არ არის დაზღვევა, არამედ ეს არის სანაძლეო.

როცა ვამბობთ "ჯანმრთელობის დაზღვევას", "სიცოცხლის დაზღვევას", აუცილებლად ვგულისხმობთ სიცოცხლისადმი ინტერესის დაზღვევას, ჯანმრთელობის უვნებლად შენარჩუნების ინტერესის დაზღვევას. როცა ვამბობთ "ქონების დაზღვევას", ვგულისხმობთ ქონების უვნებლად შენარჩუნების ინტერესის დაზღვევას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დაზღვევადი არის ისეთი ინტერესები, რომლებსაც თან ახლავს ისეთი გარემოებები, რომლებმაც შეიძლება მიაყენონ ზარალი ინტერესის საგანს. ანუ, **დაზღვევადი არის ისეთი მოვლენები, რომელთა მოხდენა იწვევს მხოლოდ ზიანის მიყენებას და არა გადმდიდრებას.** სანაძლეოს დადების მაგალითში ჩვენ განვიხილეთ სიტუაცია, როცა მოვლენა იწვევს პირის ან დაზარალებას ან გადმდიდრებას და ეს არ არის დაზღვევადი ინტერესი, არამედ სარგებლის მიღების "სპეკულაციური ინტერესი". როგორც ავლნიშნეთ, **დაზღვევის მთავარი ფუნქციაა, სწორედ ფიზიკური და იურიდიული პირების ინტერესების დაცვა ფინანსური და მატერიალუ-**

დაზღვევა

რი ზარალისგან, ფულადი თანხების ანაზღაურების გზით და არა საზოგადოების წევრების გამდიდრება.

სადაზღვევო ინტერესის გარეშე, დაზღვევა რომ არ შეიძლება, ეს პრინციპი პირველად ჩამოყალიბდა ინგლისში, XVIII საუკუნეში, მაშინ როცა გავრცელებული იყო სხვისი სიცოცხლის დაზღვევის სანაძლეოები, რომელიც ითვალისწინებდა თანხების გაცემას სანაძლეოს მონაწილეთა სასარგებლოდ. მოგვიანებით, ასეთი გახშირებული შემთხვევების გამო, ინგლისის პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომელიც ცნობილია **Gambling Act-ის სახელით**, რომელმაც აკრძალა სიცოცხლის და სხვა შემთხვევების დაზღვევა, როცა დამზღვევეს ინტერესი არ გააჩნია.

პირველად, სწორედ ინგლისში ჩამოყალიბდა სადაზღვევო ინტერესის არსი, რომელიც დღესაც ითვლება კლასიკურ განმარტებად.

ინგლისელმა მოსამართლემ ლოურენსომ, შემდგენიარად ჩამოაყალიბა სადაზღვევო ინტერესის ცნება 1806 წლის ერთ-ერთ საქმეში ("Lucena versus Craufurd"):

ის ადამიანი შეიძლება ჩაითვალოს დაინტერესებული რამეში, თუ მისი ინტერესის საგანს თან ახლავს ისეთი გარემოებები, რომელთა მოხდენამ მას შეიძლება მიაყენოს ზარალი, ან შეუქმნას უპირატესობა... და რომლისთვისაც მნიშვნელოვანია, რომ მისი ინტერესის საგნის მდგომარეობა იყოს უვნებლად

შენარჩუნებული, არ შეიცვალოს მისი არც თვისობრივი და არც სხვა მახასიათებლები.

ინტერესის არსებობა არ გულისხმობს აუცილებლად რაიმე საკუთრების უფლებას ინტერესის საგანზე ან მის ნაწილზე, ასევე არ არის აუცილებელი რომ რაღაც არსებობდეს, რაც შეიძლება ფიზიკურად დაზიანდეს ან დაიკარგოს, მაგრამ მნიშვნელოვანია ისეთ დამოკიდებულებაში ყოფნა ინტერესის საგანთან, რომ საფრთხის ზემოქმედების შედეგად, რომლის გამოც ხდება დაზღვევა, დაინტერესებულ პირს მიეყენოს ზარალი. თუ ადამიანი იმყოფება ასეთ დამოკიდებულებაში რაიმე საგნის მიმართ, რომელსაც ემუქრება რაიმე საფრთხე, და თან მისი არსებობით გარკვეულწილად დარწმუნებულია რომ მიიღებს სარგებელს, შეიძლება ითქვას, რომ ის დაინტერესებულია ამ საგნის უვნებლად შენარჩუნებაში. რაიმეს უვნებლად შენარჩუნებაში დაინტერესება ნიშნავს, რომ მისი არსებობით ღებულობდე სარგებელს და მისი განადგურებით განიცდიდე ზარალს. რაიმეზე საკუთრების უფლება და ამით გამოწვეული ინტერესი, მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან. პირველის გასაზომად გამოიყენება ღირებულება, მაგრამ ინტერესი არ ამოიწურება მხოლოდ ფასით, არამედ მოიცავს საგნის არსებობიდან გამომდინარე სარგებლიანობას და

მისგან შექმნილ უპირატესობას. [ავტორის თარგმანი ნიგინიდან: E.R.H. Ivamy "General Principles of Insurance Law" - London, 1975, p.18.]

ამ კლასიკური განმარტებიდან გამომდინარე, სადაზღვევო ინტერესი არსებობს, მაშინ როცა ინტერესის საგანს თან ახლავს, ისეთი გარემოებები, რომელთა მოხდენამ შეიძლება ზარალი მიაყენოს დაინტერესებულ პირს, მათ შორის დააკარგვინოს სარგებელი (უპირატესობა). სწორედ დაზღვევა უზრუნველყოფს ასეთი გარემოებებისგან დაცვას. თუ შემთხვევითი მოვლენის გამო, რომლის გამოც ხდება დაზღვევა, მიყენებული იქნება ზიანი, დაზღვევა უზრუნველყოფს მიყენებული ზარალის ანაზღაურებას.

თუ სადაზღვევო ინტერესი არ არსებობს, შესაბამისად არ არსებობს ზარალის მიყენების შესაძლებლობა და აქედან გამომდინარე, სადაზღვევო დაცვა ამ შემთხვევაში კარგავს აზრს.

სადაზღვევო საქმის თეორიასა და პრაქტიკაში მიჩნეულია, რომ რადგან კომპენსაცია ხდება ფულადი ფორმით, სადაზღვევო ინტერესიც უნდა ატარებდეს მატერიალურ, ქონებრივ ხასიათს.

საინტერესოა ინგლისის სადაზღვევო კომპანიების მიდგომა "სიცოცხლის დაზღვევის" ზოგიერთ შემთხვევაში. მაგალითად, ისინი თვლიან, რომ შვილს, რომლის კმაყოფაზეც იმყოფება უმუშევარი მშობლები და რომელსაც გააჩნია მაღალი ანაზღაურება, არ აქვს "საკმარისი" სადაზღვევო ინტერესი იმისთვის, რომ დააზღვიოს თავისი მშობლები, რადგან მათი გარდაცვალებით მას არავითარი ქონებრივი, ფინანსური ზარალი არ ადგება. თუმცა, თუ პირიქით შვილი იმყოფება მშობლების კმაყოფაზე, მაშინ ითვლება, რომ მას შეუძლია დააზღვიოს მშობლები, რადგან მათი გარდაცვალებით მას შეუწყდება საარსებო საშუალებები.

თუმცა, ბევრ ქვეყანაში, ისევე როგორ საქართველოში, "სიცოცხლის დაზღვევა" ატარებს შედარებით პრაგმატულ ხასიათს და ითვლება, რომ ახლობელი ადამიანის გარდაცვალება ყოველთვის იწვევს ადამიანის დაზარალებას, მისი მატერიალური მდგომარეობის მიუხედავად, ანუ ეს ფაქტი იწვევს მორალურ ზიანს



მიყენებას, რომლის ნაწილობრივ კომპენსირება არის შესაძლებელი განსაზღვრული ფულადი თანხის გადახდით (მაგ. დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურებით და ა.შ).

მოდით, დავუბრუნდეთ სადაზღვევო ინტერესის რთულ კლასიკურ განმარტებას და უფრო ვრცლად და მარტივი მაგალითებით ჩამოვაყალიბოთ ის.

პირველ ნაწილში ნათქვამია, რომ „...ადამიანი შეიძლება ჩაითვალოს დაინტერესებული რამეში, თუ მისი ინტერესის საგანს თან ახლავს ისეთი გარემოებები, რომელთა მოხდენამ მას შეიძლება მიაყენოს ზარალი ან შეუქნას უპირატესობა... ამასთან, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია, რომ მისი ინტერესის საგნის მდგომარეობა იყოს უვნებლად შენარჩუნებული, არ შეიცვალოს მისი არც თვისობრივი და არც სხვა მახასიათებლები“.

იგულისხმება, რომ მაგალითად პიროვნებას შეუძლია დააზღვიოს თავისი ავტომობილი, სახლი და ა.შ. რომელსაც ემუქრება ავტოსაგზაო შემთხვევის რისკი, ხანძრის და მიწისძვრის რისკი. თავისთავად ამ მოვლენების მოხდენა ზარალს აყენებს ადამიანს, ხოლო მათი არმოხდენა უქმნის მას უპირატესობას - ისარგებლოს თავისი ქონებით. რათქმაუნდა, ასეთ

პიროვნებას გააჩნია იმის ინტერესი, რომ უვნებლად შეინარჩუნოს თავისი ქონება, რომ ისინი იყოს ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში და შეძლოს მათით სარგებლობა.

მეორე ნაწილში ნათქვამია, რომ ინტერესის არსებობა არ გულისხმობს აუცილებლად რაიმე საკუთრების უფლებას ინტერესის საგანზე, ან მის ნაწილზე, ასევე არ არის აუცილებელი რომ რაღაც არსებობდეს, რაც შეიძლება ფიზიკურად დაზიანდეს, ან დაიკარგოს, მაგრამ მნიშვნელოვანია ისეთ დამოკიდებულებაში ყოფნა ინტერესის საგანთან, რომ საფრთხის შემოქმედების შედეგად, რომლის გამოც ხდება დაზღვევა, დაინტერესებულ პირს მიეყენოს ზარალი.

რა იგულისხმება ამასში? მაგალითად, იურიდიულმა პირმა, რომელმაც მიიღო სამაცივრე საწყობში შესანახად გარკვეული ვადით მალფუჭებადი პროდუქცია, მას მათზე არანაირი საკუთრების უფლება არ გააჩნია, მაგრამ მას აქვს იმის ინტერესი, რომ თუ მისივე მიზეზებით მიბარებული საქონელი დაზიანდება, მაგ. საწყობში მომხდარი მოკლე ჩართვით გამოწვეული ხანძრის შედეგად, მას წარმოეშება პასუხისმგებლობა დაზიანებულ საქონელზე და მის მეპატრონეს უნდა აუნაზღაუროს ზარალი. ცხადია ასეთ

შემთხვევაში მას გააჩნია არაპირდაპირი სადაზღვევო ინტერესი დააზღვიოს სხვისი ქონება მეპატრონის სასარგებლოდ. ანალოგიური ინტერესი არსებობს, მაშინ როცა სატრანსპორტო ორგანიზაციას გადააქვს ტვირთი.

იგივე მაგალითზე მსჯელობით, თუ ვინმე, თავისი ქმედებით სხვას აყენებს ზიანს, ზიანის მიმყენებელი პირი არაფერს არ კარგავს, მისი ქონება არ ზიანდება, მაგრამ მას წარმოეშება დაზარალებულისთვის ამ ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობა, რის გამოც მისი ქონება მცირდება, ასე ვთქვათ „იტვირთება“ ვალდებულებით. ამ ვალდებულების წარმოშობა ინვესტ პასუხისმგებლობას. პასუხისმგებლობა რომ არ წარმოშობილიყო, პასუხისმგებელი პირის ქონებაც იქნებოდა თავისუფალი „ვალდებულების ტვირთისგან“. შესაბამისად პასუხისმგებლობის არქონა წარმოშობს უპირატესობას, ხოლო პასუხისმგებლობის წარმოშობა კი ინვესტ ზიანის მიყენებას და პირი, რომელსაც შეიძლება პოტენციურად დაეკისროს პასუხისმგებლობა, დაინტერესებულია იმაში, რომ არ წარმოექმნას პასუხისმგებლობა. ამიტომ, პასუხისმგებლობის დაზღვევა შესაძლებელია, მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ ზიანის მიმყენებელი პირის ქონებას ზარალი არ მოსდის.

ასევე არ არის აუცილებელი, რომ რაიმე მოვლენის დადგომის შედეგად ვინმესთვის მიყენებულ იქნეს ზარალი, რომ სადაზღვევო ანაზღაურება გაიცეს. მაგ. პირადი დაზღვევის დარგში, „კერძო საპენსიო დაზღვევის“-ას, პიროვნება ყოველთვიურად იხდის შენატანს, სადაზღვევო ორგანიზაციის ფონდში, რომელმაც მის სახელზე გახსნა საპენსიო ანგარიში და გროვდება საპენსიო დანაზოგი. სადაზღვევო კომპანია ახდენს ამ თანხების დაგროვებას, ინვესტირებას და გასცემს გაზრდილი ოდენობით (ერთჯერადად ან პენსიის სახით მონაწილის სიცოცხლის ბოლომდე), მაშინ როცა საპენსიო სქემის მონაწილე მიაღწევს საპენსიო ასაკს. ანუ სადაზღვევო შემთხვევას წარმოადგენს მონაწილის მიერ პენსიაზე გასვლა, რომლის შემდეგაც იწყება ანაზღაურების გაცემა. ცხადია, საპენსიო ასაკის მიღწევა არავითარ ზარალს არ ინვესტ, თუმცა ის წარ-



დაზღვევა

მოადგენს შემთხვევით მოვლენას და მასთან დაკავშირებულია გარკვეული ინტერესი — განსაზღვრულ ასაკამდე მიღწევის ინტერესი, და არა არმიღწევის (გარდაცვალების) ინტერესი. მოცემულ შემთხვევაში, ზარალს ის მოვლენა კი არ იწვევს რომლის გამოც ხდება დაზღვევა, არამედ ის, რომ ეს მოვლენა არ მოხდეს. საპენსიო თანხების გაცემა ხომ მაშინ იწყება, როცა კონკრეტულ ასაკს მიაღწევს პიროვნება ანუ ამჟამად გაცემული თანხები არ წარმოადგენს ზარალის ანაზღაურებას.

მესამე, ბოლო ნაწილში საუბარია, იმაზე, რომ სადაზღვევო დაინტერესება არ ამოიწურება მხოლოდ ინტერესის საგნის არსებობით, მისი ფასით, არამედ სადაზღვევო ინტერესი ასევე მოიცავს დაზღვევის ობიექტიდან მისაღებ სარგებელს. მაგ. პირი, რომელიც იყენებს ავტომობილს პირადი სარგებლობისთვის, მისთვის სადაზღვევო ინტერესს წარმოადგენს ავტომობილის დაზღვევა გატაცებისგან, ავარიისგან და ა.შ. მისი ინტერესი შემოიფარგლება ავტომობილის ღირებულებით. თუმცა თუ პირი ავტომობილს იყენებს კომერციული მიზნით, ანუ მგზავრების ან ტვირთების გადასაზიდად, შემოსავლის მიღების მიზნით, მაშინ ხსენებული შემთხვევების დადგომით ის განიცდის არამართო ავტომობილის (ღირებულების) დაკარგვას, არამედ დაკარგავს შემოსავალს, ანუ სარგებელს, რომელსაც ის ღებულობდა ავტომობილის გამოყენებით.

ანალოგიური მაგალითია სასტუმროს შენობის და შიგთავსის დაზღვევა, როცა ზარალის დადგომისას მისი მეპატრონე განიცდის როგორც ქონებრივ ზარალს, ასევე ფინანსურ ზარალს, იმის გამო რომ ვერ მიიღო სტუმარი ზარალის და მისი აღმოფხვრის პერიოდში. ამიტომ, ასეთი ინტერესის დაზღვევა შესაძლებელია, ვინაიდან ის წარმოადგენს წმინდა ფინანსურ რისკს, რომელიც განპირობებული იქნება დამდგარი დაზღვეული მოვლენით.

სადაზღვევო ინტერესი აუცილებლად უნდა არსებობდეს სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმებისას, მაგრამ შესაძლოა მერე გაქრეს და დაზღვევა მაშინვე უნდა შეწყდეს. თუმცა, იმ პერიოდში, როცა სადაზღ-

ვევო ინტერესი არსებობდა და შესაბამისად სადაზღვევო დაცვა მოქმედებდა, შესაბამისი სადაზღვევო შესატანი აუცილებლად უნდა იქნეს გადახდილი. ამიტომ, როცა დაზღვევის ხელშეკრულების გაუქმება ხდება სადაზღვევო ინტერესის შეწყვეტის გამო, სადაზღვევო შესატანის ნაწილს იტოვებს სადაზღვევო ორგანიზაცია, ხოლო ნაწილს, ანუ გამოუშუშავებელ შესატანს უბრუნებს დამზღვევს.

მაგ., ბანკმა გასცა სესხი 1 წლის ვადით და მაშინვე გააფორმა დაზღვევის ხელშეკრულება სესხის დათქმულ ვადაში არდაბრუნების რისკზე.



სესხის ვადა და დაზღვევის ხელშეკრულების ვადა ერთმანეთს. საკრედიტო ხელშეკრულების თანახმად, მსესხებელს ჰქონდა უფლება ვადაზე ადრე დაებრუნებინა სესხი. მან ისარგებლა ამ უფლებით და მეექვსე თვეს დააბრუნა ბანკში აღებული კრედიტი, თავისი პროცენტებით. დაზღვევის ხელშეკრულება წყვეტს მოქმედებას, მაშინვე როგორც კი მსესხებელმა დააბრუნა სესხი. რადგან უკვე აღარ არსებობს ის გარემოებები რამაც შესაძლოა მიაყენოს ზარალი ბანკს. ზარალის დადგომის ალბათობა უკვე არ არსებობს. ბანკს აქვს უფლება მიიღოს მის მიერ გადახდილი თანხის ნახევარი, რადგან ექვსი თვის განმავლობაში საკრედიტო დაზღვევა აღარ მოქმედებდა. სადაზღვევო ორგანიზაციამ ბანკს გაუწია მომსახურება მხოლოდ თვის განმავლობაში.

საინტერესოა, რომ საერთაშორისო პრაქტიკაში, არსებობს გარკვეული ინტერესები, რომელთა დაზღვევა პირდაპირ აკრძალულია. ადამიანს არ შეუძლია დაზღვიოს ყველა ინტერესი. ძირითადად ეს ინტერესებია:

1) მართლსაწინააღმდეგო ინტერესები (მაგ. სხვისთვის განზრახ მიყენებული ზიანი, ავტომობილის ნასვამ მდგომარეობაში მართვა, გადასახადების დამალვის გამო დაკისრებული სანქციები და ა.შ.).

2) ლატარიაში, თამაშებში და სანაძლეოებში მონაწილეობით განცდილი ზარალის დაფარვის ინტერესები.

3) ტყვეების განთავისფლებისთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვის ინტერესი.

საინტერესოა სადაზღვევო ურთიერთობებში მონაწილე მხარეებს

(დამზღვევის, დაზღვეულის, მოსარგებლეს) შორის სადაზღვევო ინტერესის წონასწორული განაწილება. მაგ. პრაქტიკაში ხშირად, სატრანსპორტო ორგანიზაციები ავალდებულებენ თავიანთი ტრანსპორტის მძღოლებს დააზღვიონ თვით სატრანსპორტო ფირმის პასუხისმგებლობა ავტოავარიით სხვისთვის მიყენებულ ზიანზე. რადგან, ცნობილია, რომ ავარიის შედეგად, ზარალზე პასუხისმგებლობა წარმოეშევა არა მძღოლს, არამედ მის ფირმას, რომელსაც ეკუთვნის ეს ავტოტრანსპორტი. ბევრ სატრანსპორტო ფირმაში თანამშრომლებს ხელშეკრულებაში აქვთ ჩადებული პირობა, რომლის მიხედვითაც, მათ ზარალის ასანაზღაურებლად ექვითებათ ხელფასიდან დაახლოებით 40-50%, თუ თავიანთი ბრალეულობით მოახდინეს ავტოსაგზაო შემთხვევა. მძღოლები აზღვევენ ფირმის პასუხისმგებლობას, რადგან ეს საერთო ჯამში ხელსაყრელი გამოდის მათთვის. მოსარგებლები აქ არიან, როგორც ვხედავთ, ავარიის დაზარალებულები. სადაზღვევო ინტერესი გააჩნია სატრანსპორტო

ორგანიზაციას, რადგან პასუხისმგებლობა ზარალზე წარმოემგებება სწორედ მას. დამზღვევის როლში კი გამოდის მძლოლი, რომელსაც საერთოდ არ აინტერესებს თავისი ფირმის ქონება, ხარჯები და არც მისი პასუხისმგებლობა დაზარალებულებისთვის მიყენებულ ზარალზე. თუმცა მძლოლს გააჩნია პირდაპირი ინტერესი შეინარჩუნოს თავისი ხელფასი, მაგრამ ის ამ ინტერესს კი არ აზღვევს, არამედ სატრანსპორტო ფირმის ინტერესს. სწორედ ასეთი ურთიერთობის ფორმა წარმოშობს სადაზღვევო ურთიერთობებში მონაწილეთა ინტერესების აუცილებელ წონასწორობას.

სადაზღვევო ურთიერთობების წარმოშობისთვის, როგორც უკვე დავასკვნით აუცილებელია წმინდა სადაზღვევო ინტერესის არსებობა (დაარა "დაზღვევისადმი ინტერესის", რომელიც გულისხმობს მხოლოდ ფულადი თანხის მიღებაში დაინტერესებას).

გარდა ამისა, ინტერესი რომ იყოს დაზღვევადი, მასთან დაკავშირებულ გარემოებებს უნდა ახასიათებდეს შემთხვევითობა, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ ზარალის მიყენება.

ამ გარემოებების არ არსებობა, თავისთავად უკვე გულისხმობს სადაზღვევო ინტერესის არარსებობასაც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაზღვევა არ უზრუნველყოფს ისეთი რისკებისგან დაცვას, რომელთა მოხდენა უეჭველი და გარდაუვალია. სადაზღვევო ინტერესის კლასიკური განმარტებიდან გამომდინარე, ინტერესი ხომ იმაში მდგომარეობს, რომ ზარალი ავიცილოთ თავიდან? მაგრამ, თუ უკვე ეს მოვლენები დადგა, რაზეც გვინდა დაზღვევა, მაშინ რისგან ვაზღვევთ ობიექტს (მაგ. შენობას, რომელიც უკვე დაზიანებულია ხანძრისგან ან სხვა სტიქიური მოვლენებისგან)? ეს უკვე აღარ არის დაზღვევა, არამედ ზარალის ნებაყოფლობითი ანაზღაურება ანუ ქველმოქმედებაა. სადაზღვევო ორგანიზაცია არ არის საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომელიც არაშემთხვევითი მოვლენების დადგომის დროს გასცემს თანხებს. არაშემთხვევითი მოვლენების დაზღვევისას სადაზღვევო ორგანიზაციას უეჭველი მოუწევს კომპენსაციების გაცემა. მაგრამ რა საშუალებებით დაფარავს ის ამ

თანხებს? ან რატომ უნდა აილოს თავის თავზე ეს ვალდებულება? დიდი მოცულობის ხარჯის მეტი მას არაფერი ექნება, განსხვავებით იმ ცირე შენატანებისა, რომლებიც მას გადაუხადეს დაზღვევისთვის.

სხვა საქმეა, როცა შემთხვევა შეიძლება მოხდეს ან არ მოხდეს. ასეთ დროს შესაძლებელია მისი მოხდენის ალბათობის გამოთვლა და გაკეთდეს დაზღვევა (ამ მოვლენაზე) არა ერთი, არამედ რამდენიმე კაცის (დიდი ჯგუფის) და თითოეულზე გაითვალისაშუალო გადასახადი, ისე, რომ ნაგებაში არ წავიდეთ და მივიღოთ მოგება.

სადაზღვევო მექანიზმშიც სწორედ ასე მუშაობს, ის ეყრდნობა დიდ რიცხვთა კანონს, შემთხვევების მოხდენის სიშირეს (სტატისტიკას) და მათ შედეგობრივ მონაცემებს. სადაზღვევო ფუნქციის შესასრულებლად და ამ საქმიანობიდან მოგების მისაღებად, მნიშვნელობა აქვს მოვლენათა შემთხვევითობას. ქველმოქმედება ვერ იქნება მასიური ხასიათის, ხოლო სადაზღვევო დაცვაზე მოთხოვნა

შეიძლება ჰქონდეს პრაქტიკულად ყველას.

საბოლოოდ რეზიუმეს სახით შეიძლება ითქვას, რომ სადაზღვევო ინტერესის არსებობა სადაზღვევო დაზღვევის განსახორციელებლად. თუ დაზღვევა მოხდება სადაზღვევო ინტერესის გარეშე, ჩნდება დაზღვევისადმი ინტერესი, ე.წ. "მორალური რისკი", როდესაც დამზღვევი შეიძლება დაინტერესებული იყოს სადაზღვევო შემთხვევის მოხდენაში – ფინანსურ ზარალს ის არ განიცდის და მიღებული სადაზღვევო ანაზღაურება მოხმარდება არა ზარალის კომპენსაციას, არამედ მის გამდიდრებას.

სადაზღვევო ინტერესი უნდა არსებობდეს სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმების დროს. თუ სადაზღვევო ინტერესი გაქრა სადაზღვევო პერიოდის დასრულებამდე, სადაზღვევო ხელშეკრულება უნდა შეწყდეს.

როლანდ ბრეგვაძე,
ქუთაისის უნივერსიტეტის
დოქტორანტი

INSURANCE CAN NOT BE CARRIED OUT WITHOUT PURE INTEREST FOR SAFETY

Roland Bregvadze -
Doctor's Degree Candidate of Kutaisi University



ABSTRACT

The risk can not be insured if it's not based on pure interest for safety. The existence of pure insurable interest is the basis for starting insurable negotiations in Life Insurance field, as well in the other fields as Property insurance, Liability Insurance and Financial risks insurance. A person can have the "interest to insurance" but not the "insurable interest" that differ very much from each other and in this case insurance can not be carried out.

It is obligatory to have "insurable interest". If the insurance is carried out without it, there arise "interest to insurance" so-called "moral risk" when the insured person can be interested in happening insured peril – he will not suffer financial loss and obtained reimbursement will not be used to compensate his loss but for his enrichment.

"Insurable interest" must exist before concluding insurance contract, but may disappear till the end of insurance period and in this case contract must be terminated.

Consequently, the object of given research is to define sort of interest that will enable to make insurance agreement.

კანონები, რომლებიც რადიკალურ ცვლილებებს მოითხოვს


სპეციალისტთა აზრით, ამ ბოლო წლებში საქართველოს პარლამენტის მიერ გამომცხვარი კანონები, ან დაჩქარებული წესით, ყოველგვარი საფუძვლიანი განხილვის გარეშე მიღებული, ან გარკვეული კლანების ინტერესებზეა მორგებული, რომელიც სერიოზულ პრობლემებს ქმნის სამართლებრივი გადაწყვეტილების მისაღებად.

ამჯერად უძრავი ქონების მარეგულირებელ კანონებზე შევჩერდეთ, რომელიც გადაუდებელ ცვლილებებს საჭიროებს.

I. უპირველესად დავასახლოთ საქართველოს კანონის "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ", რომელიც მიღებულია 1996 წლის 22 მარტს ვფიქრობ, იგი უნდა გამოცხადდეს ძალადაკარგულად და მიღებული იქნას ახალი კანონი შემდეგი მიზეზების გამო:

* კანონის მიღების დროს კანონი შედგებოდა 22 მუხლისაგან, კანონში შეტანილი 8 ცვლილების შედეგად ამოღებული იქნა 11 მუხლი და სამი პუნქტი, ფაქტიურად კანონმა დაკარგა არსებითი მნიშვნელობა და ვერ პასუხობს დღევანდელ მოთხოვნებს;

* რაც მთავარია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ, ამავე დროს მომხსენებელმა მოსამართლემ გიორგი პაპუაშვილმა, დააკამყოფილა დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონჟესტის სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ და ა.წ. 26 ივნისს გაატარა "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება №3/1/5/512", რომლითაც გაუქმდა უამისოდაც უაღრესად არასრულყოფილ, სახელდობრ, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესთა უგულვებელყოფელ "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" საქართველოს კანონში გათვალისწინებული ყველა შეზღუდვები უცხოელთა (მოქალაქეობის არ მქონე პირი) მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შეს-



ყიდვასა და საკუთრებაში ქონაზე. ამით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწა — ქართველი ერისა და საქართველოს ყველა მოქალაქის და მათი შთამომავლობის საარსებო ბაზა ან და მარადის — გატანილი აღმოჩნდა მსოფლიოს ღია ბაზარზე გასაყიდად (საქართველომ ევროკავშირში განეკრიანება მდე სასწრაფოდ უნდა გამოაცხადოს მორატორიუმი (როგორც ევროკავშირის რიგმა ახალმა წევრმა ქვეყნებმა) და გამონაკლისის გარეშე აღიკვეთოს (შეაჩეროს) სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისება უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე და იმ იურიდიულ პირებზე, რომლებიც საქართველოშია დაფუძნებული, მაგრამ მათში ნებისმიერი მასშტაბით მონაწილეობს არარეზიდენტი იურიდიული თუ ფიზიკური პირი. ამ მოთხოვნის შესრულება ოდნავადაც არ გააუარესებს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივებს, პირიქით უდიდეს საფრთხეებს ააცილებს მას.

II. ასევე ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს "ქონების ლეგალიზაციის შესახებ" საქართვე-

ლოს კანონი (რომელიც მიღებულია 2007 წლის 22 ივნისს), **2011 წლის 22 მარტს შეტანილი ცვლილებები (კანონის მ-6 მუხლს დაემატა მე-6 პრიმა მუხლი და კანონის მე-7 მუხლს დაემატა მე-3 პუნქტი).** შემდეგი გარემოებების გამო:

* ამ დამატებებით შემოღებულია ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ლეგალიზების ახალი საფუძვლები, რომელსაც პრაქტიკულად არ უმუშავია.

* კანონის დამატებაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაევალა სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად 2013 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს კანონში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად კანონპროექტის მოამზადება, რომელიც, გარდა თბილისისა, გავრცელდება მთელ საქართველოზე. კანონის დამატებაში აღნიშნულია, რომ ლეგალიზების საფასური ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე მიწის ნაკვეთის ერთ კვადრატულ მეტრზე შეადგენს 15 ლარს. საოცარია, რომ პირს, რომელსაც სახელმწიფოს შე-

საბამისმა ორგანიზაციამ ხარვეზით მისცა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი, მის საკუთარ ერთ კვადრატულ მეტრ მიწის ნაკვეთში უნდა გადაიხადოს 15 ლარი, ხოლო იმ პირმა, რომელმაც უკანონოდ მიიტაცა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და უკანონოდ ააშენა სახლი "ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარეგებლობაში) არსებული მიწების ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ, საქართველოს კანონის შესაბამისად, რომელიც ასევე მიღებული 2007 წლის 11 ივლისს უნდა გადაიხადოს ერთ კვადრატულ მეტრ მიწის ნაკვეთში 5 თეთრიდან 10 თეთრამდე (არ იფიქროთ სტილისტური შეცდომაა, სწორედ თეთრი და არა ლარი). ასევე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სახელმწიფო თბილისის ზღვის მიდამოებში პირებს ერთ კვადრატულ მეტრ მიწის ნაკვეთებში უზღის 6 ლარს, თვითონ მოითხოვს 15 ლარს. აღნიშნული კანონის გავრცელება სოფლის რაიონებში მოსახლეობის ძალიან დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევს.

* ამავე კანონის დამატებით ლეგალიზაციის განხორციელება დაევალა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს. საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო სამსახურებს ევა-

ლებათ დაადგინონ კანონდარღვევით თუ არის შედგენილი მიწის რეფორმის კომისიის მიერ გაცემული მიღება-ჩაბარების აქტი, მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო მონმობა, მებაღეობის ამხანაგობის მიერ გაცემული ნიგნაკი და რაც მთავარია, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომელიც თავის დროზე მათ მიერ არის გაცემული. რაც არ არის სწორი, რადგან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სამართლებრივი უფლებამოსილების განმხორციელებელი მარეგისტრირებელი ორგანოა და არა დამდგენი. "საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის მუხლი № 3 აღნიშნულია: "მარეგისტრირებელი ორგანო და მისი თანამშრომელი პასუხს არ აგებენ წარმოდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ნამდვილობაზე". ისინი პასუხისმგებლები არიან მხოლოდ რეგისტრირებული მონაცემებისა და მათთან დაკავშირებული სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობასა და უსაფრთხოებაზე.

* გაურკვეველია რას ნიშნავს კანონის დამატებაში მოყვანილი სიტყვები: „**კანონის დარღვევით შედგენილი დოკუმენტი**“ როგორც ცნობილია მიწის რეფორმის პერიოდში (1992-1998წწ.) ლიკვიდირებულ იქნა კოლმეურნეობები და ასაბჭოთა მეურნეობები, რაც დიდი საშიშროება იყო სოფლის მეურნეობის პროდუქ-

ტების მოსალოდნელი სერიოზული დეფიციტის შესახებ. ბევრს ახსოვს მოქალაქეები ღამეებს ათენებდნენ, რომ ეყიდათ უხარისხო პური.

იმდროინდელი საქართველოს მთავრობის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის მიმდინარეობის შესახებ და ოფიციალური მითითებებით ხდებოდა მიწების დაჩქარებული გაცემა, დოკუმენტაციების შედგენა და რეგისტრაცია, იმისათვის, რომ გლეხებს სასწრაფო წესით მიეღოთ მიწის ნაკვეთი, დაემუშავებით და არ დაწყებულიყო მასიური შიმშილობა. ასეთ პირობებში არ არის გამორიცხული, რომ რეფორმის კომისიები (მათ სოფლის კრება ირჩევა და ზოგიერთი კომისიის წევრის ცოდნა არ იყო კვალიფიციური) დაუშვებდნენ მიღება-ჩაბარების აქტებში შეცდომებს და ხარვეზებით გაფორმებდნენ დოკუმენტებს. დღემიათასზე მეტი მიღება-ჩაბარების აქტის და საკუთრების მონმობის გაცემა ხდებოდა, ასევე შეცდომებს ექნება ადგილი მებაღეობის ამხანაგობების მიერ გაცემულ ნიგნაკებში და მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო მონმობებში. რა დანაშაული მიუძღვის მოქალაქეს, გლეხს (ფერმერს), თუ სახელმწიფო ორგანიზაციამ, ამ შემთხვევაში მიწის რეფორმის კომისიამ, მებაღეობის ამხანაგობამ და საჯარო რეესტრმა, კანონის დარღვევით (იგულისხმება ხარვეზით) გაცა მიწის მიღება ჩაბარების აქტები, მებაღეობის ნიგნაკები, საკუთრების მონმობები და ამონაწერები? რატომ უნდა გადაიხადოს ამისთვის ათასობით ლარი. თუ არ გადაიხდის, რატომ უნდა დაიწყოს სისხლის სამართლებრივი დევნა ასეთი პირის მიმართ. ასევე გაურკვეველია როგორ დადგინდება, კანონდარღვევით თუ არის შედგენილი მიწის რეფორმის კომისიის მიერ გაცემული მიღება-ჩაბარების აქტი, მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო მონმობა, მებაღეობის ამხანაგობის მიერ გაცემული ნიგნაკი და რაც მთავარია ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. საქართველოში ორ მილიონზე მეტმა მოქალაქემ მიიღო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, აქედან თითქმის ნახევარზე გაცემულია



SOS!

ამონაწერები საჯარო რეესტრიდან, სადაც საფუძვლად აღნიშნულია მინის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი, სარეგისტრაციო მოწმობა ან მებაღების ამხანაგობის მიერ გაცემული წიგნაკი, აქედან კიდევ ძალიან ბევრს გაყიდული აქვს ეს მინის ნაკვეთები (კანონის დამატებაში აღნიშნულია: “ქონების ლეგალიზება შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, როდესაც გარიგება გადასულია ახალ მესაკუთრეზე”). რა ქნან, როგორ გაიგონ ეს დოკუმენტები სწორად არის გაცემული თუ ხარვეზით? ანდა რა შუაშია კეთილსინდისიერი მყიდველი? სოფლად მაცხოვრებელი გლეხი, რომელსაც საკუთრებაში აქვს ერთი ჰექტარი მიწა, მაგრამ არ არის რეგისტრირებული, როდესაც მივა სარეგისტრაციო სამსახურში არ არის გამორიცხული, რომ მინის ნაკვეთის მიღება ჩაბარების აქტში ხარვეზი აღმოჩნდეს და უთხრან, შენ უნდა გადაიხადო ლეგალიზაციის 150.0 ათასი ლარი.

5) როგორც ჩანს, კანონის პროექტის ავტორებს არ უფიქრიათ იმაზე, რომ საქართველოში სოფლად მაცხოვრებლების კომლების დიდ უმრავლესობას დღემდე არ აქვთ მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები რეგისტრირებული.

III. საქართველოს კანონში: “სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ”, რომელიც მიღებულია 1997 წლის 2 ოქტომბერს, საჭიროა ცვლილებების შეტანა შემდეგი გარემოებების გამო:

* კანონის შესაბამისად სარეკრეაციო ტერიტორიების საზღვრებში მცხოვრებმა ოჯახმა, საკუთარ მიწის ნაკვეთზე, საკუთარ საცხოვრებელ სახლში, კანონიერად რომ მოაწყოს პატარა მაღაზია, ან/და ბინა გააქირავოს, აუცილებლობას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა გადაიყვანოს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით და ამისათვის ერთ ჰექტარ მიწაზე გადაიხადოს 100 000 ლარი. რაც არანორმალურია და ხელს უშლის მცირე ბიზნის განვითარებას;

* არ არის გამართლებული, რომ ქ.

თბილისისა და ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული სოფლების მაცხოვრებლებმა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები რომ გადაიყვანონ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით ამისათვის ერთ ჰექტარ მიწაზე უნდა გადაიხადო 34 001 ლარი, ხოლო სარეკრეაციო ტერიტორიების საზღვრებში მცხოვრებმა ოჯახმა 100 000 ლარი (სხვა ქალაქებისა და რაიონის სოფლის მაცხოვრებლებისათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების გადაყვანა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით უფასოა);

* კანონი არ ითვალისწინებს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადაყვანას სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით, რაც არ არის სწორი. გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს კანონს დამატოს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გადაყვანის წესი;

* კანონში №1 დანართის სახით მოცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიზნით სარგებლობისას მიყენებული ზიანის სანაცვლო საკომპენსაციო თანხები, რომელიც ვერ პასუხობს დღევანდელ მოთხოვნებს, საჭიროა მოხდეს გადაანგარიშება.

IV. “სახელმწიფო ქონების შესახებ” საქართველოს კანონში უნდა შევიდეს სერიოზული ცვლილებები შემდეგი გარემოების გამო:

* სახელმწიფო ქონების გაკარგვის წესებში უნდა დაზუსტდეს საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილება;

* დაზუსტებას მოითხოვს სახელმწიფო და მუნიციპალური ქონების საკითხები;

* კანონის ზოგიერთი მუხლები წინააღმდეგობაშია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მუხლებთან, კერძოდ: სამოქალაქო კოდექსის კარი პირველი, თავი მეექვსე;

* კანონის უამრავი მუხლი ბუნდოვანია და მოითხოვს დაზუსტებას. ამასთან საკითხები არასისტემურადაა დალაგებული.

V. 2007 წლის 11 ივლისის მიღებულ იქნა კანონი “ბინათმესაკუთრე-

თა ამხანაგობის შესახებ“. კანონი არეგულირებს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების მართვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს დასახელებული ამხანაგობისა და მის წევრთა საკუთრების ფორმებს, აგრეთვე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წარმოშობის, ჩამოყალიბების, საქმიანობისა და ლიკვიდაციის ძირითად სამართლებრივ პირობებს. კანონში უნდა შეტანილ იქნას საფუძვლიანი ცვლილებები შემდეგი გარემოების გამო:

* კანონში ბევრი რამ გაურკვეველი და დასაზუსტებელია. მაგალითად, გაურკვეველია კანონის 23-ე მუხლი გულისხმობს ამხანაგობის წევრთა 2/3-ს თუ კრებაზე დამსწრე წევრთა 2/3-ს. კანონის 28-ე მუხლის თანახმად, კრება გადაწყვეტილება უნარიანია, თუკი მას ესწრება ამხანაგობის წევრთა 2/3. ზემოთ ნახსენები მუხლის თანახმად კი გამოდის, რომ წევრთა 2/3-ის მონვევის შემთხვევაში, შესაძლებელია სამეურნეო სათავეების განხილვა და გადაწყვეტა დამსწრე წევრთა 2/3-ის მხარდაჭერით. უფრო მეტიც, იმ შემთხვევაში, თუ კრება არ ჩატარდა კვორუმის უკმარისობის გამო, განმეორებითი კრების მონვევისას უკვე აღარაა გადაწყვეტი დამსწრე წევრთა ოდენობა და მათი უბრალო უმრავლესობის სურვილით შეიძლება საკითხის განხილვა და გადაწყვეტა, რაც კატეგორიულად ეწინააღმდეგება კანონის მე-10 მუხლის 1 ნაწილს.

* არის შემთხვევები, როდესაც ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარე ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებას საერთო საკუთრების ქონების გასხვისებაზე, კრების ჩაუტარებლად ადგენს ოქმს, აწერს ხელს, ამტკიცებს ნოტარიუსთან და არეგისტრირებს საჯარო რეესტრში მისთვის სასურველ პიროვნებაზე ან პირად საკუთრებაში. ასეთ შესაძლებლობას კანონი აძლევს არა მარტო ამხანაგობის თავმჯდომარეს, არამედ ამხანაგობის ნებისმიერ წევრსაც. ასევე არ შეიძლება არ აღნიშნოს, რომ მრავლობიანი სახლებში პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება ბინათმესაკუთრეთა წევრების იურიდიულად გამართლებული კრების ჩა-

ტარება. რაც ინვესტს ძალიან ხშირად ბინათმესაკუთრეთა სამოქალაქო დავებს.

* კანონი არ განმარტავს და არ აკონკრეტებს ფაქტობრივ მდგომარეობაში რას მოიაზრებს, საერთო სათავის ფლობის ფაქტს, თუ მის მდებარეობას, ან უპირატეს უფლებას მისი საკუთრებით გადაცემისთვის თუკი ადგილი აქვს მობინადრის მიერ წლების განმავლობაში ფლობის ფაქტს. ასევე საყურადღებოა, რომ პრაქტიკაში, ერთგვარად, ფორმალურად იქცა ამ კონკრეტულ საკითხებზე საერთო კრების მოწვევის

ეული წევრის ინტერესის დაცვა, მათი საერთო ინტერესების დაცვა განაპირობებს მათ მშვიდობიან თანაცხოვრებას, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსის 174-ე მუხლის თანახმად, სამეზობლო სამართალში პრიორიტეტულია ურთიერთპატივისცემის მომენტი და სამართლის ეს ნაწილი, ზოგადად, სწორედ ამაზეა დამყარებული.

* კანონის უამრავი მუხლი ბუნდოვანია და მოითხოვს დაზუსტებას. ამასთან საკითხები არასისტემურადაა დალაგებული, კანონის რეგულირების სფეროს, მიზანს და

ამხანაგობის ინდივიდუალურ და საერთო ქონებაზე.

VII. ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს **“ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ”, საქართველოს კანონი და საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულება “ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მონაშობის ფორმის დამტკიცების შესახებ”** რადგან ამ კანონმა გამოიწვია სერიოზული გაუგებრობები მიწათსარეგებლობის საკითხებში, მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება და სამოქალაქო დავები. რაც მთავარია ეს კანონი და პრეზიდენტის ბრძანებულება მიღებული იქნა საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების წინ და საარჩევნო პიარს ემსახურებოდა.

VIII. სერიოზულ ცვლილებებს მოითხოვს **სამოქალაქო კოდექსი**, რამდენადაც ცნობილია ის ნათარგმნია გერმანული ანალოგიური კოდექსიდან. ბევრი მუხლი გაუგებარია და ბუნდოვანია. რაც მთავარია კოდექსის თავი მეთერთმეტე: **“სამკვიდროს გაყოფა”** საფუძველს იძლევა ისედაც დანაწევრებული მიწები კიდევ უფრო მეტად დანაწევრდეს და მოხდეს მიწების ფრაგმენტაცია. ასევე კარი პირველი, ნაწილი მეორე თავი მეხუთე წინამდებელობაშია საქართველოს კანონთან: **“სახელმწიფო ქონების შესახებ”**.

IX. არსებობს ტყის, წყლის, ნიაღვის და სხვა მრავალი კოდექსი. არ არსებობს **მიწის კოდექსი**. ჩვენის აზრით გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს უახლეს პერიოდში მომზადდეს საქართველოს მიწათსარეგებლობის კანონი(მიწის კოდექსი).

ანზორ მისხიშვილი
ეკონომიურ მეცნიერებათა
დოქტორი,
დამოუკიდებელი ექსპერტი უძრავი ქონების საკითხებში



პროცედურა და ამ კრების მოწვევის გარეშეც ძალზე მარტივად ხდება ამ ფართების რეგისტრირება ინიციატივის მქონე ამა თუ იმ დაინტერესულ პირთათვის. არც სარეგისტრაციო სამსახური და არც ნოტარიუსი, რომელიც პირდაპირაა ჩართული ამ პროცედურაში ამონებს მხოლოდ ამხანაგობის თავმჯდომარის ან კრების თავმჯდომარის ხელმოწერების ნამდვილობას, არ ითხოვს საერთო კრების მონაწილეთა ხელმოწერებს. ეს კი აადვილებს კანონის გვერდის ავლით, კრების მოწვევის გარეშეც კი საკუთრების უფლებით ამა თუ იმ ფართების რეგისტრაციას მხოლოდ ამხანაგობის თავმჯდომარის ხელმოწერით, რაც თავისთავად ამ პროცედურის დაცვის გარეშე არის გარიგების ბათილობის საფუძველი. ამრიგად, კანონის ეს ხარვეზი არის შესავსები, რათა ყველა წესის სათანადო დაცვით მოხდეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თითო-

ტერმინთა განმარტებებს მოსდევს საკითხი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ინდივიდუალურ და საერთო ქონებაზე, მის განკარგვასა და მისით სარგებლობაზე. მხოლოდ ამის შემდეგაა მოქცეული ნორმები, რომლებიც განმარტავს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ამოცანებს, სამართლებრივ სტატუსს, ეკონომიკურ საქმიანობას, ამხანაგობის წევრთა უფლებებს, წევრობას, მათ მოვალეობებს, ამხანაგობის წესდებას, ლიკვიდაციას, გაერთიანებას, ამხანაგობის მართვას, კრების მოწვევას, გარდამავალ და დასკვნითი დებულებებს. უ

უმჯობესია კანონის რეგულირების სფეროს, მიზანს და ტერმინთა განმარტებების საკითხებს მოსდევდეს ამხანაგობის სამართლებრივი სტატუსი, ამოცანები, ამხანაგობის წევრობა, უფლებები, მათ მოვალეობები, და ამის შემდეგ იქნას მოქცეული საკითხები ბინათმესაკუთრეთა

რატომ ეზინია მთავრობას პრეზიდენტის უფლებების და რობორ განვასოროსცილოთ აბრარული რეფორმა



საქართველოს პრეზიდენტის უფლებები ისეთი ბობოქარი განხილვის საგანი გახდა, რომ თითქოს საქართველოს სხვა პრობლემები არ ანუხებდეს. თვითონ პრეზიდენტისთვისაც უკვე გასაგებია, რომ მისი უფლებები მხოლოდ ფორმალობაა, მაგრამ მანამდე, სანამ საქართველოს ახალი მთავრობის რეიტინგი არ დაეცემა.

არსებულ სიტუაციაში ხალხის რჩეულებთან დაპირისპირებას თუნდაც უმაღლესი საკონსტიტუციო უფლებების საფუძველზე - არავითარი პერსპექტივა არ აქვს. ჯაკი თვითონ პრეზიდენტმაც აღნიშნა, რომ ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუცია საბჭოთა კავშირს ჰქონდა, მაგრამ მისი მიღების წელს მილიონობით ადამიანის რეპრესირება მოახდინეს ყველა კონსტიტუციური უფლების დარღვევით.

განვითარებადი დემოკრატიის ქვეყნებში ნამდვილად ასე ხდება- მთავარია პოლიტიკური სიტუაცია და არა ის, რა წერია კონსტიტუციაში.

ასე რომ, პრეზიდენტის უფლებების ამოქმედება მხოლოდ ერთ მოვლენას შეუძლია - ეს არის მთავრობის რეიტინგის კატასტროფული დაცემა.

რა თქმა უნდა, არის სხვა "მორალურ-პოლიტიკური" ასპექტებიც, რომ პრეზიდენტს ასეთი დიქტატორული უფლებები არ უნდა ჰქონდეს. **თუმცა, საქართველოში პოლიტიკურ მორალზე საუბარი ჯერ-ჯერობით ძალიან ნადრევიანია:** შეიძლება ხმაბალა ითქვას, რომ საქართველოს პარლამენტმა ბევრჯერ დაამტკიცა თავის უუნარობა.

ისმება კითხვა: რატომ მოელის საქართველოს ახალი მთავრობა თავისი ავტორიტეტის დაცემას ოქტომბრამდე? რა ისეთი პრობლემები დგას ქვეყნის წინაშე, რომელთა გადაჭრასაც ხელისუფლება ვერ შეძლებს?

პირველ რიგში აღსანიშნავია კანონზომიერება, რომელიც ბოლო დროს გამოიკვეთა. აღმოჩნდა რომ აჟიოტაჟური პროტესტის დაკმაყოფილება არ იწვევს ადეკვატური ეიფორიის გრძობას. ძველი მთავრობის პირობებში ისტერიულ აღმფოთებას ტარიფებისა და ფასების კატასტროფული ზრდა იწვევდა. მართალია, ახალმა მთავრობამ შეამცირა ტარიფები, მაგრამ აღმოჩნდა რომ თუნდაც მათი განახლება არ გამოიწვევდა სოციალური ფონის

გაუმჯობესებას. ღარიბი ოჯახების მოხმარება არც მანამდე ყოფილა დიდი - თუ ელენერგიაში ადრე 20-25 ლარს იხდიდნენ - ახალი ტარიფით უკვე 15-17 ლარს იხდიან. ბუნებრივ აირში კი 10 ლარის ნაცვლად 7-8 ლარს გადაიხდიან, მაგრამ თვეში 5-7 ან თუნდაც 10 ლარის ეკონომია ნამდვილად ვერ ამარცხებს სიღატაკს და ეს შელავათი ნამდვილად არ იწვევს უსაზღვრო ბედნიერების განცდას!

ამრიგად, ახალი მთავრობა იგივე პრობლემების წინაშე რჩება, რომელთა გადაჭრა ძველ მთავრობასაც საკმაოდ უჭირდა ან მისი პოლიტიკური ნება გააჩნდა!

მართალია, ახალი მთავრობის შემართება უფრო მასშტაბურია, მაგრამ იქნება კი შედეგები ასეთივე თვალშისაცემი?

პირველ რიგში აღსანიშნავია აგრარული პროგრამა - გლეხები 20 ლარიანი ნაცვლად 300 ლარიან ვაუჩერს მიიღებენ. თუმცა, ეს საჩუქარი მხოლოდ 1,25 ჰექტარზე ვრცელდება. უფასო ხვნა-თესვა ძირითადად მარცვლეული კულტურებისთვისაა განკუთვნილი. ჯერ ერთი, მთავრი პრობლემა არის არა თვითონ დახვნა

№1 აპრილი 2013

– არამედ ნათესების შემდგომი მოვლა. “ნაციონალების” მმართველობის პირველ ეტაპებზე საკმაოდ ბევრი მინა იხვნებოდა სახელმწიფო პროგრამებით, მაგრამ მათი დიდი ნაწილი გაუმარგლავე რჩებოდა და მოსავალი ფუჭდებოდა. საქართველოს სოფლებში კი მოსახლეობის 51% ცხოვრობს. თუმცა, მათი უმრავლესობა ასაკოვანი და შრომის უნარდაქვეითებული ადამიანია. ახალგაზრდობის უმეტესობა ან ქალაქად მუშაობს, ან საზღვარგარეთაა გასული – ასაკოვან ადამიანებს კი ნამდვილად არ შეუძლიათ ჰექტრობით მიწის გამარგვლა და მოსავლის აღება. სამწუხაროდ, სოფელში დარჩენილი ახალგაზრდობის უმეტესობა დომინოს თამაშით და ალკოჰოლიზმისადმი მიდრეკილებით ამტკიცებს თავის „ვაჟკაცობას“. სამწუხაროა, რომ “გეორგოსების” ახალ თაობაში მიწის დამუშავება თავის დამცირებდა ითვლება. ამ დროს კი ქართველებისგან მიტოვებულ მიწებს სიკვები ყიდულობენ და თავიანთი მებრძოლი ტრადიციების მიუხედავად მუშაობას არ თაკილობენ (ეს ის სიკვები არიან ინდირა განდი რომ მოკლეს მათი დამოუკიდებლობის არალიარების გამო).

ახლა კი ისევ სოფლის პრობლემას დაუბრუნდეთ. დაუშვით, რომ უფასოდ დახსნულ მიწებს კარგად მოუარეს – მაგრამ იქნება კი მიღებული მოსავალი საკმარისი კვლავწარმოებისთვის? 1,25 ჰა მიწის ფართობზე

შესაძლებელია მაქსიმუმ 4 ტონა სიმინდის ან ხორბლის მიღება, რაც ფულად ეკვივალენტში მაქსიმუმ 2000 ლარია. თუ აქედან ფერმერი 300 ლარს შემდგომი წლის ხვანა-თესვისთვის შეინახავს, მას მხოლოდ 1700 ლარი დარჩება – რაც ნამდვილად არაა დიდი შემოსავალი. აღნიშნული 300 ლარის შენახვაც დიდი პრობლემაა – ახალი ვაუჩერების იმედით და დევიზით “მერე რამე გამოჩნდება!” – ეს მიზეზური თანხაც ადვილად შემოეხარჯება უმრავლესობას!

ამიტომ უკეთესი იქნებოდა, თუ სუბსიდიებით დაფინანსდებოდა მრავალწლიანი კულტურები, რომელთა მოვლასაც მძიმე შრომა არ სჭირდება – შემოსავალი კი უფრო მეტი მოაქვთ.

300 ლარით შესაძლებელია 100 ნერგის ყიდვა და დარგვა, რომლებიც რამდენიმე წლის შემდეგ მინიმუმ 5 ტონა ხილს მოიხსამს. თუ ამდენი ხილის გაყიდვა ვერ მოხერხდება – იგი პირუტყვის საკვებად მაინც გამოდგება რაც გაზრდის ხორცის წარმოებას. დღესდღეობით საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე მხოლოდ 11 კილოგრამი ხორცი ინარმოება, რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელია ისეთი ქვეყნისთვის სადაც მოსახლეობის ნახევარი სოფლად ცხოვრობს. არც ხილის წარმოებაა ისეთი მასშტაბური, რომ მისი გასაღება გაჭირდეს თუნდაც შიდა ბაზარზე. საქართველოში დღესდღეობით მხოლოდ 42 კგ ხილი

ინარმოება ერთ სულ მოსახლეზე, რაც “დიეტურ” ნორმაზე ნაკლებია.

ასე რომ, ვაუჩერებით ხეხილის დარგვა-გაშენება უფრო მომგებიანი და ნაკლებად შრომატევადია. **ხეხილის გასაღების ზრდას კი თვითონ საქართველოს მოსახლეობის შემოსავლების სტიმულირება სჭირდება.**

ამ მიმართულებითაც მასშტაბური ღონისძიებებია დაგეგმილი. ერთის ნაცვლად სამი საინვესტიციო ფონდი იქმნება! ყოველ რაიონში თუ სოფელში ერთი გადამამუშავებელი საწარმო უნდა აშენდეს. მაგრამ იქნება კი ეს ინვესტიციები მომგებიანი? მთელს მსოფლიოში ყველაფრის სიჭარბეა მოთხოვნის გარდა! ინვესტორები არც ერთ დაბალმომგებიან და სარისკო შესაძლებლობასაც კი არ უშვებენ ხელიდან, რომ ჭარბი ფული დააბანდონ. პოლიტიკური სიტუაციის ოდნავი სტაბილიზაციის შემდეგ საქართველოში უცებ აღმოცენდა რამდენიმე გადამამუშავებელი კონგლომერატი – “კულა”, “მარნეული”, “ეკოფუდი”, “სანტე”, “ნიკორა” და ა.შ. ამ კომპანიებმა უკვე დაიკავეს ყველა მომგებიანი სეგმენტი და ნიშა.

დარჩა კი თუნდაც პატარა ნიშები ახალი საწარმოებისთვის? ყოფილი მთავრობის საპარტნიორო ფონდი მთელი ძალებით ცდილობდა ახალი საწარმოების გახსნას და ინვესტორების მოზიდვას, მაგრამ დიდ წარმატებებს ვერ აღწევდა. ინვესტიციები იძულებით ხორციელ-





დებოდა და სანარმოები პომპეზური გახსნიდან ორი-სამი დღის შემდეგ ჩერდებოდნენ. უმრავლესობა კი გასაღების ბაზარს ვერ პოულობდა. მაგალითად, რამდენიმე საკონსერვო ქარხანას ათეულობით ტონა ვაშლის კონცენტრატი დარჩა გაუყიდავი (**ახლად აშენებული სანარმოები როგორ იპოვნინან გასაღების ბაზარს?**).

არის შანსი, რომ ახალი პროდუქცია რუსეთის ბაზარზე უნდა გასაღდეს, მაგრამ თანამედროვე მსოფლიო ხომ ზიარჭურჭელივითაა – როდესაც რუსულ ბაზარზე ქართული ღვინოების ადგილი ევროპულმა სასმელებმა დაიკავეს – ხომ უნდა გაჩენილიყო ღვინის დეფიციტი თვითონ ევროპაში და ეს დეფიციტი ხომ ისევ ქართულ ღვინოებს უნდა შეეცოს? არავითარი დეფიციტი არ გაჩნდა.. იგივე შეიძლება ითქვას ნებისმიერ სხვა პროდუქციაზე – მით უმეტეს ხილზე და მის კონცენტრატებზე!

ნარმოებაში გეგმიურ ინვესტირებას არც ერთი სახელმწიფო აღარ ახდენს. ჯერ კიდევ 70-იან წლებში მრეწველობის რობოტიზაციამ იმდენი ადამიანი გამოანთავისუფლა, რომ მათი დასაქმება მომსახურეობის სფეროში ვერ შეძლო. მასობრივი უმუშევრობისა და “სოციალური ომების” თავიდან აცილების მიზნით ყველაზე “კაპიტალისტურმა” აშშ-მაც კი სოციალურ სფეროში დაინყო ინვესტირება. და დღეს აშშ-ს ჯანდაცვის სფეროში 22 მილიონი ადამიანი მუშაობს, სახელმწიფო აპარატში – 16 მილიონი, უშუალოდ მრეწველობაში

კი მხოლოდ 12 მილიონი. ამავდროულად უზარმაზრი თანხები იხარჯება ინფრასტრუქტურაზე, ეკოლოგიაზე და სხვა არამომგებიან სფეროებზე.

საქართველოს მთავრობა კი ყველაფერზე ეკონომიას ცდილობს, რაც ერთობლივ მოთხოვნას ამცირებს.

თითქოსდა “ამერიკულ” გზას დაადგინენ მხოლოდ ერთ სფეროში – შემოიღეს რა ჯანდაცვის საყოველთაო სისტემა. მაგრამ ესეც უფრო პოპულისტური ნაბიჯია, ვიდრე ეკონომიკურ ზრდაზე გათვლილი ღონისძიება, რადგან ამ სადაზღვევო თანხებიდან მედპერსონალს მიზეზური წილი რჩება. მოგების დიდი ნაწილი ისევ ერთეულების ჯიბეებში ილექება. აშშ-ში კი ექიმის თვიური ანაზღაურება თავის სადაზღვევო პრემიებით 14 000 დოლარს აღწევს.

რა თქმა უნდა საქართველოს არ აქვს ისეთი მასშტაბური მრეწველობა რომელშიდაც უზარმაზარი ზედმეტი ღირებულება იქმნება, მაგრამ ირიბად ჩვენი ქვეყანა ზუსტად რომ ევრო-ამერიკის ზედმეტი ღირებულებით ირჩენს თავს. და ეს ხდება საზღვარგარეთ დასაქმებული ქართველების საშუალებით. ზუსტად მათი გადმორიცხული ფულის საფუძველზე იმპორტი სამჯერ აღემატება ექსპორტს და სახელმწიფო ბიუჯეტს იმპორტისგან ამოღებული გადასახადებით ივსება ძირითადად.

შიდა პოტენციალის ამოქმედება მხოლოდ ორ სფეროშია პერსპექტიული – ესაა სოფლის მეურნეობა და მაღალი ტექნოლოგიები.

300 ლარიანი ვაუჩერი რომ აგრარულ სექტორს ვერ განავითარებს – ეს თავისთავად ცხადია. **ევროპის სოფლის მეურნეობა ტოტალურად სუბსიდირდება, მაგრამ მაინც უჭირს თვითშენარჩუნება.**

მაგალითად, აშშ-ში თითო ფუტკრის სკა 400 დოლარით სუბსიდირდება. საქართველოში რომ ასეთი სუბსიდია შემოიღონ – ალბათ მთელს ქვეყანას “ლევად” გაფორმებული სკები წალეკავენ – ნამდვილ ფუტკარს კი მხოლოდ ერთეული ენთუზიასტები მოუვლიან!

ინოვაციურ სფეროში ჯერ-ჯერობით ასეთი მინიმალური “ვაუჩერებიც” არაა გათვალისწინებული. **წინანდელი და ახლანდელი მთავრობა ლამის ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ბათუმის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მშენებლობაში, მაგრამ ეს სფეროც პარტიული პროპაგანდის ქვეგანყოფილებად გადაიქცა.**

იქ დასაქმებული ადამიანები უმეტესად თავიანთი პარტიული ბოსების ქება-დიდებათი არიან დაკავებულნი, რისთვისაც საკმაოდ მოკრძალებულ გრანტებს ღებულობენ და თან ნაკლებად პერსპექტიული ფანტაზიებისთვის.

ზემომგებიანი და პერსპექტიული ინოვაციები კი ისევ იგნორირებული რჩება ისევე იგივე ბიუროკრატიული სტერეოტიპების გამო, რაც ან უკვე “გარდაცვლილ” საბჭოთა კავშირში არსებობდა.

კობა ბინაძე

ველნეს (WELLNESS) ინდუსტრია – ახალი ბრენდი საქართველოს ბაზარზე

ცივილიზებულ მსოფლიოში ცხოვრების მზარდი ტემპი, ყოველდღიურ საქმიანობაში სტრესისა და დაღლილობის არსებობა, ყოველწლიურად მზარდი ეკოლოგიური დაბინძურება, საჭიროებს ადამიანის ნორმალური ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის შენარჩუნებას. ადამიანს უჩნდება მოთხოვნილება მოიყვანოს თავისი ფიზიკური და სულიერი მდგომარეობა ჰარმონიაში. მას სურს გაიხანგრძლივოს ახალგაზრდობა, შეაჩეროს დაბერება და ჰქონდეს ცხოვრების ხალისი. შესაბამისი მომსახურების კომპლექსის ერთ ადგილზე არსებობა სულ უფრო მოთხოვნიდა ხდება. დღეს მსოფლიოში უამრავი ადამიანი ცდილობს ველნეს (ჭელნესს) ინდუსტრიის პროდუქტებისა და მომსახურების გამოყენებას. ველნესის კონცეფცია – კარგი ფიზიკური და სულიერი მდგომარეობის შენარჩუნება სასიამოვნო მეთოდებით და არა საკუთარ თავზე ძალდატანებით.

ტერმინი – ველნესი (ინგლ. Wellness) პირველად გამოიყენა ამერიკელმა ექიმმა ჰელბერტ დანმა 1959 წელს. წიგნში – „უმაღლესი დონე ველნესი“, მან ჩამოაყალიბა ჯანსაღი ცხოვრების წესის ძირითადი პრინციპები. მისი აზრით, ადამიანის ჯანმრთელობას განსაზღვრავს არა მარტო კარგი ფიზიკური მდგომარეობა, არამედ მისი სხეულის, სულისა და გონების ჰარმონია. დანმა ამ მდგომარეობას უწოდა Wellness, ანუ უმაღლესი დონის კმაყოფილება. [2, გვ.2]

ველნესი პოპულარული გახდა ჯერ პროფესიონალურ წრეებში, ხოლო შემდეგ, მთელ ამერიკულ საზოგადოებაში. ამას ხელი შეუწყო როგორც ჰელბერტ დანის, ასევე ჯონ ტრევისის, დონალდ არდელის, გერხარდა ჰეტლერის მრავალრიცხოვანმა პუბლიკაციებმა ველნესის შესახებ. ყველა თანხმდება იმაზე, რომ ველნესი არის ჯანსაღი ცხოვრების წესის თანამედროვე კონცეფცია, გაჯანსაღების კომპლექსური მეთოდების გამოყენება, რომელიც მოიცავს ოპტიმალურ ფიზიკურ დატვირთვას, სარეაბილიტაციო პროგრამებს, ფსიქოლოგიურ გაჯანსაღებას, ფუნქციონალურ ტრენინგს, სპა პროცედურებს, კვების ახალპრინციპებს, დიეტოლოგიას და ა.შ. [1, გვ.5]

დღეს სიტყვა „ველნესი“ ნიშნავს შემდეგს:
აქტიური, სრულყოფილი ცხოვრების წესი; სასიცოცხლო ძალების სწრაფ და ხარისხიან აღდგენას; კვებას ინდივიდუალური რაციონით; ყველა ადამიანის ფიზიოლოგიაზე მომქმედი ფაქტორის გამოყენებას: კლიმატოთერაპიას, მინერალური წყლებს, სამკურნალო ბალახებს და აბაზანებს, ღვინოთერაპიას, ტალახით მკურნალობას, მაგნიტური ქვიშას, ზღვის აბაზანებს, მცენარეულ ფლვონოიდებს (ანტიოქსიდანტებს) და წყალმცენარეებს; ინდივიდუალურად შერჩეულ ფიზიკურ დატვირთვას: ცურვას, სამთოსათხილამურო სპორტს, სამკურნალო ფიზკულტურას, მასაჟს, ცხენით სეირნობას და ა. შ. კანის სწორ მოვლას; ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიას.

ველნესი ხელს უწყობს:
ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ რელაქსაციას; ნებისმიერ სიტუაციაში შინაგანი სიმშვიდის შენარჩუნებას; სწორ კვებას და საკუთარ თავზე ზრუნვას; ნებისმიერ ასაკში გარეგნული მომხიბვლელობის შენარჩუნებას; აქტიურ დღეგრძელობას.

ველნესი ჯანმრთელობის ახალი კულტურაა. დღეს ადამიანთა უმრავლესობის ძირითადი მოთხოვნა არა ფული, არამედ კარგი ფიზიკური და სულიერი მდგომარეობის, ასევე ყველაზე ძვირფასის - ახალგაზრდობისა და ჯანმრთელობის შენარჩუნება.

ველნესი სამედიცინო ტურიზმის ნაწილია, მაგრამ იგი არ გულისხმობს სანატორიუმებსა და საავადმყოფოებში მკურნალობას, არამედ ეს არის დაავადებების საწყისი პროფილაქტიკა. ველნეს მომსახურების მიღება ადამიანს აძლიერებს როგორც ფიზიკურად, ასევე სულიერად, უხანგრძლივებს ახალგაზრდობას. ველნესი შესაძლებლობას იძლევა თავიდან იქნეს აცილებული ან მაქსიმალურად

შემცირდეს „ცივილიზაციის საუკუნის“ მრავალი დაავადება: ინფარქტი, შაქრიანი დიაბეტი, წნევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები და ა.შ.

ამგვარად, ველნესი სამედიცინო, ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური ღონისძიებების ურთიერთკავშირის მოქნილი სისტემაა, რომელიც მიმართულია ადამიანის არა მხოლოდ პროფილაქტიკაზე, არამედ ასევე სასიცოცხლო ძალების აღდგენასა და მკურნალობაზე. ველნეს მომსახურება უნდა განხორციელდეს ერთ კომპლექსში და მისი მიზანია ადამიანს შესთავაზოს და განუვითაროს ჯანსაღი ცხოვრების ჩვევები, რაც გულისხმობს სპა მომსახურებას, ფიზიკურ ვარჯიშებს, ველნეს განათლებას, ჯანსაღ სამზარეულოს და ა.შ.

1990 წლიდან, ცნება – „ველნესი“ პოპულარული გახდა ევროპაში, ევროპამ აიტაცა დევიზი - „გინდა იყო ჯანმრთელი? ჩადე ინვესტიცია შენს ჯანმრთელობაში“. 2000 წლიდან აღნიშნული ტერმინი შემოვიდა საქართველოში, მაგრამ ძირითადად შვეიცარიიდან შემოტანილ კოსმეტიკურ საშუალებებთან ასოცირდება, ხოლო რაც შეეხება ტერმინს – „ველნეს ინდუსტრია“, იგი ჯერჯერობით ქართულ ლექსიკონებში დაფიქსირებული არ არის.

ბოლო პერიოდში ველნესი როგორც დარგი (ადამიანის არსებობის ახალი ფორმა), სწრაფად ვითარდება. რამდენადაც საზოგადოებაში ჩნდება დაბერების პროცესის შენელების მისწრაფება, შესაბამისად, საჭირო ხდება ჯანსაღი კვების ობიექტების, ფიტნესის, სპა-ცენტრების, სპორტ დარბაზების, კოსმეტოლოგიის, ველნეს სასტუმროების, მთელი რიგი სერვისის ობიექტების არსებობა. ამდენად, ველნეს ინდუსტრია მოიცავს სხვადასხვა სახეობის ნატურალური კვების პროდუქტების, კოსმეტიკის, პირადი ჰიგიენის საშუალებების, სხვადასხვა ტიპის ველნეს დანადგარების წარმოებას, ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიის გამოყენებას, ველნეს სასტუმროების განვითარებას და საერთოდ მომსახურების

№1 აპრილი 2013

ინოვაცია

ფართო სპექტრს.

ამგვარად, ველნეს ინდუსტრია სწრაფად მზარდი ინდუსტრიაა, რომელიც მრავალი სხვადასხვა სახეობის პროდუქციისა და მომსახურების გაყიდვების დონის ამაღლების ინსტრუმენტია.

ტერმინი – **ველნეს ინდუსტრია** პირველად გამოიყენა ამერიკელმა პროფესორმა, ამჟამად აშშ-ის პრეზიდენტის ეკონომიკურმა მრჩეველმა **პოლ ზეინ პილზერმა**. იგი 25 წლის ასაკში მილიონერი, ხოლო 30 წლისა – მულტიმილიონერი გახდა. მან პირველმა იწინასწარმეტყველა პერსონალური კომპიუტერების, ხოლო შემდგომ ინტერნეტის ბუმი. პილზერი 10 წიგნის, მათ შორის სამი ბესტსელერის ავტორია. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი წიგნი „ველნესის რევოლუცია – შემდგომი ტრილიონი დოლარი“, სადაც აღნიშნულია, რომ მთელ მსოფლიოში იზრდება ინტერესი ველნესის მიმართ. აქტუალური გახდა მომსახურების სრული კომპლექსის ერთ ადგილას მიღება, იზრდება იმ ადამიანთა რიცხვი, რომელთაც სურთ ამ მომსახურების მიღება, რათა გაიხანგრძლივონ ახალგაზრდობა, შეინარჩუნონ გონებრივი სრულფასოვნება, ჰქონდეთ სიცოცხლის ხალისი და შეაჩერონ სიბერე. ველნესი ჯანმრთელობის ინდუსტრიაა, XXI საუკუნე ველნესის ეპოქაა. აშშ-ში 2010 წლისთვის ველნეს ინდუსტრიაში ბრუნვამ 1 ტრლნ დოლარს მიაღწია. არც ერთ სხვა ინდუსტრიას ასეთი ტემპები არა აქვს. ჯანსაღი ცხოვრების წესის ინდუსტრია – მომავალი მრავალმილიარდანი ინდუსტრიაა.

ყოველ ათწლეულში იზრდება ახალი ეკონომიკური ტენდენცია. XX საუკუნის 70-იან წლებში ეს იყო მიკროტალღოვანი ლუმენები, 80-იან წლებში — ვიდეომანტიოფონები, 90-იან წლებში — კომპიუტერი და ინტერნეტი. ისინი, ვინც გამოიყენა 80-იანი წლების ტენდენცია, მილიონერები გახდნენ, ხოლო ისინი, ვინც 90-იანი წლების ტენდენცია გამოიყენეს – მილიარდერები.

პოლ ზეინ პილზერის აზრით, **აშშ-ს ეკონომიკაში ყოველწლიურად მილიარდობით დოლარი ჩაიდება ჯანსაღი ცხოვრების წესის ინდუსტრიაში და ეს თანხა გამოიყენება იმ პროდუქტების შესაქმ-**



ნელად, რომელიც ხელს შეუწყობს ადამიანის გაჯანსაღებას, შეაჩერებს დაბერების პროცესს და დაძლევს ავადმყოფობას. ადამიანისთვის ყველაზე ფასეულია არა ბინა და სხვა მატერიალური ღირებულებები, არამედ ახალგაზრდობისა და ჯანმრთელობის შენარჩუნება. მისი აზრით, ინდუსტრიის სათავეში იქნება ქსელური მარკეტინგის ინდუსტრია – სწორედ ქსელური მარკეტინგი წარმოადგენს იდეალურ სოციალურ-ეკონომიკურ ინსტრუმენტს ახალი დარგის ცხოვრებაში დასამკვიდრებლად. [3, გვ. 7]

ველნეს ინდუსტრია მოიცავს მსოფლიო ეკონომიკის მრავალ სექტორს: **კერძოდ ეკოლოგიურად სუფთა კვების პროდუქტების წარმოებას, კოსმეტოლოგიას, მედიცინას, ტურიზმს და ა.შ.** ამ ინდუსტრიის დინამიკურად მზარდი დარგია ვიტამინების წარმოება, დაბალანსებული კვებისთვის საჭირო პროდუქტები, საკვები დანამატები, პერსონალური მოვლის საშუალებები, პრეპარატები წონის დასაკლებად. ველნესი თანდათან დომინირებს სხვა სექტორებზე.

ველნეს ინდუსტრიის განვითარების მხრივ ფავორიტი ქვეყნებია იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი და უნგრეთი. ეს ქვეყნები ტურისტებს ველნეს მომსახურების ფართო სპექტრს სთავაზობენ. განსაკუთრებით პოპულარულია ცხელი წყაროები და საზღვაო კურორტები.

ბუნებრივია, ინტერესს იწვევს ველნეს ინდუსტრიის რომელი მიმართულება შეიძლება განვითარდეს საქართველოში, აქვს თუ არა მას ისტორიული საფუძველი.

საქართველო თავისი ბიომრავალფეროვნებით უნიკალური ქვე-

ყანაა, 69 ათას კვადრატულ კილომეტრზე 15 ნიადაგობრივი და 25-ზე მეტი კლიმატურ-ნიადაგობრივი ზონის არსებობით პრაქტიკულად ვერც ერთი ქვეყანა ვერ დაიკვებინს. ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ ქვეყანაში 21 ათასი მცირე და საშუალო მდინარე არსებობს: ამ მცირე ზომის ქვეყანაში ტუნდრის გარდა აღირიცხება ყველა ცნობილი კლიმატი: ტროპიკული და სუბტროპიკულიდან დაწყებული და ალპური და სტეპით დამთავრებული. განსაკუთრებით გამოირჩევა ბიომრავალფეროვნებით კავკასიონის სამხრეთი კალთები, რაც იმით აიხსნება, რომ კავკასიონის ქედი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდაა და შესაბამისად ორგანული და მინერალური კომპონენტებით განსაკუთრებულად მდიდარი, სწორედ ამით აიხსნება პირველ რიგში ქვეყანაში არსებული ორგანიზმების უნიკალური ბიომრავალფეროვნება და განსაკუთრებული ენდემიზმი. შედარებისთვის, თუ ალპებზე (რომელიც სიგრძით ოდნავ ნაკლებია კავკასიონზე) 350 ენდემური მცენარის არსებობაა დადგენილი, კავკასიონის სამხრეთ კალთებზე 1000-ზე მეტი ენდემური მცენარეა აღრიცხული. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა ორგანიზმების (მწერების და ცხოველური ორგანიზმების) მიმართაც. [4, გვ. 262]

საქართველო კურორტებისა და საკურორტო ადგილების ქვეყანაა, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს მისი ჰავა წარმოადგენს. კლიმატის მრავალფეროვნება განპირობებულია ჩრდილოეთის მხრიდან დიდი კავკასიონის, სამხრეთიდან მცირე კავკასიონის მაღალი ქედების არსებობით და დასავლეთიდან შავი ზღვის



ფაქტორით. კლიმატური პირობები გამოირჩევა გამოხატული თერაპიული თვისებებით და მრავალი პათოლოგიის სამკურნალოდ გამოიყენება.

საქართველო მდიდარია მტკნარი და მინერალური წყლებით. სასმელი წყლის რესურსებით იგი 2,5-ჯერ აღემატება მსოფლიოს, 2,4-ჯერ ევროპის და 1,7-ჯერ აზიის საშუალო მაჩვენებელს მოსახლეობის ერთ სულზე. ამასთანავე, საქართველოს წყლის რესურსების 30% უმაღლესი ხარისხის მინისქვეშა სასმელ წყალს წარმოადგენს. მინერალური წყლების საბადოთა რაოდენობა საქართველოში 2-ჯერ აღემატება მსოფლიოში ცნობილ საფრანგეთსა და გერმანიაში ერთად არსებულ მინერალურ წყალთა დებეტის რაოდენობას, ხოლო რაც შეეხება ზოგიერთ მინერალურ წყალს, როგორც არის „ბორჯომი“, „საირმე“, „ლუგელა“, „უწერა“ და სხვა, ისინი თავიანთი იონური შემადგენლობით და სამკურნალო თვისებებით, მსოფლიოში უნიკალურია. „ბორჯომის“ მსგავსი მინერალური წყალი მხოლოდ საფრანგეთშია და ცნობილია „ვივის“ სახელწოდებით. მათი შედარებისას სპეციალისტებმა უპირატესობა „ბორჯომის“ წყალს მიანიჭეს. საქართველოში ცნობილია 730-ზე მეტი დასახლების მინერალური წყალი, რომელთა ჯამური დღეღამური დებეტი 130 მლნ ლიტრს შეადგენს. მათგან 300-ზე მეტს დიდი სამრეწველო და ბალნეოლოგიური მნიშვნელობა აქვს. [5, გვ.177]

საქართველოში, აგრეთვე, ოდითგანვე მოიპოვებოდა და გამოიყენებოდა სამკურნალო ტალახები – პელიოდეები, რაც ამჟამადაც წარმატებით გამოიყენება ბალნეოლოგიურ ცენტრებში.

საქართველოში (მელვინეობის

სამშობლო) ღვინოთერაპიის უნიკალური შესაძლებლობებია. ჯერ კიდევ 1935 წელს ქართველმა ექიმმა **ილია ქოჩიაშვილმა** თერჯოლის რაიონის სოფელ სიკთავრაში დააარსა ონკოლოგიური დაავადებების პროფილაქტიკის კლინიკა ღვინოთერაპიის დახმარებით. ეს შენობა დღესაც არსებობს. მისი ტრაგიკული დაღუპვის გამო ეს შესანიშნავი პროექტი შეჩერდა. საქართველომ საფრანგეთზე (ამჟამად ლიდერი ღვინოთერაპიაში) ნახევარი საუკუნით ადრე განახორციელა ყურძნისა და ღვინის უნიკალური თვისებების გამოყენების კონცეფცია ჯანმრთელობის მედიცინაში.

ასევე აღსანიშნავია ქვემოთ თერაპია, მაგნიტური ქვიშების გამოყენება. მსოფლიოს 2-3 ქვეყანაში არის სამკურნალო ქვიშები, მაგრამ მაგნიტის კონცენტრაციით უნიკალურია ურეკის ქვიშები, რომელიც საქართველოში დიდი ხანია სამკურნალოდ გამოიყენება.

ბოლო პერიოდში მთელ მსოფლიოში განსაკუთრებით გაიზარდა მოთხოვნა მცენარეული წარმოშობის პრეპარატებისადმი. შესაბამისად, იმატა მოთხოვნამ სამკურნალო მცენარეებზე. ერთ-ერთ უმთავრეს როლს თამაშობენ ფარმაცოლოგიურ კვლევებსა და ახალი სამკურნალო პრეპარატების შექმნაში. ნატურალური პრეპარატები სამკურნალო საშუალებებით ვაჭრობის მთლიანი მოცულობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. სამკურნალო მცენარეებით ოდითგანვე მდიდარია საქართველოს ფლორა. საქართველოს შეუძლია ღირსეული ადგილი დაიკავოს სამკურნალო მცენარეების წარმოება-რეალიზაციის საერთაშორისო ბაზარზე. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ეკოლოგიურად

სუფთა პრეპარატების წარმოებას და დაინტერესებული უცხოელი ინვესტორების მოზიდვას. სამკურნალო მცენარეების რესურსების რაციონალური გამოყენება ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებას, საექსპორტო შემოსავლების ზრდას, სამუშაო ადგილების შექმნას და სიღარიბის ზღვარზე მყოფი მოსახლეობის ნილის შემცირებას.

როგორც ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, საქართველოში ცალკე არსებობს ღვინოთერაპიის, ტალახით თერაპიის, მინერალური წყლებით თერაპიის, მაგნიტური ქვიშებით თერაპიის, სპა თუ ფიტნესს ცენტრები. ველნეს ინდუსტრიის ასამოქმედებლად საჭიროა მათი გაერთიანება. სწორედ ამ მიზანს ემსახურება საინვესტიციო კომპანია „მედეგუფი საქართველო“, რომლის საქმიანობის ძირითად მიმართულებას მსოფლიო დონის, პრემიუმ კლასის გამაჯანსაღებელი კომპლექსის (ბიოლი) მშენებლობა და სარეკრეაციო ზონის, კოჯრის ტყე-პარკის მოწყობა და საქართველოს ველნეს ინდუსტრიის ცენტრად გადაქცევა წარმოადგენს.

კომპანიის დამფუძნებელია ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ბიზნესმენი და მეცენატი **თამაზ მჭედლიძე**. პეტერბურგში ოცდათხუთმეტწლიანი მოღვაწეობის შემდეგ, მის კუთვნილებაშია თერაპეტი სხვადასხვა პროფილის კლინიკა. კლინიკებში დასაქმებულია 1500 ადამიანი, მათ შორის, მაღალკვალიფიციური ექიმების 350 კაცია გუნდი, რომლებიც წარმატებით მუშაობენ Anti-Aging Medicine-ზე (დაბერების საწინააღმდეგო მედიცინა). გამოცემულია უამრავი წიგნი და სახელმძღვანელო აღნიშნულ პრობლემებზე რო-

ინოვაცია

გორცმისი, ისე კლინიკაში მომუშავე პრაქტიკოსი ექიმების ავტორობით. მიუხედავად კოლოსალური სამსახურებრივი დატვირთვისა, თამაზ მჭედლიძემ საკუთარ თავზე უნიკალური ექსპერიმენტი ჩაატარა: 2004 წლის მარტში შეუდგა წონის დაკლებას პროგრამით, რომელიც მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული სპეციალისტების ჯგუფთან ერთად შეიმუშავა და განსაცვიფრებელ შედეგს მიაღწია – ერთ წელიწადში 74 კგ დაიკლო. მისი აზრით, კვება არის ფუნდამენტი, პლუს სწორი ფიზიკური აქტივობა. ბევრმა ადამიანმა არასწორი დატვირთვით ხერხემალი სამუდამოდ დაიზიანა. თამაზ მჭედლიძე პირველ რიგში არის ექიმი, რომელსაც კარგად ესმის ველნეს მომსახურების უპირატესობები ადამიანის გაახალგაზრდავების და სიბერის პროცესის შეჩერების მიმართულებით.

გამაჯანსაღებელი კომპლექსი კოჯრის ტყის მიმდებარე ტერიტორიაზე პირველი პროექტია, რომელსაც იგი საქართველოში ახორციელებს. ამჟამად მიმდინარეობს გამაჯანსაღებელ კომპლექს „ბიოლის“ მშენებლობა, რომელიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გაფანტულ მინერალურ წყლებს, სამკურნალო ბალახებსა და

მცენარეებს, მაგნიტურ ქვიშებსა და სხვა გამაჯანსაღებელ კომპონენტებს გააერთიანებს ერთ სივრცეში, კოჯრის ტყეში. ჩამაჯანსაღებელი კომპლექსის აშენების ერთ-ერთი მთავარი პირობა ჯანსაღი ბუნებრივი გარემოა. უუკვე დაიწყო გაჯანსაღებელი, დაავადებული ტყის მოვლითი და სანიტარული ჭრა, ახალი ნარგავებით ტყის გამდიდრება და განაშენიანება. კოჯრის ტყე-პარკი სპეციალისტთა მიერ უკვე შეფასდა „თბილისის ფილტვებად“. ეს იქნება ზონა, სადაც დასვენებას ნებისმიერი მსურველი შეძლებს და გადაადგილება შეუზღუდავად იქნება შესაძლებელი.

„ბიოლის“ ტერიტორიაზე განთავსდება სხვადასხვა გამაჯანსაღებელი ობიექტი: ველნეს კოტეჯები, სპა ცენტრი, ორანჟერეა, საკონცერტო და საგამოფენო დარბაზები, ღვინისა და თიხის სახლები, „ბიოლის“ ტყეში გაშვებული იქნება სხვადასხვა ეგზოტიკური ცხოველი, თითოეულ ადამიანს თავისი ინდივიდუალური „ველნეს თერაპევტი“ ეყოლება და თავისი ინდივიდუალური პროცედურები ექნება. გაჯანსაღების სისტემა მოიცავს სწორ კვებას, სწორ ფიზიკურ აქტივობას, ესთეტიკურ მედიცინას, გენეტიკურ ანალიზს. აქ სისტემა-

ტური კონტროლი გაენევა ორგანიზმის მდგომარეობას და კორექტივებს, რაც გულისხმობს სისხლის ანალიზზე დაკვირვებას, მიკროელემენტების მდგომარეობის ღრმა და საფუძვლიან კონტროლს. ადამიანს საშუალება ექნება თავის თავზე გამოცადოს უახლესი ველნეს ტექნოლოგიები, როგორცაა: ღვინო თერაპია, მაგნიტური ქვიშის აბაზანები, ორთქლითა და სამკურნალო ბალახებით ჩატარებული პროცედურები. დამფუძნებლის აზრით, „ველნეს ინდუსტრია“ რომ შექმნა, მრავალი კომპანიის თანამშრომლობა აუცილებელი. მაგალითად, დანადგარებია საჭირო. ურეკში ქვიშა მშენიერია, მაგრამ ამ ქვიშისგან მაქსიმალური შედეგის მისაღებად, მისი გაცრა, არომატების დამატება და ტომრებში ჩაყრაა საჭირო. მერე სპილენძის ლამაზი აბაზანა უნდა დაიდგას, რომელიც თბება. აბაზანაში ქვიშას ჩაყრიან, გაათბობენ, დაანვენენ ადამიანს და ზემოდანაც დააყრიან. ამ პირობებში ის განსაკუთრებით კარგად მუშაობს. ასე ურეკის ქვიშა არავის გამოუყენებია. საქართველოში მხოლოდ ახლა იწყებენ ღვინით თერაპიას. თერაპია ერთია, მაგრამ ღვინოში რომ სამკურნალო ბალახებიც დამატება და სამედიცინო პროცედურები ჩატარდება, კომპლექსური შედეგი მიიღება.

კოჯრის ტყე-პარკში მოენყობა სასეირნო, ველო და საცხენოსნო ბილიკები. გამოიყენება ცხენით მკურნალობა — იპოთერაპია, კერძოდ, ცხენის უნაგირი იქნება ამოჭრილი და ადამიანი სხეულით ეხება ცხენის ტანს, მისი ტემპერატურით და მოძრაობით ხდება არა უბრალო მასაჟი, არამედ იგი მცირე მენჯის ორგანოების დაავადებათა პროფილაქტიკისათვის გამოიყენება. [6, გვ. 27]

კომპანიის გეგმებშია რომელიმე უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნას ველნეს-თერაპევტებისა და სპა მენეჯერების გადამზადების პროგრამები.

ეს იქნება დასაწყისი იმ დიდი მიზნისა, რასაც საქართველოში „ველნეს ინდუსტრიის“ დანერგვა მოჰყვება. შემდეგ ეტაპზე კი შეიქმნება მსოფლიო სტანდარტის ქართული ბრენდი – „ჯორჯიან ველნესი“, რომელიც ჩვენი ქვეყნის სავიზიტო ბარათი გახდება.

ეკონომიკური ეფექტი, რასაც მოუტანს საქართველოს ველნეს ინ-



დუსტრიის ცენტრად ჩამოყალიბება, შემდეგია:

- გააუმჯობესებს საინვესტიციო გარემოს და მნიშვნელოვნად გაზრდის უცხოური კაპიტალის დაბანდებას საქართველოში, რაც გამოიწვევს ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებას;
- გააქტიურდება ქვეყანაში შემოსვლელთა რაოდენობა;
- ხელს შეუწყობს ინფრასტრუქტურის განვითარებას;
- შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს, დასაქმებულები მიიღებენ ღირსეულ ანაზღაურებას;
- პოზიტიური მიმართულებით სახეს შეუცვლის ეკოლოგია;
- გაიზრდება მოთხოვნა სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე (მეფუტკრეობა, მეღვინეობა, მარცვლეულის წარმოება, მეცხოველეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა, ჩაის წარმოება);
- გაიზრდება მოთხოვნა სუვენირებსა და ხალხური რეწვის პროდუქციაზე;
- საჭირო გახდება ისეთი დარგების მომსახურების გამოყენება, როგორცაა: ტრანსპორტი და კომუნიკაციის საშუალებები, დაზღვევა და საბანკო საქმიანობა, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, საინფორმაციო-სარეკლამო, ტურისტული და ტუროპერატიული და სხვა;
- განვითარდება კურორტოლოგია;
- მოიზიდავს მსოფლიოს მაღალშემოსავლიან ადამიანებს;
- ველნეს ინდუსტრია მოითხოვს ადამიანის მაღალ ინტელექტუალურ პოტენციალს, რაც გავლენას მოახდენს მთლიანად ერის ინტელექტუალური პოტენციალის ზრდაზე;
- პროპაგანდა გაენევა ჯანმრთელობის ახალ კულტურას, რაც იქნება ინტელექტუალური დისტრიბუცია;
- გაზრდის შემოსავლებს და შემონატანებს;
- მოხდება ქვეყნის პოპულარიზაცია მსოფლიო მასშტაბით.

გულნაზ ერკომაიშვილი

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის პროფესორი



გამოყენებული ლიტერატურა

1. Donald B. Ardell. What is Wellness. www. Seekwellness.com
2. Halbert Dunn. High level Wellness. 1961, .www. lcaa.cc
3. Paul Zane Pilzer, The new Wellness Revolution, New York, 2011
4. Kvesitadze, G., Khatishashvili, G., Sadunishvili, T, Ramsden, J.J. Biochemical Mechanisms of Detoxification in Higher Plants. Basis of Phytoremediation. 262 pages. Springer, 2006.
5. გ.ერქომაიშვილი, მენარმეობის ფორმირებისა და განვითარების თავისებურებანი საქართველოში, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2004
6. ინტერვიუ „მედჯგუფი საქართველოს“ დამფუძნებელთან თამაზ მჭედლიძესთან. ჟურნალი „ბიზნესი და მენეჯმენტი“, №3(33), 2012.
7. www. lcaa.cc; www.seniorfitness.net
8. www.commersant.ge

OPTIONS OF DEVELOPMENT AND STRATEGIES FOR WELLNESS INDUSTRY IN GEORGIA

Gulnaz Erkomaishvili

SUMMARY

Today, wellness industry, due to its highly pro-filactic and health-improving medical/biological direction is becoming extremely popular all over the world the world. In closest future it's going to become a multy-billion industry. Concept of Wellness is to complex of good physical and mental conditions with pleaserable methods, not pressuring yourself.

Georgia has an excellent resourses for one of the most important things in this industry - constructing recreation complex, which is provided by the investment Company “Medgroup Georgia”. Center offers it's users services with the latest technologies, here will be employeed a large number of staff. Using the products and services from local suppliers will increase profit and have positive effect on the economics. It will be the beginning of developing the Wellness industry in Georgia.



ინტერნეტ-სივრცის რეგულირება და შეზღუდვები

ცენზურის ფენომენი ისეთივე ძველია, როგორც ცივილიზაცია. იგი დიქტატურის დამახასიათებელი მოვლენაა. ინტერნეტი, როგორც ყველაზე დინამიურად განვითარებადი ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგია გახდა ცენზურის იმპულსი და რეგულირების ხელშემწყობი, როგორც საზოგადოების იდეების გამოხატვის, გენერირებისა და ინფორმაციის კონტროლის რესურსი. ინტერნეტ-ცენზურის მოტივი არ განსხვავდება სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ცენზურის მოტივისგან.



ცენზურის თემა მრავალფეროვანია, რომელიც შეიძლება მოიცავდეს პოლიტიკურ, ეთნიკურ, შეიარაღებულ კონფლიქტს, სხვადასხვა მიმდინარეობებს, მორალურ მიზეზებს (როგორც ამორალური), მუსულმანურ ქვეყნებში აზარტულ თამაშებს, ნარკომანიას, რწმენის საკითხების განხილვას, ქალთა უფლებების დაცვას (ირანში), ავტორთა უფლებების დაცვას, დისკრიმინაციას და სხვა საკითხებს.¹

რეპრესიული რეჟიმების მიერ მომხმარებლებისთვის ინტერნეტში ინფორმაციასთან თავისუფალი წვდომის შემზღუდავი ტექნიკური და არატექნიკური ღონისძიებებია: ინტერნეტ-მომხმარებლის საქმიანობის მონიტორინგი, განსაზღვრულ web-საიტებთან მომხმარებლის დაშვების უარყოფა (ბლოკირება), ინტერნეტ-მომხმარებლის თვალყურის დევნება და მონაცემთა ნაკადის ფილტრაცია, საიტის ოპერატორებისთვის ცენზურის წესების დაცვით კონტენტის ადაპტირების სწავლება, ინტერნეტ-ბლოკირება და ჩახშობა.²

კიბერსივრცეში ცენზურისა და ინტერნეტ-მომხმარებლების კონტროლირებისთვის სახელმწიფოები იყენებენ IP-მისამართების ბლოკირებას, ვირუსებით ბლოკირებას, პროგრამების ინფექციით დაზიანებას, DNS გატაცება/გადამისამართებას, TCP კონტენტურ ფილტრაციას, პერსონალური ინფორმაციის შეგროვებას, წვდომის სიჩქარის შემცირებას, სოციალურ ზემოქმედებას, განსაზღვრული web-გვერდების გადამისამართებას სამთავრობო პროპაგანდის ტრანსლირებისათვის, ე-ფოსტაზე შეღწევისა და გასუფთავებას, ყალბი ინტერნეტ-საიტების შექმნას და სხვა მეთოდებს.

ცენზურის იდეა შენიღბულია სამი ძირითადი სოციალური ინსტიტუტის - ოჯახის, ეკლესიისა და სახელმწიფოს დაცვის სახით.³

ცენზურის კონტექსტში ძირითადია პოლიტიკური მოტივი, რომლის კონტექსტშიც სხვადასხვა ქვეყნის რეჟიმის მიერ მკაცრად კონტროლირდება, ან იბლოკება ოპოზიციური ჯგუფების, რისკ ჯგუფებისა და კრიტიკული იდეების საზოგადო წარმოდგენა, ინტერნეტ-ტრაფიკი, ქვეყნის საზღვრებს გარეთ მომუშავე „არასასურველი“

საიტების მუშაობა.⁴ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ინტერნეტის სახელმწიფო შეზღუდვა გამოიყენება ყოვლისმომცველი და შეუთავსებელი წესებით, რომელიც ხალხს იჭერს ავტონომიურ რეჟიმში და გაქრობით აშინებს პოლიტიკურ ოპოზიციას. ინტერნეტის რეგულირება დიქტატურის მსგავსია, რომლითაც რეჟიმი ახშობს, გმობს ან აშინებს თავისუფალ სიტყვას.⁴ ამიტომ ინტერნეტის რეგულირების პოლიტიკასთან კავშირში დღის წესრიგში ძირითადად დგას სიტყვის თავისუფლების საკითხი, როცა სიტყვის თავისუფლება იკარგება, ყველა დანარჩენის თავისუფლებაც ეცემა.

სახელმწიფოს პოლიტიკა ინტერნეტ-ცენზურის მიმართ შეიძლება დაჯგუფდეს 4 კატეგორიაში:⁵

- ინტერნეტ-ინდუსტრიის თვითრეგულაცია და საბოლოო მომხმარებლის მიერ ფილტრაციის/ბლოკირების ტექნოლოგიის ნებაყოფლობით გამოყენების პოლიტიკური ხელშეწყობა (კანადა, დასავლეთ ევროპის ქვეყნები);

- სისხლის სამართლებრივი სასჯელები (ჯარიმები ან პატიმრობა), გამოყენებული კონტენტის პროვაიდერების მიმართ, რომლებიც ონლაინში ქმნიან და გენერირებენ „არასრულწლოვნებისათვის შეუფერებელ“ კონტენტს (აშშ);

- კონტენტთან წვდომის ბლოკირების სამთავრობო მანდატი (სინგაპური);

- ინტერნეტთან საჯარო წვდომის სახელისუფლებო აკრძალვა (ან რეგისტრაცია/ნებაართვა), ასეთი ქვეყნების რაოდენობა ოფიციალურად სამ ათეულზე მეტია.

ცენზურა ხელს უშლის ვაჭრობას, მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს ინტერაქტიული მომსახურების წარდგენისთვის და ძლიერ ზეგავლენას ახდენს ბიზნესის განვითარებაზე (რადგან შეიძლება მონოპოლიურ მდგომარეობაში აღმოჩნდეს. მაგალითად, Baidu).⁶

ინტერნეტ-ესკალაცია, ინტერნეტ-ფილტრაცია და სანქციები ანელებს ე-კომერციის მუშაობას, ინტერნეტ-მომხმარებელთა აქტივობასა და ჩართულობას, ინტერნეტ-მომხმარებელს უკარგავს ქსელში ყოფნის სურვილს და არ ქმნის ხელსაყრელ ბიზნეს კლიმატს.

დღეისათვის საჯარო ფაქტს წარმოადგენს კორპორატიული სექტორის მიერ საძიებო შესაძლებლობებისა და ინფორმაციის მართვა, მომხმარებლის პირადი ინფორმაციის ნახვა და შეგროვება, დაშვების კონტროლი და მონიტორინგი.

Google, Yahoo, AOL, Microsoft აგროვებს კონფიდენციალურ ინფორმაციას, ახდენს მათ კლასიფიცირებას, სეგმენტირებას და ამ ინფორმაციას იყენებს მიზნობრივი რეკლამის დემონსტრირებისთვის.⁷ თუმცა, როგორც ამერიკელი პროფესორი ნისენბაუმი (Helen F. Nissenbaum) აღნიშნავს, ყველაფერი, რაც კეთდება, შემთხვევები რომელიც ხდება, ოპერაციები რომელსაც აქვს ადგილი, ხდება არა მხოლოდ განსაზღვრულ კონტექსტში, არამედ პოლიტიკის, კულტურისა და საერთო თანხმობის მოლოდინისაგან, ხოლო ტექნოლოგიების გამოყენების საკვანძო პრინციპს წარმოადგენს სოციალური გაგების დინამიკა და შეთანხმებისთვის მორგებულ პოლიტიკა.⁸

ინტერნეტ-ცენზურა შეიძლება განვიხილოთ როგორც არასაჭირო, ხელისუფლების არაკანონიერი, ირაციონალური მცდელობა აკონტროლოს, სამოქალაქო და კერძო სექტორის ინფორმაციის ნაკადი ინტერნეტში. რომელიც მორალურად დასაძრახისა, ქმნის დიდ შესაძლებლობებს შიდა სამთავრობო კორუფციისთვის,⁹ ინვესტორების ქვეყნის პერმეტიულობას, ქსელურ ვაკუუმსა და „დახურულ პროტექციონიზმს“.

საზოგადოება აღარ კონტროლირდება ექსკლუზიურად ცენტრალური დაზვერვის მიერ, არამედ მაკონტროლებელი მოწყობილობების გავრცელება და დაზვერვა ნაწილდება მრავალფეროვან ერთეულ ქმედებებში (პროცესებში). ამ ქმედებების კოორდინირება ჩართულია ინფორმაციის გაცვლისა და სხვა შესაბამისი რესურსების პარალელურ მოქმედებებში.¹⁰

ინფორმაციის ნაკადის რეგულირებითა და მიდგომებით გამოყოფენ 4 ტიპის ქვეყანას:¹¹

▪ **ლიბერალური ქვეყნები, რომლებიც გამოდიან მონაცემების თვითრეგულირებისა და ნებაყოფლობითი ფილტრაციით.** ამ ჯგუფის ქვეყნებში საბავშვო პონოგრაფიის, მასალების, ძალადობის პროპაგანდის, ნაციზმის და ა.შ. პუბლიკაცია, წარმოადგენს უკანონოს, თუმცა ინფორმაციასთან წვდომა ნებაყოფლობითი ხასიათის მატარებელია და ცენზურით არ იზღუდება (კანადა, დიდი ბრიტანეთი, დასავლეთ ევროპის ქვეყნები);

▪ **ქვეყნები, რომლებიც გამოდიან ონლაინ რეჟიმში ინფორმაციასთან თავისუფალი დაშვების წინააღმდეგ „მხოლოდ არასრულწლოვნებისათვის“** (ახალი ზელანდია, აშშ-ი, იაპონია, ტაივანი, ინდონეზია);

▪ **ქვეყნები, რომლებსაც ქსელში ინფორმაციასთან შეზღუდული წვდომა აქვთ.** აკრძალულია უხამსი ხასიათის, პოლიტიკური, ახალი ამბების, „საფრთხის შემცველ“ ინფორმაციასთან და სხვა საინფორმაციო საიტებთან წვდომა (მალაიზია, ტაილანდი, თურქეთი, არაბთა გაერთიანებული ემირატები, ინდოეთი, ყაზახეთი, ტუნისი, ავსტრალია, შრილანკა, ბაჰრეინი და სხვა).¹²

▪ **ქვეყნები, სადაც ინფორმაციასთან თავისუფალი წვდომა აკრძალულია.** ასეთი „ინტერნეტის მტერი და

რეპრესიული რეჟიმის ქვეყნებია“:¹³ მიანმარი, ჩინეთი, ირანი, კუბა, ჩრდილოეთ კორეა, საუდის არაბეთი, სირია, თურქმენეთი, უზბეკეთი, ვიეტნამი, ბელარუსია, ბაჰრეინი.

ქვეყნების უმრავლესობა ამკარად (მაგალითად, ვენესუელას ეროვნული კანონმდებლობით აქვთ დამტკიცებული) თუ ფარულად (ინფორმაციული დაბლოკვით) მიზანშეწონილად იყენებს ინტერნეტ-ცენზურას, როგორც სახელმწიფოს მართვის შემადგენელ კომპონენტს, სადაც რეგულირების სახელი და მექანიზმი რაციონალიზებულია.

აღსანიშნავია, რომ ცენზორი სახელმწიფოების საერთო რაოდენობა არაოფიციალურად გაცილებით მეტია, რადგან ინტერნეტ-ცენზურა და კონტენტის ფილტრაცია არ აფიშირდება და გასაიდუმლოებულია, ამიტომ ცენზორი სახელმწიფოების სტატისტიკის სრული სურათის ასახვა რთულია.

თუმცა, ცენზურას უარყოფითი კონტექსტის გარდა აქვს პოზიტიური მხარეც, კერძოდ: ინტერნეტ-რეგულირებას საჭიროებს არასრულწლოვნების უფლებების დაცვა, ექსტრემიზმის, ნაციზმის, რასიზმის, სიონიზმის და რელიგიის პროპაგანდა, ასევე სხვა ფორმის შეუწყნარებლობა, ძალადობა, სისასტიკე, ანტისემიტისა და ტერორიზმის პროპაგანდა, „ჩრდილოვანი სერვერის ეკონომიკის“ სტიმულირება და სხვა.

ინტერნეტ-რეგულირებისა და კონტროლის „ჯანსაღ“ საკანონმდებლო მოდელს იყენებს აშშ, რომლის „არასრულწლოვანთა კერძო ცხოვრების დაცვის აქტი“ ინტერნეტში ბავშვების (13 წლამდე) მუშაობის რეგულირებისა და ეფექტური კონტროლის უზრუნველყოფისთვის ახდენს web-რესურსების აუცილებელ კლასიფიკაციასა და ფილტრაციას.²⁰

სპეციალურ ფილტრებს იყენებს ევროპის საზოგადოება მავნე კონტენტის (საბავშვო პონოგრაფიის, რასიზმის, ტერორიზმის, სიძულვილის გაღვივების მიმართულებით) ცენტრალიზებული გაცხრილვის სახით. ფილტრაცია ხდება დიფამაციის კანონის საფუძველზეც. იფილტრება ისეთი სფეროები, როგორცაა საავტორო უფლებების დაცვა, აზარტული თამაშები. ინტერნეტ-მომსახურების პროვაიდერების (ISP), საძიებო სისტემების და კონტენტ-პროვაიდერების ფილტრაცია, წარმოადგენს „ნებაყოფლობით“ და ხორციელდება იმ შეგნებით, რომ სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობის უფლებელყოფა გამოიწვევს იძულებით საკანონმდებლო რეგულირების ღონისძიებებს.¹³

ევროპაში არსებული ინტერნეტ-რეგულირების კანონმდებლობა არეგულირებს ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენებას სკოლებში და სტიმულირებს მომხმარებელთა ინფორმირებასა და თავდაცვის სწავლების პროგრამებს.¹⁴

თუმცა, ინტერნეტის სტრუქტურა განაპირობებს როგორც ინტერნეტ-ცენზურის, კონტროლისა და ბლოკადის, ისე მისი თავიდან აცილების შესაძლებლობას. ინტერნეტ-ცენზურის გვერდის ავლის პოპულარული ტექნოლოგიებია: Freenet, Freescape, GPass, FirePhoenix, Triangle Boy, Hotspot Shield Tor (The Onion Router), Garden, UltraSurf, DynaWeb, Psiphon, UltraReach და სხვა (იხ. ცხრილი 1).

ასევე ცენზურის გვერდის ავლა შესაძლებელია ისე-

ინტერნეტ-ცენზურის გვერდის ავლის გავლენიანი ტექნოლოგიები

ტექნოლოგია	მწარმოებელი	მასასიათიებელი
Freenet	შემუშავებულია იან კლარკის (Ian Clarke) მიერ 1991 წელს.	ტექნოლოგია მხარს უჭერს ანონიმური მასალების შენახვასა და ძიებას;
Triangle Boy	შემუშავებულია SafeWeb-ის (www.safeweb.com) მიერ (2000 წელს).	ტექნოლოგია უზურნველყოფს სერვერებიდან web-გვერდების შეუფერხებლად მიღებას, IP ბლოკირებისა და ინტერნეტ-ფილტრაციის თავიდან აცილებას. გავრცელებულია საულის არაბეთსა და ჩინეთში.
Garden	შემუშავებულია Garden-ქსელის მიერ (www.gardennetworks.com) (2001 წელს).	ანტი-ცენზურის სისტემა, როგორც პირველ ინტელექტუალური პროექტი სისტემა, რომელიც პოპულარულია ჩინეთში, რადგან გაიმარჯვა GFW ცენზურაზე. ტექნოლოგია მუდმივად ახლდება და იხვეწება მოხალისთა სპეციალური ჯგუფის მიერ.
UltraSurf	შემუშავებულია კომპანია UltraSurf-ის www.ultrareach.com მიერ. (2002 წლიდან)	ანტი-ცენზურის ფლაგმანი web-საიტის თავისუფლად დაათვალიერების, ე-ფოსტის (UltraMail) უსაფრთხოების მომსახურების, დატვირთვის ბალანსირებისა და დეფექტების შემთხვევაში მუშაობის შესაძლებლობას იძლევა.
DynaWeb	შემუშავებულია Dynamic Internet Technology Inc. (DIT) მიერ (2001 წელს).	ანტი-ცენზურის მომსახურების ნაკრები. 2002 წელს DIT-მა წარმოადგინა მომსახურება ცენზურის წინააღმდეგ DynaWeb-ის ჩარჩოებში. DynaWeb-ი წარმოადგენს web-ზე დაფუძნებულ ანტი-ცენზურის პორტალს. DIT-ს გამოქვეყნებული აქვს ინტერნეტ-ცენზურის ოპერაციების ტექნიკური ანალიზი და რეკომენდაციები (http://www.dit-inc.us/press.php);
Tor (The Onion Router)	შემუშავებულია აშშ-ის Naval Research Laboratory-ის ხელშეწყობით. 2004 წელს მემკვიდრეობით გადაეცა Electronic Frontier Foundation-ს (EFF)	ანტი-ცენზურისადმი ბრძოლის არსენალის ტექნოლოგია;
GPass და FirePhoenix	შემუშავებულია World's Gate Inc. (WG) მიერ. (2006 წლის ზაფხული)	ტექნოლოგია, მსხვილი და საიმედო ინტერნეტ-პლატფორმების აგებით საიმედო მომსახურებას სთავაზობს მომხმარებლებს. ძირითადად ფოკუსირებულია განსაკუთრებით რეპრესიული რეჟიმში მყოფ მომხმარებლებზე.
Freegate	შემუშავებულია აშშ-ის The Global Internet Freedom Consortium-ის მიერ.	ირანში პოპულარულია ანტი-ცენზურის პროგრამა UltraReach და Freegate.
Hotspot Shield	შემუშავებულია ინტერნეტ-კომპანია AnchorFree-ის მიერ .	უფასო და რეკლამის მხარდაჭერით ინტერნეტ-მომხმარებლების მონაცემების დაშიფვრისა და მათი იდენტურობის დამალვის შესაძლებლობას იძლევა (ამჟამად 7.5 მლნ მომხმარებელი ჰყავს მსოფლიოში).
Psiphon	შემუშავებულია ტორონტოს უნივერსიტეტის სამოქალაქო ლაბორატორიის მიერ.	ინტერნეტ-ცენზურასთან ბრძოლის ინსტრუმენტი, რომელიც ბლოკირებული საიტების აღდგენისა და ელექტრონული მოსმენის გაშიფვრის საშუალებას იძლევა.

*ცხრილი აგებულია სხვადასხვა წყაროს საფუძველზე

თი ტექნოლოგიური ინოვაციებით, როგორცაა: პროქსი სერვერები, ვირტუალური კერძო ქსელები (VPNs), iPhones, BlackBerry და სხვა, რომელიც არ იძლევა ინტერნეტ-კონტროლის, მოსმენისა და ელექტრონულ რეჟიმში არსებული ინფორმაციის, პორტუგალიის მონიტორინგის, მიმონერის გაკონტროლების შესაძლებლობას.¹⁵ დაბოლოს, ინტერნეტ-სივრცეში არსებული ცენზურ-

რიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ:

- ცალკეულ ქვეყნებში ადგილი აქვს პრივატიზებულ ცენზურასა და ციფრულ მაკარტიზმს;¹⁶
- ინტერნეტ-კონტროლის უზრუნველყოფისთვის ცენზორების სამართლებრივი ვარიანტები ფართოა;
- დღეისათვის ავტორიტარული რეჟიმები ახორციელებენ ამბიციურ, კარგად დაგეგმილ სტრატეგი-



ას საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში, რისთვისაც იყენებენ სამართლებრივ, ტექნიკურ და სოციალურ ღონისძიებებს ინტერნეტის მოხმარების განვითარების მოდელში (მაგალითად, სინგაპური);^{17; 18}

▪ ცალკეული ქვეყნის რეჟიმი „სტაბილურობის შენარჩუნებისთვის“ ატარებს მკაცრ ინტერნეტ-კონტენტის კონტროლსა და პრევენციას „გამანადგურებელი“ ინფორმაციის გავრცელების წინააღმდეგ;

▪ ინტერნეტ-ცენზურის შედეგად დემოკრატიზაციის პროცესი კარგავს იმპულსს, რომელიც ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს ინტერნეტში საკუთარი შეხედულების თავისუფალ გამოხატვაზე;

▪ ზოგადად ცენზურის სრული სურათის ასახვა და მისი დეტალიზების მონაცემის მოპოვება რთულია, რადგან კვლევის ნებისმიერი მონაცემი ეყრდნობა ადმინისტრაციულ, გაფილტრულ ინტერნეტ-მონაცემს.

ამრიგად, ინტერნეტ სივრცეში არსებული ცენზურის ტენდენციების საფუძველზე საზოგადოებრივი ხასიათის გასატარებელი ღონისძიებებია:

▪ ინტერნეტის კულტურული გამოყენების, ინტერნეტ-საზოგადოების სიფხიზლისა და აგრესიული ინტერნეტ-კონტენტის პრობლემის გათვითცნობიერების ღონის ამალღებისთვის უნდა გატარდეს საგანმანათლებლო და სოციალური აქტივობა;

▪ ფილტრაცია უნდა მოხდეს დიფამაციის კანონის საფუძველზე. უნდა შეიქმნას ინტერნეტის რეგულირების კანონპროექტები და მოხდეს მისი საერთაშორისო ექსპერტიზა;

▪ ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით უნდა დარეგულირდეს ბუნდოვანი განსხვავება ნებაყოფლობით და სავალდებულო ფილტრაციას შორის;

▪ სახელმწიფოსთვის ეროვნული კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს ინტერნეტ-კონტენტის რეგულირების წესები, თვირეგულირება და ერთობლივი რეგულირება, ინტერნეტ-მომხმარებლის ანონიმურობა, ინტერნეტის მეშვეობით მომსახურების წარდგენის თავისუფლება, ინფორმაციული კონტენტის სერვისის პროვაიდერებისთვის პასუხისმგებლობა, სახელმწიფო კონტროლის უქონლობა, მოქალაქეების ინფორმაციულ საზოგადოებაში ჩართვისთვის ბარიერების მოშორება და სხვა;¹⁹

▪ კორპორაციული სექტორის მიერ ინტერნეტ-მომხმარებლებთან შეთანხმების გარეშე დაგროვილი ინფორმაციის გამოუყენებლობა უნდა გაკონტროლდეს კანონმდებლობით;

▪ ინტერნეტ-გარემოს ცენზურისთვის უნდა შეიქმნას საერთაშორისო შეზღუდვის წესები, არსებული რეგულირების დასაშვები ფორმები, შესაბამისობაში უნდა იყოს როგორც ეროვნულ კანონებთან, ისე სა-

ინტერნეტ სპეციალური

ერთაშორისო სამართლის ნორმებთან, რაც საბოლოოდ უნდა გაკონტროლდეს საერთაშორისო მონიტორინგის სისტემით. ის, რაც ერთ ქვეყანაში არაღებულაღსრულ ნარმოადგენს და მიიჩნევა არასწორად, მეორე ქვეყანაში სავსებით კანონიერი. რაც წინააღმდეგობაში მოდის სახელმწიფოების კანონმდებლობასთან;

▪ მსოფლიო ქსელი არ უნდა განიცდიდეს ძალიან მკაცრ შეზღუდვას, სადაც ნებისმიერი ინტერნეტ-რეგულირება ქსელში შეიძლება იყოს მხოლოდ ნებაყოფლობითი, საზოგადოების მიერ შერჩეული კონტენტის ფილტრაციის სისტემის არჩევით. საზოგადოება ინფორმირებული უნდა იყოს ცენზორის ცენტრის/ცენტრებისა და მათ მიერ განსაზღვრული რეგულირების ნუსების შესახებ, რაც საზოგადოების ნდობას ანმტკიცებს და მართველობის პროცესის ეფექტურობას ზრდის;

▪ სახელმწიფო ინტერნეტ-წვდომას უნდა უდგებოდეს როგორც მოსახლეობის „ფუნდამენტალურ უფლებას“, ხოლო „ინტერნეტი უნდა იყოს ნდობის სივრცე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ინტერნეტი მოქმედი ძალით გახდება შხამიანი და სახიფათო ვიდრე სასარგებლო;

▪ ცენზურით აღამიანს ვერ გარდაქმნი, ის მხოლოდ გაჩუმდება. ამიტომ ცენზურა უნდა ეფუძნებოდეს კონსესუსს, ინტერნეტ-რეგულირებაში სამოქალაქო სექტორის ჩართულობას, წინააღმდეგ შემთხვევაში ინტერნეტ-მომხმარებლები გაბედული თვითორგანიზებით მოახდენენ ცენზურის გვერდის ავლას;

▪ რასაკვირველია ყველა სახის ინტერნეტ-საიტის „კონტროლირება“ შეუძლებელია იგივე გზით, როგორც ტრადიციული მედიის, რადგან სამოქალაქო და კორპორაციული სექტორის შესაძლებლობები, რესურსები და განფენილობა ცვლის ურთიერთდამოკიდებულებას, კონტროლსა და რეგულირებას.

რატი აბულაძე
ეკონომიკის აკადემიური
ლოქტორი
ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

გამოყენებული ლიტერატურა

- Hindley B., Lee-Makiyama H. Protectionism Online: Internet Censorship and International Trade Law. ECIPE Working Paper. No. 12/2009. <http://www.ecipe.org/publications/ecipe-working-papers/protectionism-online-internet-censorship-and-international-trade-law/PDF>
- Global Internet Freedom Consortium (GIFC). Defeat Internet Censorship: Overview of Advanced Technologies and Products. November 21, 2007. http://www.internetfreedom.org/archive/Defeat_Internet_Censorship_White_Paper.pdf
- <http://gilc.org/speech/osistudy/censorship/>
- <http://www.reuters.com/article/idUSL2774335120070727>
- <http://www.efa.org.au/Issues/Censor/cens3.html>
- <http://www.newsland.ru/news/detail/id/432229/cat/69/>
- http://www.nytimes.com/2008/03/20/business/media/20adco.html?_r=1
- The Office of the Commissioner of Canada. Social Network Site Privacy, A Comparative Analysis of Six Sites. February, 2009. http://www.priv.gc.ca/information/pub/sub_comp_200901_e.pdf
- <http://www.mannkal.org/downloads/scholars/internet-censorship-in-australia.pdf>
- Messner D., Meyer-Stamer J. Governance and Networks. Tools to Study the Dynamics of Clusters and Global Value Chains. IDS/INEF Project “The Impact of Global and Local Governance on Industrial Upgrading” Duisburg, February 2000. http://home.furb.br/wilhelm/COMPETIV/JMS_governance_tools.pdf
- <http://ouin.ru/usa1/>
- www.rsf.org
- Лоскутов И. Сравнительный анализ международных норм законодательного регулирования Интернета в различных странах (2008 г.). International Foundation of speech Freedom Protection “Adil soz”. <http://www.adilsoz.kz/site.php?lan=russian&id=785>
- www.netpolice.ru/article/regul/regul_3.html
- <http://www.voanews.com/georgian/news/-----100687384.html>
- www.wikileaks.org
- Rodan G. “The Internet and Political Control in Singapore”, Political Science Quarterly, volume 113, number 1 (Spring), 1998. pp. 63-89.
- Hwa Ang P. “How Countries Are Regulating Internet Content”, paper presented at the 1997 Annual Meeting of the Internet Society, Kuala Lumpur, Malaysia, 25-27 June 1997.

REGULATION AND LIMITATIONS OF INTERNET SPACE

Rati Abuladze

SUMMARY

Majority of the countries, obviously or secretly, are using Internet-censorship and are producing internet-filtration of the certain quality, as a compounding component of state administration.

The idea of censorship is shown in the article, the internet of circulating of which, as an impulse of censorship, supporting of regulation and control resource presented by technical and non-technical actions limiting the information and which may be masked in face of three main social institutions-protecting the family, church and state.

In the article there are analyzed the horizons, lacks and trends of censorship, it's reviewed as unnecessary, illegal from the party of authority, irrational attempt to control the flow of information in civil and private sector in internet. It's unfair from the point of view of moral, it's creating the great opportunity for internal governmental corruption, is resulting the hermeicity of the country, network vacuum and “closed protectionism”.

The technologies, knot factors and the actions of social character to be made presented on the basis of literary materials, is giving the opportunity for avoiding the censorship.

№1 აპრილი 2013

ტურიზმის უსაფრთხოებისა და სადაზღვევო დასვის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი საკითხები

ტურიზმის ინდუსტრია ერთ-ერთი ყველაზე მზარდი ინდუსტრიაა მსოფლიოში. მას ბევრი ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნია და რჩება სამუშაო ადგილების შექმნისა და პირდაპირი, თუ ირიბი დასაქმების უმნიშვნელოვანეს წყაროდ.

ტურისტების უსაფრთხოება და მათი სადაზღვევო დაცვის უზრუნველყოფა უფრო და უფრო ფართო მასშტაბებს იძენს ტურიზმის გეოგრაფიული არეალის გაფართოებასთან ერთად. თანდათანობით იკვეთება და უფრო საჭირო ხდება აღნიშნული საკითხი არა მარტო ჯანმრთელობის დაზღვევასთან მიმართებაში, არამედ სხვა მნიშვნელოვან, თუ უმნიშვნელო ნიუანსებში, რომლებიც დაკავშირებულია ტურიზმთან, ექსკურსიებთან, სამუშაო, თუ არასამუშაო ვიზიტებთან, მოქალაქეთა გადაადგილებისას თავიანთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან. დაზღვევა ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტია მოგზაურობის დაგეგმვისას. უცხო ქვეყანაში ჩასული ტურისტი ადგილობრივ მცხოვრებლებზე მეტად განიცდის არასასიამოვნო რისკის ფაქტორთა გავლენას, რადგან ტურიზმის ინდუსტრია დაფუძნებულია მრავალ სხვადასხვა კომპონენტზე. ესენია: ტრანსპორტი, განთავსების საშუალებები, სხვადასხვა ატრაქციები, გართობის საშუალებები, საინტერესო და სარისკო თავგადასავლები, ამიტომ ტურისტი

პირველ რიგში დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მისი სადაზღვევო პოლისი მთლიანად დაფარავს მისთვის საჭირო სამედიცინო მომსახურებას, რადგან ბევრ ქვეყანაში იგი განსაკუთრებით ძვირია. (მაგალითისთვის ამერიკის შეერთებულ შტატებში სერიოზული დაავადების სამკურნალოდ განეული ხარჯი არცთუ იშვიათად მილიონ დოლარს აჭარბებს.) სამოგზაურო დაზღვევის სადაზღვევო ტარიფის სიდიდე გამომდინარეობს ისეთი ფაქტორებიდან, როგორებიცაა: ტურისტის ასაკი, პროფესია, საქმიანობის სფერო, თავად ტურიზმის სახე, ის ქვეყანა, რომელშიც მიემგზავრება ტურისტი და სხვ. თავის მხრივ სადაზღვევო თანხიდან უშუალოდ გამომდინარეობს სადაზღვევო პრემია, რომელიც საკმაოდ მცირეა იმ სადაზღვევო ვალდებულებებთან შედარებით, რასაც საკუთარ თავზე იღებს სადაზღვევო კომპანია.

პირველი და უმთავრესი პრობლემა მდგომარეობს ტურისტთა და მოგზაურთა ჯანმრთელობის გაუარესებისა და უბედური შემთხვევებისგან გამონვეული რისკების თავიდან აცილებაში, რაც თავის მხრივ, გულისხმობს საჭირო და გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებას მოგზაურობის მთელი პერიოდის განმავლობაში, იგი ხორციელდება იმ პირობებით, რაც სამოგზაურო სადაზღვევო პოლისია მოცემული და წინასწარ შეთანხმებული მზღვეველს, დამზღვევეს და

დაზღვეულს შორის. დამზღვევისთვის უმნიშვნელოვანესია ყურადღებით გაიაზროს სამოგზაურო დაზღვევის თითოეული დეტალი და მოახდინოს თვით სადაზღვევო შემთხვევის მოდელირებაც აზრობრივად, რათა განსაზღვროს რეალური სადაზღვევო შემთხვევების შედეგად რა უნდა მოიმოქმედოს და როგორი და რა რიგითობით უნდა იყოს მიმართული მისი შემდგომი ნაბიჯები რეალური პრობლემებისგან თავის დასაღწევად: სად და ვისთან უნდა დარეკოს, რა ენაზე ისაუბროს, რა თქვას და რა შეკითხვები დასვას, რა მოითხოვოს, სადაზღვევო თანხის რა ნაწილი ექვემდებარება კონკრეტულ სადაზღვევო შემთხვევას (დანაშაულები მცირეოდენი სურდოდან, დამთავრებული ჯანმრთელობის ყველაზე მძიმე დიაგნოზით) და ა.შ.

ტურისტებისა და მოგზაურების სამედიცინო დაზღვევა (ასისტანსი) მოიცავს ყველა იმ მნიშვნელოვან ნიუანსს, რომელიც ესაჭიროება ტურისტის სადაზღვევო მომსახურებისას: პირველადი სამედიცინო მომსახურება; საავადმყოფოში განთავსება და მათი ამბულატორიულ და სტაციონალურ მომსახურება; სამკურნალო-დიაგნოსტიკურ გამოკვლევები და ნაშედეგითა და სხვა პრეპარატებით უზრუნველყოფა. ასევე ლეტალური შედეგის დადგომისას მათ რეპატრიაცია საკუთარ საცხოვრებელ ადგილზე.

ჯანმრთელობის რისკებთან ერთად, არსებობს სხვა მრავალი დამატებითი რისკები, რომლის წინაშეც ხშირად დგანან ტურისტები და მოგზაურები: ბარგის და ქონების დაკარგვა, რომელიც გამონვეულია ქურდობის, ყაჩაღობის, ან ტურიზმის ამა, თუ იმ სფეროში მომსახურე პერსონალის უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით; ჯგუფიდან ჩამორჩენა, ან საერთოდ მგზავრობის გადადება; პირადი, თუ საქმიანი დოკუმენტაციის დაკარგვა (განსაკუთრებით ბიზნეს და საქმიანი შეხვედრებისა და მოლაპარაკებების პროცესის წინ); უამინდობა (დამსვენებული ტურისტებისთვის, რომელთაც უამინდობამ ხელი შეუშალა დაგეგმილ დასვენებაში); ფინანსური რისკების დაზღვევა; სხვადასხვა პირადი შემთხვევები და კიდევ სხვა. აღნიშნული

№1 აპრილი 2013



ტურიზმი

რისკები არანაკლებ სერიოზულ ზიანს აყენებს ტურისტებს და საჭიროა კიდევ უფრო მეტი ქმედითი ღონისძიებები ამ რისკებისგან მოგზაურთა სადაზღვევო უზრუნველყოფისთვის.

აღსანიშნავია ის გარემოებები, რა დროსაც სადაზღვევო კომპანიები უარს ამბობენ ზარალის ანაზღაურებაზე. ეს ხდება, მაშინ, როდესაც სადაზღვევო შემთხვევა ხდება დამზღვევთა არაკანონიერი და არასამართლებრივი ქმედებების შედეგად: ქრონიკული, ფსიქიკური და ვენერიული დაავადებების დროს; ალკოჰოლური და ნარკოტიკული თრობის შედეგად; ტერორისტულ, სამხედრო მოქმედებებში, ამბოხებებში და გაფიცვებში მონაწილეობისას და სხვ.

თანდათანობით უფრო იკვეთება და დღის წესრიგში დგება საერთაშორისო სადაზღვევო პოლისის აუცილებლობა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მიღება მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში. აღნიშნული მომსახურება შესაძლებელია განხორციელდეს სადაზღვევო კომპანიისა და საერთაშორისო სადაზღვევო სამსახურის (ასისტანსი) მიერ, რომელშიც სამედიცინო მომსახურებასთან ერთად გათვალისწინებული იქნება კვალიფიციური იურიდიული მომსახურება და დაცვა.

ევროპა და შერატებული შტატები ისევე ინარჩუნებენ (განსაკუთრებით დასავლეთ ევროპა და დღეს უკვე ჩინეთიც) ლიდერის როლს ტურიზმის სფეროში. აღსანიშნავია, რომ არსებული წესების მიხედვით თითქმის არცერთი ეს ქვეყანა არ გასცემს ვიზებს სამოგზაურო დაზღვევის გარეშე. იმის გათვალისწინებით, რომ ტურისტული მოგზაურობისას რისკი ძალიან დიდია, აღნიშნული ქვეყნები ითხოვენ სამოგზაურო დაზღვევის პოლისს, მოგზაურობის მთელი პერიოდის განმავლობაში. აღსანიშნავია ის, რომ სადაზღვევო პოლისის ლიმიტის ოდენობა არ უნდა იყოს 50 ათას ამერიკულ დოლარზე ნაკლები (იშვიათ შემთხვევებში ეს თანხა შეიძლება იყოს 30 ათასი ამერიკული დოლარის ოდენობით). თუმცა, არსებობს რიგი ქვეყნები, რომლებიც დღის წესრიგში არ აყენებენ აღნიშნულ მათი განვითარების დონით და იმითაც, რომ მათ არ შეუძლიათ ტურისტების სადაზღვევო უზრუნველყოფა კვალიფიციური სამედიცინო, თუ სხვა სახის მომსახურებებით ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილზე.

ტურისტებს და მოგზაურებს თავად უნდა გააჩნდეთ მორალური პასუხისმგებლობა, დაიცვან არამარტო საკუთარი თავი, არამედ იზრუნონ იმ ქვეყანაში არსებულ მოსახლეობაზეც, რაც გამოიხატება სამოქალაქო, მფლობელის, თუ გადამზიდველის პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეებში. ასევე თუ ავტო-მოტო ტრანსპორტით მოგზაურობს ტურისტი, მფლობელის პასუხისმგებლობის დაზღვევაში, რაც თავის მხრივ ითვალისწინებს ყოველგვარი სადაზღვევო რისკების დაფარვას ავტოსატრანსპორტო სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ. ამის კლასიკური მაგალითია „მწვანე ბარათი“, რომელიც წარმოადგენს სისტემას საერთაშორისო ქვეყნებისას, რომელთა ტერიტორიაზეც სავალდებულო წესით მიმდინარეობს აღნიშნული დაზღვევის სახე. ხოლო თუ ეს ასე არ არის, მისი სადაზღვევო უზრუნველყოფა შესაძლებელია მოხდეს ნებაყოფლობით დაზღვევის ხელშეკრულებით. თუმცა, დაზღვევის ასეთი სახეები ნაკლებად პოპულარულია, რადგან არ არსებობს მოთხოვნა ინფორმაციის ნაკლებობის გამო, ასევე სადაზღვევო კანონმდებლობის დაუზენაურობის და რაც ყველაზე მთავარია დამზღვევთა მხრიდან უნდობლობის გამო ტურისტული ფირმებისა და სადაზღვევო კომპანიების მიმართ (ტურისტული და სადაზღვევო კომპანიები ორიენტირებული არიან ძირითადად ჯანმრთელობის და სხვა ფინანსური რისკების დაზღვევაზე).

ასევე მნიშვნელოვანი პრობლემა თავად ტუროპერატორების სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა, რასაც დღეს ყურადღება თითქმის არ ექცევა. არსებობს მრავალი შემთხვევა ტურისტების აეროპორტებში დარჩენისა და მათი დროულად არ დაბრუნების შესახებ, ასევე გადადებული ჩარტერული საჰაერო რეისები, რაც უნდა უზრუნველყოს თავად ტურისტულმა ფირმამ. აქ უკვე დღის წესრიგში დგება ავიაკომპანიების პასუხისმგებლობის დაზღვევის საკითხიც ტუროპერატორთა წინაშე. აღნიშნული პრობლემის მოგვარებისთვის, მთელ რიგ უცხოეთის განვითარებულ ქვეყნებში (გერმანია, შვეიცარია, ჩეხეთი) მთავრობის განკარგულებით სადაზღვევო ასოციაციების მიერ შექმნილია ტუროპერატორებისა და ტურისტული ფირმების პროფესიული პასუხისმგებლობის სპეციალური სადაზღვევო ფონდები. დიდ ბრიტანეთში კი ტუროპერატორთა ასოციაციები

თავის შემადგენლობაში იღებენ მხოლოდ საუკეთესო რეპუტაციის მქონე ფირმებს 50 ათასი ევროს საბანკო გარანტიით.

ტურისტების უსაფრთხოებაზე ზრუნავს მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო, ასევე ადგილობრივი, თუ საერთაშორისო ორგანიზაციები. სახელმწიფოს ჩარევის ძირითადი მიზეზი ტურიზმის ინდუსტრიაში არის საკუთარი მოქალაქეებისა და ზოგადად, მთლიანად ქვეყნის კეთილდღეობა. იგი ეხება ისეთ სფეროებს როგორცაა: **ეკონომიკური სტაბილურობა, ბუნებრივი რესურსების დაცვა, ეროვნული უსაფრთხოება, ჯანდაცვა და დასაქმება.** ტურიზმი ზეგავლენას სხვადასხვა დონით ყველა მათგანზე ახდენს. სახელმწიფოს ამოცანაა, რომ მაქსიმალური სარგებლიანობა იქნეს მიღებული და მკვეთრად უნდა იყოს გამოხატული სახელმწიფოს მიერ ტურისტების სადაზღვევო დაცვა და მათი სადაზღვევო უზრუნველყოფა.

თუ გადავხედავთ საქართველოს სადაზღვევო ბაზრის მონაცემებს, სტატისტიკა ასე გამოიყურება: 2011 წლის მდგომარეობით გაფორმებული პოლისების რაოდენობა სამოგზაურო დაზღვევაში შეადგენს - 181937, მთლიანად მოზიდული პრემია - 2980746, ანაზღაურებული ზარალები - 495855. მთლიანი წილი სადაზღვევო ბაზარზე - 0.93%. 2012 წლის 6 თვის შედეგების მიხედვით კი, ანალოგიური მონაცემები ასე გამოიყურება: გაფორმებული პოლისების რაოდენობა სამოგზაურო დაზღვევაში შეადგენს - 105757, მთლიანად მოზიდული პრემია - 1898468, ანაზღაურებული ზარალები - 144961. მთლიანი წილი სადაზღვევო ბაზარზე - 0.81%.

გამომდინარე ამ მონაცემებიდან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზრდა შეინიშნება, თუმცა არც თუ ისე დიდი ტემპებით, ხოლო სამოგზაურო დაზღვევის ბაზრის წილი საგრძნობლად ჩამოუვარდება დაზღვევის სხვა სახეობების წილს საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე, რაც განპირობებულია მოსახლეობის დაბალი მსყიდველუნარიანობით მოგზაურობისა და ტურიზმის სფეროში, ისევე პრობლემად რჩება საზოგადოების დაბალი სადაზღვევო კულტურა და უნდობლობა სადაზღვევო კომპანიების მხრივ, რამაც აქტიური როლი კვლავ სახელმწიფოს უნდა დაეკისროს.

დავით ჭოტაშვილი
ეკონომიკის დოქტორი,
პროფესორი

ადგილობრივი თვითმმართველობების სტრატეგიული პრიორიტეტები



ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ნორმალურ წარმართვაზე დიდადაა დამოკიდებული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების პოლიტიკის წარმოებაც, რადგანაც ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების რაც არ უნდა კარგი პოლიტიკა არსებობდეს, თუ ის არ ჯდება ქვეყნის მთლიანი ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიაში, მისი განხორციელება წარმოუდგენელია.

მეტად საინტერესო იქნება თუ ღრმად გავაანალიზებთ თანამედროვე საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების პოლიტიკის დადებით და უარყოფით მხარეებს და დავსახავთ სამომავლოდ ადგილობრივი თვითმმართველობების ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიულ პრიორიტეტებს.

დღეისათვის ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის ძირითადი სამოქმედო კანონია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი. აღნიშნული კანონით რეგულირდება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფუნქციები, განსაზღვრულია მათი უფლებები და მოვალეობები. ადგილობრივი თვითმმართველობების საბიუჯეტო მონყობა კი რეგულირდება საქართველოს

კანონით, რომელიც „საბიუჯეტო კოდექსის“ სახელითაა ცნობილი. სწორედ ეს ორი კანონი არის ძირითადი ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის, რატომაც უნდა სხვა მნიშვნელოვან საკანონმდებლო აქტებთან ერთად.

როგორც საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობის მონიტორინგმა გვიჩვენა, თვითმმართველობების აბსოლუტურ უმრავლესობაში (თითქმის 90%-ში) არ ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობების მინიჭებული უფლებამოსილებანი, ეს გამომწვეულია როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური მიზეზებით. **ხშირ შემთხვევაში ამ საკუთარი უფლებამოსილებების შეუსრულებლობა გამოწვეულია იმით, რომ ცენტრსა და თვითმმართველობებს შორის არ არის უფლებამოსილებები მკაფიოდ გამოიჯანულებული, ადგილებზე შეინიშნება საკუთარი საბიუჯეტო შემოსავლების ქრონიკული უკმარისობა და რაც მთავარია უმრავლესი მუნიციპალიტეტები განიცდიან კვალიფიციური საჯარო მოხელეების დეფიციტს.**

კრიტიკას ვერ უძლებს საქართველოს კანონი „საბიუჯეტო კოდექსის შესახებ“, აღნიშნული კანონის 65-ე

მუხლში აღნიშნულია, რომ თითოეულ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს აქვს საკუთარი დამოუკიდებელი ბიუჯეტი, რომ ეს ბიუჯეტი დამოუკიდებელია როგორც სხვა თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისგან, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტისა და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტისგან. ზემოდაღნიშნული საკუთარი უფლებამოსილებების განსახორციელებლად ადგილობრივი თვითმმართველობებს ეძლევათ გათანაბრებითი ტრანსფერი. გათანაბრებითი ტრანსფერის გამოანგარიშების წესი განისაზღვრება ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის №904 ბრძანებით (გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე). საბიუჯეტო კოდექსის 74-ე მუხლში აღნიშნულია, რომ გათანაბრებითი ტრანსფერის გამოანგარიშებისას მხედველობაში მიიღება შესაბამისი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობა, 6 წლამდე ბავშვების რაოდენობა, 6-დან 18 წლამდე მოზარდთა რაოდენობა, იმ მოსახლეობის რაოდენობა, რომლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი (სარეიტინგო ქულა) ნაკლებია საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე, ასევე ადგილობრივი თვითმ-

თვითმმართველობები

მართველი ერთეულის ფართობი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიგრძე, როგორც წლების განმავლობაში განხორციელებულმა დაკვირვებებმა აჩვენა თითქმის არცერთ თვითმმართველობას არ მიუღია გათანაბრებითი ტრანსფერის კუთხით თანხების ის ოდენობა, რაც მას საქართველოში მოქმედი „საბიუჯეტო კოდექსის“ (აღრე „თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის კანონით“) და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის №904 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით ეკუთვნოდა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ გათანაბრებითი ტრანსფერი ვერ უზრუნველყოფს თვითმმართველობების საკუთარი უფლებამოსილებების შესრულებას და ადგილობრივი თვითმმართველობების საბიუჯეტო დამოუკიდებლობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. არასაკმარისი ადგილობრივი საბიუჯეტო შემოსავლები კი საერთო ჯამში თვითმმართველობების მუშაობაზე ნეგატიურად აისახება, გამომდინარე აქედან ველარ ხდება ადგილობრივი თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და ადგილობრივი თვითმმართველობები ცენტრზე (თბილისი) დამოკიდებულნი ხდებიან.

ადგილობრივი თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის აუცილებელია ადგილობრივი ტერიტორიული და დარგთაშორისი განვითარების სრულყოფა, სახელმწიფო და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ინტერესების გათვალისწინებით, რამდენადაც სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობების ეკონომიკურ განვითარებაზე დამოკიდებული ადგილებზე სოციალური პრობლემების სწორად გადაწყვეტა. სამწუხაროა, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობებს არ გააჩნიათ არანაირი ბერკეტი იმისა, რათა მათ დაადგინონ მათ სამოქმედო ტერიტორიაზე მოქმედი საწარმოების მიერ წარმოებული პროდუქციის რაოდენობა, ასევე შესაბამისი მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე განეული მომსახურების ოდენობა. ადგილებზე მოქმედი საწარმოების

მიერ გამოშვებული პროდუქციისა და მომსახურების შესახებ ინფორმაციის არარსებობა წარმოადგენს თავის მხრივ ძირითად შემაფერხებელ ფაქტორს ადგილობრივი ბიუჯეტების დაგეგმვის დროს. ადგილობრივი ბიუჯეტები იგეგმება სპონტანურად ადგილებზე ყოველნაირი საბიუჯეტო გადასახადების შესახებ ინფორმაციის არ-არსებობის პირობებში. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ „**საბიუჯეტო კოდექსის**“ შესახებ საქართველოს კანონით ადგილობრივი თვითმმართველობების ერთადერთ შემოსავალს დღეს მოქმედი გადასახადებიდან წარმოადგენს მხოლოდ ქონების გადასახადი, ქონების გადასახადი თავის თავში მოიცავს, როგორც ფიზიკური და იურიდიული პირების ბალანსზე რიცხული ქონების გადასახადს, ასევე სასოფლო და არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადს, სწორედ ქონების გადასახადიდან ამოსაღები თანხები წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობების საბიუჯეტო შემოსავლების დაახლოებით 20 %-ს. საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლობითი ორგანოების (საკრებულოები) მიერ მიღებულმა ადგილობრივი ბიუჯეტების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილის დამტკიცებისას თითქმის არ ხდება ქონების გადასახადის გეგმით გათვალისწინებულ ნაწილში იმის გამოფვრა, თუ რომელი საწარმოებიდან ელიან ადგილობრივი თვითმმართველობები ბიუჯეტში გათვალისწინებულ ქონების გადასახადს (მათ შორის მიწის გადასახადს), ეს კი ქონების გადასახადის დაგეგმვისას დიდ უზუსტობას იწვევს. სწორედ ეს არის გამომწვევი მიზეზი იმისა, რომ საქართველოს ზოგიერთ თვითმმართველობას ქონების გადასახადის კუთხით გეგმა აქვს შესრულებული 200 %-ით, ზოგს კი 40 %-ით, რაც ქონების გადასახადის არასწორად დაგეგმვით არის გამოწვეული. კიდევ უფრო რთულად დგას საქმე ერთ-ერთი ადგილობრივი მოსაკრებლის – **ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის დაგეგმვის დროს**, აღნიშნული მოსაკრებლიდან ამოღებული თანხები 100 %-ით ირიცხება შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტებში.

აღნიშნული მოსაკრებლიდან მისაღებ თანხებს ადგილობრივი თვითმმართველობები გეგმავენ წინა წლებში ფაქტიურად მიღებული შემოსავლებიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში ფაქტიურად არ ხდება იმ სახელმწიფო უწყებებთან (როგორცაა: საქართველოს ბუნებრივი რესურსებისა და ენერგეტიკის სამინისტრო, ასევე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო) კონსულტაციების მიღება, იმასთან დაკავშირებით თუ რომელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გასცეს ზემოდაღნიშნულმა უწყებებმა შესაბამისი ლიცენზია ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის კუთხით მუნიციპალიტეტების მიხედვით. სწორედ ასეთი ურთიერთდამოკიდებულება იწვევს ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლების კუთხით ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილის დაგეგმვის არაეფექტურობას.

მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ როგორც საქართველოს მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ბიუჯეტების ანალიზმა გვიჩვენა, **თითქმის უმრავლესი მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტში ძალიან მიზეზული თანხებია გათვალისწინებული ადგილობრივი საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის, ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები არა თუ კვალიფიკაციის ამაღლებას, არამედ ადგილობრივი საჯარო მოხელეთა გადამზადების ცენტრთან მისვლასაც კი ვერ უზრუნველყოფს. ჩგამომდინარე აქედან ადგილობრივი საჯარო მოხელეთა ცოდნის დონე ყოველწლიურად კლებულობს, რაც იწვევს პროფესიული კადრების მუნიციპალიტეტებიდან გადინებას და თვითმმართველობებს არაკონკურენტუნარიანს ხდის. გამომდინარე აქედან საჭიროა ცენტრალური ხელისუფლების მიერ ადგილობრივი თვითმმართველობებს უფრო მეტი დამოუკიდებლობა მიეცეთ აღნიშნული კუთხით.**

პრობლემაა ისიც, რომ ადგილობრივი თვითმმართველობებს არ გააჩნიათ მონაცემები მათ სამოქმედო ტერიტორიაზე შემოსული და გასული ადგილობრივი თუ უცხოური ინვესტიციების მოძრაობის შესახებ, რადგანაც დღეს მოქმედი არანაირი კანონი თუ კანონქვემდებარე ნორმა-

ტიული აქტი შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს არ ავალდებულებს შემოსული და გასული ინვენსტიციების შესახებ საქმის კურსში ჩააყენოს ადგილობრივი თვითმმართველობები.

ისმება კითხვა: რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებს მიენიჭოთ ისეთი უფლებამოსილებანი, რომელიც უზრუნველყოფენ მათი საბიუჯეტო დამოუკიდებლობის ზრდას და ცენტრზე (თბილისი) დამოკიდებულების ხარისხს მნიშვნელოვნად შეამცირებს? აღნიშნული საკითხი მეტად აქტუალურია, რადგანაც ძლიერი და დამოუკიდებელი ადგილობრივი ეკონომიკის გარეშე ფაქტურად წარმოუდგენელია ქვეყნის მთლიანი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საჭიროა გამოვყოთ რამოდენიმე ფორმა საქართველოს რეგიონალური ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე. ესენია;

- **კლასიკური რეგიონალური ეკონომიკური სისტემა.**
- **მაკრო-რეგიონალური ეკონომიკური სისტემა.**
- **სუბ-რეგიონალური ეკონომიკური სისტემა.**
- **მიკრო-რეგიონალური ეკონომიკური სისტემა.**

აღნიშნული ეკონომიკური სისტემები სხვადასხვა თავისებურებებით ხასიათდებიან, მთლიანობაში ისინი რეგიონალური ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლას უზრუნველყოფენ, აღნიშნული ეკონომიკური სისტემების განხილვით მივალთ იმ კონდიციამდე, რომ საქართველოს რეგიონალური ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა; ა) ადგილობრივი რესურსული ბაზის გაფართოება და უნარჩენო თანამედროვე ტექნოლოგიების და-

ნერგვა. ბ) ადგილობრივი ტერიტორიული ბიზნეს საქმიანობის დივერსიფიკაცია რათა მასზე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისების შედეგად გამოწვეული მავნე ზემოქმედების მიუხედავად გაიზარდოს მათი მდგრადობა. გ) ადამიანური კაპიტალის ნილის ზრდა რეგიონალურ მთლიან კაპიტალში. დ) ფინანსური და რეალური სექტორების თანაბარზომიერად განვითარების უზრუნველყოფა, რომელიც წარმოადგენს აუცილებელ ფაქტორს საფინანსო-საინვენსტიციო მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში.

ყოველივე ზემოდაღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია; ა) **სახელმწიფოსა და კერძო ადგილობრივი ბიზნესის ურთიერთქმედების ეფექტურობის გაზრდა.** ბ) **ადგილობრივი ბუნებრივი და ადამიანური რესურსების გამოყენების ეფექტურობის ზრდა.** ჩგ) **ადგილობრივი თვითმმართველობების საინვენსტიციო მიზიდველობის ზრდა.** დ) **ადგილობრივი თვითმმართველობების კონკურენტუნარიანობის ზრდა თანამედროვე ევროპული მოთხოვნების შესაბამისად.** ე) **ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის ზრდა ადგილობრივი მნიშვნელობის კანონების განხილვისა და მიღებისას.** ვ) **ადგილობრივი საბიუჯეტო შემოსავლების დივერსიფიკაციის მიზნით ადგილობრივი საჯარო მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლება და რაც მთავარი ადგილობრივი ადამიანური რესურსების ეფექტურად გამოყენება.**

აქვე წარმოვადგენ იმ რეკომენდაციებს, რომლებიც სამომავლოდ უნდა გაითვალისწინონ ადგილობრივმა თვითმმართველობებმა.

*** ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის დაგეგმვისას**

აუცილებელია მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის №904 ბრძანებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

*** ქონების გადასახადის დაგეგმვისას ადგილობრივმა თვითმმართველობებმა მაქსიმალურად უნდა ითანამშრომლონ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან, რადგან სწორედ ფინანსთა სამინისტროში შემაჯავალ საქვეუწყებო დაწესებულებაში---შემოსავლების სამსახურში იყრის თავს საწარმოდანესებულებებიდან მიღებული ინფორმაციები ქონების გადასახადით დასაბეგრი ბაზის შესახებ, სწორედ ეს საგადასახადო ბაზა არის აუცილებელი ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილით გათვალისწინებული ქონების გადასახადის დაგეგმვისას.**

*** პრეზიდენტის სამხარეო ადმინისტრაციებმა მაქსიმალურად უნდა აღმოუჩინონ ადგილობრივ თვითმმართველობებს დახმარება ქონების გადასახადის დაგეგმვისას სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთობის დროს.**

*** ადგილობრივი ბიუჯეტების დამტკიცებამდე მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული ადგილობრივი თვითმმართველობების შესახებ ევროპული ქარტიის მოთხოვნები, კერძოდ; ადგილობრივი ორგანოების ფინანსური წყაროები თანაბარზომიერი უნდა იყვნენ კონსტიტუციით და კანონით დადგენილ მათ უფლებამოვალეობებთან.**

*** აუცილებელია საჯარო ფინანსები ისე გადანაწილდეს ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის, რომ ადგილობრივმა თვითმმართველობებმა მაქსიმალურად შეძლონ საკუთარი უფლებამოსილებათა დამოუკიდებელი განხორციელება მათივე საკუთარი შემოსავლებით.**

*** აუცილებელია მნიშვნელოვნად დაიხვეწოს თვითმმართველი ერთეულებისთვის გადასაცემი ტრანსფერის ფორმულა, რათა თვითმმართველი ერთეულებისათ-**



თვითმმართველობები

ვის განკუთვნილი ტრანსფერები იყოს სამართლიანი, გამჭვირვალე და არ დაჰკრავდეს პოლიტიკური ელფერი.

* ადგილობრივი ბიუჯეტების დამტკიცებამდე ბიუჯეტის პროექტი განხილულ უნდა იქნეს შესაბამისი მუნიციპალიტეტების მოსახლეობასთან, მათი აზრების გათვალისწინებით მოხდეს ბიუჯეტის პრიორიტეტების გამოკვეთა, რის შემდეგაც უკვე განხილული პროექტი გატანილ იქნეს თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობით (საკრებულო) ორგანოში დასამტკიცებლად.

* ადგილობრივი ბიუჯეტების დამტკიცებამდე აუცილებელია ადგილობრივმა თვითმმართველობებმა მაქსიმალურად ითანამშრომლონ სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურებთან, რადგანაც ხშირ შემთხვევაში მათ არ აქვთ ობიექტური ინფორმაცია თვითმმართველობის ტერიტორიაზე მოქმედი საწარმო-დანესებულებების შესახებ – თუ საჭირო გახდა ადგილობრივ თვითმმართველობებში უნდა შეიქმნას ადგილობრივი სტატისტიკის სამსახურები, რომლებიც დაკავდებიან შესაბამისი მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე მოქმედი საწარმო-დანესებულებებიდან საჭირო ინფორმაციების მოძიებით და შექმნიან შესაბამის სტატისტიკურ ბაზას, სწორედ ეს სტატისტიკური ბაზა უნდა დაედოს საფუძვლად ადგილობრივი ბიუჯეტის მიღებას. საქართველოში კი ამჟამად ადგილობრივ თვითმმართველობების წარმომადგენლობით ორგანოებსა და სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურებს შორის არ არის იმ დონის ჰარმონიული დამოკიდებულება (ხშირ შემთხვევაში საკანონმდებლო ვაკუუმის გამო), რომელიც მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ადგილობრივ თვითმმართველობებს მათ სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული საწარმო-დანესებულებებზე სტატისტიკური ინფორმაციის მოზიდვაში. შექმნილი მდგომარეობა კი მნიშვნელოვნად აფერხებს ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის დაგეგმვას. შესაბამისი ინფორმაციების არარსებობის გამო ვეღარ ხერხდება ერთიანი რეგიონული პროდუქტის (ერპ) ოდენობის დადგენაც, ხოლო

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ ვებ-საიტზე გამოქვეყნებული ინფორმაცია ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამება სინამდვილეს და ადგილობრივ თვითმმართველობებს საიმედო ინფორმაციას ვერ აწვდის.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ზემოდაღნიშნულ საჭიროებოტო საკითხებთან დაკავშირებით განხორციელდება შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილება, როგორც ადგილობრივ, ასევე ცენტრალურ დონეზე, მიღებულმა ცვლილებებმა კი უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი თვითმმართველობების დაახლოება ევროპულ თვითმმართველობებთან.

ყოველივე ზემოდაღნიშნულიდან გამომდინარე ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიღებულ უნდა იქნეს სწორედ ისეთი კანონები, რომლებიც მაქსიმალურად უზრუნველყოფენ ცენტრსა და რეგიონებს შორის უფლებამოსილებათა კომპეტენციის მკაცრად გამიჯვნას, რაც საერთო ჯამში ადგილობრივი თვითმმართვე-

ლობების ეკონომიკურ განვითარებას შეუწყობს ხელს.

იმედისმომცემია ახლახან მთავრობის მიერ გაცხადებული კურსი თვითმმართველობებში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, იგეგმება თვითმმართველობების და სამხარეო ადმინისტრაციების ძირეული რეფორმები, მჯერა რომ თვითმმართველობებში გასატარებელი რეფორმების შესახებ შესაბამისი კონცეფციები იქცევა სახალხო განხილვის საგნად, რაც ამ დარგის სპეციალისტებს მოგვცემს იმის საშუალებას, რომ ჩვენი ხედვები გავაცნოთ მთავრობას, რის შემდეგაც მიღებული იქნება სწორედ ისეთი კანონი, რომელიც მართლაც უზრუნველყოფს თვითმმართველობების ძირეულ ინსტიტუციონალურ ცვლილებებს.

ბორის ჭიჭინაძე,
აკაკი წერეთლის სახელობის
ქუთაისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

გამოყენებული ლიტერატურა

1. კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“
2. კანონი „საბიუჯეტო კოდექსის შესახებ“
3. საქართველოს საგადასახადო კოდექსი.
4. ლავთაძე გ. ჩიხლაძე ნ. სატრანსფერო პოლიტიკა და რეგიონების ფინანსური მხარდაჭერის აქტუალური საკითხები საქართველოში (იმერეთის მხარის მაგალითზე). საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. ქუთაისი, 1-2 მაისი, 2010 წელი. (თემა; რეგიონალიზაცია, თანამედროვე რეგიონული ეკონომიკური და სოციალური პროცესები)
5. ჭიჭინაძე ბ. თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტის ფინანსური დამოუკიდებლობის საკითხისათვის. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. ქუთაისი, 1-2 მაისი, 2010 წელი. (თემა; რეგიონალიზაცია, თანამედროვე რეგიონული ეკონომიკური და სოციალური პროცესები).
6. ჭიჭინაძე ბ. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ფინანსური დამოუკიდებლობის პრობლემები. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, ქუთაისი, 16-17 მაისი, 2009 წელი. (თემა; გლობალიზაცია, მსოფლიო კრიზისი და სამხრეთ კავკასია)
7. ჭიჭინაძე ბ. საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების ფინანსური მხარდაჭერის აქტუალური საკითხები; სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, ქუთაისი, 5-6 ნოემბერი, 2011 წელი. (თემა; ეკონომიკის და ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების ტენდენციები) მიძღვნილი ქუთაისის უნივერსიტეტის 20 წლისთავისადმი.
8. დორინა ე. რეგიონალური განვითარების რეგულირების მეთოდოლოგიური საფუძვლები. (რუსულ ენაზე) საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. ქუთაისი, 1-2 მაისი, 2010 წელი. (თემა; რეგიონალიზაცია, თანამედროვე რეგიონული ეკონომიკური და სოციალური პროცესები).
9. პროხოროვა ვ. ფროლოვა პ. რუბინ გ. სახელმწიფო და მუნიციპალური მმართველობა (რუსულ ენაზე). კრასნოდარი; კუბსტუ. 2006 წ.

აშშ-ს საბარეო ვალი ილუსტრაციები

100 დოლარი – გაყალბების ყველაზე საყვარელი ობიექტია დედამიწაზე. ძირითადად ეს ბანკნოტა ამოძრავებს მსოფლიო ეკონომიკას.

10 000 დოლარი – საკმარისია დაუვინყარი შვებულებისთვის ან ნორმალური ავტომობილის შესაძენად. მაგრამ მისი მოპოვებისთვის დედამიწის საშუალო-სტატისტიკურმა მცხოვრებმა მთელი წელი უნდა იმუშაოს.

1 მილიონი დოლარი – არც ისე დიდი მოცულობისაა როგორც ბევრს წარმოუდგენია. სტანდარტული ზომის კეისში თავისუფლად თავსდება. მაგრამ მის მოსაპოვებლად დედამიწის “საშუალო” მკვიდრმა 92 წელი უნდა იმუშაოს.

100 მილიონი დოლარი – უკვე სოლიდური მოცულობისაა, მაგრამ იგი მაინც თავსდება სტანდარტულ პალეტებზე. ამ თანხით იგივე საშუალო ადამიანის ნებისმიერ რეალურ ოცნების შესრულება შეიძლება ალბათ.

1 მილიარდ დოლარი – საკმაოდ ბევრია ფიზიკურადაც – მას დიდი მოცულობის საცავი სჭირდება. ამდენი ფულის გატაცებას ერთი ჩვეულებრივი ბანდა ნამდვილად ვერ მოახერხებს.

1 ტრილიონი დოლარი – შთამბეჭდავია, მაგრამ ასეთი გრანდიოზულობის შეგრძნება მაშინვე ფერმკრთალდება, როდესაც გაიხსენებ, რომ აშშ-ს სახელმწიფო ბიუჯეტის მხოლოდ დეფიციტი შეადგენს 1,7 ტრილიონ დოლარს.

არადა, ამ ფულის ხარჯვა ქრისტეშობიდან რომ დაგეწყო და ყოველ დღე ერთი მილიონი დოლარი გაგეფლანგა – მაინც ვერ დახარჯავდი დღემდე.


15 ტრილიონი დოლარი – ეს უკვე აშშ-ს სახელმწიფო ვალის “დამრგვალებული” მოცულობაა.

როგორც ჩანს, თავისუფლების ქანდაკებას სულაც არ ადარდებს, რომ მისი ქვეყნის ვალი მთელი მსოფლიოს ეკპ-ის 20%-ს უტოლდება.

114.5 ტრილიონი დოლარი – ეს არის აშშ-ს ყველა იმ ვალდებულებათა მოცულობა, რომლებსაც არავითარი უზრუნველყოფა არ გააჩნია.

ამ თანხის შემადგენელი 100-დოლარიანი კუპიურებით უფრო დიდი კოშკის აგება შეიძლება, ვიდრე ტერორისტების მიერ განადგურებული ტყუპები იყვნენ.

მაგრამ თუ იგივე კუპიურებს სათითაოდ დავაწყობთ ერთმანეთზე – მაშინ აი ასეთი მოცულობის “ობელისკს” მივიღებთ.



იურიდიული კონსულტანტია

რუბრიკას უძღვება „ბიზნესი და კანონ-მდებლობის“ იურიდიული კონსულტანტი, ქალბატონი **ირინე ლლონტი**

კითხვა: ვარ 74 წლის, ასაკით პენსიონერი; მაქვს 45 წლის შრომის სტაჟი. 2012 წლის სექტემბრიდან უმნიშვნელოდ გამეზარდა პენსია და გამიხდა 125 ლარი. ახალი მთავრობა გვპირდება პენსიის მომატებას და საარსებო მინიმუმისთვის გათანაბრებას, რასაც მოუთმენლად ველოდები.

გთხოვთ, განმიმარტოთ, რა დროიდან და როგორი ოდენობით გამეზრდება პენსია?

პასუხი: ბატონო კონსტანტინე, პენსიის საარსებო მინიმუმისთვის გათანაბრება გათვალისწინებულია მიმდინარე წლის პირველი სექტემბრიდან. თქვენთვის, როგორც ასაკით პენსიონერისთვის, მისი ოდენობა გაზდება 150 ლარი.

კითხვა: იქნებ მაცნობოთ, რამდენ დღეშია ვალდებული სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონული სამსახური განიხილოს პენსიის დანიშვნის საკითხი?

პასუხი: „სახელმწიფო პენსიების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად, პენსიის დანიშვნის საკითხი სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულმა სამსახურმა უნდა განიხილოს განცხადებისა და ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენიდან არა უგვიანეს 10 დღის ვადაში. აქვე გაცნობებთ, რომ შეზღუდული შესაძლებლობისა და საპენსიო ასაკის გამო, პენსია ინიშნება განცხადებისა და ყველა საჭირო საბუთის წარდგენის დღიდან.

კითხვა: ვარ 13 წლის; 1 თვის წინ გარდამეცვალა დედა, რომელსაც შრომის სტაჟი არ ჰქონდა (იყო დიასახლისი). მითხრეს პენსია გეკუთვნისო, მაგრამ მამაჩემს ჯერ საბუთები არ წარუდგენია, მგონი უსტაჟოდ არ ინიშნებაო. გთხოვთ, მაცნობოთ, მეკუთვნის თუ არა პენსია დედის გარდაცვალების გამო?

პასუხი: დედის გარდაცვალების გამო პენსია ყველა შემთხვევაში გეკუთვნით. გირჩევთ, აღნიშულ საკითხზე დაუყოვნებლივ მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ სამსახურს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ თქვენი დედის გარდაცვალებიდან 3 თვის ვადაში მოხდება აღნიშნული ორგანოსთვის მიმართვა, პენსია მარჩენალის გარდაცვალების დღიდან დაგენიშნებათ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი — განცხადებისა და ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენის დღიდან.

კითხვა: ვარ უკიდურესად ღარიბი. ვიღებ ინვალიდობის პენსიას და კიდევ სოციალურ დახმარებას — 22 ლარს. მეზობლები მეუბნებიან, რომ დახმარება



30 ლარი მეკუთვნის. მე კი არ ვიცი, სად წავიდე და ვის მივმართო. იქნებ დამეხმაროთ?

პასუხი: იმისთვის, რომ 22 ლარის ნაცვლად 30 ლარი დახმარება მიიღოთ (ორივე ერთად არ მოგეცემათ), საჭიროა, დარეგისტრირდეთ მონაცემთა ბაზაში და მოიპოვოთ შესაბამისი სარეგისტრაციო ქულა. აღნიშნულ საკითხზე მისვლას თუ პირადად ვერ შეძლებთ, საჭიროა თქვენმა ახლობელმა (თქვენი სახელით) მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ სამსახურს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

კითხვა: ვარ 25 წლის, მყავს 3 წლის ბავშვი, რომელსაც მამამ გვარი მისცა, მაგრამ შემდეგ მისი ასავალ-დასავალი აღარ ვიცი, იქნებ მაცნობოთ, ჩავითვლები თუ არა მარტოხელა დედად?

პასუხი: შეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით, მარტოხელა დედად არ ჩაითვლებით. თქვენი შვილი, რომლისთვისაც მამას გვარი მიუცია, სარგებლობს ყველა იმ უფლებით, რითაც რეგისტრირებული ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვი. ასე რომ, თუ თქვენი შვილის მამა ნებაყოფლობით არ მონაწილეობს ბავშვის აღზრდაში, სრული უფლება გაქვთ მისთვის შვილის სარჩენად ალიმენტის დაკისრების თაობაზე მიმართოთ სასამართლოს.

კითხვა: ვარ 27 წლის, მყავს 2 შვილი, მათ შორის უმცროსი 5 თვისაა. ვმუშაობ ბანკში მაღალ ხელფასზე. მეუღლეს და დედას დაბალი ხელფასი აქვთ. მინდა გავიდე სამსახურში და ჩემს ნაცვლად ბავშვის მოსავლელად დედაჩემმა აიღოს უხელფასო შვებულება. ადრე ეს დასაშვები იყო. გთხოვთ, მაცნობოთ, ისევ მოქმედებს ასეთი წესი?

პასუხი: საქართველოს შრომის კოდექსის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შვებულება ბავშვის (შვილიშვილის) მოსავლელად შეუძლია აიღოს ბავშვის ბებიამ ან ნებისმიერმა პირმა, რომელიც მას მოუვლის. მხედველობიდან არ გამოგრჩეთ, რომ ახალი შრომის კოდექსით, ქალს შვებულება ორსულობის, მშობიარ-

ობის და ბავშვის მოვლის გამო (ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე) საერთო ჯამით მხოლოდ 477 კალენდარული დღის ხანგრძლივობით ეძლევა.

კითხვა: როგორც გავიგე, ახალი მთავრობა უახლოეს ხანში პენსიების მომატებას გეგმავს. მაინტერესებს, როგორი წესით ხდება დანიშნული პენსიის გადაანგარიშება მომატების თვალსაზრისით. უფრო კონკრეტულად, საჭიროა თუ არა ამისთვის სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის განცხადებით მიმართვა და ხანგრძლივი შრომის სტაჟის შესახებ საბუთების წარდგენა. აქვე გაცნობებთ, რომ მსგავსი საბუთი, როცა პენსია 10 წლის წინ დამენიშნა, წარდგენილი მაქვს.

პასუხი: „სახელმწიფო პენსიების შესახებ“ 2006 წლის 1 იანვრიდან მოქმედი კანონის შესაბამისად, განსაზღვრულ პენსიის ოდენობებში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, გადაანგარიშება განხორციელდება ავტომატურად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის — სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ სამსახურში, პენსიის მიმღები პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

კითხვა: ვარ მეორე მსოფლიო ომის პირველი ჯგუფის ინვალიდი. ადრე მთლიანად თავისუფალი ვიყავი ყოველგვარი სახის კომუნალური გადასახადისგან. ახლა, ყოველ წელს მიმცირებენ შეღავათებს და დღეს ყოველგვარი გადასახადის დასაფარად უკვე რამდენიმე წელია, მაძღვევენ 44 ლარს. გთხოვთ განმიმარტოთ, ხომ არაფერი შეცვლილა?

პასუხი: მოქმედი კანონიდან გამომდინარე, ელექტროენერჯისა და სხვა კომუნალური გადასახადების დასაფარად, თვეში 44 ლარი სწორად გეძლევათ. შემდგომში თუ რაიმე ცვლილება იქნება ამ მიმართებით კანონში, დაუყოვნებლივ შეგატყობინებთ ჩვენი ჟურნალის მეშვეობით.

კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, ძალაშია თუ არა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის ბრძანებულება, შრომითი მოვალეობის შესრულებისას ზიანით მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ?

პასუხი: თქვენ კითხვაში მითითებული ბრძანებულება ძალადაკარგულად არის გამოცხადდა ჯერ კიდევ 2007 წელს - საქართველოს პრეზიდენტის 6 თებერვლის N93 ბრძანებულებით — ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად.

კითხვა: ვიბრძოდი ავღანეთის ომში, საიდანაც ავადმყოფი დავბრუნდი (საბუთები ხელზე მაქვს), მაგრამ ვინაიდან ახალგაზრდა ვიყავი და პენსიონერის სახელი არ მინდოდა, პენსიის დანიშვნაზე არ ვიზრუნე. რაც წლები გადის, მდგომარეობა უფრო მირთულდება, ლამის დავკარგე ყურთასმენა, მაქვს მაღალი წნევა. გთხოვთ, განმიმარტოთ, ვის მივმართო

ინვალიდობის ჯგუფის განსაზღვრასა და შემდგომ პენსიის დანიშვნისათვის??

პასუხი: გირჩევთ, დაუყოვნებლივ მიმართოთ (ავღანეთში მიღებული დაავადების დამადასტურებელი ყველა საბუთით) პოლიკლინიკას, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომელიც საფუძვლიანად გამოიკვლევს თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობას. ინვალიდობის ჯგუფის დადგენის შემთხვევაში, პენსიას სოციალური მომსახურების სააგენტოს თქვენი რაიონული სამსახური დაგინიშნავთ.

კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, რომელ ინვალიდებს აქვთ პენსიის მიღების უფლება ჩერნობილში მიღებულ დაავადებასთან დაკავშირებით? მინდა ვიცოდე, ენიშნებათ თუ არა პენსია ბირთვული ავარიის შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეებს, ზომიერად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის გამო?

პასუხი: „ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე და სხვა სამხედრო ან სამოქალაქო დანიშნულების ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეობის დროს დაინვალიდებულ პირებს პენსია ენიშნებათ მკვეთრად, მნიშვნელოვნად ან ზომიერად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის მიუხედავად, ან საპენსიო ასაკის გამო.

კითხვა: იქნებ ამიხსნათ, რა საბუთების წარდგენა საჭირო ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირისთვის საქართველოში პენსიის დასანიშნად.

პასუხი: ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირმა სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ სამსახურს უნდა წარუდგინოს ცნობა იმის შესახებ, რომ იგი არ იღებს არანაირ პენსიას ან სოციალურ დახმარებას იმ ქვეყნიდან, რომლის მოქალაქედაც ითვლება.

კითხვა: რა შემთხვევაში შეიძლება ჩემი კუთვნილი პენსია ბინაზე მომიტანონ? ვარ I ჯგუფის ინვალიდი, არ მყავს კანონით ვალდებული მარჩენალი და მიჭირს ყოველთვიურად ბანკში მისვლა.

პასუხი: პენსიონერისთვის პენსიის ბინაზე მიტანა ხორციელდება განსაკუთრებულ შემთხვევებში, პენსიონერის წერილობითი განცხადების საფუძველზე. აქვე გაცნობებთ, რომ პირობები, რომლებიც თქვენს შეკითხვაშია მითითებული, საკმარისია იმისთვის, რომ პენსია ბინაზე მოგიტანონ. აღნიშნულ საკითხზე საჭიროა მიმართოთ სოციალური მომსახურების სააგენტოს თქვენი რაიონის სამსახურს.

კითხვა: ვარ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. დანიშნული მაქვს სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია. მაისში ვხდები 65 წლის, მინდა დავინიშნო 36 წლის სტაჟით კუთვნილი ასაკის პენსია — თვეში 110 ლარი. ხომ მაქვს ამის უფლება?

პასუხი: სამწუხაროდ, არ გაქვთ, ვინაიდან მოქმედი

იურიდიული კონსულტანია

კანონის შესაბამისად, როცა პიროვნებას ერთდროულად აქვს სახელმწიფო პენსიისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლება, ენიშნება ერთ — ერთი, რომელიც მისთვის უფრო ხელსაყრელია. ერთდროულად 2 სახის სახელმწიფო სარგებლის მიღება კანონით დაუშვებელია.

კითხვა: დანიშნული მაქვს სახელმწიფო კომპენსაცია. მომეცემა თუ არა იგი საჯარო სამსახურში მუშაობის დაწყების შემთხვევაში?

პასუხი: არა, არ მოგეცემათ — პირს, რომელსაც დანიშნული აქვს სახელმწიფო კომპენსაცია, მისი მიღება უწყდება საჯარო საქმიანობის დაწყების დღიდან, მისი განხორციელების მთელ პერიოდში.

კითხვა: ვარ საქართველოს ყოფილი უმაღლესი თანამდებობის პირის მეუღლე. გთხოვთ, განმიმარტოთ, რომელი კანონით დაენიშნება ჩემს მცირეწლოვან შვილს პენსია მამის გარდაცვალების გამო — „სახელმწიფო პენსიების შესახებ“ საქართველოს კანონით, თუ სხვა საკანონმდებლო აქტი მოქმედებს მსგავს შემთხვევაში?

პასუხი: საქართველოს ყოფილი უმაღლესი თანამდებობის პირის გარდაცვალების გამო, მცირეწლოვან შვილს ენიშნება სახელმწიფო კომპენსაცია. მისი ოდენობა განისაზღვრება „საქართველოს ყოფილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების ოჯახის წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონით.

კითხვა: დანიშნული მაქვს სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია, მაგრამ მისი რაოდენობის სისწორეში ეჭვი მეპარება. გთხოვთ, განმიმარტოთ, როგორი წესით ხდება აკადემიური სტიპენდიის ოდენობის განსაზღვრა სამეცნიერო ხარისხის მქონე პირთათვის?

პასუხი: მოქმედი კანონის თანახმად, სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის ოდენობა განისაზღვრება საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოს: 80%-ის ოდენობით — მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მქონე პირთათვის და უმაღლეს სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესორის სამეცნიერო-პედაგოგიური ნოდების მქონე პირთათვის; 60%-ის ოდენობით — მეცნიერებათა კანდიდატის მქონე პირთათვის და უმაღლეს სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებაში დოცენტის სამეცნიერო-პედაგოგიური ნოდების მქონე პირთათვის და 40%-ის ოდენობით — სამეცნიერო ხარისხის არმქონე პირთათვის.

კითხვა: მაინტერესებს, რა იგულისხმება ამჟამად მოქმედი კანონით ტერმინში — „სრული სახელმწიფო კმაყოფა“.

პასუხი: მსგავს შემთხვევებში იგულისხმება კვებით, თავშესაფრითა და ტანსაცმლით უზრუნველყოფა ინსტიტუციაში მყოფი პირებისა, რომლებიც არიან სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში.

კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, რა არის დღეს მოქმედი კანონით სახელმწიფო პენსიის დანიშვნის

ძირითადი საფუძველი? მინდა ვიცოდე, აუცილებელია თუ არა 20 წლის სტაჟი იმისთვის, რომ ორ თვეში, როცა საპენსიო ასაკი შემისრულდება, შემდეგ მინიმალური სარჩო მაინც გამაჩნდეს?

პასუხი: ასაკით პენსიის დანიშვნის ძირითადი საფუძველია საპენსიო ასაკის მიღწევა. ასე რომ, 60 წლის შესრულების შემდეგ, თუ თქვენ ისეთი დაწესებულების თანამშრომელი არ იქნებით, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, პენსია (სტაჟის ხანგრძლივობის მიუხედავად) თვეში 100 ლარის ოდენობით ყველა შემთხვევაში მოგეცემათ.

კითხვა: ვარ 35 წლის, გარდამეცვალა მეუღლე, რომელიც მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში. დამრჩა 3 მცირეწლოვანი შვილი. გთხოვთ, განმიმარტოთ, ვის მივმართო ბავშვებისთვის პენსიის დასანიშნად.

პასუხი: შეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით, მცირეწლოვანი შვილებისთვის მამის გარდაცვალების გამო კომპენსაციის (და არა პენსიის) დანიშვნის საკითხზე გირჩევთ მიმართოთ სოციალური მომსახურების სააგენტოს (ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი N144).

კითხვა: მყავს ბავშვობიდან ინვალიდი შვილი, რომელიც ამჟამად 15 წლისაა. მას ჩემს გარეშე არსებობა უჭირს. მაისის ბოლოს უწევს სამედიცინო კომისიაზე გასვლა. მეუბნებიან, თუ პირველი ან მეორე ჯგუფი არ დაუდგინეს, პენსია მოეხსნებაო.

პასუხი: არა, გულს ნუ გაიტეხთ, მთლად მასე არ არის, მაგრამ თქვენმა შვილმა დანიშნულ დროს აუცილებლად უნდა გაიაროს სამედიცინო შემოწმება. კანონის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებს, რომლებიც საჭიროებენ სხვა პირის მუდმივ დახმარებას, „სახელმწიფო პენსიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პენსია მიეცემათ შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში ხელახალი გადამოწმების დროს ასეთი დახმარების საჭიროების დადგენის შემთხვევაში.

კითხვა: ახალი მთავრობა გვპირდებოდა პენსიის საარსებო მინიმუმამდე გაზრდას, მაგრამ ჯერ-ჯერობით დანაპირები არ შესრულებულა. გთხოვთ, განმიმარტოთ, რა დროიდან მოხდება პენსიის საარსებო მინიმუმამდე გაზრდა და მე, როგორც ასაკით პენსიონერს, ზუსტად რამდენი ლარი მომეცემა ყოველთვიურად?

პასუხი: გაცნობებთ, რომ პენსიის საარსებო მინიმუმამდე გაზრდა გათვალისწინებულია მიმდინარე წლის პირველი სექტემბრიდან. აღნიშნული დროიდან, თქვენ ყოველთვიურად 150 ლარს მიიღებთ.

კითხვა: მიმდინარე წლის მარტში სამუშაოდან განმათავისუფლეს შტატების შემცირების გამო. დღემდე საბოლოო ანგარიში არ გაუსწორებიათ. მეკუთვნის თუ არა დამატებითი ერთი თვის ხელფასი?

პასუხი: დიას, გეკუთვნით, ვინაიდან შტატების შემცირების დროს, შრომითი ხელშეკრულების მოშლის ინიციატორად დამსაქმებელი ითვლება. ამდენად, დასაქმებულს საბოლოო ანგარიშის გასწორების დროს, რომელიც სამუშაოდან გაანთავისუფლების დღიდან არაუგვიანეს 7 დღეში უნდა მოხდეს, დამატებით არანაკლებ ერთი თვის ხელფასი აუცილებლად უნდა მიეცეს (საფუძველი: საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

კითხვა: რამდენიმე დღეში მიწვევს დეკრეტულ შვებულებაში გასვლა. მაქვს მხოლოდ ორი თვის შრომის სტაჟი. მომეცემა თუ არა ფასიანი ან უხელფასო დეკრეტული შვებულება და როგორი წესით მოხდება მისი გამოანგარიშება?

პასუხი: შვებულება, ორსულობის და მშობიარობის, ასევე ბავშვის მოვლის გამო 477 კალენდარული დღის ოდენობით მოგეცემათ, მიუხედავად შრომის სტაჟის ხანგრძლივობისა. რაც შეეხება საშვებულებო ანაზღაურებას, იგი გამოანგარიშებული უნდა იქნეს ფაქტობრივი ნამუშევარი თვეების საშუალო ანაზღაურებიდან, ხოლო თუ ყოველთვიურად ფიქსირებულ ხელფასს იღებთ — ბოლო თვის ანაზღაურების მიხედვით.

კითხვა: ვარ მძიმე ავადმყოფი. მიმდინარე წლის 7 მარტს დაწესებულების ხელმძღვანელობამ მომცა ერთჯერადი დახმარება - 500 ლარი. გთხოვთ, განმიმარტოთ, მიიღება იგი მხედველობაში დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების ოდენობის გაანგარიშების დროს?

პასუხი: ერთჯერადი დახმარების თანხა დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების ოდენობის გამოანგარიშების დროს მხედველობაში არ მიიღება.

კითხვა: გთხოვთ, განგვიმარტოთ, უთანაბრდება თუ არა შრომის ხელშეკრულებას ხელმძღვანელის ნებართვა პირის სამუშაოზე მიღების შესახებ?

პასუხი: პირის წერილობითი განცხადება და მისი საფუძველზე დამსაქმებლის მიერ გამოცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დამსაქმებლის ნება პირის სამუშაოზე მიღების შესახებ, უთანაბრდება შრომითი ხელშეკრულების დადებას.

კითხვა: როცა მუშაობა დავინყე, დამსაქმებელს შრომის შინაგანანესი არ გაუცვნიან. ამჟამად კი, ისეთ შეზღუდვებს მიწვევს, რაც შრომის ხელშეკრულებით არ იყო გათვალისწინებული და მეუბნება, ეს შინაგანანესით გვექონდა დადგენილი და შენთვის მისი შესრულება სავალდებულოაო. აქვს ამის უფლება?

პასუხი: კანონის თანახმად, შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს, რომ შრომის შინაგანანესი ხელშეკრულების ნაწილია. ამ შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია, პირს შრომის ხელშეკრულების დადებად გააცნოს შრომის შინაგანანესი, ხოლო შემდგომში - მასში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება. თუ თქვენი სამუშაოზე მიღების დროს, ზემოაღნიშნული

პირობები არ ყოფილა დაცული, ამჟამად დამსაქმებლის მოქმედება კანონსაწინააღმდეგოა.

კითხვა: ვმუშაობ დაქირავებით. დამსაქმებელი ერთსა და იმავე პირობებზე გვიფორმებს რამდენიმე ხელშეკრულებას. გთხოვთ მაცნობოთ, ასეთ შემთხვევაში რომელ ხელშეკრულებას ენიჭება უპირატესობა?

პასუხი: კანონის თანახმად, დამსაქმებელთან ერთსა და იმავე პირობაზე დადებული რამდენიმე ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ბოლოს დადებულ ხელშეკრულებას.

კითხვა: ამ რამდენიმე დღის წინ შვილად ავიყვანე ერთი თვის ბავშვი. ვმუშაობ, გთხოვთ მაცნობოთ, რა ხანგრძლივობის ფასიანი და უხელფასო შვებულება მეკუთვნის?

პასუხი: შვებულება გეკუთვნით საერთო ჯამით 365 კალენდარული დღის ხანგრძლივობით, საიდანაც ანაზღაურებადია 70 კალენდარული დღე.

კითხვა: ვმუშაობ სახელმწიფო დაწესებულებაში მცირე ხელფასზე, არ ვარ საჯარო მოსამსახურე. გთხოვთ მაცნობოთ, კანონის თანახმად, შემიძლია თუ არა ვიმუშაო შეთავსებით?

პასუხი: მოქმედი კანონის თანახმად, შრომითი ხელშეკრულება შეთავსებით სამუშაოზე შეიძლება დაიდოს პირთან, რომელსაც ძირითადი სამუშაოდან თავისუფალ დროს შეუძლია სხვა ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება.

კითხვა: ვმუშაობ შრომითი ხელშეკრულებით, მიმარტო, რომ ჩემზე დაკისრებულ მოვალეობას დროულად და ხარისხიანად ვასრულებ. დამსაქმებელი მაინც უკმაყოფილოა ჩემი მუშაობით და დადებული ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტით მემუქნება. იქნებ მირჩიოთ, როგორ მოვიქცე და დახმარებისთვის ვის მივმართო?

პასუხი: თუ თქვენი მხრიდან შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევას ადგილი არ ჰქონია, დამსაქმებლის გადაწყვეტილება — ყოვლად უმიზეზოდ ვადამდე შეგინყვით ხელშეკრულებ, არ იქნება მართებული. დაელოდეთ მოვლენის მსვლელობას და თუ ნამდვილად, სათანადო საფუძვლის გარეშე ვადამდე დამსაქმებელი შეგინყვებს შრომით ხელშეკრულებას, მოტივირებული განცხადებით დაუყონებლივ მიმართეთ სასამართლოს თქვენი კანონიერი უფლებების დასაცავად.

კითხვა: ნასვამ მდგომარეობაში მოყვები საავტომობლო კატასტროფაში და 3 თვეა ვწევარ. დროებით შრომისუუნარობის გამო დახმარების ფურცლის მოცემაზე ექიმმა უარი მითხრა, არადა სამსახური მიცდება, სწორია ასეთი გადაწყვეტილება?

პასუხი: ექიმის გადაწყვეტილება კანონიდან გამომდინარეობს — თუ დროებითი შრომისუუნარობა გამონვეულია დაავადებით ან ტრავმით, რომლის უშვალო მიზეზია არაფხიზელი მდგომარეობა, იგი შრო-

იურიდიული კონსულტანია

მისუენარობის გამო დახმარების დანიშვნაზე უარის თქმის საფუძველია.

კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, საავადმყოფო ფურცლის (ბიულეტენის) წარდგენიდან, რამდენ დღეში უნდა მომეცეს კუთვნილი თანხები და საიდან?

პასუხი: დამსაქმებელი (დანესებულება) ვალდებულია საავადმყოფო ფურცლის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში, ანაზღაუროს დროებითი შრომისუენარობის ფურცელი, ან წერილობით შეატყობინოს დასაქმებულს, რა მიზეზით ეთქვა უარი დროებითი შრომისუენარობის გამო დახმარების გაცემაზე.

კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, განისაზღვრება თუ არა წერილობითი ხელშეკრულებით დასაქმებულის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სახე?

პასუხი: საქართველოს შრომის კოდექსის 45-ე მუხლის შესაბამისად, წერილობითი ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს როგორც დასაქმებულის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სახე, ისე მისი ფარგლები, თუ ეს გამომდინარეობს სამუშაოს სპეციფიკიდან.

კითხვა: შეიძლება თუ არა ინდივიდუალური დავის განხილვა შემათანხმებელი პროცედურებით?

პასუხი: საქართველოს შრომის კოდექსის 47-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, ინდივიდუალური დავის განხილვა შესაძლებელია შემათანხმებელი პროცედურებით, ინდივიდუალური მოლაპარაკების გზით ან სასამართლოს საშუალებით. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ამ გზით დავის განხილვა შეუძლიათ მხოლოდ იმ პირებს და მათ წარმომადგენლებს, რომელთაც უშუალოდ ეხებათ ეს დავა.

კითხვა: 20 წელია, ვმუშაობ შპს-ში მაღალ ხელფასზე, ჩამეთვლება თუ არა აღნიშნული შრომის სტაჟში?

პასუხი: მოქმედი კანონის თანახმად, კერძო სტრუქტურაში მუშაობა შრომის სტაჟში ჩაგეთვლება.

კითხვა: ვმუშაობ ერთ-ერთ დაწესებულებაში მთავარ ბუღალტრად. გთხოვთ, გამარკვიოთ, ვის უნდა მიმართოს ორსულმა დახმარების მისაღებად და რა ევალება დაწესებულებას ამ საკითხის დროულად გადასაწყვეტად?

პასუხი: დასაქმებული (მოსამსახურე) დახმარების ან/და კომპენსაციის მისაღებად საავადმყოფო ფურცელს (ასლთან ერთად) წარუდგენს დამსაქმებელს (დანესებულებას) და ითხოვს ანაზღაურებად შვებულებას ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო, რის საფუძველზეც დამსაქმებელი, დაწესებულება ავსებს საავადმყოფო ფურცელის შესაბამის ნაწილს, რომელსაც დაფინანსების განაცხადთან და დასაქმებულის (მოსამსახურის) პირადობის მონმობის ასლთან ერთად წარუდგენს დამსაქმებელის (დანესებულების) იურიდიული მისამართის ადგილსამყოფელის მიხედვით სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამის სერვის-ცენტრს (განყოფილებას).

კითხვა: თუ შეიძლება, განმიმარტოთ, მოქმედი შრომის კოდექსი როგორი წესით ითვალისწინებს დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების გაცემას?

პასუხი: საქართველოს შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად შრომის ანაზღაურება უნდა გაიცეს სამუშაო ადგილზე, თვეში ერთხელ ან დამსაქმებლისა და დასაქმებულის ურთიერთშეთანხმებით — ბანკის მეშვეობით.

კითხვა: დამსაქმებელმა, რომელთანაც ვმუშაობდი, გამოგვიცხადა ლოკაუტი, ე. ი. დროებით გვითხრა უარი მოცემული სამუშაოს შესრულებაზე. დასაქმებულთა ჯგუფმა გავსაჩივრეთ მისი გადაწყვეტილება. სასამართლომ ჩვენი საჩივარი სამართლიანად ცნო და ლოკაუტი უკანონოდ ჩათვალა. გთხოვთ გვაცნობოთ, არის თუ არა ვალდებული დამსაქმებელი, ავგინაზღაუროს იმ პერიოდის ხელფასი, როცა ყოვლად უმიზეზოდ არ მოგვცა სამუშაოს შესრულების უფლება?

პასუხი: დიას, უნდა გადაგიხადოთ, ვინაიდან კანონის თანახმად, თუ სასამართლომ ლოკაუტი უკანონოდ სცნო, დამსაქმებელი ვალდებულია აღადგინოს შრომითი ურთიერთობა დასაქმებულთან და აუნაზღაუროს გაცენილი სამუშაო საათები.

კითხვა: გთხოვთ, განგვიმარტოთ საიდან განისაზღვრება (რომელი ხელფასიდან) დასაქმებულის საშვებულებო ანაზღაურება?

პასუხი: საქართველოს შრომის კოდექსის 26-ე მუხლის შესაბამისად, დასაქმებულის საშვებულებო ანაზღაურება განისაზღვრება შვებულების წინა 3 თვის საშუალო ანაზღაურებიდან.

კითხვა: ვართ ახალშექმნილი საწარმო, ასე, რომ, ჯერ შრომის ხელშეკრულების ფორმაც არ გვაქვს შემუშავებული. არ გვყავს იურისტი. შრომის ხელშეკრულების გაფორმებას გავართმევთ თავს, მაგრამ გთხოვთ მიგვითითოთ, რა შეიძლება განისაზღვროს შრომის შინაგანანესით?

პასუხი: შრომის შინაგანანესით შეიძლება განისაზღვროს სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, ცვლაში მუშაობისას — ცვლის ხანგრძლივობა, დასვენების ხანგრძლივობა, შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და ადგილი, ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი.

კითხვა: მყავს 2 წლის ბავშვი, გთხოვთ, განგვიმარტოთ, მძიმე ოჯახური პირობების გამო, მომეცემა თუ არა უხელფასო შვებულება?

პასუხი: კანონის თანახმად დასაქმებულ ქალს, თავისი თხოვნით, უწყვეტად, ან ნაწილ-ნაწილ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში 2 კვირისა, ეძლევა ანაზღაურების გარეშე შვებულება, ბავშვის მოვლის გამო საერთო ჯამით არაუმეტეს 12 კვირისა, სანამ ბავშვს არ შეუსრულდება 5 წელი.

უარი სამკვიდროს მიღებაზე, სამკვიდროს გაყოფა, დასვა და კრედიტორთა დაკმაყოფილება მემკვიდრეთა მიერ

ჩვენი ჟურნალის 2011 წლის ერთ-ერთ ნომერში მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებზე გვექონდა საუბარი. სტატიას მრავალი დაინტერესებული მკითხველი გამოეხმაურა. ამჯერად, მათი უმრავლესობა სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმასთან, სამკვიდროს გაყოფასა და დაცვასთან, მემკვიდრეთა მიერ კრედიტორთა დაკმაყოფილებასა და სამკვიდრო მონუმბის მიღებასთან დაკავშირებული საკითხების განმარტებას გვთხოვს.

სიამოვნებით ვასრულებთ თხოვნას და განვმარტავთ, რომ როგორც კანონით, ისე ანდერძით მემკვიდრეს შეუძლია უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე სამი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა მან შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი მონვევის შესახებ სამკვიდროს მისაღებად. საპატიო მიზეზის არსებობისას, ეს ვადა შეიძლება გააგრძელოს სასამართლომ, მაგრამ არა უმეტეს ორი თვისა. უარის თქმა უნდა გააფორმოს ნოტარიუსმა, ამიტომ ბუნებრივია კანონის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმაზე მემკვიდრემ აუცილებლად უნდა მიმართოს განცხადებით სამკვიდროს გახსნის ადგილზე სანოტარო ორგანოს.

მემკვიდრემ მთლიანად უნდა მიიღოს სამკვიდრო ან მთლიანად უნდა თქვას უარი მასზე. არ შეიძლება სამკვიდროს მიღება ან მასზე უარის თქმა ნაწილობრივ, რაიმე დათქმით ან ვადით. თუ მემკვიდრე უარს იტყვის სამკვიდროს ნაწილზე ან დათქვამს რაიმე პირობას, ითვლება, რომ ის უარს ამბობს სამკვიდროზე. მაგალითად, არ შეიძლება უარის თქმა სამკვიდროს მიღებაზე იმ პირობით, რომ დანარჩენმა მემკვიდრეებმა გადაუხადონ მას განსაზღვრული თანხა. ასევე, არ დაიშვება უარი ანდერძით მემკვიდრეობაზე და თანხმობა იმავე ქონების მიღებაზე კანონით.

კანონით გათვალისწინებული იმ მითითებიდან გამომდინარე, რომ არ დაიშვება სამკვიდროს ნაწილის მიღება და ნაწილზე უარის თქმა, დაუშვებელია ყველა შემთხვევაში გაკეთდეს დასკვნა, რომ განცხადება სამკვიდროს ნაწილის მიღებაზე ბათილია. მაგალითად, თუ მამკვიდრებელს, რომელსაც ანდერძი არ შეუდგენია, გარდაცვალების შემდეგ ორი პირველი რიგის მემკვიდრე დარჩა და ერთ-ერთმა შეიტანა განცხადება სამკვიდროს ნახევრის მიღებაზე, არ უნდა ჩაითვალოს, თითქოს ის უარს ამბობს სამკვიდროს მიღებაზე.

კითხვა: არის თუ არა კანონით გათვალისწინებული რაიმე გამონაკლისი იმ საერთო წესიდან, რომ სამკვიდროს მიღებაზე ან მის ნაწილზე უარის თქმა არ დაიშვება?

პასუხი: დიახ, ასეთი შემთხვევაში კანონი უშვებს ზოგიერთ გამონაკლისს:

ა) მემკვიდრეს, რომელიც არ მისდევს სოფლის მეურნეობას, შეუძლია უარი თქვას სასოფლო-სამე-

ურნეო მიწის, მონყობილობის, შრომის იარაღებისა და პირუტყვის მიღებაზე, მაგრამ ეს არ ჩაითვლება სამკვიდროს მიღებაზე საერთოდ უარის თქმად;

ბ) თუ მემკვიდრეს სხვადასხვა საფუძვლით სამკვიდროდან რამდენიმე წილი ეკუთვნის, მას შეუძლია მიიღოს ერთი წილი და უარი თქვას მეორეზე, ან უარი თქვას ყველაზე. მაგალითად, თუ ანდერძით მემკვიდრეს ანდერძის გარეთ დარჩენილი ქონებიდან ეკუთვნის წილი, როგორც კანონით მემკვიდრეს, მას შეუძლია მიიღოს ერთი და უარი თქვას მეორეზე, მაგრამ ეს უარი არ ჩაითვლება სამკვიდროს მიღებაზე საერთოდ უარის თქმად;

გ) მემკვიდრეს უფლება აქვს უარი თქვას სამკვიდროს იმ ნაწილზე, რომელიც ეკუთვნის შემატების უფლებით, სამკვიდროს დანარჩენი ნაწილის მიუხედავად.

მემკვიდრეს შეუძლია უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე სხვა პირთა სასარგებლოდ კანონით ან ანდერძით მემკვიდრეთა რიცხვიდან. მაშასადამე, მემკვიდრეს უფლება არ აქვს უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე იმ პირთა სასარგებლოდ, რომლებიც არ მიეკუთვნებიან მემკვიდრეთა რიცხვს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ არ დაიშვება სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა იმ პირთა სასარგებლოდ, რომლებიც ცნობილი არიან უღირს მემკვიდრეებად ან ანდერძის პირდაპირი მითითებით ჩამოერთვათ მემკვიდრეობის უფლება. თუ მემკვიდრე უარს იტყვის სამკვიდროს მიღებაზე ასეთ პირთა სასარგებლოდ, მაშინ უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში სხვა მემკვიდრეების მიერ.

კითხვა: როგორ გადაწყდება საკითხი იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრემ უარი თქვა სამკვიდროს მიღებაზე, მაგრამ არ განუცხადებია, თუ ვის სასარგებლოდ ამბობს უარს?

პასუხი: მსგავს შემთხვევაში მისი წილი შეემატება მემკვიდრეებად მონვეულ კანონით მემკვიდრეთა წილს, ხოლო თუ მთელი სამკვიდრო ანდერძით იყო განაწილებული, მაშინ ანდერძით მემკვიდრეთა წილს და იგი განაწილება მათ შორის, მათი წილის პროპორციულად, თუ ანდერძით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

შესაძლებელია, მემკვიდრე, რომელმაც უარი თქვა სამკვიდროს მიღებაზე, ერთადერთი იყოს მოცემული რიგის მემკვიდრეთა შორის. ასეთ შემთხვევაში, სამკვიდრო გადავა მომდევნო რიგის მემკვიდრეებზე.

სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა დასაშვებია არა მხოლოდ ერთ, არამედ რამდენიმე მემკვიდრის სასარგებლოდ. მემკვიდრემ, რომელიც უარს ამბობს სამკვიდროს მიღებაზე რამდენიმე მემკვიდრის სასარგებლოდ, შეუძლია მიუთითოს თითოეულის წილზე. ასეთი მითითების არარსებობისას, მისი წილი თანაბრად გადანაწილდება იმ მემკვიდრეებზე, რომელთა სასარგებლოდაც სამკვიდროს მიღებაზე უარი იყო ნათქვამი.

იურიდიული კონსულტაცია

როგორც აღვნიშნეთ, მემკვიდრეს შეუძლია უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე სხვა პირების სასარგებლოდ კანონით ან ანდერძით მემკვიდრეთა რიცხვიდან. ისმება კითხვა: **კანონი ამ შემთხვევაში გულისხმობს უარის თქმას იმ რიგის მემკვიდრეთა სასარგებლოდ, რომელთაც ეს მემკვიდრე ეკუთვნის, რომელმაც უარი განაცხადა სამკვიდროს მიღებაზე, თუ საერთოდ ყველა მემკვიდრის სასარგებლოდ, მიუხედავად იმისა, თუ კანონით მემკვიდრეთა რომელ რიგს მიეკუთვნებიან ისინი?** კანონის მითითებიდან გამომდინარე, უნდა ჩავთვალოთ, რომ იგულისხმება ყველა კანონით მემკვიდრე, მიუხედავად იმისა, თუ რომელი რიგის მემკვიდრეებს წარმოადგენენ ისინი.

გამომდინარე იქიდან, რომ მემკვიდრეს არ აქვს უფლება უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე იმ პირთა სასარგებლოდ, რომლებიც არ მიეკუთვნებიან მემკვიდრეთა რიცხვს, ისმება საკითხი სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შესახებ შვილიშვილების სასარგებლოდ, რომლებიც არ მიეკუთვნებიან კანონით მემკვიდრეთა დამოუკიდებელ კატეგორიას და სამკვიდროს იღებენ წარმომადგენლობის უფლებით. **სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა შვილიშვილების სასარგებლოდ დასაშვებია, თუ ისინი წარმომადგენენ კანონით ან ანდერძით მემკვიდრეებს.** შვილიშვილები კი კანონით მემკვიდრეებად მხოლოდ მაშინ ჩაითვლებიან, როცა სამკვიდროს გახსნის დროისთვის ცოცხალი აღარ არის მისი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო, ან თუ შვილიშვილი ანდერძით მემკვიდრეა.

როგორც ცნობილია, თუ მემკვიდრეები არ არიან ან მათ უარი თქვეს სამკვიდროს მიღებაზე, სამკვიდრო ხაზინის საკუთრებაში გადადის. ხაზინას არ აქვს უფლება უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე, რომელიც მასზე გადავიდა.

კითხვა: შეუძლია თუ არა მემკვიდრეს უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე მას შემდეგ, რაც მან სანოტარო ორგანოში შეიტანა განცხადება სამკვიდროს მიღების შესახებ?

პასუხი: არა, ვინაიდან კანონის თანახმად, არ დაიშვება უარის თქმა სამკვიდროს მიღებაზე მას შემდეგ, რაც მემკვიდრემ სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში შეიტანა განცხადება სამკვიდროს მიღების ან სამკვიდრო მონუმბის მიღებაზე.

რაც შეეხება მემკვიდრეს, რომელიც ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ფლობას ან მართვას, სამკვიდროს მისაღებად დადგენილი დროის განმავლობაში შეუძლია უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე, რის შესახებაც განცხადებით უნდა მიმართოს სანოტარო ორგანოს. მაგალითად, **როცა მემკვიდრე მამკვიდრებელთან ერთად ცხოვრობდა და განაგრძობს მისი ქონებით სარგებლობას მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ, ითვლება, რომ სამკვიდრო მიიღო, მაგრამ მას უფლება აქვს დადგენილ ვადაში უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე, ამის შესახებ სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანის გზით.** ასეთ შემთხვევაში, ადგილი აქვს სამკვიდროს მიღების პრეზუმფციას, რომელიც შეიძლება უარყოფილ იქნეს სამკვიდროზე უარის თქმის შესახებ.



სამკვიდროზე უარის თქმა წარმომადგენლის მეშვეობით შესაძლებელია, თუ დავალებაში (მინდობილობაში) სპეციალურადაა გათვალისწინებული უფლებამოსილება უარის თქმის შესახებ.

სამკვიდროს მიღებისა და უარის თქმის სამართლებრივი შედეგები დადგება სამკვიდროს გახსნის მომენტიდან. ამდენად, სამკვიდროს გახსნის მომენტიდან მემკვიდრე, რომელიც სამკვიდროს მიიღებს, ითვლება ქონების მესაკუთრედ, მას წარმოეშობა უფლება ქონებიდან მიღებულ შემოსავალზე, ასევე ქონებაზე ხარჯების განევის მოვალეობა და ა.შ., ხოლო მემკვიდრეს, რომელმაც უარი თქვა სამკვიდროს მიღებაზე, ასეთი უფლებები და მოვალეობები არ აქვს სამკვიდროს გახსნის მომენტიდანვე.

ზემოთ განხილული საკითხებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მემკვიდრეობის სამართალს არა მარტო სამოქალაქო სამართალში, არამედ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაშიც უაღრესად დიდი ადგილი უკავია. შესაბამისად, როგორც სამკვიდროს მიღება, ისე უარი მის მიღებაზე, სამართლის აღნიშნული დარგის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია და ერთნაირად წყდება როგორც კანონით, ისე ანდერძით მემკვიდრეობის დროს.

რამდენიმე მემკვიდრის არსებობისას, სამკვიდრო უნდა გაიყოს. სამკვიდროს გაყოფა ხდება სამკვიდროს მიმღები მემკვიდრეების შეთანხმებით იმ წილის კვალობაზე, რაც თითოეულ მათგანს კანონით ან ანდერძით ერგებათ: **თუ მემკვიდრეებს შორის სამკვიდროს გაყოფის თაობაზე შეთანხმება მიღებული ვერ იქნება, მაშინ გაყოფა მოხდება სასამართლო წესით. სასამართლომ, ქონების გაყოფისას, მხედველობაში უნდა მიიღოს გასაყოფი ქონების ხასიათი, თითოეული თანამემკვიდრის საქმიანობა და სხვა კონკრეტული გარემოებანი.** მაგალითად, თუ ერთ-ერთი მემკვიდრე მუსიკოსია და სამკვიდროში შედის როიალი, ბუნებრივი იქნება, ეს ინსტრუმენტი მას ერგოს. სასამართლოში სამკვიდროს გაყოფის საქმის განხილვისას, პროცესის ყველა სტადიაზე დასაშვებია მხარეთა შეთანხმება (მორიგება), რაც სასამართლოს მიერ უნდა დადასტურდეს.

სამკვიდროს გაყოფისას, ქონება, როგორც წესი, ნატურით იყოფა. თითოეულ მემკვიდრეს შეუძლია მოითხოვოს თავისი წილის გამოყოფა ნატურით, როგორც მოძრავი, ასე უძრავი ქონებიდან, თუ ასეთი გამოყოფა შესაძლებელია ან აკრძალული არ არის კანონით. მაგალითად, როცა სამკვიდრო საგანი გაუყოფადი, ე.ი. ისეთი ნივთია, რომლის ნატურის სახით გაყოფა გამოიწვევს მისი სამეურნეო დანიშნულების მოშლას ან შესუსტებას, მაშინ, თუ სამკვიდროს მიმღები ყველა მემკვიდრის შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი, ასეთი ქონება გაყოფას არ ექვემდებარება და ხდება მემკვიდრეთა საერთო საკუთრება მათი წილის მიხედვით.

სამკვიდროს გაყოფისას მხედველობაში მიიღება ქონება, რომელიც მემკვიდრეებელმა სიცოცხლეში აჩუქა მემკვიდრეს. თითოეული მემკვიდრის წილში ჩაითვლება იმ ქონების ღირებულება, რომელიც მან საჩუქრად მიიღო მემკვიდრეობისგან სამკვიდროს გახსნამდე 5 წლის განმავლობაში.

კითხვა: ქონების გაყოფისას მემკვიდრეებს რა შემთხვევაში აქვთ უპირატესი უფლება?

პასუხი: მემკვიდრეებს, რომლებსაც მემკვიდრეობელთან ერთად აქვთ საერთო საკუთრების უფლება ქონებაზე, უპირატესი უფლება ენიჭებათ იმ ქონების მემკვიდრეობაზე, რომელიც საერთო საკუთრებაში შედის. მაგალითად, თუ მემკვიდრეებელსა და მემკვიდრეს, დაუშვათ, მამას და შვილს, აქვთ საერთო საკუთრება რაიმე ქონებაზე, მაშინ მამის გარდაცვალების შემთხვევაში, მისი წილი ამ საერთო ქონებაში შევა. სწორედ ამ წილის მემკვიდრეობის უპირატესი უფლება აქვს შვილს, რომელიც თანამესაკუთრე იყო.

აქვე გასათვალისწინებელია, რომ საცხოვრებელი სახლის, ბინის ან სხვა საცხოვრებელი სადგომის, ასევე საოჯახო მოხმარების საგნების მემკვიდრეობით მიღების უპირატესი უფლება აქვს მემკვიდრეს, რომელიც სამკვიდროს გახსნამდე არანაკლებ ერთი წლის მანძილზე ცხოვრობდა მემკვიდრეობელთან ერთად.

უპირატესი უფლების განხორციელება ისე უნდა მოხდეს, რომ გათვალისწინებული იქნეს სამკვიდროს გაყოფაში მონაწილე სხვა მემკვიდრეების ქონებრივი ინტერესები. უპირატესი უფლების განხორციელებისას, თუ დანარჩენი ქონება სხვა მემკვიდრეების წილის მისაღებად საკმარისი არ იქნება, მემკვიდრეებმა, რომლებიც უპირატეს უფლებას ახორციელებენ, უნდა მისცენ მათ შესაბამისი ფულადი ან ქონებრივი კომპენსაცია. საკომპენსაციო თანხა შეიძლება იმდენად მნიშვნელოვანი იყოს, რომ მემკვიდრეს, რომელმაც ისარგებლა უპირატესი უფლებით, მისი ერთდროულად გადახდა არ შეეძლოს. ასეთ შემთხვევაში, მას შეიძლება მიეცეს სათანადო დრო, რასაც სასამართლო განსაზღვრავს, მაგრამ ეს დრო არ შეიძლება იყოს 10 წელზე მეტი.

მემკვიდრე მემკვიდრეების არა მხოლოდ უფლების, არამედ მოვალეობის მონაცველია. მემკვიდრეები, რომლებმაც სამკვიდრო მიიღეს, ვალდებული არიან მთლიანად დააკმაყოფილონ მემკვიდრეობის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად. ასეთივე მოვალეობა ეკისრება ხაზინასაც, თუ უმკვიდრო ქონება მასზე გადავიდა.

როდესაც რამდენიმე მემკვიდრეა, თითოეული მათგანი პასუხისმგებელია მემკვიდრეობის ვალეზე მიღებული წილის პროპორციულად, მიუხედავად იმისა, კანონით მემკვიდრეები არიან, თუ ანდერძით. შესაძლებელია მათი სოლიდარული პასუხისმგებლობაც.

კანონი გამონაკლისს არ უშვებს არც იმ მემკვიდრეთა მიმართ, რომლებმაც სავალდებულო წილი მიიღეს. ისინი პასუხისმგებელი არიან მემკვიდრეობის ვალეებისთვის.

კითხვა: შეუძლია თუ არა მონადერძეს, მთელი ვალის ან მისი ნაწილის გადახდა დააკისროს ერთ, ან რამდენიმე მემკვიდრეს?

პასუხი: დიახ, შეუძლია. ამ შემთხვევაში, დანარჩენი მემკვიდრეები, შესაბამისად, მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდებიან ვალის გადახდის მოვალეობისაგან. ამასთან, ცხადია, მონადერძე ვერ დააკისრებს მემკვიდრეს ისეთი ვალის გადახდას, რო-

იურიდიული კონსულტანია

მელიც აღემატება სამკვიდროს ოდენობას. თუ მამკვიდრებელმა ვალების გადახდა ერთ-ერთ მემკვიდრეს დაავალა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ მემკვიდრის მიერ მიღებული სამკვიდრო საკმარისი არ არის ვალების გასასტუმრებლად, მაშინ, იმ პრინციპიდან გამომდინარე, რომ მემკვიდრეები ვალდებული არიან მთლიანად დააკმაყოფილონ კრედიტორთა მოთხოვნები, ვალების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა სხვა მემკვიდრეებს უნდა დაეკისროთ.

მამკვიდრებლის კრედიტორებმა იმ დღიდან, რაც მათთვის ცნობილი გახდა სამკვიდროს გახსნის შესახებ, 6 თვის განმავლობაში უნდა წარუდგინონ მოთხოვნა მემკვიდრეებს.

თუ მამკვიდრებელმა ქონება კრედიტორს უანდერძა, ეს არ შეიძლება ჩაითვალოს კრედიტორის მოთხოვნის უფლების გაქვითვად.

კრედიტორთა მოთხოვნები მემკვიდრეებმა უნდა დააკმაყოფილონ ერთჯერადი გადახდის გზით, თუ მათ შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი. მაშასადამე, კრედიტორები და მემკვიდრეები შეიძლება შეთანხმდნენ ნაწილ-ნაწილ გადახდაზეც.

კრედიტორებს არ შეუძლიათ მოითხოვონ დაკმაყოფილება იმ ქონებიდან, რომელიც მამკვიდრებელს არ ეკუთვნოდა სიცოცხლეში.

სამკვიდროს გახსნის შემდეგ, ზოგჯერ მემკვიდრეები ადგილზე არ არიან ან არ იციან სამკვიდროს გახსნის შესახებ; ზუსტად არ არის ცნობილი სამკვიდროს შემადგენლობა, მემკვიდრეთა რაოდენობა და სხვა. ასეთ შემთხვევაში საჭირო ხდება ზომების მიღება სამკვიდროს დასაცავად, რათა თავიდან იქნეს აცილებული სამკვიდროს დალუპვა, გაფუჭება, დატაცება და ა.შ. აღნიშნულის გამო, კანონით დადგენილია, რომ ადგილზე არმყოფი მემკვიდრეების, საანდერძო დანაკისრის მიმღებთა და საჯარო ინტერესების დასაცავად სამკვიდროს გახსნის ადგილის ნოტარიუსი დაინტერესებული პირების, ანდერძის აღმსრულებლის ან თავისი ინიციატივით იღებს სამკვიდროს დაცვისათვის აუცილებელ ზომებს, რაც გაგრძელდება ყველა მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებამდე, ან სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გასვლამდე.

კითხვა: აქვს თუ არა უფლება განკარგოს სამკვიდრო იმ მემკვიდრემ, რომელიც სხვა მემკვიდრეების გამოცხადებამდე შეუდგა სამკვიდროს ფლობას და მართვას?

პასუხი: სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1427 ე მუხლით დადგენილია, რომ მემკვიდრეს, რომელიც სხვა მემკვიდრეების გამოცხადებას არ დაელოდება და სამკვიდროს ფლობას ან მართვას შეუდგება, უფლება არ აქვს განკარგოს სამკვიდრო. სამკვიდროს გახსნიდან 6 თვის გასვლამდე ან სამკვიდრო მონუმობის მიღებამდე, მემკვიდრეს შეუძლია სამკვიდროდან გასწიოს ის აუცილებელი ხარჯები, რაც აღნიშნული მუხლითაა გათვალისწინებული.

სანოტარო ორგანო, ქონების დაცვის მიზნით, აღწერს სამკვიდროს და გადასცემს შესაძლებელ მემკვიდრეს ან სხვა პირს, ამასთან, იღებს ზომებს იმ მემკვიდრეთა მო-

საძებნად, რომლებიც სამკვიდროს გახსნის ადგილზე არ იმყოფებიან.

ზოგჯერ აუცილებელია სამკვიდროს მართვა. ასეთ შემთხვევაში, სანოტარო ორგანო ნიშნავს სამკვიდროს მმართველს. მმართველი დაინიშნება მაშინაც, როცა მამკვიდრებლის კრედიტორების მიერ წარდგენილია სარჩელი. მმართველი არ დაინიშნება, როცა თუნდაც ერთ-ერთმა მემკვიდრემ მიიღო სამკვიდრო, ან თუ დაინიშნულია ანდერძის აღმასრულებელი. მმართველს უნდა მიეცეს უფლება, სამკვიდროდან გასწიოს ხარჯები მხოლოდ სამკვიდროს დაცვასა და მართვაზე.

მემკვიდრედ მონვეულ პირებს შეუძლიათ სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოსგან მოითხოვონ სამკვიდრო მონუმობა. სამკვიდროზე უფლების მონუმობა არის დოკუმენტი, რომელიც ადგენს მასში მოხსენიებული პირის მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტს და სამართლებრივ ძალას კარგავს იმ შემთხვევაში, თუ გაუქმდა სასამართლოს მიერ.

კითხვა: როდის შეიძლება მიეცეთ მემკვიდრეებს სამკვიდრო მონუმობა?

პასუხი: სამკვიდრო მონუმობა ეძლევათ მემკვიდრეებს სამკვიდროს გახსნიდან 6 თვის გასვლის შემდეგ ნებისმიერ დროს. კანონი ადგენს ვადას (ექვს თვეს), რომლის განმავლობაშიც არ დაიშვება მონუმობის გაცემა, მაგრამ არ ზღუდავს მონუმობის გაცემის ვადებს და მის გაცემას შესაძლებლად მიიჩნევს ყოველ დროს.

ზოგიერთი შემთხვევისთვის დაშვებულია სამკვიდრო მონუმობის გაცემა ექვს თვეზე ადრე. კერძოდ, ეს იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ სანოტარო ორგანოს მოეპოვება ცნობა, რომ მონუმობის მთხოვნელ პირთა გარდა, სხვა მემკვიდრეები არ არიან.

სამკვიდრო უფლების მონუმობა მიეცემათ მემკვიდრეებს, რომლებმაც მიიღეს სამკვიდრო, ე.ი. მემკვიდრეებს, რომლებიც ფაქტობრივად ფლობენ და მართავენ სამკვიდროს ან შეიტანეს განცხადება სამკვიდროს მიღების შესახებ. მონუმობის მისაღებად მემკვიდრეებმა უნდა წარადგინონ სამკვიდროზე უფლების დამადასტურებელი მტკიცებულებანი.

კანონით მემკვიდრეობის შემთხვევაში სამკვიდრო მონუმობის გაცემისას, ნოტარიუსი ამონუმებს მამკვიდრებლის გარდაცვალების ფაქტს, სამკვიდროს გახსნის დროსა და ადგილს, მამკვიდრებელთან იმ პირების ნათესაურ ან სხვა ურთიერთობების არსებობას, რომლებმაც შეიტანეს განცხადება მონუმობის გაცემის თაობაზე, იმ ქონების შემადგენლობას, რომელზეც უნდა გაიცეს მონუმობა. ანდერძით მემკვიდრეობისას სამკვიდრო მონუმობის გაცემის დროს, გარდა მითითებულისა, ნოტარიუსი ამონუმებს ანდერძის არსებობას, არკვევს იმ პირთა წრეს, რომლებსაც უფლება აქვთ სავალდებულო წილზე და სხვა.

არასრულწლოვან და ქმედუუნარო მემკვიდრეთა სახელზე სამკვიდრო მონუმობის გაცემის შესახებ ნოტარიუსი ატყობინებს (უგზავნის მონუმობის ასლს) მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით.

სამკვიდრო მონუმობის გაცემაზე უარის თქმასთან დაკავშირებულ დავებს განიხილავს სასამართლო.

რედაქციისგან!

განსახილველად ვაქვეყნებთ საქართველოს კანონპროექტს „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

კანონპროექტის განხილვა დაწყებულია საქართველოს პარლამენტის კომიტეტებში და ამა წლის 1 ივლისამდე კანონის ძალას მიიღებს.

გთხოვთ წინამდებარე კანონპროექტთან დაკავშირებით დაინტერესებულმა პირებმა გამოგზავნოთ თქვენი შენიშვნები და საქმიანი წინადადებები შემდეგ მისამართზე:

info@iverioni.com.ge
gfaafm@gmail.com

პროექტი

საქართველოს კანონი

„ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 13.07.2012, სარეგისტრაციო კოდი: 260000000.05.001.016869) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის „კ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) სერტიფიცირებული პირი – ფიზიკური პირი, რომელიც აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის მიერ აღიარებულია სერტიფიცირებულ პროფესიონალ ბუღალტრად და რომელიც თავის კვალიფიკაციას ადასტურებს აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის მიერ დადგენილი განვრცობითი განათლების სტანდარტის შესაბამისად;“

2. მე-2 მუხლის „ლ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტერი – ფიზიკური პირი, რომელიც სერტიფიცირებულია პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტის შესაბამისად,

3. მე-2 მუხლის „მ“ პუნქტი ამოღებულ იქნეს.

4. მე-2 მუხლის „ს“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ს) აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია – ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორ-

განიზაცია, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულია არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად და არის ამ კანონის მოთხოვნების შესაბამისად აკრედიტებული პირი.“

5. მე-3 მუხლის მე-2-მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები შედგება საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისა და კერძო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისაგან.

3. საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები არის საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის დადგენილი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების წესები.

4. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია საჯარო სექტორის ცალკეული კატეგორიების დაწესებულებებისთვის დაადგინოს კერძო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების გამოყენების ვალდებულება, მათი საქმიანობის გათვალისწინებით.

5. საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს ადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრი“.

6. მე-3 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (IFRS) და მცირე და საშუალო საწარმოების

ნორმატიული დოკუმენტები

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) საქართველოს სახელმწიფო ენაზე ხელმისაწვდომობის მიზნით ისინი ქართულ ენაზე უნდა თარგმნოს და გამოსცეს აკრედიტებულმა პროფესიულმა ორგანიზაციამ.

11. აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია ამ მუხლის მე-10 პუნქტში აღნიშნულ, ქართულ ენაზე თარგმნილ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებსა (IFRS) და მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (IFRS for SMEs), აგრეთვე თავის მიერ დადგენილ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების ადგილობრივ (ეროვნულ) სტანდარტებს რეგისტრაციაში გასატარებლად წარუდგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საზედამხედველო სააგენტოს (შემდომში სააგენტო), რომელიც ამ სტანდარტებს აქვეყნებს რეგისტრაციაში გატარების შემდეგ.

7. მე-4 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. მეწარმე სუბიექტის გარდა, კერძო სამართლის სხვა იურიდიული პირი ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების ადგილობრივი (ეროვნული) სტანდარტების შესაბამისად, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამასთანავე, მას უფლება აქვს და კომერციული საქმიანობის განხორციელებისას მოეთხოვება, გამოიყენოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS) ან მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS for SMEs).

8. საბიუჯეტო ორგანიზაცია და საჯარო სამართლის იურიდიული პირი ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებენ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად, გარდა ამ კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.“

8. მე-5 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) საქართველოს სახელმწიფო ენაზე ხელმისაწვდომობის მიზნით ისინი ქართულ ენაზე უნდა თარგმნოს და გამოსცეს აკრედიტებულმა პროფესიულმა ორგანიზაციამ.

6. აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია ამ მუხლის მე-5 პუნქტში აღნიშნულ, ქართულ ენაზე თარგმნილ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს (ISA) რეგისტრაციაში გასატარებლად წარუდგენს სააგენტოს, რომელიც ამ სტანდარტებს აქვეყნებს რეგისტრაციაში გატარების შემდეგ.“

9. მე-6 მუხლის მე-2-მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. რეესტრს აწარმოებს სააგენტო.

3. საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი, უცხოეთში რეგისტრირებული პირის საქართველოში არსებული ფილიალი ან ფიზიკური პირი რეესტრში რეგისტრაციისათვის განცხადებით მიმართავს სააგენტოს.

4. საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული

პირის, უცხოეთში რეგისტრირებული პირის საქართველოში არსებული ფილიალის ან ფიზიკური პირის მიერ ამ მუხლის მე-6-მე-9 პუნქტებში აღნიშნული შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში სააგენტო ვალდებულია დაარეგისტროს იგი შესაბამის რეესტრში.“

10. მე-6 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების არმქონე პირთა რეესტრში რეგისტრაციით დაინტერესებული საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი ან უცხოეთში რეგისტრირებული პირის საქართველოში არსებული ფილიალი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- ა) დასაქმებული ჰყავდეს სულ ცოტა 1 სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტერი;
- ბ) იყოს აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის წევრი;
- გ) ჰქონდეს ხარისხის კონტროლის სისტემა;
- დ) ჰქონდეს აუდიტის ჩატარების მეთოდოლოგია, რომელიც შეესაბამება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს (ISA);
- ე) ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის გავლის შემდეგ მიღებული ჰქონდეს მესამე კატეგორიის დასკვნა.“

11. მე-6 მუხლის მე-9 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის გავლის შემდეგ მიღებული ჰქონდეს მესამე კატეგორიის დასკვნა.“

12. მე-6 მუხლის მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. სააგენტოს აქვს საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირის, უცხოეთში რეგისტრირებული პირის საქართველოში არსებული ფილიალის ან ფიზიკური პირის აუდიტორთა რეესტრში რეგისტრაციის უფლება, თუ ისინი აკმაყოფილებენ ამ მუხლის მე-6 -მე-9 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.“

13. მე-6 მუხლის მე-12 პუნქტი ამოღებულ იქნას.

14. მე-6 მუხლი სმე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

13. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია დაადგინოს იმ სახელმწიფოთა ჩამონათვალი, რომელთა უფლებამოსილი ორგანოების მიერ სერტიფიცირებულ პირად აღიარებული ფიზიკური პირი სერტიფიცირებულ პირად უნდა აღიარონ აკრედიტებულმა პროფესიულმა ორგანიზაციებმა.

მე-6 მუხლის მე-14 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„14. თუ სააგენტო დაადასტურებს, რომ აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის მიერ დადგენილი პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტი იგივეა, რაც სერტიფიცირების სტანდარტი, რომლითაც ეს აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია ახორციელებდა

პირთა სერტიფიცირებას აკრედიტაციამდე, აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია უფლებამოსილია თავის მიერ ამ სერტიფიცირების სტანდარტის შესაბამისად სერტიფიცირებული პირი სერტიფიცირებულ პროფესიონალ ბუღალტრად აღიაროს და მიმართოს და მიმართოს ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საზედამხედველო სააგენტოს მისი შესაბამისი ტიპის რეესტრში რეგისტრაციისათვის“

15. მე-6 მუხლის მე-16 და მე-17 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„16. თუ აუდიტორი/აუდიტორული ფირმა აღარ აკმაყოფილებს შესაბამის რეესტრში რეგისტრაციის პირობებს, ის ვალდებულია ამის შესახებ ინფორმაცია 5 სამუშაო დღის ვადაში მიაწოდოს სააგენტოს. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას სააგენტო დააკისრებს დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

17. ამ მუხლის მე-16 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიღების შემთხვევაში სააგენტო ვალდებულია აუდიტორი/აუდიტორული ფირმა 5 სამუშაო დღის ვადაში ამოიღოს შესაბამისი რეესტრიდან.“

16. მე-6 მუხლის მე-19 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„19. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მიმართოს სააგენტოს მისი შესაბამისი რეესტრიდან ამოღების მოთხოვნით, გარდა ამ მუხლის მე-16 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.“

17. მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საქართველოს ეროვნული ბანკის, დაზღვევის ზედამხედველობის კომისიის, ფასიანი ქაღალდების კომისიის ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული სუბიექტებისათვის, რომლებსაც ევალებათ ყოველწლიური აუდიტის ჩატარება;“

18. მე-8 მუხლის მე-4-მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტის (ISQC) საქართველოს სახელმწიფო ენაზე ხელმისაწვდომობის მიზნით ის ქართულ ენაზე უნდა თარგმნოს და გამოსცეს აკრედიტებულმა პროფესიულმა ორგანიზაციამ.

5. აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია ამ მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნულ, ქართულ ენაზე თარგმნილ ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტს (ISQC) რეგისტრაციაში გასატარებლად სააგენტოს რომელიც ამ სტანდარტს აქვეყნებს რეგისტრაციაში გატარების შემდეგ.

6. აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგს აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის დონეზე ახორციელებს ის აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია, რომელშიც გაწევრებულია ეს აუდიტორი/აუდიტორული ფირმა. ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგს და ჩატარებული აუდიტის მოკვლევას სახელმწიფო საზედამხედველო ფუნქციის ფარგლებში ახორციელებს

ეხს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საზედამხედველო საბჭო. ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი უნდა განხორციელდეს 3 წელიწადში ერთხელ მაინც.

19. მე-8 მუხლის მე-8-მე-10 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი ახორციელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სააგენტოს მიერ რეგისტრირებული ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის დებულების შესაბამისად, რომელსაც რეგისტრაციისათვის წარადგენს აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია.“

9. აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია აუდიტორის/ აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგს ახორციელებს მხოლოდ სააგენტოს მიერ რეგისტრირებული ხარისხის კონტროლის შემმოწმებლის მეშვეობით.

10. ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელებიდან 2 თვის ვადაში ხარისხის კონტროლის შემმოწმებელი ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტის (ISQC) შესაბამისად ადგენს მონიტორინგის დასკვნას, რომლის თითო ეგზემპლარი გადაეცემა აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას, აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციას და ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საზედამხედველო სააგენტოს.“

20. მე-8 მუხლის მე-15 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

15. მონიტორინგის დასკვნას იხილავს აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია და იღებს ამ მუხლით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას როგორც აუდიტორის/აუდიტორული ფირმის, ისე აუდიტორულ ფირმაში დასაქმებული ყველა სერტიფიცირებული პირის მიმართ. მიღებული გადაწყვეტილება 3 სამუშაო დღის ვადაში ეგზავნება ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტზე ზედამხედველობის სააგენტოს.

მე-8 მუხლის მე-17 -22 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„17. თუ აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვერ აივლის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგს, აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის მიმართვის საფუძველზე სააგენტო ვალდებულია ამოიღოს იგი შესაბამისი რეესტრიდან.

18. ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე, შესაბამისი საფუძვლის არსებობისას, სააგენტო ვალდებულია აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ერთი ტიპის რეესტრიდან მეორე ტიპის რეესტრში გადაიყვანოს, აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

19. მონიტორინგის დასკვნის შედეგებიდან გამომდინარე, მონიტორინგის განმახორციელებელი სერტიფიცირებული პირის მიმართილებს გადაწყვეტილებას:

- ა) სერტიფიკატის მოქმედების შენარჩუნების თაობაზე;
- ბ) შეცდომების გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის თაობაზე;
- გ) სერტიფიკატის მოქმედები შეჩერების თაობაზე.

ნორმატიული დოკუმენტები

20. მონიტორინგის განმახორციელებელი უფლება- მოსილია სერტიფიცირებული პირის მიმართ მიიღოს ამ მუხლის მე-19 პუნქტი თვათვალისწინებული ერთი ან მეტი გადაწყვეტილება.

21. მონიტორინგის განმახორციელებლის მიერ განსაზღვრულ ვადაში სერტიფიცირებულ პირის მიერ შეცდომების გამოუსწორებლობი შემთხვევაში სერტიფიკატის მოქმედება შეჩერდება. შეცდომების გამოუსწორებლობისას სერტიფიცირებული პირის მიმართ არსებული შენიშვნები ექვემდებარება გამოქვეყნებას.

22. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში სერტიფიკატის მოქმედების შეჩერებისას ფიზიკურ პირს სერტიფიკატის მოქმედების განახლების მოთხოვნით მიმართვა შეუძლია სერტიფიკატის მოქმედების შეჩერებიდან 1 წლის შემდეგ.

21. მე-9 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსი (IESBA Code) ქართულ ენაზე უნდა თარგმნოს და გამოსცეს აკრედიტებულმა პროფესიულმა ორგანიზაციამ.

3. აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულ, ქართულ ენაზე თარგმნილ პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსს (IESBA Code) რეგისტრაციაში გასატარებლად წარუდგენს სააგენტოს, რომელიც ამ კოდექსს აქვეყნებს რეგისტრაციაში გატარების შემდეგ.“

22. მე-9 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

8. ამ მუხლისპირველი, მე-4 ან მე-5 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ა) აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას დისციპლინურ პასუხისმგებლობას დააკისრებს ის აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია, რომელშიც გაწევრებულია იგი. 3 სამუშაო დღის ვადაში აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია ინფორმაციას აუდიტორისთვის/აუდიტორული ფირმისათვის დაკისრებული დისციპლინარული პასუხისმგებლობის შესახებ აცნობებს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სახედასხედველო საბჭოს;

23. მე-10 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას დისციპლინურ პასუხისმგებლობას დააკისრებს ის აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია, რომელშიც გაწევრებულია იგი. დისციპლინური პასუხისმგებლობის სახით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის წევრობის შეჩერებაც. აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის წევრობის შეჩერება, მისი რეესტრიდან ამოღების საფუძველია.“

24. მე-11 მუხლის მე-2-მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციის აკრედიტაციას ახორციელებს სააგენტო.

3. ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაცია, აკრედიტაციას იღებს იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მოთხოვნების შესაბამისი შიგა პოლიტიკა და პროცედურები ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებთან მიმართებით:

ა) თავისი წევრი აუდიტორების/აუდიტორული ფირმების ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის მექანიზმი;

ბ) მოთხოვნები სერტიფიცირებულ პირთა განათლების მიმართ და მათი სერტიფიცირების სისტემა;

გ) თავისი წევრების მიერ პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (IESBA Code) მოთხოვნების დაცვის უზრუნველყოფის სისტემა;

დ) დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების სისტემა.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულ ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციის აკრედიტაცია ეძლევა განუსაზღვრელი ვადით.“

25. მე-11 მუხლის მე-5 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

26. მე-11 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციის აკრედიტაციის პირობებთან შესაბამისობის მონიტორინგს ყოველწლიურად ახორციელებს სააგენტო.“

27. მე-11 მუხლის მე-7-მე-9 პუნქტები ამოღებულ იქნეს.

28. მე-11 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. ამ კანონის მიზნებისათვის, თუ ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციის წევრების 50%-ზე მეტს შეადგენენ იმ ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციის წევრები, რომლის აკრედიტაცია გაუქმებულია, ითვლება, რომ ეს ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციები ერთი და იგივეა. შესაბამისად, აღნიშნულ ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციის საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოსთვის – აკრედიტაციის ცენტრისთვის აკრედიტაციის მიღების მოთხოვნით მიმართვის უფლება აქვს რეგისტრაციიდან 3 წლის შემდეგ.

11. აკრედიტაციის წესს, ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, ადგენს სააგენტო.“

29. მე-12 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია ვალდებულია:

ა) ქართულ ენაზე თარგმნოს, სააგენტოს რეგისტრაციაში გასატარებლად წარუდგინოს და გამოსცეს:

ა.ა) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS);

ა.ბ) მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგა-

რიშების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS for SMEs);
ა.გ) აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები (ISA);
ა.დ) ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი (ISQC);
ა.ე) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსი (IESBA Code);
ბ) შეიმუშაოს, სააგენტოს დასამტკიცებლად და რეგისტრაციაში გასატარებლად წარუდგინოს და გამოსცეს:
ბ.ა) ხარისხის კონტროლის სისტემის შემოწმებულთა სერტიფიცირების წესები;
ბ.ბ) ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის დებულება, ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მოთხოვნების შესაბამისად.“

30. მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების ადგილობრივი (ეროვნული) სტანდარტების შედგენა, გამოცემა და სააგენტოსათვის სარეგისტრაციოდ წარდგენა;“

31. მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ.ა) ბუღალტერთა (სერტიფიცირებულ პროფესიონალ ბუღალტრად) სერტიფიცირება;“

32. მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) თავისი წევრი აუდიტორების/აუდიტორული ფირმების აღრიცხვის წარმოება და მისი საჯაროობის უზრუნველყოფა.“

33. მე-12 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია პირთა სერტიფიცირებულ პროფესიონალ ბუღალტრად სერტიფიცირებას ახორციელებს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) განათლების საერთაშორისო სტანდარტების (IES) მოთხოვნების დაცვით.“

34. IV თავის შემდეგ დაემატოს თავი IV¹ შემდეგი რედაქციით:

„თავი IV¹
ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის სახედაზო ხედველო სააგენტო

მუხლი 12¹. სააგენტოს სტატუსი

1. სააგენტო იქმნება ფასიანი ქაღალდების კომისიასთან და წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს
2. სააგენტო დამოუკიდებელი ორგანოა და თავისი საქმიანობისას არ ექვემდებარება არც ერთ სხვა ორგანოსა და თანამდებობის პირს. სააგენტო საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კანონის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ფასიანი ქაღალდების კომისიის შესახებ“ საქართველოს კანონის, სხვა ნორმატიული აქტებისა და სააგენტოს დებულების შესაბამისად.

3. სააგენტო თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებში და ორგანიზაციებში.

4. სააგენტოს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიში, ბეჭედი სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და საკუთარი სახელწოდებით.

5. სააგენტო ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის და კომისიის წინაშე.

6. სააგენტო საქართველოს პარლამენტს და კომისიას წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ.

მუხლი 12². სააგენტოს შექმნა და საქმიანობის წესი

1. სააგენტოს მართვის უმაღლესი ორგანოა საბჭო, რომლის შემადგენლობაც განისაზღვრება 7 კაცით. 4 წევრი წარდგენილი იქნება: ფასიანი ქაღალდების კომისიის, აკადემიური სექტორის, ეროვნული ბანკის და პარლამენტის საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტის (ან ფინანსთა სამინისტროს) მიერ, ხოლო 3 წევრი პროფესიული წრეებიდან

2. საბჭოს წევრებს ამტკიცებს პარლამენტი.

3. საბჭოს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც საბჭოს წევრთა შემადგენლობიდან ამტკიცებს პარლამენტის საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტი.

4. საბჭოს თავმჯდომარე და წევრები თანამდებობიდან ვადამდე თავისუფლდებიან:

- ა) პირადი განცხადების საფუძველზე;
- ბ) თუ დაუშვა სერიოზული სამსახურებრივი გადაცდომა;
- გ) თუ ვერ ასრულებს თავის მოვალეობას ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სასამართლოს მიერ ქმედუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად ცნობის გამო;
- დ) საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტისას;
- ე) სისხლის სამართლის დანაშაულზე გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას.

5. საბჭოს გადაწყვეტილებები მიიღება წარმოდგენილი წევრების ხმათა უმრავლესობით.

6. სააგენტოს თავმჯდომარე საბჭოს გადაწყვეტილებების საფუძველზე გამოსცემს ნორმატიულ აქტს – ბრძანებას.

მუხლი 12⁴. სააგენტოს კომპეტენცია

1. სააგენტო უფლებამოსილია:
 - ა) აწარმოოს აუდიტორების/აუდიტორული ფირმების რეესტრი;
 - ბ) განახორციელოს ამ კანონის დაცვის მონიტორინგი, რაც გულისხმობს, მაგრამ არ შემოფარგლება:
 - ბ.ა) აუდიტორთა რეესტრში რეგისტრირებული აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგს (შემოწმებას);
 - ბ.ბ) აუდიტორთა რეესტრში რეგისტრირებული აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ ჩატარებული აუდიტის მოკვლევას და გამოძიებას;
 - ბ.გ) ჩატარებული ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის, მოკვლევას და გამოძიების შედეგებზე აუდიტორისათვის/აუდიტორული ფირმისათვის დისციპლინარული სასჯელის (ზომების) დაკისრება;
 - ბ.დ) ამ კანონის ფარგლებში წარმოშობილი დავების განხილვას;
 - ბ.ე) აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციების

ნორმატიული დოკუმენტები

აკრედიტაციის წესებთან შესაბამისობის მონიტორინგს (შემოწმებას);

ბ.ვ) ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარებას იმ პირობით, რომლებიც ახორციელებენ აუდიტს რეგისტრაციის გარეშე ან თავს არიდებენ სავალდებულო აუდიტს.

გ) განახორციელოს პროფესიული ორგანიზაციების აკრედიტაცია და იმ აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციების აკრედიტაციის გაუქმება, რომლებიც არ აკმაყოფილებენ/ასრულებენ ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

დ) დაამტკიცოს და რეგისტრაციაში გაატაროს:

დ.ა) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS);

დ.ბ) მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS for SMEs);

დ.გ) აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები (ISA);

დ.დ) ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი (ISQC);

დ.ე) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსი (IESBA Code);

დ.ვ) ხარისხის კონტროლის სისტემის შემმოწმებელთა სერტიფიცირების წესები;

დ.ზ) ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის დებულება;

დ.თ) ბუღალტერთა (სერტიფიცირებულ პროფესიონალ ბუღალტრად და სერტიფიცირებულ ბუღალტრად) სერტიფიცირების პროგრამები;

ე) განახორციელოს სხვა ისეთი მოვალეობები, ან შეასრულოს ისეთი ფუნქციები, რომელიც გამომდინარეობს ამ კანონიდან და „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონიდან.

2. სააგენტო ვალდებულია დააფინანსოს აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის მიერ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS), მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) თარგმნა.

3. სააგენტო ახორციელებს ადმინისტრაციულ ზომებს იმ სუბიექტების მიმართ რომელიც ახორციელებენ აუდიტს შესაბამისი რეგისტრაციის გარეშე, აგრეთვე იმ კომპანიების მიმართ რომლებიც ექვემდებარებიან სავალდებულო აუდიტს და არ ასრულებენ კანონის შესაბამის მოთხოვნებს.

4. სააგენტო აუდიტორების რეესტრში ცვლილებებს ახორციელებს მხოლოდ აკრედიტებული პროფესიული ორგანოს წარდგინებით.

35. მე-15 მუხლის მე-2-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2. მონიტორინგის დასკვნა გასაჩივრდება მონიტორინგის განმახორციელებლის გადაწყვეტილებასთან ერთად.

3. მონიტორინგის დასკვნის თაობაზე მონიტორინგის განმახორციელებლის გადაწყვეტილება აუდიტორმა, აუდიტორულმა ფირმამ ან აუდიტორულ ფირმაში დასაქმებულმა სერტიფიცირებულმა პირმა შესაძლებელია გაასაჩივროს სასამართლოში, გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღისვადაში.

36. მე-16 მუხლის მე-3-მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ სერტიფიცირებულ აუდიტორებს, რომელთა საკვალიფიკაციო სერტიფიკატები ძალაშია 2013 წლის 01 იანვრისათვის, ამ კანონით ენიჭებათ სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტრის სტატუსი, თუ ისინი გაწევრიანდებიან აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუდიტორის საკვალიფიკაციო სერტიფიკატები მოქმედებს 2013 წლის 1 იანვრიდან 5 წლის განმავლობაში.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულ სერტიფიცირებულ პირს და აუდიტორულ ფირმას, რომელსაც დაქირავებული ჰყავს ასეთი სერტიფიცირებული პირი, უფლება აქვს, ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის გავლამდე რეგისტრირებული იყოს მხოლოდ სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების არმქონე პირთა რეესტრში.

5. აკრედიტებულმა პროფესიულმა ორგანიზაციამ 2014 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს ბუღალტერთა სერტიფიცირებულ პროფესიონალ ბუღალტრად სერტიფიცირების პროგრამების შემუშავება.

6. აკრედიტებულმა პროფესიულმა ორგანიზაციამ, 2014 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს ხარისხის კონტროლის შემმოწმებლის სერტიფიცირების პროგრამისა და ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის დებულების შემუშავება.“

37. მე-16 მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული წესი მოქმედებს 2013 წლის 1 იანვრიდან 4 წლის განმავლობაში.“

38. მე-16 მუხლის მე-13 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

მე-16 მუხლის მე-14-16 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

14. პერიოდ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საზედამხედველო საბჭოს მიერ პროფესიული ორგანიზაციების აკრედიტაციის განხორციელებამდე განისაზღვროს გარდამავალ პერიოდად. აღნიშნულ პერიოდში აუდიტორების / აუდიტორული ფორმების გაწევრება პროფესიულ ორგანიზაციებში არ მოითხოვება.

15. ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტზე ზედამხედველობის სააგენტო წარმოადგენს საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს სამართალმემკვიდრეს.

16. ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტზე ზედამხედველობის სააგენტო წარმოადგენს ქონების მესაკუთრეს, რომელიც 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხებოდა საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს ბალანსზე.

მუხლი 2.ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
მიხეილ სააკაშვილი

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე
„ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური
ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს
კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

„ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის მიზეზს წარმოადგენს საკანონმდებლო რეგულირების გაუმჯობესება და ხარვეზების გამოსწორება, რომლებიც საშუალებას არ აძლევს აღნიშნულ სფეროში დასაქმებულ ორგანიზაციებს, კომპანიებს და კერძო პირებს ნორმალური ფუნქციონირების საშუალებას.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანს წარმოადგენს კანონის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან დაახლოება, ევროდირექტირების რეკომენდაციების გათვალისწინება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიასთან იქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საზედამხედველო სააგენტო“, რომელიც განახორციელებს აღნიშნულ სფეროში არსებული პროფესიული ორგანიზაციების ზედამხედველობას, რეესტრის წარმოებას და სხვა.

კანონპროექტით დეტალად არის განსაზღვრული სააგენტოს შექმნის წესი, სრულტურა და უფლებამოსილება.

აღსანიშნავია, რომ საზედამხედველო ორგანოსათვის მოხდა სხვადასხვა ფუნქციების გადაცემა რომელსაც ახორციელებდა საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო.

ცვლილებების შესაბამისად, საქართველოში მოქმედი ბუღალტერთა და აუდიტორთა ორგანიზაციები აკრედიტაციის თანაბარ პირობებს დაექვემდებარებიან, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი სახსრების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტს მიღებ აგავლენას არ ახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდაზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ზეგავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტით მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღებაზე გავლენას არ იქონიებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით გათვალისწინებულია სარეგისტრაციო მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრა.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება და იზიარებს ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავების პროცესში მონაწილეობდნენ აღნიშნული დარგის წამყვანი სპეციალისტები, კონსულტაციის მიზნი მოეწყო მრავალი შეხვედრა.

აღსანიშნავია, ბატონი ლავრენტი ჭუმბურიძის (საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი) და ბატონი გიორგი ხმაღაძის (საქართველოს დამოუკიდებელ ბუღალტერთა და აუდიტორთა საზოგადოება) მნიშვნელოვანი წვლილი კანონპროექტის მომზადების პროცესში.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

წერილობითი შეფასებები არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია პარლამენტის წევრი: დავით ონოფრიშვილი

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია პარლამენტის წევრი: დავით ონოფრიშვილი